

66/4  
17. 8269.



ԵՌԵՎԱՆ

1966  
9

# ბიბლია

10.336.



სექტემბერი

1 9 6 6

ლიტერატურულ-  
მხატვრული და  
საზოგადოებრივ-  
პოლიტიკური  
ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა  
და მწერალთა კავშირის ორგანო

თბილისი

სსსს სსსს



მთავარი რედაქტორი **ხუტა ბერუღავა**

სარედაქციო კოლეგია: აბაკი ბაქრაძე, გურამ გვერდუიძე, მერაბ ელიოზიშვილი, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, როინ მებრევილი, გურამ ფანჯიკიძე (პ/მზ. მდივანი), ვიორგი ციციშვილი, ვახტანგ ველიძე, სერგი ვილანია, თამაზ ვილაძე, ლაშა ჯანაშია.

# • ქაჯი • თახეზაჯი

არა მარტო მშობელი ქვეყანა, არა მარტო დიადი საძმო კავშირი, მთელი პროგრესული კაცობრიობა ზეიმობს ქართველი ხალხის გენიალური პოეტისა და მოაზროვნის — შოთა რუსთაველის დაბადების რვაასი წლის თავს.

რუსთაველი მწვერვალია მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიისა, ერთ-ერთი უბრწყინვალესი ვარსკვლავი მსოფლიო ლიტერატურისა. „ვეფხისტყაოსანი“ ქართველი ხალხის გენიის უდიდესი გამოსხივებაა, დიდებული და შთაგონებული საგალობელი ხალხთა მეგობრობისა.

პოეტური აზროვნების ეს შედეგრი ცარიელ ნიადაგზე როდი შექმნილა და არც შეიძლებოდა შექმნილიყო. იგი აღმოცენდა სწორედ იმ დროს, როცა ქართულმა კულტურამ, მეცნიერებამ, ხელოვნებამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. მეხუთე საუკუნიდან რუსთაველის ეპოქამდე შეიქმნა მრავალი ძვირფასი ნაწარმოები ქართული მწერლობისა (უფრო ადრინდელი ნიმუშები ხომ ჯერჯერობით არ არის აღმოჩენილი!). მათ გაუძღეს დროთა ქარტყილებს, ბედის უკუღმართობას და დღემდე მოაღწიეს. რუსთაველის პოემა, ნატიფი ფორმით და მაღალი ჰუმანიზმით გასხივოსნებული, ორგანული ნაწილი იყო იმ საერთო კულტურული აღმავლობისა, რასაც ადგილი ჰქონდა მე-12 და მე-13 საუკუნეების მიჯნაზე.

ბუნებრივია, პოემამ ვერ გამოიწვია ეკლესიის მსახურთა მოწონება. ისინი ვერ შეურიგდნენ დიდი პოეტის თამამ და გაბედულ აზრებს ადამიანის პირად ღირსებაზე, თავისუფლებაზე, წმინდა მიწიერ სიყვარულზე... ამოდ დაშვრა, საწუხარ არს ესეო, — წერდა ერთ-ერთი ფანატიკოსი ღვთისმსახური.

დაიწყო „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ბრძენი ავტორის გამუდმებული დევნა, მაგრამ ეს დევნა ჰგავდა სულის შებერვას, რომელიც კოცონივით აჩაღებდა უკვდავი ნაწარმოების ძალასა და მიმზიდველობას. რამდენი ჭირ-ვარამი გამოიარა ჩვენმა ერმა საუკუნეთა მანძილზე და ეს ჯადოსნური კოცონი კი არასოდეს ჩამქრალა, როცა ქართველ ხალხს უჭირდა, იგი იყო მისი ნუგეში და სულის გამთბობი; როცა უღხინდა — იგი იყო სიამაყე და სიხარული: ხელიდან ხელში გადადიოდა და ისე ვრცელდებოდა მთელ საქართველოში. არავის უკვირდა, როცა ამ უზარმაზარ ნაწარმოებს თავიდან ბოლომდე ზე-

პირად წარმოთქვამდნენ ხოლმე. თავის თბილ უბეში შეინახა და და-  
ლუპვას გადაარჩინა ქართველმა ხალხმა მისი ფიქრებისა და აზრ-  
ბის გამოხატველი პოეტური ქმნილება.

ახლაც გვაოცებს და ამავე დროს გვაამაყებს სიღიადღე რუსთა-  
ველისა, რომელმაც შორეულ ეპოქაში ასე მძლავრად და მომხიბვლე-  
ლად ადიდა ხალხთა მეგობრობა, წმინდა გრძნობა ადამიანთა ერთი-  
ანობისა. ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი — სხვადასხვა ერის შეილე-  
ბი — ღვიძლი ძმებივით ეხმარებიან და იცავენ ერთმანეთს ბრძოლასა  
და გასაჭირის ჟამს. რაოდენ დიდი მსხვერპლი გაიღეს ავთანდილმა  
და ფრიდონმა, რათა მძიმე ხვედრი შეემსუბუქებინათ ველად გაჭრილ  
ტარიელსთვის. ისინი არ შეუშინდნენ არც სასიკვდილო საფრთხეს,  
არც ხანგრძლივ ხეტიალს უცხო ქვეყნებში! გენიალური პოეტი, რო-  
დესაც აგვიწერს პოემის გმირთა ზღაპრულ თავგადასავალს, თითქოს  
გვეუბნება ჩვენ, მის შთამომავალთ: ადამიანის ცხოვრების მიზანი  
მეგობრობის მაღალი გრძნობაა. გიყვარდეთ ერთმანეთი, მხარში  
ამოუღეპით ერთმანეთს და ვერავითარი ბოროტება ვერა გძლევთ!

ღიას, სიკეთის გამარჯვება ბოროტებაზე, — აი მთავარი მოტი-  
ვი „ვეფხისტყაოსნისა“. რუსთაველი გვასწავლის თავდადებულ ბრძო-  
ლას ყველა იმის წინააღმდეგ, ვინც ხელყოფს სამშობლოს წმიდათა  
წმიდა მიწას. და აქაც თითქოს გვიანდერძებს: იყავით ღირსეული  
ძენი და ასულნი მშობელი ქვეყნისა. უშიშრად და გაჟაკცურად და-  
იცავით თქვენი მამული და თავისუფლება!

„ვეფხისტყაოსანში“ ახალგაზრდობის რაინდული აღზრდის მთე-  
ლი კოდექსია მოცემული. ამ კოდექსის საფუძველია შრომა და ბა-  
ტიოსნება, თავგანწირვა და შეუბოვრობა მიზნის მიღწევაში. მხოლოდ  
შრომისმოყვარე, ბატიოსანი, თავგანწირულსა და შეუბოვარ ადამიანს  
ამკობს რუსთაველი რაინდის სახელით.

ასეთი რაინდი იყო თვითონ შოთა რუსთაველი, ჩვენი რეაისი  
წლის იუბილარი, რომლის სახელსაც მოწიწებით წარმოთქვამენ მთე-  
ლი მსოფლიოს ყველა ხალხის ენაზე.

საუკუნეები გადიან და რუსთაველის დიდება უფრო და უფრო  
ელვარე და მიმზიდველი ხდება.

მაინც რა არის ძირი და ფესვი მისი საოცარი პოპულარობისა?  
დიდებულად უპასუხებს ამ კითხვას ილია ჭავჭავაძე: „ვეფხისტყაო-  
სანი ჩვენი ეროვნული ღირსებისა და ვინაობის სახსოვარია, რომელ-  
საც მთელმა ერმა შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული,  
შიგ ჩაახვია თავისი სული და გული, შიგ ჩააწნა თავისი უკეთესნი  
ფიქრნი, ზრახვანი, გრძნობანი“.

„...ეგრე ადვილი არ გახლავთ ერის სიყვარულის მოხვეჭა, მერე  
როგორი სიყვარულისა? — დიდად დიდი სიყვარულისა...“

ამ დიდის სიყვარულის მოხვეჭა კი მხოლოდ დიადს ადამიანს,  
გენიოსს შეუძლიან, რომელიც ღვიძლი შვილია თავის ერისა“ — ამ-  
ბობდა ვაჟა ფშაველა.

რუსთაველის სახელით მიაპობენ ზღვებს და ოკეანეებს მძლავრი  
ხომალდები, რუსთაველის სახელი ამშვენებთ სკოლებსა და ინსტი-  
ტუტებს, მწვერვალებს და ვარკვლავებს, ქუჩებსა და მოედნებს...

რუსთაველი ცოცხლობს, როგორც ჩვენი უკვდავი თანამედროვე,  
როგორც ჩვენი ხალხის მარადიული თანამგზავრი.



## ქართული სიტყვის მხედართმთავარი

ყოველგვარი ნაწარმოების წარმატების უპირველეს საწინდარს ავტორის მიერ სათქმელის შესატყვისის ფორმის, განსაკუთრებით, ფორმის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტის, — რიტმის პოვნა წარმოადგენს.

ქართული ხალხური პოეზიის ძირითადი მეტრი დასაბამიდან თექვსმეტმარცვლიანი ლექსია. ქართველი კაცი თავის პოეტურ დამოკიდებულებას გარესამყაროსთან უმეტესად შაირით გამოხატავს. შაირი თითქოს პულსია ქართველისა პოეტური აღმაფრენის დროს.

თავისი უკვდავი პოემა რუსთაველმა სწორედ შაირით დაწერა. დიდი პოეტის ამ, ერთი შეხედვით, უბრალო არჩევანმა, არცთუ ისე მცირე წვლილი შეიტანა „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარობისა და უკვდავების საქმეში.

გარდა ხალხური მეტრისა, რუსთაველმა თავის ნაწარმოებში დიდი ადგილი დაუთმო ცოცხალ ხალხურ მეტყველებას. იგი არ დაჯერდა მანამდე არსებულ ლიტერატურულ ენას და თავისი ნაწარმოები დაწერა სრულიად საქართველოს ენით. იგი არ მორიდებია ე. წ. „დიალექტებს“.

რუსთაველის შემდეგ, ქართული ლექსიკონის შედგენისას, ასევე მოიქცა დიდი ქართველი მწერალი და ლექსიკოგრაფი სულხან-საბა ორბელიანი. მანაც თავის ლექსიკონში უხვად შეიტანა საქართველოს ყოველი კუთხის „დიალექტები“. ჩემი აზრით (გარდა ზმნებისა: მევიდა, წევიდა, შავიდა და სხვა) არ არსებობს არავითარი „დიალექტი“, არსებობს მხოლოდ სინონიმები, რაც ენის სიმდიდრეს მოწმობს.

რუსთაველის მიერ „დიალექტების“

ესოდენ უხვი გამოყენება სრულიადც არ არის შემთხვევითი. გარდა იმისა, რომ ეს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სულიერ სიდიადეზე, მის ვრცლად და ღრმად ხელვაზე მეტყველებს, ამავე დროს იგი გამოხატავს მთლიან ქართულ სულს, მთლიან საქართველოს, თავისი გლობალური მრავალფეროვნებით.

არა მგონია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ჩახედული კაცისათვის საჭირო იყოს მაგალითები იმისა, თუ რა უხვად იყენებს რუსთაველი დღეს ე. წ. „დიალექტებად“ მიჩნეულ სიტყვებს. მაგრამ თვალსაჩინოებისათვის მაინც მოვიტან ორიოდ მაგალითს:

ველთა ცრემლი ასოვლებდა,  
თვალთა ჩემთა მონაწურთა.

„სოველი“ — დიალექტიაო! — იტყვის ფილოლოგი. მაგრამ, განა სიტყვას „სველი“ შეუძლია გამოხატოს ის, რასაც ამ კონტექსტში სიტყვა „სოველი“ გამოხატავს?! „ასოვლებდა“ — უფრო უხვია, უფრო ბლომად ღვრება. და სწორედ ამის თქმა სურდა ავტორს. აი, როგორი ნიუანსი აქვს ყოველ სიტყვას. ანდა:

გუხმობ ვვათა და ყორანთა,  
მათ ზედა ვაქნევ ხადილსა.

„ხადილი“ ამ კონტექსტში „პურისჭამას“, ქეიფს ნიშნავს. ეს მნიშვნელობა კი ამ სიტყვას დღეს მხოლოდ იმერეთში აქვს და წინათაც მხოლოდ იმერეთში ჰქონია: „ხადილი“ — უადრესთ მოწოდება. იმერულნი სამასპინძლოს „ხადილს“ ამის გამო უხმობენ“ (საბა, „ქართული ლექსიკონი“).

ვისაც „ვეფხისტყაოსანი“ დედანში არ წაუკითხავს, მან რუსთაველის სიდიადის მხოლოდ მეთათხადი თუ იცის, — არც კი! რუსთაველი არა მარტო უფრცესი ჰორი-

ზონტის პოეტია, არამედ ლექსის სწორ-  
უბოვარი ოსტატი.

მალალი და დაბალი შაირი არის „ვეფ-  
ხისტყაოსნის“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვა-  
ნესი ღირსება. ხმის აწევა-დაწევა ისეთ  
შთაბეჭდილებას ჰქმნის, თითქოს ორძა-  
ლი გამოსცემდეს მზახრსა და ზილს. ან-  
და, ორი კაცი ერთმანეთს ეშაირებოდეს  
არა აზრობრივი, არამედ ხმიერი დაბა-  
რისპირებით, რაც უკიდურესად ამკვეთ-  
რებს ცალკეულ სტროფს, როგორც ორი  
სხვადასხვა, ერთიმეორის საპირისპირო  
ფერი ერთმანეთს და იქმნება ფერადი  
ტონალობა.

ქართული სიტყვა, არც რუსთაველამდე  
და არც რუსთაველის შემდეგ, არავის ესე  
არ დაუშორჩილებია, ვითარცა რუსთა-  
ველს; დაწერამდე რუსთაველის ხელში  
სიტყვა თიხაზე უფრო დამყოლია; დაწე-  
რის შემდეგ კი — ქსოვილზე უღბილესი  
და ნაჭედზე უმტკიცესი.

არ მოიძებნება მეორე ქართველი მწე-  
რალი, რომელსაც ისე ემარჯვებოდეს და  
შვენოდეს სიტყვების თავის ნებაზე გა-  
დასროლ-გადმოსროლა, ვითარცა რუსთა-  
ველს:

1. ასე უჩნს მოკლეა ლომისა,  
მართ ვითა ლომსა ვაცისა,
2. ვერ იქმოდა, რად მიქადა,  
თუ მიქადა, რად მიტყუა?!
3. მით რაცა მინდა, არა მაქვს,  
რაცა მაქვს, არ მომინდების.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ როგო-  
რი ელასტიურობა ამ სტრიქონებში. და  
განა მარტო ამ სტრიქონებში...

თუ რაოდენ მნიშვნელოვანია „რო-  
ვორ“ თქმა, ამის კიდევ ერთი ნათელი  
მაგალითია ეს ერთი აზრი, ორი კაცის  
მიერ ორნაირად გამოთქმული: 1. ესა მარ-  
თალი: ე სამართალი ხეს შეიქმს ხმელ-  
სა წყალმომინარედ (იოანე შავთელი).  
2. თქმა მართლისა სამართლისა, ხესა შე-  
იქმს ხმელსა ნედლად (შოთა რუსთა-  
ველი).

საქვეყნოდ ცნობილია ზმნის ცხოველ-  
მყოფელი ძალა წინადადებაში. რუსთა-

ველის სტრიქონს დინამიკას სწორედ ეს  
ზმნათა სიუხვეც ჰმატებს. ხშირად ერთ  
სტრიქონში (როცა ეს საჭიროა) სხვა  
მეტი ზმნაც კია. იშვიათია სტრიქონი,  
ერთი ზმნა მაინც რომ არ იყოს. ეს მა-  
შინ, როდესაც შავთელსა და ჩახრუხაძეს  
ხშირად მთელი სტროფები ერთი ზმნის  
ამარა აქვთ გაშვებული. სხვათა შორის,  
ზმნათა სიმცირის გამოცაა რომ მათი  
ლექსი ნაკლებად ცოცხალია და ძნელად  
დასამახსოვრებელი.

აი, ზმნათა რა სიუხვეა „ვეფხისტყაო-  
სანში“:

1. სიხარულმა ამაჩქარა,  
ამათრთოლა, და-ცა-მლეწა.
2. ქევაბი ჩავლო, წყალსა გახდა,  
შაშბი გავლო, ველს გავიდა.

პირველ მაგალითში სიხარულის თან-  
დათანობითი ზრდის გამოსახატავად გა-  
მოყენებულია სამი ოთხ-ოთხ მარცვლია-  
ნი ზმნა (ამაჩქარა, ამათრთოლა, დაცა-  
მლეწა).

მეორე მაგალითში სამი ორ-ორ მარ-  
ცვლიანი ზმნით (ჩავლო, გახდა, გავლო)  
გადმოცემულია გმირის მიერ ჩადენილი  
სამი სხვადასხვა მოქმედება. და, ბოლოს,  
მეოთხე სამმარცვლიანი ზმნა — „გავი-  
და“ — ამოსუნთქვასავით ისმის და შეე-  
ბასავით იგრძნობა.

ეს აბსოლუტური სმენა, ეს გამჭირაზო  
თვალი, ეს უმდიდრესი ლექსიკა, ეს ელას-  
ტიურობა, ეს დინამიკა, ეს მოსხლეტილი  
ინვერსიები, ეს ფერადი ტონალობა, —  
ყველაფერი ნაყოფია რუსთაველის ვეებერ-  
თელა ნიჭის, ღრმად განსწავლის, დიდი  
გამოცდილების, უდიდესი შრომისა და  
დიდი სათქმელის. დიდი სათქმელი კი  
დიდ აღმაფრენას იწვევს. დიდი აღმა-  
ფრენა — დიდ ოსტატობას.

და მაინც, რუსთაველის ესოდენ მძაფ-  
რი, ხანგრძლივი და მარადი სიყვარულის  
საფუძველი არის არა ყოველივე ეს, არა-  
მედ მისი აზრების უაღრესი ხალხურობა  
და აზრის გამოხატვის ზედმიწევნით ხალ-  
ხური კონსტრუქცია საერთოდ.

მუსრან მაჰაპარიანი.



## სქოთვეროს სხეხო პოეცენი

გალაკვიონ ვაბიძა

### შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირად

ნაპირს, რასაც საოცარი სილაყვარდით ავსებს წყალი,  
სადაც დაფნის ტყეებია და მზიური ფორთოხალი,  
ნაპირს, რის მსგავსს ზღვათ მავალი ვერსად ნახავს კაცის თვალი,  
გადმოვიდა მოყმე ვინმე, ამაყი და სახემკრთალი.

პირველ მუხლი მოიყარა, მოწიწებით გადგა შორა,  
თაყვანი სცა მშობელ მიწას, რამდენჯერმე ეამბორა,  
კვლავ დაემხო, კვლავ ცრემლები სისხლის რუებრ მოატბორა,  
მელირსაო შენი ნახვა, აწც ვინ დაგვაშორიშორა?

ამბობს: ჩემო სამშობლოო, ღვიძლო დედავ, ჩემო კარგო,  
დაგებრუნდი შენი შვილი, ვეჭვ, რაიმე დიდი გარგო,  
გარნა ერთი სიცოცხლე მაქვს, მინდა შენთვის გარდავაგო,  
სიბრძნეს — ვეყმო, მოძმეს — ვეძმო, საკადრისი მტერს მივაგო.

შე შენ შემჭერ სხვა ცხოვრების, სხვა გარემოთ უცნობ ზვავში,  
როსმე წყნარი და უღრუბლო, ზამბახივით ნაზი ბავშვი...  
ვნახე უცხო მხარეები, გადავეშვი სიბრძნეთ ზღვაში,  
ხან სიცხეში, ხან ავდარში, ხან გრიგალში, ხან ნიაგში.

მერამდენედ უნდა ვითხრა, მშობლიურო, კვლავ მადლობა  
ცისკრისათვის, რასაც დილის ჰქვია მიმოსინათლობა;  
იარისთვის, ჩემს დასისხლულ ფეხს რომ აჩნის, ვითარ გზობა,  
ყველაფრისთვის, რაც არა მაქვს და ანუ მაქვს: გრძნობა, ცნობა.



აი, დიდი, დაბურული და ზვიადი ჩანს ტყეები.  
ზევით, ქვევით ცის ლაქვარდი, გადაშლილი სივრცეები-  
ცაღაწვდილი დგას ხეები, კვლავ კლდეები, სახეები,  
ახლო მესმის: ჩონგურები აშრიალდნენ ვით დღეები.

რალაც უცხო სიმსუბუქით მივყავარ სიმთ ოქროს ნავებს,  
ნაყოფიერ მინდორთ ნუგეშს, მზეთა ნუგეშს, ოქროს ხეავებს.  
გმადლობ ზღვისთვის, არემარევ! ამგვარად რომ ააყვავებს  
აღმომხდარ მზით, ჩამავალ მზით იმ მთვარესა და ვარსკვლავებს..

მე რუსთველი ამა ზღვიდან შემოვდივარ ჩემს ქვეყანას.  
მოიარო სხვა ქვეყანა, ვერ მოისმენ ამგვარ ნანას.  
ხამს შესწირო კაცმა თავი მხარეს — ედემს ამისთანას...  
მის ვეფხვობას, მის სიუხვეს, სიყვარულს და ოქროს ხანას!





## პიოტრი ლონიძე

### „ვეფხისტყაოსანს“

ხელში ავიღებ... გაკოცებ,  
კიდევ ჩაგკოცნი... ჩაგცქერი;  
წიგნი კი არა — ჟრჟოლა ხარ,  
ჩამოქაფული ჩანჩქერის.

წიგნი კი არა — ბალი ხარ,  
ოქროს ცვარჩამოწვეთილი;  
გაშლილი ბაირალი ხარ,  
ლექსის ფრთა გაუცვეთელი!

წიგნი კი არა — დილა ხარ,  
ქართველი ხალხის ნათელი.  
გულის ფესვებში გინახავ,  
გულში ხარ გამონათალი.

ქალღმერთ გწერენ... სიტყვების  
ნაცვლად ლალები სხდებიან;  
გბეჭდვენ — ნიშნები სტამბური  
ვარდებად აყვავდებიან.

გკითხულობენ და გმღერიან  
ლხენით გულ-დამერცხლებული;  
შენგან ჰყავს ხალხის სიცოცხლეს  
სიკვდილი დამარცხებული!

\* \* \*

უთენებელი ბნელეთის  
შენ ერთი გვყავდი მთეველი;  
სიმდიდრე ბევრი წაგვართვეს,  
შენ დაგვრჩი წაურთმეველი!

შენ არ გჭიროდა სახიზრად  
გამოქვაბულთა წყვილიად.

არწივის ფრთაში ჩასაფრდი,  
ქოხის ნაცარში ბრწყინავდი...

გწვავდნენ და არ იწვებოდი,  
ცეცხლში დიდების მხვეჭელი.  
ვერც ქარიშხალი გვანტავდა,  
ხეების ამომგლეჯელი.

შენ ხმალის ღარზე ეწერე,  
ანდერძი ოქროსმოვანი:  
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა,  
სიკვდილი სახელოვანი!“

წიგნო, წინ მიუძღვებოდი  
ხალხს უკვდავების ნალარით;  
შენ გწერდა დიდი რუსთველი,  
თავსოქროგადანაყარი.

შენ გწერდა ცისკრის კამკამი,  
ხევთა ხმა, ზვავის ზრიალი;  
შენს კალამს ორბი ჰზიდავდა,  
ტყავს — ვეფხვი თანაზიარი.

შენ გწერდა ქალის წამწამი,  
ვაჟკაცის მკერდი გმირული,  
შენ ხალხი გწერდა მხედარი,  
ბრძოლით გულამოკირული.

შენ ჩვენი სიჭაბუკე ხარ,  
გული არ დაგიძველდება,  
სიმღერა, დილას ნამღერი,  
შვიდასი წელი გრძელდება!

ახმაურე სამშობლო,  
კარისკარ ჩამოიარე;  
ზოგს პურმარილზე შეესწარ  
და ზოგს უხვევდი იარებს.

მიჯნურს, გულადუღებულსა,  
სიცოცხლეს დაუელვარებ;  
ლაშქარს უსარდლებ სარდალი,  
ხელში ხმალს აძლევ მღელვარეს.

სიყვარულს სიყვარულითა,  
ძმობით ძმას ეპასუხები,  
დიდ ჭირში დაგვაფოლადებ,  
დავდგებით, როგორც მუნები.

\* \* \*

შენ ხელსატაცი სიტყვა ხარ,  
დიდია შენი სახელი;

მთების სიბრტყენი გადასჭერ  
სამშობლოს გარეთ გახველი;

შენი სიბრძნე და ოცნება  
გულში აქვთ გამოკვანძილი;  
ჩამოურიგდი ქვეყანას,  
როგორც დიდი მზის ნაწილი.

კარებს გიღებენ ტკბილ სტუმარს  
ქალაქები და სოფელი,  
სიმღერა, გულში ნათქვამი,  
გახდი მსოფლიოს მფლობელი.

გაქანდი, ოქროსფრთიანო,  
გაცლევი ქვეყნის ნაპირსა, —  
შენ, დედაჩემის მზითევო,  
ფარ-ხმალო მამა-პაპისა!







## იოსებ გიგაუშვილი

### შოთა რუსთაველი ჩემს ბიბლიოთეკაში

მე თვალს დავხუჭავ... და ჩემს წინაშე  
აიშარტება რუსთაველის ლანდი:  
შემოდის იგი მგოსნის ბინაში  
და თან შემოაქვს სითბო და ყანდი.

აი ჩამოვდა ჩემს ტახტრევანზე  
ჩაკეცილ ქუდით, ღიმილის კმევით,  
თითქოს კედლები გასწიეს განზე,  
თითქოს ეს ჭერი ავიდა ზევით.

ჩახრუხაის-ძე არ იყო მასთან,  
არც შავთელს ვჭვრეტდი მის შერმადინად.  
გაშალა წიგნი და რითმის დასტა  
მარგალიტებად გადმოადინა.

კითხულობს... ლექსი მიჰყვება ლექსსა,  
ვით კრიალოსანს მძივებზე მძივი,  
მაგრამ როცა სთქვა: „სჯობს სიცოცხლესა“ ...  
წიგნების ლოყა აინთო სხივით.

მის ხმაში სჩანდა რალაც იდუმალ  
უცნობი ძალის გამოძახილი:  
ხან თითქოს ზარმა ხმა დაიდუმა,  
ხან თითქოს ასხლტა, როგორც მახვილი.

თითქოს ხმა მოხვდა ტალღას აფრიანს,  
თითქოს დაჭრილი ირემი მორბის. —  
ო, მისი ლექსი ისე მძაფრია,  
როგორც სურნელი გაღეწილ ხორბლის.

მე იმის სახეს გულში ვატარებ,  
მე იმის სიტყვებს ეხლაც ტყვედ ვყევი  
თამარ დედოფლის თითებს ვადარებ  
სტრიქონში შებმულ რითმების ყევიას.

დიდხანს ვუმზერდი... იმის ტკბილ ხმაზე  
ვიგრძენ სინორჩე, გარდვიქმენ სრულად.  
მან გადაისვა თითები თმაზე  
და გადმომხედა დარბაისლურად.

ალარ მესმოდა ხმა გამყივარი,  
სიბრძნე, სიუხვე, ლექსის დინება,  
ის დამყურებდა როგორც მყინვარი  
და ჩემი ქვეყნის ალორძინება.



# რუსთაული



(ტრაბეღია)

## მოქმედი პირნი

რუსთაველი; თამარ-მეფე; ღვთის სოსლანი — თამარის მეუღლე; მიტან-  
 ლი — კათალიკოსი; გუზანი — მრისთავთ-მრისთავი; გვანცა — გუზანის ასუ-  
 ლი; მარჯან — მსახურთ-უხუცესი; შიბაბერი — მანღატურთ-უხუცესი; მარა —  
 შიბაბერის ასული; ბოცო — მსაჯულთ-უხუცესი; ზაქარია მხარბრძელი, რატი  
 სურამელი — მხელართმთავრები; ჩახრუხაძე, შერგილ გულაბერიძე — კარის  
 მგოსნები; ანტონ ბჟონელიძე — ბერი, შემდეგ სრულიად საქართველოს  
 კათალიკოსი; გუჯა — ხუმარა; ბერიკა — მღაბიოთა წარმომადგენელი; დუ-  
 პანი რუჰანდინისა; მაცნე.

ხალხი, მხედრები, სასულიერო პირნი, სეფი-მალნი.

## მოქმედება პირველი

### სურათი პირველი

სასახლის კიბე. ღამეა. ქვევით, ალაყაფის კართან, გუშაგები დგანან. გვანცა თავგანწირვით  
 მოაწყდება ალაყაფის კარს. ქონგურზე გამოჩნდება ჭიაბერი.

შიბაბერი:

რა ამბავია? ასე გვიან ვინ ითხოვს შეელას?

გვანცა:

სიკვდილი მომდევს, ვილუბები, ძია ჭიაბერი!

შიბაბერი:

კარგად ვერ ვარჩევ, ვისი ხმაა?!

გვანცა:

ეს მე ვარ, გვანცა, უბედური... გუზანის ქალი!

(ალაყაფის კართან რატი გამოჩნდება).

რატი:

კარი გაგვიღეთ, თორემ რისხვა გვიახლოვდება!

გვანცა:

ღვთის გულისათვის, დაგვიფარეთ, გადაგვარჩინეთ!

შიბაბერი:

გაუღეთ კარი!

(მცველები აღებენ კარს, გვანცა და რატი შემოდიან. კარი იხურება).



გვანცა:

ვაჰმე! ნუთუ საშველი დაგვადგება!

რახტი:

ნუ გეშინია! შენს სიცოცხლეს შევეწირები!

გვანცა:

ჩემი სიცოცხლე რალად მინდა თუ შენ მოგკლავენ!

ჰიაბერი:

გამაგებინეთ მაინც კარგად, ვინ გემუქრებათ?

რახტი:

გუზან ბატონი... ერისთავი...

ჰიაბერი:

რამ გადარია?

გვანცა:

ჩვენი ფარული სიყვარული როცა შეიტყო...

რახტი:

იშიშვლა ხმალი, მოსაკლავად გამომეკიდა!

ჰიაბერი:

მოსაკლავადო?

რახტი:

განა სიკვდილის მეშინია! არა, ჭიაბერ!

არ მინდა სისხლი დაიღვაროს, თორემ...

გვანცა:

გვიშველეთ!

თუ მამაჩემმა აქ მოგვისწრო, როდი დაგვზოგავს!

ჰიაბერი:

ნუ გეშინიათ!

სიკვდილით დასჯა ახლა ჩვენში აღკვეთილია!

რახტი:

მაგრამ აღგზნებულ, სისხლმორეულ კაცის გულისჯავრს.

რომელ სამართლით შეაჩერებ! აგერ, ისინიც!

(გამოჩნდებიან გუზანი და მისი მხლებლები).

გუზანი:

აქ მიიმაღნენ, წყეულები, აქ იქნებიან!

გვანცა:

ვაიმე, მამა!

გუზანი:

გაჩხრიკეთ კარგად, არ დატოვოთ არც ერთი კუთხე!

ვარდანი:

რა დროს ეგ არი, ვერა ხედავ, სად შეხიზნულან?

ბოცო:

უკვე შეგვასწრეს სასახლეში. დაემშვიდობე!

გუზანი:

არა! მათ ჩემგან ეს კარიბჭეც ვერ დაიფარავს!

(კარიბჭეს მიაწყდებიან შესამტვრევად).

ვარდანი:

გაგვიღეთ კარი!

ბოცო:

გუზან ერისთავთ-ერისთავი ესტუმრა მეფეს!

გვანცა:

ო, გევედრებით, არ გაულოთ... დავილუპებით!

(შემოდის რუსთაველი).

შიაზარი:

აგერ, რუსთველიც! დიღო მგოსანო, შენც შეწუხდი?

რუსთაველი:

ერთ ძველ ხელნაწერს ვკითხულობდი, 'როცა ხმაური შემომესმა!

(შენიშნავს რატის და გვანცას).

თქვენ აქ საიდან?!

რაბი:

როგორ აგიხსნა, ფათერაკი მოგვდევს ფეხდაფეხ!

რუსთაველი:

ნუ გეშინიათ! მობრძანდება აგერ ხელმწიფეც!

(გაიღება სასახლის კარი, შემოდის ორი ჩირაღდნაანი კარისკაცი. მცირე ხნის შემდეგ გამოჩნდება თამარი, რომელსაც ოთხი მხლებელი ქალი მოაცილებს).

თამარი:

ვინ არღვევს ღამის მყუდროებას, დარბაისელნო?

გვანცა:

ო, დედოფალო, მაპატიე კანდიერება...

ეს მე ვარ, გუზან ერისთავის ასული... გვანცა...

და მწამს შემინდობ, მოწყალებო, როცა გაიგებ,

რა გაჭირვებამ აქ შემოსვლა გამაბედვინა!

რაბი:

მეფეთ-მეფეო! სინათლე ჩვენო და სიხარულო,

უღირსი მოყმე გვევლრები რომ მომისმინო!

თამარი:

გისმენ, ჰაბუკო!

რაბი:

სიკვდილი კართან გველოდება, ჯერ არ წასულა,

იგი აქვია, გვითვალთვალებს და თუ აქ მოვა, —

ორთავეს მოგვსპობს მისი მქისე, მსახვრალი ხელი!

თამარი:

ჯერ გამარკვეე, რა ცოდვა გაქვს ესოდენ მძიმე?

გვანცა:

გვიმძიმს და მაინც უნდა ვითხრათ, დიღო მეფეო,

რომ ერთი ისრით განიგმირა ორივეს გული!

რუსთაველი:

ო, ეს ისარი, უმოწყალო!

ვის გულსაც იგი განეწონა — ბედნიერია,

თუნდაც არაფრის მქონე იყოს ამ ქვეყანაზე!

გთხოვთ, ნუ დაუშლით, დედოფალო, დე, გაიხარონ!

თამარი:

სად არის თვითონ ერისთავი, ბატონი გუზან!

შიაზარი:

აგერ, იქ ბორგავს, ისე, როგორც დაჭრილი ლომი!

თამარი:

გაუღეთ კარი, შემობრძანდნენ დიდებულები!

შიაზარი:

გააღეთ კარი, შემობრძანდნენ დიდებულები!

(ხმა უფრო შორიდან)

გააღეთ კარი, შემობრძანდნენ დიდებულები!

(შემოდინ გუზანი, ვარდანი და ბოცო).

გუზანი:

დიღო მეფეო! გთხოვ, შემინდო ეს თავხედობა,

ვაგიკრთე ძილი, უდროო დროს შემოვიჭერი,  
მაგრამ რა მექნა, გაძარცული აქ მოველ, შენთან,  
რომ იქნებ ჩემს ჭირს მოუნახო საშველი რამე!

თამარი:

თქვი, ერისთავო, შენს უთვალავ განძეულობას  
განა ისეთი რა დააკლეს?

გუზანი:

რა არის განძი, დედოფალო, ოქრო და ვერცხლი!  
ამ მოყმემ დიდად შეურაცხყო და რომ შემეპყრო,  
ჩემი ამალით გამოვუდექ...

მაგრამ ამაოდ, შეაფარა თავი სასახლეს.

ახლა ამას გთხოვ, შეიწყნარო ჩემი ვედრება  
და ეს ვერაგი უკეთური განზრახვისათვის  
ისე დასაჯო, როგორც თავხედს შეეფერება!

თამარი:

აბა, ჭაბუკო, შენ რას იტყვი, წინ წამოდექი!

რაბი:

დიდო მეფეო, არ დავიწყებ თავის მართლებას,  
არც სათქმელი მაქვს არაფერი, არც სათხოვარი,  
მხოლოდ იმას კი გეაჯებით, რომ დაიფაროთ  
ულმობელ მამის რისხვისაგან ასული მისი!

რუსთაველი:

შენ ის რატი ხარ, შარშან ზაფხულს მტრებთან ბრძოლაში  
ქართველი კაცის მკლავის ძალა რომ ასახელე?

რაბი:

არა ვარ ღირსი ხსენებისა, დიდო მგოსანო!

თამარი:

როგორც მაუწყეს, მაშინ გუზანს ცხენი მოუკლეს,  
მტრისგან ჩაჩიხულს, გარშემორტყმულს ეს მიეშველა  
და სიკვდილს მარჯვედ გამოსტაცა მფარველი თვისი.

გვანცა:

ღიახ, მეფეო, მართალია ეს ყოველივე!

გუზანი:

ო, უსირცხვილო! აქაც ბედავს ხმის ამოღებას!

გვანცა:

ძვირფასო მამავ!

გუზანი:

არ ახსენო ჩემი სახელი!

რაბი:

მაინც რას გვერჩი, რით შევლახეთ შენი დიდება?

გუზანი:

განა არ იცი, რა მიგიძღვის დანაშაული?  
ქალი მთხოვე და არ მოგეცი ან რად მოგცემდი,  
როდესაც მისთვის ჩვენი ქვეყნის ერისთავები  
ერთმანეთს ხმალში თავგანწირვით ეცილებოდნენ!  
შენ კი ვინა ხარ! ისევ ჩემგან აღწევებული,  
ერთი უბრალო აზნაური, არაფრის მქონე...

თამარი:

ეგ კი არ მომწონს, ერისთავო! არ გეკადრებათ!

გუზანი:

ეგ არ მომწონსო, რაზე ბრძანებთ, მეფეთ-მეფეო?

თამარი:

რომ არად გიჩანს შენ პირადი ღირსება კაცის!

გუზანი:

განა ღირსება გამოირიცხავს გვარიშვილობას?

ვით მზე დიადი აფრქვევს მიწას სხივსა და სითბოს,

გვარიშვილობა გვაგრძნობინებს მადლსა და სიტკბოს!

უგვარო კაცი ჭია არის, მწერი მცოცავი,

ფრთებდაგლეჯილი,

მონა სხვისი და საცოდავი!

ვარლანი:

მეც ასე ვფიქრობ, დედოფალო, ვით ხოხობს ბოლო,

ისევე დიდკაცს გვარი მისი ამშვენებს მხოლოდ.

ვინც დიდი არის თავის მოდგმით, დიდია თვითონ,

თორემ უსადაფ-უნიქაროდ ვის უნდა ხვითო!

რუსთაველი:

მე როგორც ვხედავ, ბრძენკაცებს აქ ამაზე აქვთ ცილობა,

ბატონი ყმასა ასაქმებს და ჭკუას გამოცდილობა...

ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა,

თუ კაცი კაცად არ ვარგა, რას არგებს გვარიშვილობა?!

თამარი:

კარგად მოგიგოთ, დიდებული პასუხი იყო!

გუზანი:

ნუ ათამამებ, დედოფალო, მაგით გვჭირს, რაც გვჭირს,

ტურტლიანები, გარეწრები დაგვასვა თავზე!

თამარი:

არ გეკადრება, ერისთავო! ნუ გავიწყდება

რომ იმყოფები საქართველოს მეფის წინაშე!

გუზანი:

ო, მომიტევეთ, დედოფალო!

თამარი:

ახლა კი მოდი და დალოცე ასული შენი!

გუზანი:

რატომ დამცინით, დედოფალო, აგრე უწყალოდ?

თამარი:

ღვთისმშობელს ვფიცავ, გულით ვამბობ,

გვანცა არ ცდება არჩევანში და როგორც მამა,

ვალდებული ხარ გაუწოდო მზრუნველი ხელი!

გუზანი:

არა, აღარ ვარ უკვე მამა, აღარ მყავს ქალი!

თამარი:

რაკი აგრეა, რაღას ვიზამთ, გუზან-ბატონო!

გვანცა დარჩება სასახლეში ჩემს პირად მხლებლად,

ხოლო რატისთვის, ამ უშიშარ რაინდისათვის —

სასახლის დაცვის უფროსობა მიბოძებია!





გუზანის სასახლე. სცენის სიღრმეში კედელზე მოჩანს ფრესკა, რომელზეც გამოსახულია ბიბლიური სურათი. გუზან ერისთავი, ბოცო და ვარდანი ღვინოს შეეჭყევიან. ისმის ღვინოს

გუზანი:

ხომ კარგი იყო, მეგობრებო?

ბოცო:

ნამდვილად კარგი, ჩემო გუზან!

ვარდანი:

ლხინი, კამათი, ღროსტარება!

გუზანი:

ჯერ საღ ხარ! ჰეი, ბერიკა! (შემოდის ბერიკა).

ბერიკა:

აქ ვარ, ბატონო!

გუზანი:

შემოიტანე ტახის თავი! (ბერიკა გადის). ნადირობის ღმერთს ვფიცავ, გუშინ ნამდვილად გამიმართლა, ჩემო ვარდან! როგორც კი ლელიანში თვალი მოვკარი გარეულ ტახს — პირველივე ისრიით დავაგორე!

ბოცო:

აღბათ, ნადირობაში იქარვებ გულის დარდებს!

გუზანი:

მართალი ხარ, ბოცო. ნადირობა დარდის უებარი წამალია, მაგრამ სულ კი ვერ ჰკურნავს გულის წყლულსა. აბა, წარმოიდგინე, ერთადერთი ასული გყავდეს და ისიც მოგტაცოს უბრალო აზნაურმა!

ვარდანი:

ცუდია, მაგრამ რატიც როდია დასაწუნი ვაჟკაცი!

ბოცო:

კი, კი, ნამდვილი რაინდია!

გუზანი:

ახლაც შერიგებასა მთხოვენ... სასახლიდან ჩემი დისწული მაია და სასახლის მასხარა გუჯა მომიგზავნეს!

ბოცო:

მერე?

ვარდანი:

უარი შეუთვალე?

(ამ დროს გუჯას და ბერიკას შემოაქვთ ტახის თავი).

ვარდანი:

ყოჩაღ, ერისთავთ-ერისთავო!

ბოცო:

ბარაქალა! ნამდვილი ვეშაპია!

გუზანი:

მივედი ახლოს, წამოვარდა, შემომიტია!

ვარდანი:

უყურეთ ერთი!

გუზანი:

მაგრამ ბეჭის ქვეშ დავაძგერე უცებ მახვილი და იქვე გაიშხლართა!

ბოცო:

ღმერთმა გიკურთხოს ეგ მარჯვენა!

გუზანი:

აბა, გუჯა, კრიჭა რამ შეგიკრა, ამ ტახის თავს ზმა არ უნდა?

გუჯა:

როგორ არ უნდა, ბატონო!

ზოცო:

აბა, რას უყურებ?

გუჯა:

მომწონს ამ ტახის დიდი ეშვები,  
მაგის მკვლელს ახლა არ მოვეშვები!

ვარლანი:

აბა, ჰე, აბა, ჰე!

გუჯა:

ეს ღორის თავი უთუოდ ბედნიერია, ბატონებო! დიდ ერისთავთან მიიტანა თავისი თავი, რომელიც ახლა ამ სუფრის თავიც ბრძანდება, და რაკი ამჟამად ეს სამი თავი ერთად შემოკრბა: ერისთავთ-ერისთავი, სუფრის თავი და ღორის თავი, დიდ ბედნიერებას უნდა მოველოდეთ განგებისაგან!

გუჯანი:

შენ ავაშენა ღმერთმა! კარგა კი გამაცინე, მაგრამ ეს მაინც ვერ გამოიგია: რატომ არის, შენს ყოველ სიტყვაზე ხალხი რომ ასე გულიანად ხარხარებს?

გუჯა:

ასეა, ბატონო, ერისთავები ხალხს ატირებთ და მასხარამ ხანდახან თუ არ გააცინა, — ეს წუთისოფელი არაფრად ეღირება!

გუჯანი:

აგერ, ჩვენი კათალიკოსიც! როგორც ჩანს, დედოფალთან თათბირი დაუთავრებია და აქეთ მოდის...

გუჯა:

რალაც ვერა ჩანს გუნებაზე!

გუჯანი:

მომყვეით, მის მაღალ კურთხევას თაყვანისცემით მივეგებოთ!  
(კათალიკოსისაყენ გაეშურებთან).

ბერიკა:

ყოჩად, გუჯა! დღეს ერისთავებს სასტიკად შეუტეი!

გუჯა:

როგორც ეკადრებათ არამზადებს!

ბერიკა:

ნეტავი შენ: რაც გულში გაქვს, ყველაფერს ლაპარაკობ, დიდ საქმესაც აკეთებ და ლუკმასაც შოულობ!

გუჯა:

ღმერთი დასწყევლის ჩემს გაჩენას... გულში ათასი დარდი ვიდულს და მაინც სხვების გასართობად უნდა იღრიჯო წარამარა!

ბერიკა:

ასეა, ზოგი ბატონად იბადება და ზოგიც ბატონის მაიმუნად! მაგრამ ერთი რამ ვერ გავიგე: ნუთუ გუჯანი შეურვიდა გვანცას მოტაცებას?

გუჯა:

როცა ნადირი გულმოსული განაბულია,  
ეს იმას ნიშნავს — ემზადება თავდასხმისათვის...  
ღრო დაუდგება და ვერავი უყვლებს საღმე!

ბერიკა:

მერე, ცოდვა არ არის რატი სურამელი?

გუჯა:

ასეა, ჯერ თავზე რისხვას დაგატეხენ და მერე ეძიე სამართალი!

ბერიკა:

მღვდელმთავარს რალა უნდა? რისთვის მოგვაციოთხა?

გუჯა:

რალა მე გითხრა, ცქვიტე ყურები და თვითონ გაიგებ, რაც აქა ხდება!  
(სამღვდლო პირებისა და ერისთავების თანხლებით მიქაელი ქვევით ჩამოდის.)

მიქაელი:

შეუძლებელია, დიდებულნო, მეტის მოთმენა შეუძლებელია!

გუჯანი:

რაო, რა მოხდა, მეუფეო?

მიქაელი:

თქვენ აქ ნებიერობთ, ღვინოსაც შეეჭცევით და ის კი არ უწყით, თუ რა მოხდა იქ, დედოფალთან!

ყველანი:

მაინც რა უნდა მომხდარიყო?!

მიქაელი:

ტახტა და წმინდა ეკლესიას სასტიკი მტერი გაუჩნდა, დიდებულნო!

გუჯანი:

მტერი?

გოცო:

რა მტერი!

ვარლანი:

ვინ გაბედა?

მიქაელი:

მე და რუსთაველი ერთმანეთს ისე შევეჯახეთ, რომ აწ ჩვენი შერიგება აღარ მოხდება!

გუჯანი:

დიდება შენს სახელს, ზეციერო!

გოცო:

მაინც რატომ წაიჩხუბენით, მეუფეო?

მიქაელი:

ის ამტკიცებდა, ჩვენს ერს საეკლესიო კი არა, სამეფო დროშა უნდა უძლოდესო... ეს აზრი დედოფალმაც გაიზიარა.

გუჯანი:

აი, ხომ ხედავთ, მეუფეო! ეგ ურჯუკი მარტო ეკლესიას კი არა, ჩვენც, დიდ გვარიშვილებსაც გადმოგვწვდა; ყველას დაგვცინის, არავინ თვალში არ ვუჩინვართ!

ვარლანი:

ახლა დედოფალს არ იკითხავთ? რჩევა სჭირდება — შოთას ეძახის, უცხოეთ-შიაც, თუ რაზე საქმე გამოჩნდება — შოთას აგზავნის. სულ რუსთაველი, რუსთაველი, თითქოს სხვები არც ვარსებობდეთ!

მიქაელი:

ვიცი, დიდებულნო, თვით სიკვდილით დასჯის კანონიც მისი შთაგონებით აიკრძალა! მგოსანმა თქვა და დედოფალმაც დაადასტურა.

გოცო:

მერე, ვინ არის ეგ არამკითხე მეჭურჭლეთ-უხუცესი?

ვარლანი:

არამკითხე მოამბეო, მიბერტყე და მიაგდეო!

გუჯანი:

ჰოდა, როცა იქნება, ჩვენც ისე მივებერტყავთ მაგ ქარაოცს, რომ ძვალი რბილსავით გადაექცეს!

მიქაელი:

სანამ გონება მისი მართავს სამეფო საქმეს, ჩვენი საშველი არ არსებობს...  
თავიდან უნდა მოვიშოროთ!

ზოცო:

მერე როგორ, მეუფეო?

მიქაელი:

ერთმანეთს ორი რაყიფი უნდა შეეჯახოთ!

პარლანი:

ვხედავ, აქ რაღაც ახალი ბადე იქსელება!

მიქაელი:

რუსთაველს უყვარს დედოფალი... სოსლანიც ეტრფის ჩვენს პირიმზეს... და  
თუ ჩვენ ყველა სოსლანის მხარეზე აღმოვჩნდებით, რაღა თქმა უნდა — რუსთა-  
ველი განწირულია!

პარლანი:

არა!

ზოცო:

არ მომწონს!

პარლანი:

ამ გზით სოსლანი გამეფდება!

მიქაელი:

მაშ რა გინდათ? განა არა ჯობს ავირჩიოთ უფრო ნაკლები ბოროტება?

პარლანი:

მერე? ისურვებ, მეუფეო, რომ ჩვენი წრისა,  
თითქმის ჩვენივე ხარისხის და წოდების პირი  
ყველას ბატონად მოგვევლინოს?

რით გვჯობს სოსლანი ან მე, ან თუნდაც იმათ,  
რომლებიც ახლა მის ამაღლას შეჰკედლებიან!

ვფიცავ, არაფრით! და ამიტომ ვამბობ, რომ ჩვენთვის  
უცხოს მოყვანა გაცილებით სასარგებლოა,  
ვიდრე სოსლანი გულუბრყვილოდ დავისვათ თავზე!

ზოცო:

სწორი აზრია!

პარლანი:

მარგალიტი გცვივა პირიდან, ერისთავთ-ერისთავო!  
(მიქაელს ყოველი მხრიდან შემოესევია).

პარლანი:

რატომ ყოყმანობ, მეუფეო?

ზოცო:

რის გეშინია!

პარლანი:

როცა გებრძოდნენ — ჩვენ რომ მხარი არ დაგვეჭირა,  
ვინ იცის, ახლა შენს ადგილზე ვინ იქნებოდა!

მიქაელი:

ღვთის მადლით მაინც მტკიცედა ვარ, ვერ წამახდინეს!

პარლანი:

ვერ წავახდინეს, მართალია, მაგრამ იმიტომ,  
რომ შენი მომხრე მტკიცე ნების ერისკაცები  
წინ აღვუდექით იმათ სურვილს!



ბოცო:

აი ხომ ხედავთ, რა ძალა აქვს ერთობლივ ბრძოლას!

ხელი ხელსა ჰბანს, ორივე კი პირს, მეუფეო!

გუზანი:

წისკვილის ქვეები რომ ერთმანეთს არა შევლოდნენ,

ცალმა რაც უნდა იტრიალოს, ვერაფერს დაფქვავს!

ამიტომ ვამბობ, საჭიროა შევკრათ კავშირი

და ყველამ ერთად ვიმოქმედოთ!

მიქაელი:

აგრე რომ ბრძანებთ,

თვითონ თქვენ შორის თუ არსებობს სრული თანხმობა?

გუზანი:

რას ბრძანებთ!

ბოცო:

როგორ არ არსებობს!

მარლანი:

რეალის ჯაჭვივით შეკრულნი ვართ!

მიქაელი:

მაშ, აჯანყებისთვის ემზადებით?

გუზანი:

ეს არის ახლა ერთადერთი ჩვენი მიზანი!

მარლანი:

ან გავწყდებით, ან ჩვენს განზრახვას შევასრულებთ!

მიქაელი:

ვცადოთ, ღმერთთა ყველაფრის გამგებელი!

გუზანი:

მაშ, ღმერთმა განამტკიცოს ჩვენი კავშირი.

მიქაელი:

ოი, შენ, სასწაულმოქმედო სახეო მაცხოვრისა! თუ აქ დამსწრეთა შორის რომელიმე ჩვენგანმა ამ შეთანხმებას თავი აარიდოს, არ ააცილო შენი რისხვა და გულისწყრომა!

ყველანი:

ა მ ი ნ!

მიქაელი:

(ერთ-ერთ სანთელს ხელს წამოაოლებს და ჩააქრობს).

ასე ჩააქრე იმისი სული!

ყველანი:

ა მ ი ნ!

## სურათი მისამე

სასახლის ქვემო პალატა. შემოდის მაია, ფარდას გადასწევს. გამოჩნდება მაცხოვრის ხატო. ღვი პირჯვარს გადაიწერს და ხატის წინ დაიჩოქებს.

მაია:

შენ შემეწიე, მაცხოვარო! ნურც სვებედნიერებას დამიშლი და ნურც მწუხარებაში მყოფს მიმატოვებ! მეოხად მეყავ, გევედრები, მხევალი შენი! (წამოღება, ხატს ეამბორება, მაგრამ ვარდანს რომ შენიშნავს, შეკრთება). შენ აქ რა გინდა?

მარლანი:

შენი ნახვის სურვილმა მომიყვანა!

მანია:

ახლა დედოფლის ლოცვის დროა!

პარლანი:

ჩემო ღვთაებავ!

მანია:

წადი, ვიდრე პირიმზე მოგისწრებდეს!

(წასვლას დააპირებს).

პარლანი:

რატომ გამირბი, გთხოვ, შეჩერდი თუნდ ერთი წამით!

მანია:

არა მცალია, გზა მომეცი!

პარლანი:

რამდენი ლექსი მომიძღვნია შენდა საქებრად

და მაინც სხვისკენ მიგიწევს გული...

ნუთუ არ ღირსეარ გავხდე შენი თანაზიარი?

მანია:

რა ვქნა, რაინდო, ეს გული უკვე სხვას ეკუთვნის!

პარლანი:

მაგრამ რუსთაველს ხომ სხვა უყვარს? ის თავის დღეში არ იქნება მიჯნური შენი!

მანია:

კმარა, გეყოფა, გულს ნუ მიმღვრევ! (მიდის).

პარლანი:

გაქრა, წავიდა, ვით ჩვენება მსუბუქფრთიანი!

(გამოჩნდება გუჯა).

გუჯა:

და შენ დაგტოვა დაჭრილი და გულსეცდიანი!

პარლანი:

იცი, შე ბრიყვო, რამდენი ხვეული აქვს კაცის გულსა? მე მაია მიყვარს, მას სხვა მგოსანი უკიდებს ცეცხლს, იმ მგოსანს კიდევ სხვა ჰყავს გულის დამწყულლებელი და ასე მიდის ეს ცხოვრება ოხერტიალი! მაგრამ არაფერია, ჩემს შევარდენს მალე მოვიყვან ჩემს ბუდეში! ახლა ცოტა ნასვამი ვარ და ვაპატიე... იცი, რამდენი დავლიე ამ საღამოს?

გუჯა:

შენ ხომ ნამდვილი ღვინის ჭურჭელი ხარ!

პარლანი:

ღვინის ჭურჭელიო?

გუჯა:

ღვინის ჭურჭელსა მხოლოდ ღვინო შეეფერება,

ულირს კაცს ზნედ სჭირს — უსათუოდ გაიბერება,

დასვრილი შუბლი ხეხვითაც არ გაიფერება,

ნამუსის ქუდი თუკი გაცვდა — არ იკერება,

სატრფო ჭავრს იყრის, თუ მიჯნური არ ეფერება,

ვაი შენს ჭკუას, თავო ჩემო, რა გემღვრება, —

როცა გამგონე ბრძნული სიტყვის არავინ არის!

პარლანი:

ბიჭოს, ეს რა კაი ლექსი ჩამიბულბულე!

გუჯა:

თუ ასე მოგწონს, რატომ შენ თვითონ არ თხზავ ლექს-შაირებს?

პარლანი:

რუსთაველივით რომ მიყვარდეს ჯდომა და შრომა, იცი რას დავწერდი?!

გუჯა:

აგრე ხომ ყველა ცხენი თოხარკი იქნებოდა, თავის ქიცინი რომ არ ეჭინოდა  
ბოდეს!

მარღანი:

მე შენ გიჩვენებ თავის ქიცინს... დაიცა, სად გარბიხარ!

(დაიპერს და ანჯღრევს, მაგრამ გუჯა მაინც ვაქექევია. შემოდის გუჯანი).

გუჯანი:

რა ამბავში ხარ! საქმე ძლივს ფეხზე დავაყენე და ეს ყველაფერი გინდა  
ბზესავით ამირიო?

მარღანი:

ჩემო გუჯან, ჩემო კეთილო მეგობარო!

გუჯანი:

კარგი, დამშვიდდი!

მარღანი:

როგორ დავმშვიდდე, როცა შენი დისწული ახლოსაც არ მიკარებს!

გუჯანი:

შენ ფიქრი ნუ გაქვს. თუ კაცი ვყოფილვარ, შენს გულის ტკივილს მე თვი-  
თონ მოვარჩენ! (მაია გამოჩნდება). აგერ, ისიც! წადი, მე მოველაპარაკები (ვარდანი  
გადის).

მაია:

ო, ეს შენა ხარ, ბიძაჩემო?

გუჯანი:

ეს კი მე ვარ, მაგრამ შენ თვითონ ვინ ბრძანდები, სულ ველარა გცნობ ამ  
ბოლო დროს, ჩემო ცუგრუმელა!

მაია:

როგორ თუ ვერ მცნობ?

გუჯანი:

რა მოხდა, ვარდანს რად გაურბი?

მაია:

მისი სახელი არ ახსენო!

გუჯანი:

როგორ თუ არ ვახსენო! მაინც რა ნახე რუსთაველში? ერთი თავზე ხელ-  
აღებული მოყმეა... მტერიც ბევრი ჰყავს!

მაია:

მტერი ვის არ ჰყავს! თუ ვინმე ვარგა, უმაღლ მოშურნეც გაუჩნდება!

გუჯანი:

უყურეთ ერთი! ჯერ ჩემი გვანცა დამიჩაგრეს —

ახლა კი დისწულს მიბრიყვებენ!

მაია:

არა ღირს, შევწყვიტოთ ამაზე ლაპარაკი!

გუჯანი:

ფუჰ! უმაღურისათვის გინდ კეთილი რჩევა მიგიცია, გინდ ზღვაში წყალი  
ჩაგისხამს — სულ ერთი ყოფილა! (შენიშნავს მომავალ რუსთაველს). აგერ, ისიც!  
(გუჯანი გადის).

მაია:

ღმერთო, რა ბედნიერი შემთხვევაა!

რუსთაველი:

ეს, ჩემო რატი, რაკი ჩვენი პირიმზის სურვილია, იყალთოს გამიგზავნე, ევ  
კიდევ გელათს... დანარჩენები ჩემთან იყოს...

რატი:

კი, ბატონო. ახლავ გაფრინდებიან მალემსრბოლნი!  
(რუსთაველი გადის).

მანია:

რატი, სადა ხარ, ველარ გხედავ, სად დაიკარგე?

რატი:

კოლხეთში ვიყავ დედოფლის დავალებით... დილით დავბრუნდი!

მანია:

შეგაგვიანდა... დიდად ლელავდა, წუხდა გვანცა!

რატი:

ამას გავგზავნი, შემდეგ კი გვანცას ვინახულვ!

მანია:

მაშ, ფასკუნჯებთან გელოდებით! (რატი გადის, შემოვა გვანცა).

გვანცა:

ჩემო მამა!

მანია:

რატი დაბრუნდა კოლხეთიდან!

გვანცა:

ღმერთო! გული როგორ ძვერს სიხარულით... თუმცა რას ვამბობ, ღამე არ  
მძინავს მოსვენებით... ცუდ სიზმრებს ვხედავ!

მანია:

მანც რა სიზმრებს?

გვანცა:

წუხელ მამას შეემა იგი.

ხმლები იწიშვლეს და რისხვით ერთმანეთს შეუტყეს.

ხმლების ჯახანი, ნაპერწკლების კორიანტელი...

მამა უტევდა, თავს იცავდა თითქოსდა რატი.

უეცრად მამას გადაუტყდა ხმალი ვადაში!

რატი შედგა და გაუწოდა უმალ მახვილი.

გახელდა მამა, გამოსტაცა ხელიდან ხმალი,

გამწარებულმა მუხლზე დარტყმით გადაამტვრია,

დაჰყარა იქვე და გაშორდა მყის შერცხვენილი!

მანია:

ეს კარგია. მათ შორის სისხლისღვრა არ მოხდება! აგერ, რატიც!

რატი:

ჩემო სიცოცხლე, სიხარულო!

გვანცა:

ო, ჩემო რატი! (მიეყრდნობა). დავიტანჯე, მეტი არ ძალმიძს!

რატი:

რა იყო?

მანია:

არაფერია. წუხელ თურმე სიზმარი ნახა.

თვითონ ვიამბობს. წადით, რას დგახართ,

ბალისაკენ გაისეირნეთ! (რატი და გვანცა მიდიან).

ბედნიერები! (შემოდის რუსთაველი).

რუსთაველი:

მამა! ჩემო ძვირფასო მეგობარო!

მანია:

აქ თუ გნახავდი, არ მეგონა!

რუსთაველი:

დიდად მამა შენი ნახვა!



მანია:

რაკი აქ შეგხვდები, მინდა ერთი ამბავი გაგიმხილო!

რუსთაველი:

მანია, რა ამბავი?

მანია:

ბიძაჩემს, გუზანს...

რუსთაველი:

მოვერიდო?

მანია:

როგორ მიმიხვდები?

რუსთაველი:

მხრიდან საშიშია!  
ძალია წინიდან არის საფრთხილო, ჯორი უკნიდან, ავი კაცი კი ყოველი

მანია:

თუ არ მიწყენ, ეს მცირე ძღვენი მსურს გადმოგცე!

რუსთაველი:

რად წუხდებოდი!

მანია:

უბრალო ქისაა.

რუსთაველი:

აი ამას კი შევინახავ თვალისჩინივით!

მანია:

მე თვით მოვექსოვე, მორთმევას კი ვერა ვბედავდი!

რუსთაველი:

ო, დიდად მომწონს... იშვიათი ნახელავია!

მანია:

ჩვენმა პირიშემ ბრძანა, ამ საჩუქრით დიდად გაახარებო!

რუსთაველი:

მართალი უთქვამს, თვითონ ახლა როგორ ბრძანდება?

მანია:

როგორ იქნება! დღენიადაგ მწუხარედ არის...

ავერ, თვითონაც, სალოცავად აქ მობრძანდება!

(მთაი ვადის. შემოდის თამარი. მას ორი სფფე-ქალი მოაცილებს, სამლოცვე-  
ლოს ფარდას გადასწევენ და ისევ უკან დაბრუნდებიან. რუსთაველი გარინდებუ-  
ლი დგას და როცა თამარი ღვთისმშობლის ხატის წინაშე დაიჩოქებს, ჩურჩული  
აღმოხდება.)

რუსთაველი:

ღმერთო! რა ცეცხლი, რა სახმილი, რა წამებაა —

შენს წინ ღვთაებრივ ქანდაკებას ხედავდე ცოცხალს,

დამაბრმავებელ, მაცთუნებელ სილამაზისას

და ახლოს მისვლა არ შეგეძლოს!

ოი, აღასფერ!

მე შენს ღრმა ტანჯვას ნათლად ვხედავ, ახლა გავიგე,

რომ მიჯნურობა იყო შენი ძრწოლის მიზეზი!

თამარი:

ეს რა ხმა იყო!

რუსთაველი:

მე ვარ, მზის დარო დედოფალი!

შენს წმინდა ლოცვას შორიდან ყურს ვუგდებდი...

გთხოვ მაპატიო, ამ სითამამეს ნუ ჩამითვლი კადნიერებად!

თამარი:

მოდი, მგოსანო, შენც ილოცე...

ლოცვის შემდეგ თავისუფალია ჩვენი ფიქრი!

რუსთაველი:

მაგრამ ლოცვაშიც ვერ იპოვის კაცი დიდ ნუგეშს,

თუ საფუძველი იმედისა დანგრეულია!

თამარი:

ეს ქარაგმები ვერ გავიგე!

რუსთაველი:

ერთ ღროს გესმოდა, დედოფალო!

თამარი:

დიდად მწყინს, სევდას რომ დანებდი,

დადიხარ თურმე მჭმუნვარე და ჩაფიქრებული.

რუსთაველი:

სამაგიეროდ ჩემს სიყვარულს ღამეებს ვუთევ,

ვუთევ მანამდე, ვიდრე ეს გული ფეთქავს მკერდში!

თამარი:

მაგრამ სიყვარულს ურჩევნია, როცა მიჯნური

ვაქცაყურ საქმეს მოიმოქმედებს...

შენ შენი თავი არ გეკუთვნის, ერის შვილი ხარ!

რუსთაველი:

და ამისათვის უნდა ვზიდო წამების ჯვარი?

თამარი:

ვისლა ემღერი?

რუსთაველი:

მწუხარებას ნებისმიერად ინაწილებენ ადამიანები ერთმანეთში, მაგრამ რო-  
ვორც ჩანს — ბედნიერება არავის ემეტება გასაყოფად!

თამარი:

ბარემ თქვი, ვის რა დავაკელი? რაც შემეძლო, ყველაფერს ვასრულებდი.

შენს შთავონებულ ფიქრებს და ზრახვებს ყურს ვუგდებდი, მაგრამ ყველაფერი

მე არ შემეძლო!

რუსთაველი:

ნახევარი სიკეთე სიკეთე როდია!

თამარი:

მერედა ვართ კი პირად გრძნობებში ბედნიერი?

უნდა ვიწამოთ ის, რაც საუკუნეებით არის დადგენილი!

რუსთაველი:

წყეულმაც იყოს წუთისოფლის ასეთი მსჯავრი!

თამარი:

ღმერთმა ხომ იცის, არ არის ჩემი ბრალი: თვითონ განგებამ არ ინება!

რუსთაველი:

გიცი, საწუთრომ ჩემთვის მოიცალა!

(გარედან მოისმის ხმაური და ჩოჩქოლი, შემოდის კიაბერი).

თამარი:

საიდან მოდის ეს ხმაური?

ჰიაბერი:

კვლავ განმეორდა, დედოფალო, ცუდი ამბავი!

თამარი:

მაინც, რა მოხდა?

ჰიაბერი:

გუზანი ლამობდა შემოჭრას სასახლეში,

მას გუშაგები წინ აღუდგენ,  
მაგრამ თვითნება ერისთავი მაინც არ დაცხრა  
და ერთი მათგანი დაჭრა მძიმედ!

თამარი:

ხედავ, რა ხდება, მგოსანო, სასახლეში?!

რუსთაველი:

სამწუხაროა, დედოფალო!

თამარი:

უკვე ცნობები მომივიდა: შეთქმულებს, თურმე, სწორედ გუზანი მეთაურობს!

რუსთაველი:

სხვა ვინ იქნება... დღემდეც ის იყო მათი წინამძღოლი!

ჰიაზარი:

თქვენს პასუხს ველი, დედოფალო, როგორ მოვიქცე?

თამარი:

წადი, მოუხმე დიდებულებს საკრებულოში,

კათალიკოსიც იქ მეწვიოს, რათა დროულად  
აღვევითოთ გუზან ერისთავის ეს ძალადობა!

ჰიაზარი:

მძიმე დავალებაა, დედოფალო! გუზანის დასი ამჟამად ისე ძლიერია — ეს  
რომ გაიგოს, დიდი შეხლა-შემოხლა დაიწყება!

თამარი:

დაიწყოს!

ჰიაზარი:

თქვენი ნებაა, დედოფალო! (ჰიაზარი გადის).

თამარი:

შენ კი ამას გთხოვ: სასწრაფოდ იხმო სასახლეში რჩეული რაზმი და ბრძო-  
ლისათვის მზად იყავით!

რუსთაველი:

ყველაფერს ვიღონებ, დედოფალო,

შენთვის გავწყდებით და შენზე მტერს არ გავახარებთ!

(ჩაბნელება. მცირე ხნის შემდეგ სცენაზე გამოჩნდება გუზანი).

გუზანი:

მორჩა! უკან დახევა არ ეგების... კაცი რომ დავეკერ, იმაზეც დიდი ხმაუ-  
რია... მაგრამ გუზანი რის გუზანია, თუ მას დიაცი მეფე შეაშინებს! (გუჯას შე-  
ნიშნავს) შენა ხარ, გუჯა?

გუჯა:

მე ვარ, ბატონო!

გუზანი:

მერე, ასე რას მომშტერებიხარ! რა გინდა, რას ეძებ ამ ჩემს სახეზე?

გუჯა:

შენს მეორე პირს, ბატონო!

გუზანი:

მეორესაო?! განა მე მეორეც გამაჩნია?

გუჯა:

რა ვიცი, ყველა ასე გაიძახის: გუზანი ორპირიაო, მე კი გიყურებ და ერთი-  
პირის მეტს ვერა ვხედავ შენს სახეზე!

გუზანი:

ხედავთ, რეგვენი რას მიბედავს! ახლავ აქედან მოუსვვი, თორემ ამ საღამოს  
ტარტაროზთან იქნები ვახშმად!

(გუჯა თვალს მიეფარება. სცენაზე შემოიჭრებიან ვარდანი და ბოცი).

ზოცო:

გუზან ბატონო, დავიღუპეთ!

პარლანი:

კათალიკოსმა ზურგი შეგვაქცია!

გუზანი:

მაშ მართალია?

ზოცო:

გაგვეყიდა, სოსლანის დასში გადაბარგდა!

გუზანი:

მერე, ეს როგორ, ასე უცებ ნუთუ ფიცი გატეხა მღვდელმთავარმა?

პარლანი:

ფიცი რის მაქნისია, ერისთავო! იმის შიშით, რომ რუსთაველი არ გამხდარიყო მეფის თანამეცხედრე, ისევ სოსლანის მხარის დაჭერა ამჯობინა!

გუზანი:

აგრეა! ჰყურნავდნენ ბაბილონს და არ იყო განკურნება მისი!

პარლანი:

რა გზას დავადგეთ, ერისთავო?

ზოცო:

ნუთუ ყოყმანი შეიძლება?

გუზანი:

წამოლდი ჩემთან, მყის შევეკრიბოთ ჩვენი ერთგულნი და სამოქმედოდ განვემზადოთ!

ზოცო:

დაიცავთ, კიდევ მაქვს ერთი საქმე!

პარლანი:

რა საქმე?

ზოცო:

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი შეთქმულება გაიმარჯვებს — რუსთაველის თანამდებობა, მეჭურჭლეთუხუცესობა, მე უნდა მომენიჭოს!

გუზანი:

რას ამბობ, ბოცო! ისე არ გამოვიდეს, დათვი არ ჰყავდათ მოკლული და მის ტყავს იყოფდნენო!

პარლანი:

მერედა, სად არის ეს მეჭურჭლეთუხუცესობა? რუსთაველი ჯერ კიდევ ცოცხალია... ეგ ჩვენი თათბირი მხოლოდ შორეული ვარაუდია!

ზოცო:

მე იმ შორეულ ვარაუდზეც მინდა მქონდეს ნათელი წარმოდგენა!

გუზანი:

კარგი, თანახმა ვარ... ოღონდ შენ ახლა დამეხმარე!

ზოცო:

რაკი თანახმა ხარ, მეც მზადა ვარ... წაღი და მოგყვები, ერისთავო!

(შეთქმულები გადიან. ფეხაკრეფით შემოდიან გუჯა და ბერიკა).

გუჯა:

ხედავ, ბერიკა, რა მზადებაში არიან დიდებულნი?!

ბერიკა:

როგორ არ ვხედავ! ყორნები საშინლად ყრანტალებენ, მაგრამ, ღმერთი რის ღმერთია, თუ მართალ მხარეს სიკეთეს არ მიაგებს!

გუჯა:

ეჰ, შენც ერთი! ღმერთს ჩვენისთანა ხალხისათვის სად სცალია!

ბერიკა:

აბა რისთვის არსებობს ის დალოცვილი?



გუჯა:

მხოლოდ იმისთვის, ისევ ძლიერსა და მოქმედ კაცს მოუშარათოს ხელი!

ბარნაბა:

იპ, იპ!

გუჯა:

წუთისოფელი მუდამ ასეა,  
იცის ზაფრა და იცის იარაც,  
ვინც წმინდა გულით ქვეყნად მოვიდა,  
ჩვენსავით ასე ფუჭად იარა...  
ბრძოლაში არის სიცოცხლე ჩვენი,  
ჯღომაში ბევრი არა ყრია რა!

(შემოდის რუსთაველი).

რუსთაველი:

თქვენ აქ რას აკეთებთ?

გუჯა:

აგერ, გუჯანს ვუთვალთვალვებდით!

რუსთაველი:

მერე, იმისთანა უპატიოსნო კაცთან რას დაიარებით წარამარა!

გუჯა:

რა ვქნა, მგოსანო, მარტო პატიოსნებთან თუ ვიარე, — მაშინ ვერავისთან  
მივსულვარ ჩემს სიცოცხლეში!

რუსთაველი:

კარგია. შენი ხუმრობა მომეწონა! მაგრამ საქმე სახუმაროდ აღარა გვაქვს!

გუჯა:

სწორედ აგრეა! დიდებულები აჯანყებას აპირებენ გუჯანის თაოსნობით!

რუსთაველი:

ეგ ვიცი!

გუჯა:

მაინც რა გახდა ეს გუჯანი! ვითომ იგი ყველაზე ბრძენია შეთქმულთა შო-  
რის?

რუსთაველი:

რა გიკვირს! თხა თავის დღეში არ ჯობია ღირსებით ცხვარსა, მაგრამ მეტ-  
ეშმაკია და ამიტომაც წინ უძღვის ცხვრის ფარას!

(შემოდინან: სოსლანი და ზაქარია).

სოსლანი:

მოხდა რაიმე?

ზაქარია:

რისთვისღა გვიხმე?

რუსთაველი:

ჩვენს წინააღმდეგ შეთქმულან დიდებულნი!

ზაქარია:

როგორ?

რუსთაველი:

შავათ ჰგონიათ, რაკი ტახტზე ქალია მეფედ —

მძლავრობითა და დამუქრებით შეაშინებენ!

ზაქარია:

მუქარით ვერავინ შეგვაშინებს!

სოსლანი:

მოკვლავ გუჯანს, ვფიცავ პირიმზეს!

რუსთაველი:

რას ამბობ! ჭერ თვითონ ჩვენ უნდა შევემზადოთ!

ზაპარია:

კიდევ რაღა გვაქვს საყოყმანო?  
სადაც შენი სიტყვა ნიშანს მოგვცემს,  
იქ ჩვენი ხმალიც მზად იქნება!

რუსთაველი:

მაშ, მეგობრებო, ახლა ამ ხმალზე შემომფიცეთ,  
რომ ყველამ ერთი ნამუსით ვიმოქმედოთ!

ყველანი:

ეფიცავთ!

რუსთაველი:

ჩვენი პირიშის სახელი და დიდება განვამტყიცოთ!

ყველანი:

ეფიცავთ!

რუსთაველი:

ან გავწყდეთ, ან შეთქმულთ ზრახვები ჩავუშალოთ!

ყველანი:

ეფიცავთ!

რუსთაველი:

ახლა კი წადით, მეგობრებო!

(სოსლანი და ზაქარია გადიან. შემოვლენ შერგილი და რატი სურამელი).

რატი:

აი, მოვედიოთ... სასახლე ანთებულ საკირეს ჰვავს!

შერგილი:

ძლიერ გაჩაღდა ზვერვა და მისვლა-მოსვლა!

რატი:

როგორც ჩანს, შეთქმულნი აქედან იწყებენ შემოტევას!

რუსთაველი:

და სწორედ ამიტომ ერთი ჩვენგანი აქ უნდა დარჩეს!

შერგილი:

მერე, ეს გაბედული რაინდი ვინ იქნება?

რატი:

მე, შენ, სხვებიც!

შერგილი:

მეე? არა! აქ დგომა მეტად დიდი მსხვერპლი იქნება...

რატი:

რას ამბობ, შერგილ, არ გრცხვენია?

შერგილი:

ნუ მაქვზებ! ღორჯო კი არ ვარ, ყველაზე უწინ ანკესზე წამოვევო!

რუსთაველი:

დაეხსენ, რატი! მოწუწუნე ზვარჯკად არასდროს გამომდგარა!

რატი:

კი მაგრამ...

რუსთაველი:

რატომ ცხვარს სწირავენ მსხვერპლად ღმერთს და არა თხასა? იმიტომ რომ  
ის უბედური ჩუმად მიდის სამსხვერპლოზე და თხასავით პეტელს როდი იწყებს.  
წადით, აქ მე თვითონ დავრჩები!

რატი:

არა, მგოსანო, ნუ იქმ ამას!

რუსთაველი:

წადი-მეთქი! მეფემ გიბრძანა, შევარდნები აწვიო დროზე!

რატი:

უკვე მზადა მყავს. და როცა ნიშანს მიიღებენ, მყის ფრთებს გაშლიან!

რუსთაველი:

გაფრთხილებ, არავინ აჩქარდეს!

რახტი:

მესმის, მგოსანო!

(რახტი და შერგილი გადიან. გამოჩნდება გუზანი ლამპრით ხელში. იგი რუსთაველს ვერ ამჩნევს).

რუსთაველი:

ავერ, ის გველიც მოსისინებს, კუდზე შემდგარი!

გუზანი:

უკვე ღამდება. მკრთალად ბეჭუტავს ლამპარი ჩემი და ფიქრიც ჩემი, მღელვარებით დამძიმებული, განწმენდას ითხოვს... შემინდე, ღმერთო, თუ მცდარ გზაზე ვყავარ ეშმაკს დაყენებული და შენი მადლის გზას მიკარგავს!

მაინც რა მომდის, რა მათრთოლებს? ნუთუ შენობა, რომლის აგებას მე შევწირე მთელი ცხოვრება — ისე გაქრება, რომ ხილვასაც ვერ ვეღირსები?

უკვე სუყველას ვეზიზღები, თვით დედოფალსაც, მაგრამ გულს მაინც ჯერ არ ვიტეხ, რადგან მე ვიცი სანდო კაცები კიდევ მყვანან!

გუზანის დასი ჯერ ისე არ დაკნინებულია,

რომ რუსთაველმა თავის ნებაზე ატრიალოს!

რუსთაველი:

შენ საით, გუზან, დედოფალთან ხომ არ აპირებ?

გუზანი:

დედოფლის სახელი არ ახსენო!

რუსთაველი:

ამას რად ამბობ?

გუზანი:

იმიტომ, რომ ღმერთი არ ხედავს ჩემს სიმაართლეს! თუმცა შემოქმედს რას ვემდურე! თვით დედოფალი წყარო არის ჩემი ვარამის... შენც, მასთან ერთად!

რუსთაველი:

როგორ?!

გუზანი:

შენც, ისიც, სხვებიც! ასე მგონია,

იმ ქალზე ყველა უზომოდ ხართ შეყვარებული!

რუსთაველი:

მერე, შენ გინდა ეს დიდი გრძნობა მთელ ერს გულიდან ამოჰგლიჯო?

გუზანი:

ამასაც ნახავ! აწ ჩემი ხმალი მსაჯულია შენი სულისა!

რუსთაველი:

არ გეკადრება, ერისთავო!

გუზანი:

ხმალი, ჰო, ხმალი, თუ არ გინდა ლაჩრულად მოკვდე!

რუსთაველი:

როგორ, მახვილით მაშინებ, ერისთავო?

(გუზანი ხმალს იწიშვლებს და რუსთაველს მიაშურებს. მცირე ბრძოლის შემდეგ შოთა ხმალს გააგდებინებს ხელიდან).

გუზანი:

ახლა რას უცდი, მომკალ ბარემ!

რუსთაველი:

შენ უკვე მკვდარი ხარ, ერისთავო!

გუზანი:

როგორ თუ მკვდარი?!

რუსთაველი:

სადაც კარგი მოყმე თავს შეირცხვენს, მისი სიკვდილიც იქ არის!  
(გაღის).

გუზანი:

რა მემართება! ხმალიც ხელიდან მივარდება!

ო, შე წყეულო ბედისწერავ, რას მემართლები?!

(უცებ გაჩნდებიან ვარდანი და ბოცო).

ვარდანი:

არ შედრკე, გუზან!

ბოცო:

უკვე დროა! ხალხიც და ჯარიც ჩვენთან არის!

გუზანი:

აბა, გმირებო, შემოერთყით სასახლეს ირგვლივ,

ნულარ აყოვნებთ, მეფის ლაშქრის ნუ გეშინიათ...

დღეს ჩვენთან არის ღვთისმშობელი, ჯარიც და ხალხიც!

(ატყდება ხმაური და ყიჟინა. ბოლოს აჩანებულნიც შუბებითა და ხმლებით შემო-  
იჭრებიან სცენაზე).

ბოცო:

სად არის?

ვარდანი:

რად არ გამოდის?

გუზანი:

ნუთუ შეშინდა დედოფალი?

(პალატიდან გამოდიან: თამარი, სოსლანი, ჭიბერი, კათალიკოსი, დარბაზისერის  
მსახურნი და სეფე-ქალები. აჩანებულები დაინახავენ თუ არა მოთქენ მომავალ  
დედოფალს, უფრო უმატებენ ხმაურსა და ყიჟინას).

ხმები:

— არ გვინდა, არა, სად მოდიან!

— პასუხი აგოს დედოფალმა!

— ძირს ვაზირები! გუზან ერისთავს გაუმარჯოს!

(როცა დედოფალი წინა რიგებს მიუახლოვდება, ქალის გაბედულებით მონუსხუ-  
ლი შეამბოხენი შუბებს ნელ-ნელა ძირს ხრიან).

თამარი:

რატომ გაჩუმდით? ეგ შუბები რისთვის დახარეთ?

მე არ მაშინებს ეგ მახვილნი პირგაბასრულნი,

თუნდაც ისინი ირხეოდნენ გულის საგმირად

და თითოს ასჯერ მოკვდინება მოჰქონდეს ჩემთვის!

ვარდანი:

არ დაუჯეროთ, არ უსმინოთ!

ბოცო:

ძირს ვაზირები! გუზან ერისთავს გაუმარჯოს!

თამარი:

განა ისეთი რა მიმიძღვის ქვეყნის წინაშე,

რომ აგრე რისხვით მემუქრებით?

როგორც მშობელი თავის პირმშოს ზრდის რუღუნებით,

მეც ჩემი ერი ამგვარ შრომით გამომიზრდია!

ის დღეს მტკიცე და ძლიერია, საფუძველს მისას



ვერც კეისარი და ვერც რუმის დიდი სულთანი  
ვერ შეარყევენ თავხედური რისხვა-მუქარით!  
მაშ, რისთვის იბრძვით, რამ ალაგზნო თქვენი ბუნება?  
თუ აქ თქვენს შორის ურევია ქვეყნის ორგული,  
დე, მან შემართოს და მესროლოს თავის ისარი!  
რუსთაველი:

რალას უყურებთ, რას აყოვნებთ, რას ელოდებით,  
დაე, პირველმა იმან დაპკრას გულში მახვილი,  
ვინც თავის დედას პატივს არ სცემს, იმან ჩაქოლოს,  
ვისაც მკვლელობა ხელობად აქვს გადაქცეული!  
თამარი:

ჰა, ჩემი გული — ქვეყნის და ხალხის მოყვარული,  
რაკი აგრე გსურთ, თქვენთვის ზვარაკად შემიწირავს!  
ხმები:

- გთხოვთ, დედოფალო, გვაპატიოთ დანაშაული!
- წმინდაო სულო, ღვთაებრივი აზრის მფრქვეველო!
- სათნო ქმნილებავ, შეგვიბრალე ცოდვილნი შენნი!  
(მეამბოხენი დედოფლის წინაშე დაემხოზიან).

თამარი:

ახლა სად გაჰქრნენ, სად წავიდნენ ის უგნურები,  
რომელთა გამოც დღეს ესოდენ შეწუხნდა ერი?

სოსლანი:

ჯანდაბას იქით მიიმალნენ!

თამარი:

მადლობა უფალს, ყველაფერი მშვიდობით დაგვირგვინდა... ერი დამშვიდ-  
და, გმობაც შეწყდა... და ვისაც დღეს თავის უნებლიეთ ქვეყნისთვის შეუტო-  
დავს, ყველასთვის მიპატიებია!

ყველა:

დიდ არს წყალობა შენი, დედოფალო!

მიჩაელი:

შვილნო ჩემნო! ვადილოთ ჩვენი დედოფალი, რამეთუ მან ყოველივე სულ-  
გრძელად გადაწყვიტა! მაგრამ ამჟამად ბოროტების სათავე მიანიც სხვაგან არის,  
და ვიდრე მას არ ამოვქოლავთ, ჩვენს სამწყსოშიაც ეს აშლილობა არ შეწყდება!

თამარი:

მერე, ბოროტების სათავე სად უნდა ვეძიოთ, მეუფეო!

მიჩაელი:

თქვენს ქორწინებაში, დედოფალო!

თამარი:

ეგ არ მიხსენო!

მიჩაელი:

რათა, მზის დარო დედოფალო! ჩვენს მეფეთა გვარში შენს მეტი არავინ-  
დარჩენილა სასოდ და იმედად. შენ კი ამჟამად არავინ გაგაჩნია, რომ ტახტს მემ-  
კვიდრე აჩუქოს! ამიტომ გთხოვ, შვილო ჩემო, დროულად იფიქრო ამაზე, თო-  
რემ უქეოდ, უმემკვიდროდ დარჩება ტახტი!

თამარი:

არა, მეუფეო! აროდეს ყოფილა გული ჩემი მოწადინე ქორწინებისა, არცა  
პირველ და არცა შემდგომად.

მიჩაელი:

ვენახისაებრ ნაყოფიერი ხე იყავ შენ, გვასწავლის წმინდა სახარება და რაკი-

ცოლ-ქმრობა ღვთაებრივი ვალია, აქ მყოფთა შორის სოსლანის გარდა ვერავის  
შეგთავაზებ!

რბი:

სწორია!

ზაპარია:

ბრძნულად ნაფიქრია!

სოსლანი:

ღმერთო!

შიაბამი:

იყუჩე, დავით!

სოსლანი:

ო, არა, აქ დგომა აღარ შემიძლია! (გადის).

თამარი:

სჯობს ჩაუფიქრდეთ, დიდებულნო, თქვენი თათბირი ღმერთთან და ხალხთან  
უნდა იყოს შეთანხმებული!

მიჰაელი:

აგრე ნუ იტყვი, დედოფალო! ხომ ნახე, რა აშლილობაა სამწყსოში, და ეს  
იმიტომ, რომ ტახტი უმემკვიდროდაა დარჩენილი! ამიტომ მწადის დაჩქარება  
ქორწინებისა!

თამარი:

არა, მეუფეო! განა შენ თვითონ დარწმუნებული ხარ, რომ იმ მოყმეს ნაკლი  
არა აქვს და ჭეშმარიტად გამოდგება სამეფო კარზე?

მიჰაელი:

რაკი კაცნი ვართ, უწყის ღმერთმა, უნაკლო ვერ ვიქნებით, მაგრამ თუ შენი  
წესაფერი ეძიე, — ეგეთ კაცს მთელს ქვეყანაზე ვერ იპოვი!

რბი:

სწორია! კათალიკოსის ბაგენი ჭეშმარიტებას ღაღადებენ!

(მიქაელი ნიშანს მისცემს და დიდებულთა დიდი ნაწილი დედოფლის წინაშე  
ღაღამობა).

ყველა:

ღირს ჰყავ, ღირს ჰყავი, დედოფალო, რაინდი ქველი,

თორემ უძეოდ, უმემკვიდროდ დარჩება ერი!

მიჰაელი:

აი, ხომ ხედავთ, დედოფალო, ვითარის გზნებით,

შენს ფერხთ წინაშე მთელი ერი მუხლმოყრილია,

და გევედრება ისევ შენდა საკეთილდღეოდ,

რომ მისი თხოვნა შეიწყნარო!

თამარი:

შენ რად ღუმბარ, მგოსანო?

რუსთაველი:

ეჭე, ყოვლისა ქვეყნის დამამშვენებლო დედოფალო, შენ ისეთი უებრო  
ხარ, შენი ღირსი არაეინ მეგულება, და რადგან ასეთი არა ჩანს ქვეყანაზე, ამ  
ქორწინებაზე დასტურიც არ ეგების!

თამარი:

მადლობა უფალს! მე დავამთავრე თქვენთან თათბირი, დიდებულნო!

(თამარი მიდის. დიდებულები მაინც არ ეშვებიან და ზვეწნითა და მუღარით  
მიაცილებენ).

რბი:

დედოფალო!

ზაპარია:

ჩვენო პირიმზევ!

ჰიზბირი:

ბრწყინვალეზე სათნოებისა!

თამარი:

ამაოდ რეკთ თქვენ, დიდებულნო, კარსა რკინისასა,  
მე ჩემი გული რვალის სარაზით გადავკეტე!

(ყველანი გადიან, სცენაზე მხოლოდ რუსთაველი და შერგილი რჩებიან).

რუსთაველი:

ო, რა ბრძენია! ვერ ხედავდი, დიდებულებთან როგორ სასტიკად გაი-  
ბრძოლა!

შირგილი:

სწორედ ნამდვილი ქალღმერთია!

რუსთაველი:

მერე რა ღმერთი! მხოლოდ ფიქრით თუ წარმოიდგენ,  
თორემ ბრძენი და ჭკუათმყოფი როგორ გაბედავს,  
ბუნების ასეთ ნაქანდაკევს, სათნო ქმნილებას,  
მიწიერ ვნებით გაუმიჯნურდეს!

შირგილი:

მიუწვდომელი ვარსკვლავია!

რუსთაველი:

და მაინც გული არ ისვენებს... ვინ შემაჩვენა —  
რომ აგრე აღმძრა საძიებლად იმ საუნჯისა,  
რომელიც, თურმე, არ მეკუთვნის!

შირგილი:

აგრე ნუ იტყვი!

რუსთაველი:

ამ უზარმაზარ ცისქვეშეთში არ არის კუთხე  
და არც არავინ გამაჩნია მოჭირნახულე,  
რომ ჩემს ღრმა ტკივილს უთანაგრძნოს!

შირგილი:

მერწმუნე, ცდები, მეგობარო! განა არ იცი  
შენს ღვაწლს და ამაგს დედოფალი როგორ აფასებს?  
მე თვით ვიხილე ამას წინათ, ჩვენი პირიმზე  
შენს ლექს-შაირს რომ კითხულობდა გატაცებული...  
მის ღვთიურ თვალებს ამშვენებდა ცრემლის ნაკადი  
ვარდისფერ ღაწვზე მარგალიტად გადმოფრქვეული!

რუსთაველი:

შენ თვით იხილე, რომ თვალთაგან ცრემლი სდიოდა?

შირგილი:

ცრემლი, ჰო, ცრემლი, მეგობარო!

რუსთაველი:

ეს რომ მეხილა, ალბათ, იმ წუთს ვერ გაუძლებდა  
ტანჯული სული, სასწაულით შეძრწუნებული!

(გარედან ისმის გულშიჩამწვდომი სიმღერა).

შირგილი:

გესმის, მგოსანო?

რუსთაველი:

გუჯა და ბერიკა... ტკბილად მღერიან!

(შემოდიან გუჯა და ბერიკა).

ბუჯა:

თქვენ გენაცვალეთ, მგოსნებო! თქვენ რომ არა,  
ქვეყანა არაფრად ეღირება!

ბერიკა:

ნუ გავვიმტყუნებ, ცოტა კიდევ გადავკარით...

ხომ იცით, რა ოინზაზია ეს ქვეყანა!

გუჯა:

ცხოვრება გიჟი მდინარეა, სწრაფი და ჩქარი,  
ჩვენც მის დინებას ზოგჯერ მაინც ავუბათ მხარი,  
თორემ სანამდე ლხინისათვის მოემზადები —  
სავსე ფიალას შეგისვამენ არამზადები!

რუსთაველი:

კარგია. ეს შენი ბრძნული ქარაგმა მომეწონა!

გუჯა:

სად ჩვენა!  
ოი, შენ გენაცვალე მაგ თქმაშია! გულს გვიკეთებ, თორემ სად სიბრძნე და

ბერიკა:

ჩვენ ახლა ისიც გვაწუხებს, შენი კენესამე, შენ რომ ამ დღეში იმყოფები.  
განა არ ვიცით, რა ისრითაც ხარ დაკოდილი?!

რუსთაველი:

მორჩა! ამიერიდან ძველი ტკივილი არავინ გამახსენოთ!

შერიგული:

არც ის ტრფიალი, გულის ცეცხლი, ცრემლი ვენებისა?

რუსთაველი:

არა, ნურც იმას გამახსენებთ!

გუჯა:

ვენაცვალე იმ ცეცხლს, რომელმაც ასე დახრუჟა შენი გული! და ნაცვალაღ  
გვიძღვნა მის ფერფლზე აღმოცენებული შენი წიგნი!

შერიგული:

აგერ, ჩახრუხაძეც! (შემოდის ჩახრუხაძე, იგი რუსთაველს და შერიგულს გადაჰკონის).

რუსთაველი:

რომ მინახულე, ეს კარგი ჰქენ... ასე მეგონა

მწუხარების უამს მეგობრებმაც დამტოვეს-მეთქი!

ჩახრუხაძე:

რატომ გეგონა? რა საბაბით და რა სამართლით?

რუსთაველი:

რა ვიცი, უამი ყველაფერს ცვლის მსახვრალი ხელით!

ჩახრუხაძე:

რას ამბობ! ჩვენს ტკბილ მეგობრობას რა დამავიწყებს!

ჯერ იყალთოში, გელათშიაც ერთად ვსწავლობდით,

შემდეგ ათენი, ბიზანტია...

რუსთაველი:

ნეტავი იმ დროს!

ჩახრუხაძე:

საოცარი ყრმები ვიყავით! არ გახსოვს განა

წირვისას მღვდელს რომ სახარება გადაუშალე?

რუსთაველი:

კარგი თუ ძმა ხარ... ყველაფერს კი ნუ გაიხსენებ,

თორემ ზოგი რამ შენიც ვიცი!

ჩახრუხაძე:

კარგი, დავეხსნათ მოგონებებს... რა საჭიროა, ან თვით ცხოვრება აბა, რაა?  
ერთი ხანმოკლე ამოსუნთქვა, სხვა არაფერი!

(შემოდის რატი).



რაბი:

აღსრულდა უკვე!

შმრგბილი:

რა აღსრულდა?

რაბი:

ძლივს დაითანხმეს დედოფალი ქორწინებაზე!

რუსთაველი:

დაითანხმესო?!

შმრგბილი:

ეს როგორ მოხდა?

რაბი:

ჯერ ყოყმანობდა, ფიცულობდა, უარზეც იყო,  
მაგრამ როდესაც დიდებულნი დაემხნენ პირქვე,  
თხოვნით, მუდართ შეჰლადადეს, დასტური თქვიო —  
მაშინ კი გატყდა დედოფალი!

ჩახრუხამი:

რა მოგდის, შოთა!

რუსთაველი:

წადით, დამტოვეთ, მეგობრებო...

ჩემს ჭირ-ვარამთან მარტო მინდა მცირე ხნით დავრჩე!

(ყველანი გადიან).

ამას ველოდი, მაგრამ ის კი აღარ მეგონა,

თუ ასე უცებ მოხდებოდა დაცემა ჩემი!

ახლა რაღა ვარ, უკვე ჩაქრა მკრთალი იმედიც...

გულო, რად ტირი, სულო ჩემო, რისთვის ქვითინებ,  
რას აფრქვევ ცრემლებს ამ დასეტყვილ გულის იარებს,  
ხომ ხედავ, ჩვენს ჭირს დღეს არავინ არ იზიარებს,  
მაინც ნუ ტირი, ეს საწუთრო ასე ტრიალებს!

## მოქმედება მეორე

### სურათი მეოთხე

სასახლე საზეიმოდ გამოიყურება. გამოჩნდება რუსთაველი. იგი ჩაფიქრებული მოდის.

რუსთაველი:

ჩვენს სურვილ-ვნებებს ათამაშებს ბედი ცბიერი...

შვებას ცრემლი ცვლის და ცრემლს — შვება ნათელძლიერი,

და არ არსებობს ქვეყნად კაცი, რომ ყოფილიყოს

დაბადებიდან სიკვდილამდე სვებედნიერი!

(შემოდის მაია, უგუნებოდ მყოფ რუსთაველს დაინახავს და მასთან მიიჭრება)

მაია:

ჩემო ძვირფასო, ეს რა ნადველის ფერი გადევს?

რუსთაველი:

სოფელი წყაროა დიდი ვარამისა.

მაია:

თუ ასეთია, ბედნიერება სად ვეძიოთ?

რუსთაველი:

განა ღირს ძებნად?

მაია:

მაშ რისთვის გავჩნდით საბრალონი ამ ქვეყანაზე,

თუ აგრე სუსტნი ვიქნებოდით?

რუსთაველი:

განა ჩვენ გვეითხეს, როცა ქვეყნად ვიბადებოდით,  
გვესურდა თუ არა რომ მიგველო ცხოვრების შხამი?!  
მანა:

ო, რა სასტიკი განსჯა არის! მაგრამ ჩემს ნუგეშს  
შენს მზიურ თვალეზში მაინც ვხედავ!

რუსთაველი:

ნუგეში არაფრის მთქმელი იმედია!

მანა:

ვაჰმე! რა მესმის მე უბედურს!

რუსთაველი:

რა საჭიროა ეს ვიშვიში, ცრემლების დენა!

შენ ჯერ ნორჩი ხარ და არ იცი, თვალუწვდენ ველზე,  
სადაც ფერადი ყვავილები სურნელს აფრქვევენ —  
მყრალი ბალახიც ხარობს ხოლმე!

მანა:

მომეცი ხელი, ერთი წუთით, თუნდ ერთი წამით!

რუსთაველი:

ახლა ეს ხელი ყველა ხელზე უბედურია!

მანა:

არა, არ მჯერა! თითქოს ბუნებამ შექმნა იგი მხოლოდ იმისთვის,  
რომ ცა ქვეყანას შეარიგოს!

ო, ნუ დამიშლი ნეტარებას, ამ ძვირფას წუთებს  
მინდა ხანგრძლივად შევხაროდე მე უბედურს!

რუსთაველი:

წადი, ძვირფასო, დედოფალთან, ნუ აგვიანებ!

მანა:

ოჰ, ღმერთო ჩემო! (ცრემლმორეული მიდის).

რუსთაველი:

საბრალო, როგორ მეცოდება! მაგრამ არ ძალმიძს,  
რომ ვისმეს ხელი გავუწოდო სანუგეშებლად...

(ისმის ზარების რეკვა. რუსთაველი შეკრთება).

აჰა, ზარებსაც მოუხშირეს... უკვე აღსრულდა,  
და ის, რაც ფიქრში კიდევ ჩემი მეგონა ბედკრულს,  
ახლა სხვისია სამუდამოდ! იყუჩე, გულო...

აგერ ჩემს ტკივილს ზარი ტირის! თვალთ მიბნელებდა...

ასე მეგონია, ჩემს ფეხთაქვეშ სამარეს თხრიან, —

კარგია, გასჭერ, მესაფლავევ, შიგ ჩამასვენე,

ქვევით, სულ ქვევით, უფრო ქვევით, რომ ეს საწუთრო

ასე მუხთალი არ იხილონ ჩემმა თვალებმა!

(რუსთაველი თვალს მიეფარება. ახლოვდება სიმღერა, დარბაზი ივსება სტუმრებით და სეფე ქალებით, ისმის ზარების რეკვა... შემოდიან თამარი და თავით სოსლანი, რატი და ზაქარია აღმართული ხმლებით მოაცილებენ ნეფე-დედოფალს. გუნდი შემოსძახებს თამარის სადიდებელს).

შენ გიმღერს ერი მადლიერი, სეებედნიერი!

თამარ, პირიმზევ, სიცოცხლეო, გულისხმიერი!

იყავ ნუგეშად, ჩვენს დიდებად, სულო ციერო!

მხედრობამ შენმა, ხალხმა შენმა იბედნიეროს!

შენი წყალობით, შენი ლოცვით, მეფევ, ძლიერო!

(მიჭიქილი გამოეყოფა ხალხს, აღმართავს ჯვარს და ასე მიმართავს დედოფალს).



**შიკაველი:**

მადლი და ყოველი სიკეთე შენზე გარდმომივლენია, ნეტარო დედოფალო! ნუგეშინი ეც მოყვასისა შენსა, და მტერთა ზედა თვით უფალმა გაგაძლიეროს! (თამარი და სოსლანი ჯვარს ეამბორობიან. შემოდის ჭიაბერი).

**შიაბერი:**

თითქოს ზღვა არის, დედოფალო,  
ხალხი ყოველი კუთხიდან მოვიდა ბედნიერების მოსალოცად!  
თამარი:

ყველა მიიღეთ, ყველას ღირსი პატივი ეცით!

(ამ დროს მუსიკის ხმაზე შემოვლენ შაფოხიანი რაინდები. ცეკვა „ცერული“. შემდეგ შემოდის მაცნე, შემოიტანს გრაგნილებს და ჭიაბერს გადასცემს).

**შიაბერი:**

აგერ, რომის პაპისაგან გამოგზავნილი ეპისტოლე! ეს გრაგნილიც ეგვიპტის მბრძანებლის დიდი სალაღინისაგან მოგვივიდა! ეს ინდოეთი, ეს სპარსეთი, ესეც ბიზანტია! ყველანი თავს ხრიან, დედოფალო, თქვენი ბრწყინვალე შარავანდელის წინაშე!

**თამარი:**

დიდად საამოა შორეულ მნათობთა ესოდენი მოკრძალება!  
გულწრფელ გრძნობებს დიდი მადლობით ვუპასუხოთ!

**შიაბერი:**

აგერ, მგოსნებიც, ხელმწიფეო!  
გთხოვთ მოისმინოთ მათი ბრძნული მუსიკობანი!

(მგოსანთა ჯგუფი: შერგილი, ჩახრუხაძე და სხვანი, დედოფალს მიესალმებიან. შერგილი გამოეყოფა მათ).

**შერგილი:**

სიკეთის მუდამ ნაზი მხლებელი,  
ღვთიურ ნუგეშის მომნიჭებელი,  
სულით ნათელი, სათნო, სვიანი  
და ყველასათვის სამართლიანი...  
კეთილთან — მშვიდი, მტერთან — ზვიადი,  
ისე ნათელი, ვით განთიადი,  
ჩვენი სიკეთის გზის ანგელოზი,  
დიდება მთელი საქართველოსი —  
თამარი! თამარი! თამარი!

**თამარი:**

გმადლობთ, მგოსანო!

**ჩახრუხაძე:**

მეც ნება დამრთეთ, ცათა-სწორო!

**თამარი:**

გისმენთ, მგოსანო!

**ჩახრუხაძე:**

თამარ, შენ გიძნობ, ასულად გიცნობ,  
მზე დაუვალე შუქმომფინარი...  
ვერ მიგწვდენ ქებად, სხდენ თვითვე ვნებად,  
პლატონის ენა, დავითის ქნარი...  
ცად, საყდრად, ღრუბლად, დაწვ-ბროლ-ვარდ-შუბლად  
შენ გიცნობ მხოლოდ განცხადებულად.  
ცისკრობ შენ ნათლად, ბრწყინვალე სანთლად,  
ვარსკვლავნი რად ყვენ განქიქებულად!  
დღეს ერნი შენნი, შენ მიერ შენნი

ერთხმობით ვიტყვით განმარტებულად:

აღდგა ის ერი, შენი ივერი,  
შენის წყალობით განახლებულად!

(საერთო მოწონების ხმა).

თამარი:

გმადლობთ, მგოსანო, დიდად გმადლობთ!

სოსლანი:

(რუსთაველს).

შენ მანდ რას დგახარ, განდგომილი, აქ მო, მგოსანო!

განა ვერ ამჩნევ, სეფე-ქალნი ფარული გზნებით

შენს არჩევანს რომ მოკრძალებით ელოდებიან?

სიფე-ჭაღები:

— დროა! ჰო, დროა!

— დიდი ხანია ველოდებით!

სოსლანი:

წესს ნუ დაარღვევ... დღესვე მფარველი აირჩიე!

რუსთაველი:

რაკი წესია, ყარიბ-მგოსნებს მფარველი ჰყავდეთ,

დე, აგრე იყოს, მე მიაა ამირჩევია!

(რუსთაველი გადის).

თამარი:

ჩემო ლამაზო, შენ რას იტყვი?

მანია:

დიდად მიხარის, დედოფალო!

თამარი:

რაკი აგრეა, შეიფერე ეგ არჩევანი!

მანია:

თითქოს სიზმარში ვარ... ცრემლები მომდის...

გუჯა:

რა დროს ცრემლია!

ნუთუ არ გსურს დიდი მგოსნის მფარველი გახდე?

მანია:

პირიქით, გუჯა!

გუჯა:

თუკი აგრეა, რა გატირებს?

მანია:

გამეცა, გუჯა!

სიფე-ჭაღები:

რას ჩააცივდი? წადი იქით!

პირველი ძალი:

ჩვენი გუჯა მეტისმეტად

კუშტია და ენამწარე!

გუჯა:

თუ აგრეა, ჩემო ოქრო,

ერთი კოცნით გამახარე!

მეორე ძალი:

გახსოვს, გუშინ შენ რა გითხრა?

პირველი ძალი:

გულში ცეცხლს ნუ მიღუნებო!



გუჯა:

აგრე ერთად ნუ ჰიკჷიკებთ,  
თქვე სამოთხის ჩიტუნებო!  
პირველი ძალი:

თქვი, რაც იცი, გახსენ ჩვენთვის  
დახურული გულის კარი!

გუჯა:

მოდით, ჩემო ყვავილებო,  
მოდით, გულზე მომეკარით!

პირველი ძალი:

ხელი იქით, იქით, თორემ,  
დედაჩემი გაჯავრდება!

გუჯა:

სანამ დედა შეიტყობდეს,  
ჩვენი საქმეც გათავდება!

(ყველანი კისკისებენ).

სოსლანი:

ეს კარგი იყო. მიყვარს კაფიაობა. შერგილ, შენი ჯერია, რას უყურებ?  
შირბილი:

აბა, გუჯა, მწყურები ჩქარა,  
უკვე მზად ვარ, ჩავესაფრე!

გუჯა:

მე იმდენი მწყერი სად მყავს  
ჩემო შერგილ, შენ რომ აფრენ!

შირბილი:

ბიჭოს! უკვე მკრა ისარი  
და გულს მოხვდა, როგორც ელდა!

გუჯა:

ჯერ ასეთი აბა რა ვთქვი,  
რომ თვალეები დაგიბნელდა?

შირბილი:

მე და შოთა ერთად ვილწვით  
და წიგნებში სიბრძნეს ვაქსოვთ!

გუჯა:

ბოლოკმა თქვა: თაფლთან ერთად  
მეტად ტკბილი გემო მაქვსო!

(საერთო სიცილი).

სოსლანი:

ეს კარგი იყო, მაგრამ შოთამ რად მიგვატოვა?

შირბილი:

აგერ, დაბრუნდა, ხელმწიფეო!

(რუსთაველი შივა დედოფალთან, ცალ მუხლზე დაიჩოქებს და „ვეფხისტყაოსანს“  
მიართმევს).

თამარი:

ეს რა ძღვენია?

რუსთაველი:

წიგნია ჩემი, ამას წინათ რომ წაგიკითხეთ...  
კეთილ სახსოვრად, წრფელი გულით მომირთმევია,  
და თუ მცირეა ძღვენი ჩემი, სამაგიეროდ —  
უწყის ღმერთმა, რომ დიდი არი სურვილი ჩემი!

თამარი:

გმადლობთ, მგოსანო, მეფეთ-მეფევ ტკბილი ხმებისა!

ჩახრუხბძე:

ჩემო ხელმწიფევ,

ამ წიგნმა ყველა დაგვატკბო და თან აგვადღევა...

იყალთოელი სწავლულებიც ხოტბას ასხამენ  
და პაექრობენ მგოსნის სიბრძნით განცვიფრებულნი!

თამარი:

ვბრძანებ: ეს წიგნი სიბრძნისა და სათნოებისა,  
გავრცელდეს ყველგან სასწაულად მოვლინებული!

რუსთაველი:

ჩემო ხელმწიფევ!

თამარი:

აი, ყალამი ოქროსფრთიანი მომიძღვნია შენდა საჩუქრად,  
და ჩემს სახსოვრად იქონიე! (ყალამს ქულში გაუკეთებს).

რუსთაველი:

გმადლობთ, მზის დარო, ეს მექნება ჩემს სიცოცხლეში  
განუშორებლად, ვით თილისმა დაუვიწყარი!

თამარი:

ჰიაბერ!

ზიაბერი:

ნეტარო დედოფალო!

თამარი:

დღესვე შეადგენ სიგელ-გუჯარს და იმ ციხე-კოშკს,  
მესხეთის რუსთავში რომ მდებარეობს, მგოსნის სახელზე დაამტკიცებ!

რუსთაველი:

ჩემო მალალო ხელმწიფეო!

თამარი:

მიქაელ!

მიჩაელი:

დედოფალო!

თამარი:

გთხოვ, ამიერიდან ეს ქმნილება საღვთო წიგნივით შეიყვარო!  
თან ამასაც გვაღებ: მონასტრებში ახლავ დაიწყონ გადაწერა!

მიჩაელი:

ეგ არ ეგების, დედოფალო! ალბათ, ახალი უხამსობა იქნება რჯულის წი-  
ნაალმდეგ!

თამარი:

აგრე რად ამბობ, ჯერ გაეცანი, მეუფეო!

მიჩაელი:

ღმერთი გვიკრძალავს მის უნებურ საქმეთა შეწყყნარებას! მაგრამ რაკი შენი  
სურვილია, მე წავიკითხავ მას და თუ ჩემი ერისთვის მავნედ ვცანი — იცოდეს  
ღმერთმა, დაწყევლა არ აცდება!

(მიქაელი წამოდგება, აიღებს „ვეფხისტყაოსანს“ და მღვდლების თანხლებით გადის).

## სურათი მესამე

(მიქაელი დადის თავის სავანეში. ეტყობა, რომ აღელვებულია. „ვეფხისტყაოსანს“ კითხუ-  
ლობს, ხან მძულვარვდ გადაადგებს).

მიჩაელი:

ო, ღმერთო! იქნებ სულ მართალი არც მე ვარ მასთან!

ამიტომ არის ასე ძნელი, თან უმადური  
საქვეყნო საქმით დატვირთული კაცის ცხოვრება!  
არვის ვუყვარვართ, არც ვეცოდებით...

თუ გვიღიმიან, ეგ უფრო ცბიერ კრძალვასა ჰგავს  
ვიდრე სიყვარულს — თავისთავად დაბადებულსა!  
მაშ რისთვის, ღმერთო!

რისთვის აღმჭურვე მე ამგვარი შმაგი ბუნებით  
და ჩემში მცირე არ დათესე სიკეთე შენი!

(ისევ „ვეფხისტყაოსანს“ აიღებს ხელში).

ო, რა განსაცდელში ჩამავლო ამ წყეულმა! ეს წიგნი კი არა, ხორცის დამ-  
წველი კოცონია! და მაინც თავიდან ვერ ვიშორებ. მის კითხვაში ღამე გავათე-  
ნე... რა აზრები, რა დიდი ფიქრებია! მაგრამ ო, არა, დათმობა არ ეგების! ოი,  
ბოროტო ანგელოზო, განვედინ ჩემგან! შენ დამიფარე მონა შენი, უზესთაესო!  
(შემოდის ანტონი).

ანტონი:

რა იყო, მეუფეო?

მიჩაელი:

ძილი გამიკრთა, ძმაო ჩემო! ამ წიგნმა ჩემი ფიქრი და მოსვენება წაიღო!

ანტონი:

ჩანს არ იწონებთ, მღვდელმთავარო?

მიჩაელი:

სამეძაოა! სიყვარულის მქადაგებელი...

ანტონი:

განა საღვთო წიგნები სიყვარულს არ ქადაგებენ, მეუფეო?

მიჩაელი:

ქადაგებენ, მაგრამ განა ასეთს?

ორ ცეცხლ შუა ვარ, მინდა ავკრძალო და თან მენანება!

ანტონი:

რაკი ეგეთ ყოფაში ხართ, ისევ შეუძნდეთ შეცოდებულს!

მიჩაელი:

არა, შენდობა არ იქნება! პლატონისა და მისი მიმდევრების ფილოსოფიას,  
როგორც იყო, შევეგუეთ... ეს სატანის მოციქული კი უფრო შორს მიდის... ამას  
მოვითმენ?

ანტონი:

ცხარობ, მეუფეო!

მიჩაელი:

პლატონური სიყვარული რაც უნდა იყოს, მაინც ზეარსეულია, რუსთავე-  
ლის კი ხორციელია, მავნე და საშიში; ამიტომ იგი სასტიკად უნდა დაისჯოს!

ანტონი:

არა, მეუფეო, რუსთაველი ჩვენი სასიქადულო მგოსანია, მისი ყოველი  
სიტყვა დიდი სისწრაფით გადადის ხალხში!

მიჩაელი:

მით უფრო მეტი ზიანის მოტანა შეუძლია!

ანტონი:

მაინც რას ედავებით, მგოსანს, მეუფეო?

მიჩაელი:

იგი ღმერთს არ აღიარებს ქვეყნის შემოქმედად, ადამიანის შემქმნელად,  
აზრის და გონების პირველწყაროდ. აბა კარგად დაუკვირდი ამ სიტყვებს, მოძ-  
ღვარო:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა.

ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,

ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერიოთა,  
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერიოთა“.

სად არის აქ ღმერთი ნახსენები!

ანტონი:

როგორ არ არის, მეუფეო!

„ჰე, ღმერთო, ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა,  
შენ დამიფარე, ძლევა მეც, დათრგუნვად მე სატანისა“.

განა ეს ღვთის ხსენება არ არის?

მიქაელი:

მერე, ღმერთი ერთია ქვეყანაზე? სად არის აქ მისი სამსახიერება, რომელიც  
ყოველი კეთილი მორწმუნისათვის იყო და არის სიმბოლო სარწმუნოებისა?!

ანტონი:

მაგრამ, აქ არც მისი უარყოფაა, მეუფეო!

მიქაელი:

ამაოდ იცავ! აი, კიდეც რა მავნე აზრებს ქადაგებს ის ურჯუცი: „მიეც გლა-  
ხაკთა საჰურჰლე, ათავისუფლე მონები“. განა შეიძლება მონების განთავისუფ-  
ლება? გესმის შენ, რას გვიპირებს რუსთაველი? ამიტომ გირჩევ, ახლაც წარ-  
ვსდგეთ დედოფლის წინაშე და ამ წიგნის მავნე აზრები ვამხილოთ!

ანტონი:

არა, მეუფეო, ჩემგან ეგ საქმე არ ეგების!

მიქაელი:

მაშ ტყუილუბრალოდ გიხმე ამ თათბირზე!

ანტონი:

თათბირი აზრების აღებ-მიცემობაა, მეუფეო!

მიქაელი:

არც დედოფალთან წამოხვალ?

ანტონი:

არა! მე ღმერთს მხოლოდ სინდისით ვემსახურები!

მიქაელი:

გამოდის რომ მე ღვთისუნებური საქმე მწადის!

ანტონი:

ეგ მე ფიქრადაც არ მომსვლია!

მიქაელი:

განვედინ ჩემგან! მტერი ხარ ღვთისა, მტერი ხარ ჩემიც!

## მოქმედება მესამე

### სურათი მემკვსე

სასახლე. სეფექალები ჩანგს უკრავენ და ნელი ხმით ვალობენ თამარის შესაქცევად. თამა-  
რი, სასთუმალზე მიყრდნობილი, „ვეფხისტყაოსანს“ კითხულობს.

თამარი:

ჰხედავ, ჩემო, ვით გაგვყარნა სოფელმან და ქამმან კრულმან?

ველარ განახე საყვარელი მხიარული მხიარულმან,

ნეტარ რა ქმნას უშენომან გულმან, შენგან დალახვრულმან!


გაგიცხადა დამალული გონებამან დაფარულმან.

მე სიკვდილი აღარ მიმძიმს, შემოგვედრებ რადგან სულსა,

შაგრა შენი სიყვარული ჩავიტანე, ჩამრჩა გულსა;



მომეგონოს მოშორებება, მემატების წყლული წყლულსა;  
ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ, ჩემო, შენთვის დაკარგულსა!“

(ციოხვის დროს თამარს თვალზე ცრემლი მოადგება. შემოდის გვანცა)  ეროვნული  
ბიბლიოთეკა

გვანცა:

რუსთაველი გეახლათ, დედოფალო!

თამარი:

სთხოვე! (გვანცა გადის. შემოვა რუსთაველი).

რუსთაველი:

გისმენთ, დედოფალო, რისთვის დამიბარეთ?

თამარი:

კათალიკოსი აღშფოთებულია შენი წიგნით. მის საჯარო განხილვას მოითხოვს, პაექრობის დღეც დაუნიშნავს!

რუსთაველი:

ეგ არ მაშინებს... პაექრობას პაექრობითვე ვუპასუხებ!

თამარი:

საჭირო არ არის. იგი აქ მოვა და უარს ვეტყვი.

რუსთაველი:

არა, დედოფალო! უკან დახევა არ ეგების!

თამარი:

ამ წიგნს არავის დავუთმობ, აი, დღეს მეორედ წავიკითხე...

არ დავიმაღავ, ბევრი საკუთარი თავისაც შევიცანი...

როცა ნესტანის ამბავს ვკითხულობდი, ცრემლს ვერ ვიკავებდი...

ვინატრე კიდეც, ნეტავ განგებას ეგეთი გავეჩინე!

რუსთაველი:

არა, დედოფალო, ნესტანი ჩემი ქმნილებაა, შენ კი დედაბუნებამ უფრო სრულყოფილად გამოგაქანდაკა ჩვენდა სანუგეშოდ.

თამარი:

ეგ ჩემი პატივისცემის გამო გეჩვენება!

რუსთაველი:

აგრე რად იტყვი, დედოფალო! განა შენ ის ბურჯი არა ხარ, რომლის ზღუდეზე დამყარდა ქართველი ხალხის ძლიერება! შენის კაცთმოყვარეობით, სიბრძნით და ღარიბთა შემწეობით ისეთი გავლენა იქონიე მშობელ ერზე, რომ მისი წაშლა არავის ძალუძს, ფრთხილი ხარ დიდგვაროვანთა მიმართ და ამიტომ დამშვიდდნენ ისინი. სამართლიანი ხარ ქვეყნის წარმართვაში და ამიტომ არავის აკლია ღირსება. კეთილმოარწმუნე ხარ და ამის გამო აშენდნენ ტაძარი და მონასტერი. ძლიერი ხარ სულით და მით დაიბყარ გუმანი ქვეშევრდომთა. ან უზარმაზარ სამფლობელოში ბავშვიც კი ისე ვერ იტირებს, რომ საერთო მყუდროება არ დაირღვეს!

თამარი:

ვითომ აგრეა, მგოსანო?

რუსთაველი:

ეს ენა ჩემი, ანგარებით მოუსყიდველი,

მხოლოდ ერის და ხალხის ხმაა —

ხოლო ხმა ერის, ღეთის ხმა არის სამართლიანი

და მგოსნებს მხოლოდ ვალად გვადევს ვამცნოთ ქვეყანას,

თავისი ხალხის წმინდა აზრი შეუფარველი!

თამარი:

მაინც ნუ იტყვი! სად უკვდავება და სად მოკვდავი თავი ჩემი!

რუსთაველი:

განა თამარი, დედოფალო, ქვეყნად კვდებიან!

პირიქით, მზიურ ბრწყინვალეობით და სათნოებით  
განუშორებლად ჩვენს ფიქრებთან არიან მუდამ.  
თუ გმირად გვიცნეს, — გმირობისკენ გვიწვევენ ყველას,  
დაცემულს გვნახვენ, — სიბრალულით როდი კრთებიან,  
თავიანთ სულს და უკვდავებას ჩვენ გვთავაზობენ  
და დაცემულნიც მყის ნუგეშით ფეხზე დგებიან!  
რამ აგატირათ, მეფეთ-მეფევე!

თამარი:

არაფერია... ამ ცრემლებით, ნეტავ, მაიაც იღვრებოდეს!  
რუსთაველი:

ისიც ტიროდა?

თამარი:

თქვი, რა აბრკოლებს, ხელს რა უშლის თქვენს მეგობრობას?  
რუსთაველი:

ამას ნუ მკითხავთ!

თამარი:

არც მიზეზს მეტყვი?

რუსთაველი:

დე, დარჩეს ჩემთან, ჩაეკტილი გულის სიღრმეში  
სათუთი გრძნობა საიდუმლო ფიქრთა მფარავი!  
არ აღიგზნება ის, რაც ერთხელ ქცეულა ფერფლად...  
ტანჯულ სულისთვის არ არსებობს შვების კარავი...  
სადაც ვიქნები, მთად თუ ბარად, მე მხოლოდ ერთი  
ხატი დამრჩება სალოცავად და სხვა არავინ!  
(შემოდის გვანცა).

გვანცა:

კათალიკოსი გეახლათ, დედოფალო!

მიქაელი:

ეს რა მიყავით, დედოფალო, რა ღვთის უნებური საქმე დამაკისრეთ!

თამარი:

ასე რად წყრებით, მეუფეო?

მიქაელი:

ამ ურჯულოს წიგნზე მოგახსენებ. განა შეიძლება მისი ხალხში გავრცელება?

თამარი:

რატომ, განა ხალხს სიბრძნე არ სჭირდება?

მიქაელი:

რისი სიბრძნე! იგი საშინელ აზრებს ქადაგებს. ყველამ თავისი ნება-სურ-  
ვილით რომ იქორწინოს, შეიძლება დაიშალოს ოჯახი, ერი და სახელმწიფო...  
ამიტომ ეკლესია ამ წიგნს სასტიკად უნდა შეებრძოლოს!

რუსთაველი:

მერე, ვინ გიშლით, მეუფეო! მხოლოდ ეს კია,

ამ ბრძოლას საბუთიც უნდა ჰქონდეს!

თამარი:

ჯერ თქვას, ბოლომდე ჰყოს ნათელი თავისი აზრი!

მიქაელი:

ღიას, ხელმწიფევე! ეს ურჯუკი თავის წიგნში ყველაფერს თავის ნებაზე ატ-  
რიალებს. თანაც ცბიერად ასე გაიძახის: „ეს ამბავი სპარსულიაო“. მე მრავალ-  
გზის წავიკითხე იგი, მაგრამ სპარსული შიგ ვერაფერი ვიპოვე. მთელი თხრობა  
თითქოს ინდოეთს და არაბეთს ეხება, მაგრამ ნამდვილად არც იმათია, დედოფა-  
ლო, რადგან ქალი არც ერთ ამ ქვეყანაში ხელმწიფედ არ დაუხვამთ, ამის გამო

შებლა-შემოხლაც არ ჰქონიათ. ეგ მოხდა აქ, ჩვენში, როცა ორი მოწინააღმდეგე ბანაკი ერთმანეთს დავერიეთ. ამ წარმართმა კი განგებ ამ ამბავს უცხო სამოსი გადააცვა. ჩვენ, მისი მოწინააღმდეგენი, ქაჯებად დაგვსახა, თავისი მეგობრებიც სასწაულომოქმედ გმირებად!

თამარი:

ნუთუ მგოსანს არ ჰქონდა ამის უფლება, მეუფეო?! ის პირდაპირ არავის ასახელებს?!

მიჩაელი:

სწორედ ეგ არის სავალალო, პირდაპირ თქმას მოერიდა, მაგრამ ყველაფერი ნათლად დაგვიხატა!

თამარი:

კმარა, მიქაელ!

მიჩაელი:

დამითმე ეს წიგნი, დედოფალო, წმინდა მამათა შევკრებ საპაექროდ, და თუ ისინი აქ მზაკვრობას ვერ იხილავენ, — მაშინ, დე, ვიყო მე ღვთისაგან შეჩვენებული!

თამარი:

გირჩევ, მოძღვარო, მგოსნის მიმართ იყო უფრო სამართლიანი!

მიჩაელი:

მე უკვე დავნიშნე საჯარო პაექრობა!

თამარი:

მერედა ეს რად ჰქმენ? სად გავონილა ერთ სამეფოში ორი მოთავე ერთმანეთის საწინააღმდეგო საქმეს იწყებდეს?

მიჩაელი:

არც ის გავონილა, დედოფალო, რომ საერო თხზულებებს ბერები ავრცელებდნენ! ეს წიგნი კი არა, უწყის ღმერთმა, საწამლავია ყველასათვის... ამის შემთხვევიც საშიშია შენთვის, ჩემთვის და ქვეყნისათვის!

რუსთაველი:

რით ვარ საშიში, მღვდელმთავარო?

ბერ-მონაზვნებად თუ გსურს იქცეს მთელი ქვეყანა,

დაე, უწყოდე, ამას შენი რისხვით ვერ შეძლებ!

აბა, შეხედე, დიდ შემოქმედს, მისი ძალები,

როგორი ლაღის ნებისყოფით თავისუფლობენ!

ყვავილის ყლორტში ითმენს ჭიას, შენ კი უბრალო

ფოთლის შრიალი შიშის ზარს გცემს, მზად ხარ აკრძალო —

ყოველი წმინდა ჩანაფიქრი მომავლის შიშით!

მიჩაელი:

კმარა, ღვთის მონავ, თორემ მე ვიცი, რასაც ვიზამ!

რუსთაველი:

ვერა, ვერ შემძრავ მაგ მუქარით!

შიში ლაჩართა ხედრია... კაცს ასეც მოევლება და ისეც, და რაკი ყველაფერი გარემოებაზე ჰკიდია, ჩემთვის ცდა არის ერთად-ერთი ნუგეში მხოლოდ!

მიჩაელი:

ოი, სულო წაწყმედილო!

რუსთაველი:

არა! ეს სული არ წაწყდება! იგი სინდისთან

ისეა მჭიდროდ შენასკვეული, რომ ქედმაღლური

ვერც შენი რისხვა და ვერც შენი ქადაგებანი,

ვერც გასრესს ფეხით, ისე, როგორც შხამიან სოკოს!

მიჰაელი:

აი, ხომ ხედავთ, დედოფალო, ამას ღმერთი სწამს?!

რუსთაველი:

ღმერთი — ეს ჩვენი სინდისია, მოძღვართ-მოძღვარო,

ის არის ჩვენი წმინდა აზრის შთაგონებელი,

და როცა იგი წარიშლება, აღარ იქნება,

მერე რომელი ღმერთი არის ჩვენი მფარველი?!

მიჰაელი:

წყეულნიც იყავ, აწ და მარად, უკუნითი უკუნისამდე!

თამარი:

შესდექ, მიჰაელ!

მიჰაელი:

ო, არა, ჩემო დედოფალო! განა მე ვისმეს დაღუპვა მსურს?

რუსთაველი:

მაშ ვისგან არის სული ჩემი შეძრწუნებული! მე ვეტრფი თავისუფლებას.

შენ მას ძირში ჰკვეთ უმოწყალოდ... მე მაქვს მიზნები, მაგრამ ისინი შენი გულ-  
მრუდე მოქმედებით იღუპებიან!

მიჰაელი:

ან მე, ან ეგ ყმა უნდა იყოს ამ ქვეყანაზე!

(შემოდის ჭიაბერი).

პიბაბერი:

რუმის დიდი სულთნის, რუქნადინის დესპანი გეახლათ, ხელმწიფეო!

თამარი:

სთხოვეთ დესპანს მობრძანდეს ელჩთა დიდ დარბაზში!

(ჩაბნელება. ფარდის ახდის შემდეგ სცენაზე მოჩანს ხალხით სავსე დარბაზი. თამარი ზის ტახტზე, მის გვერდით სოსლანია. ჭიაბერს შემოჰყავს დესპანი, რომელიც თავყვანისცემით უახლოვდება თამარის ტახტს).

თამარი:

მობრძანდით, დესპანო! ცხადია, მილეთვის დიდი მბრძანებელი მცირე საქ-  
მეზე არ გაგაჩიდა. მოგვახსენე, რით შეგვიძლია გემსახუროთ!

დესპანი:

აი ინებეთ ესე ფირმანი მილეთვის მბრძანებლისა!

თამარი:

წამიკითხეთ!

დესპანი:

მე, რუქნადინი, შვილი ჩარასლანის, სულთანი ყოვლისა ცისქვეშეთს მყოფა  
ხალხებისა, კაცი კეთილი და მოვლინებული მაჰმადისგან, გეუბნები შენ — ქარ-  
თველთა მეფეს, რომ ყოველი დიაცი რეგვენია!

ზაჰარია:

რეგვენიაო? ამის წაკითხვა როგორ გაბედე, არამზადავ? (სილას გააწნავს,  
დესპანი წაიქცევა).

თამარი:

ეგ რა ჰქმენ, სარდალო? არ გიწონებ, არ გეკადრება!

დესპანი:

აღლაჰ, აღლაჰ! ეს რა მიყვეს, თავპირი როგორ ჩამიღეწეს!

ზუჯა:

არაფერია, მოგიშუშდება... შენ ის მაუწყე,  
რად მოდის ჩვენზე შენი ამაყი მბრძანებელი?

დესპანი:

იმიტომ მოდის, რომ მთელს ქვეყანაზე მაჰმადის რჯული გაავრცელოს!



გუჯა:

სულელი ყოფილა! ქვეყანას ჭირიც არ ედებდა ერთნაირად და მაჰმადიანობას როგორ გაავრცელებს.

დესპანი:

ჩვენი რჯული ყველა რჯულზე უმტკიცესია... მაჰმადი დიდი წინასწარმეტყველია!

გუჯა:

ეგ არ მითხრა! კაცი რომ თავის ხალხს ღვინის სმას აუკრძალავს და ქალს სახეზე ჩადრს ჩამოაფარებს, წინასწარმეტყველი კი არა, წმინდა წყლის სულელია! სოსლანი:

აგერ, კეთილო დედოფალო, კიდევ რამდენი უხამსობა წერია ამ ფირმანში! როგორ გაბედეთ ქართველებმა სამუსულმანო მილეთს რომ ხარკი გააწერეთ! ახლა მე თქვენი დასჯა გადავწყვიტე, მაგრამ თუ შენ, ქართველთა დედოფალი, ჩემს ურდოში მოხვალ და ჩვენს თვალწინ ფეხით გასთელავ ჯვარსა და სახარებას, მაშინ მარტო შენ შეგინდობ! ხედავთ, როგორ იმუქრება?

თაგარი:

დესპანო!

დესპანი:

აქ ვარ, მზის დარო ხელმწიფეო!

თაგარი:

მე მოვისმინე შენი მბრძანებლის მუქარა! ამაყად მიბარებს თავის ურდოში მილეთის მბრძანებელი! დიახ, მე მოვალ ჩემი ჯარით და ჩემი ხალხით, მაგრამ არა მის თაყვანსაცემად, არამედ მისი ამპარტავანი გულის დასასჯელად! ამიერიდან იყოს ღვთის ნება და არა მისი. ეს გადაეცით იმ თქვენს სულთანს!

(დესპანი მდაბლად თავს დაუკრავს და გადის. მცირე ჩაბნელება).

გუჯანი:

რაღა ვარ ახლა? თითქოს გაქრა დიდი გუჯანი, მოძღვართ-მოძღვარიც, ქრისტეს სჯულის მქადაგებელი,

განზე გამიდგა, მიღალატა, როგორც ურჯულომ!

რაო, ეს რა ვთქვი! ურჯულოო? იქნება ჯობდეს

სწორედ ურჯულოს შევაფარო თავი ამჯერად —

და მის კალთებს ქვეშ, წარმატებებს დანატრებულმა,

ახალი რწმენით აღვიდგინო ძველი დიდება!

მაშ, რაღად მინდა ძველი რწმენა! მოვიგლეჯ ამ ჯვარს,

თვით ქრისტეს სახეს, სახარებას, ფეხქვეშ გავთელავ

და შევღალადებ რუმის სულთანს: დიდ არს ალლაჰი,

რადგან რუქნადინ ქვეყნად მისი მოციქულია!

(შემოდინ ვარდანი და ბოცო).

თქვით, რა ამბავი მოიტანეთ?

ვარდანი:

მეტად ცუდი! დღეს დედოფალმა დიდი სულთნის რუქნადინის ელჩი მიიღო. სულთანს წერდა, დედაკაცი ყველა ბრიყვიაო!

გუჯანი:

რას აბმობ!

ბოცო:

ზაქარიამაც უცებ ისეთი უთავაზა, რომ რუმის ელჩი მოწყვეტილი დაასკდა მიწას!

ვარდანი:

ეს უკვე ომის ნიშანია. ომი იწყება!

გუზანი:

ჰოდა, ეს არის, რაც ჩვენ გვინდა! უნდა დავამხოთ დიაცი მეფის ბატონობა /  
და ზედ რუსთველიც მივყალოთ! წამოდით ჩემთან! (გადიან).

(მცირე ჩაბნელება, შემდეგ გამოჩნდება სასახლის მოედანი ხალხით საესე. მოწინავეთ მოაქვთ საშეფო დროშა. მათ უკან რუსთაველი მოჰყვება. თამარის გამოჩენისთანავე ატყდება ზარების რეკვა და ლაშქრული).

თამარის დროშა წინ გვიძღვის, ჩვენ რას დავაკალებს მტერი!

იმის კალთებს ქვეშ დამდგარა მთელი ქართველი ერი.

მტერს მტრულად დავკრათ ბრძოლაში, ვაეკაცს მხნეობა შევნიხ,

მხოლოდ სამშობლოს ეკუთვნის ახლა სიცოცხლე ჩვენი!

(თამარი მოდის თმაგაშლილი და ფეხშიშველი. ამას რომ რუსთაველი დაინახავს, მოიხსნის თავის მოსახსამს და დედოფალს ფეხქვეშ დაუფენს, მას მხედრები მიბაძვენ. სვლა გრძელდება, შემოდის რატი).

თამარი:

რა ჰქმენ, რა ამბით გამოცხადდი?

რატი:

კარგი არ გახლავთ, დედოფალო! რუქნადინს უკვე დაუძრავს თავისი ლაშქარი და მალულად საზღვარზე მოგვდგომია!

თამარი:

დაუძრავს კიდევ!

რატი:

იმ ზღვა ლაშქარს ჩვენი განდგომილი ერისთავები მიმხრობიან და გამარჯვებას წინასწარ ზეიმობენ!

მიქაელი:

მადლი და გამარჯვების მტკიცე რწმენა შენზე გარდმომივლენია, ნეტარო დედოფალო! უფალი ჩვენთანაა, ის არ ინებებს წმინდა ნინოს კურთხეული ქვეყნის დამარცხებას!

(ჯვარს აღმართავს).

თამარი:

(სამეფო დროშის წინაშე დაიჩოქებს. ისმის საგალობელი).

დედაო ღვთისაჲ, წმინდაო მარიამ!

საქართველო ღვთის განგებით

შენი წილხვედრი ქვეყანაა...

ღღეს მე ვარ აჲ, შენი წყალობით დადგენილი...

დაიფარე შენი წილხვედრი ქვეყანა,

რომ კვლავ ადიდოს შენმა სამწყსომ საქმენი შენი!

ყველანი:

ამინ!

თამარი:

ამირსპასალარნო: დავით, რატი და ზაქარია!

სოსლანი:

ჩვენ აჲ გახლავართ!

რატი:

თქვენდა სამსახურად!

ზაქარია:

გვიბრძანე, ღირსო ხელმწიფეო!

თამარი:

დაე, დამეხოს მყრალი ურჩხული ჩვენს წინაშე, ვითარცა წმინდა გიორგის შუბ-ლახვრით განიგმირა ვეშაბი შავფრთიანი!

ყველანი:

ამინ!

(მცირე ხნით ჩაბნელება. ფარდის ახდისას ისმის ყიფინა, ცხენთა უწყვეტი ხმები, ოროლთა ხეთქება, ხმა ბუკთა და დაფდაფთა. ხელჩართული ბრძოლა, დროგამომგებით მოჩანან რუსთაველისა და სოსლანის სახეები. ქართველი მეომრები უტევენ, მტერი უკან იხევს).

## სურათი მეზვიდე

ტაძრის წინა ხედი. სახელდახელოდ გაკეთებული ამბიონი. ხალხი ელოდება კათალიკოსის გამოსვლას. ისმის განუწყვეტელი ხმაური.

ხმები:

— სად გაგონილა!

— ასეთი ამბავი ვის უნახავს!

— კაცი ომშია, აქ კი სამარეს უმზადებენ არამზადები!

(შემოდის შერგილი):

შერგილი:

რა ზრიალია, რა მოხდა, ბერიკავ?

ბერიკა:

რალა რა მოხდა, ხალხი ღელავს, მგოსანს დაწყევლას უპირებენ!

შერგილი:

რას ამბობ, ამას როგორ გაბედავენ!

(შემოდის აღელვებული ანტონი, უკან გუჯა და ჭიაბერი მოსდევენ).

შიაბერი:

მამაო ანტონ! დაიცა, სად მიდიხარ?

გუჯა:

მგოსნის მოსვლამდე მაინც დაგეცადა!

ანტონი:

რა საჭირო ვარ, უკვე ყველაფერს ბოროტი ზრახვები განაგებენ!

შიაბერი:

განა შენ იცი, როგორ წარიმართება მგოსნის ბედი?

ანტონი:

ჩემთვის უკვე ყველაფერი ნათელია!

გუჯა:

მაინც ნუ წახვალ, მგოსნის მოსვლამდე დაიცადე!

ანტონი:

არა, არ ძალმიძს წილი დავიდო რუსთაველის წიგნის დაწყევლაში!

შიაბერი:

მერე, ასე უნდა დავუკარგოთ ქვეყანას კაცი — ამაგდარი?

ანტონი:

განა არ მენანება! რამდენი ამაგი აქვს ამ კაცს სამშობლოზე და თავი ახლაც ისე უპირავს, თითქოს არაფერი გაეკეთებინოს ქვეყნისათვის.

გუჯა:

ასეა, მამაო! დიდი მადლი ყოველთვის ჩუმად დადის. ეს პატარა სიკეთეა, მუდამ ყურის მგლეჯელი ხმაურით რომ გვაწუხებს: აი, შემხედეთ, რისი მოქმედი ვარ და პატივი მეციოთ!

ანტონი:

ეს რა მოარულია სენი ტრიალებს ქვეყანაზე! ორი დიდი კაცი საზოგადო

სარბიელზე ერთმანეთს ვეღარ იტანს! დიდებული დიდებულს ებრძვის, ვაჭარი — ვაჭარს! ღმერთო, როდის განიკურნება ქვეყანა ამ სენისაგან?!  
გუჯა: ერყენული  
გინლირთუქა

მაშინ, მამაო, როცა ქვეყანაზე ადამიანის ნატამალი აღარ იარსებებს!  
(შემოდის მაცნე).

პიაპირი:

რისა ხარ მაცნე, კეთილისა თუ ბოროტისა?

მაცნე:

რუსთაველი და ჩახრუხაძე დაბრუნდნენ!

პიაპირი:

შენ შეგვეწიე, სახიერო!

(შემოდის ჩახრუხაძე).

ჩახრუხაძე:

სად არის ჩვენი მღვდელმთავარი?

პიაპირი:

ტაძარშია, ბერებს აქეზებს რუსთაველის წინააღმდეგ!

ჩახრუხაძე:

არაფერია! აგერ, ბრძანება დედოფლისა უკვე ხელთა მაქვს... შევიდეთ მასთან! (კიაბერი და ჩახრუხაძე ტაძარში შედიან).

ბერიბა:

ჰა, რას იტყვი, მართლა დაწყევლიან?

გუჯა:

აბა რა ვიცი!

ბერიბა:

მერე, დაწყველილს რაღა ეშველება საწუთროში?

გუჯა:

შე უბედურო, თავს ვერ ატყობ, თორემ შენზე დაწყველილი აბა რომელია ამ ქვეყანაზე?

ბერიბა:

რას ამბობ, რატომ ვარ დაწყველილი?

გუჯა:

კაცს რომ ქვეყნის არაფერი ეკითხება — დაწყველილია აბა რა არის! აგერ, დაიწყო! (ტაძარში გალობა იწყება).

ბერიბა:

ო, ეს ყორნები როგორ საზარლად ყრანტალებენ!

(შემოდის მათა, მეორე მხრიდან გამოჩნდება რუსთაველი).

რუსთაველი:

ჩემო მათა!

მათა:

აღბათ, გაიგე, ცუდადაა, მგოსანო, საქმე!

რუსთაველი:

ვიცი.

მათა:

ეგებ მიქაელ ტკბილი სიტყვით დავაშოშმინოთ!

რუსთაველი:

არა! თხოვნას და ვიშვიშს არ დავიწყებ!

მათა:

მაშ რას აპირებ? ის ხომ უფლებით ჩვენზე ძლიერია!

რუსთაველი:

მერე? ვინც ძალით და უფლებით ძლიერია, განა ის ყოველთვის მართალია?!

მათა:

იქნებ დაბრუნდა, წავალ, დედოფალს გავაფრთხილებ!



(მია ვადის. ამ დროს ტაძრიდან გამოდიან ბერები, ხელში ზვის რტოები უჭირავენ და მიქაელს ამბიონისაკენ მოაცილებენ. მიქაელი ადის ამბიონზე, რუსთაველი მის წინაშე წარსდგება).

რუსთაველი  
გინაზიონი

**რუსთაველი:**

აჰა, მოვედი, მეუფეო, რომ მოვისმინო  
შენი მსჯავრი და საყვედური უსასტიკესი!

**მიქაელი:**

განა შენ იცი ჩემი მსჯავრი როგორი არის?

**რუსთაველი:**

აფთარის გული უწყალოა, თუ მან ქურციკი  
შენიშნა ახლოს იალალზე მარტოდ მძოვარი!

**მიქაელი:**

ეს რომ მცოდნოდა, აქაც უკმეხი იქნებოდი,  
მერწმუნე, ჩემთან საბაექროდ არ მოგიწვევდი!

**რუსთაველი:**

სათნო მამანო!

მოვედი აქ და, როგორც გსურდეთ, გამასამართლეთ,  
სიტყვით ან საქმით თქვენს წინაშე თუ მიღევს ბრალი!

**მიქაელი:**

ბრალი დიდი გაქვს... მეტად დიდი...

შენ ახლაც დიდად შეურაცხყავ ღირსება ჩემი!

**რუსთაველი:**

მაგრამ იმას კი ნუ ინებებთ, ღვარძლის კარნახით,  
მართალი კაცი დაიწყევლოს!

**მიქაელი:**

მე ვწყევლი მხოლოდ ამ უღვთო წიგნსა და არა შენ!

**რუსთაველი:**

წიგნი ხომ მე ვარ, ის ჩემია, ჩვენს დაშორებას  
ვერ შეძლებ, რადგან ღვთიურია კავშირი ჩვენი!  
შენ ვერ ჩაახშობ წმინდა აზრის სინათლის სვეტსა,  
ვერც ჩემს ამაყ სულს დააკნინებ, რადგან ის მღერის,  
მარადის გზნებით, ტრფიალებით აღტაცებული!

**მიქაელი:**

აი, ეგ არის, მძიმე ცოდვა!

**რუსთაველი:**

ნუთუ ცოდვაა, თუ მე ვუძღერ რაინდულ სულსა  
და მასში ვხედავ კეთილ აზრის დანიშნულებას?  
თვით ღმერთი ჩვენი გამიჯნურდა, როცა იხილა  
მშვენიერება მომხიბვლელი მაგდალინელის!

**მიქაელი:**

რაო! ეგ რა თქვი, უკეთურო?!

**რუსთაველი:**

ის, რომ ღმერთკაციც მონა იყო ტრფიალებისა!

**მიქაელი:**

ის ტრფიალება როდი იყო მოკვდავთა მსგავსი!

**რუსთაველი:**

სცდები, მოძღვარო! ეს ვეება წუთისოფელი  
ამ სიკეთისგან გაძარცვული, რა იქნებოდა!  
მხოლოდ ხმელი ხე უნაყოფო, ხრიოკზე მდგარი...

**მიქაელი:**

ეს რა საზრდოა!

რუსთაველი:

როგორც რბილ ოქროს, კეთილშობილს, გამოსცდის ცეცხლი,  
ისე ჩვენს სულსაც ტრფიალების ცეცხლი შეარხევს  
თავის უნაზეს სახმილითა!

იგი გვალხენს და გვასაზრდოებს, მის მძლე გავლენას  
მინდვრის ბალახიც მოკრძალებით ემორჩილება!

მიკაელი:

დასაბამი სიბრძნისა ყოველთვის იყო შიში უფლისა, ხოლო მოყმემან ამან,  
როგორც დაღმართისაკენ მსრბოლმა მდინარემან ისწრაფა ტრფიალისა და ლირ-  
წების ქებად, რისთვისაც ყოველმა კეთილმა მორწმუნემან ამიერიდან უბატო-  
პყოს იგი!

რუსთაველი:

რათა, რად მდევნი, მღვდელმთავარო! განა არ უწყი,  
რაოდენ კეთილ საქმეთა მოქმედი ვარ?

და თუ შენ გინდა ამისათვის დამკრა ლახვარი  
უნდა უწყოდე, რომ ლახვარი განგმირავს გულსა,  
მაგრამ ამაყ სულს ვერ მოაშთობს და იგი იტყვის,  
იტყვის საქვეყნოდ, რომ შენ კვლავ ტყუი,  
ყოვლად მაღალო სამღვდელოო მიქაელ!

მიკაელი:

გესმით, ეს რა თქვა უკეთურმა? არა თუ წიგნი, ძმანო ჩემნო,  
არამედ თვით ეს ურჯუცია ქვეყნიდან მოსაკვეთი!

რუსთაველი:

ნუთუ ამ ქვეყნად არ დადგება ისეთი ჟამი,  
რომ კაცი, თუ მას ღმერთმა მისცა განსჯის უნარი,  
ამ საკუთარი აზრისთვის არ იღვევებოდეს?

მიკაელი:

არა! არასდროს არ იქნება ასეთი ჟამი!

რუსთაველი:

სტყუი, ბნელეთის მოციქულო!

მიკაელი:

იყავ წყევული — აწ და მარად მაგ უხამიანი სიტყვისათვის!

ანბონი:

შესდექ, მიქაელ! შენგან ეგ რისხვა არ ეგების!

მიკაელი:

უნდა სასტიკად დაიწყევლოს, ისე შეჩვენდეს, რომ თვით საწუთრო უხამად  
გადაექცეს!

ჩახრუხამი:

მოძღვართ-მოძღვარო, ნუ იქნები აგრე სასტიკი!

მიკაელი:

არავითარი შებრალება! ზეცას არ უყვარს, როცა ქვეყნად ცოდვილებს  
იბრალებენ!

რუსთაველი:

ლომსა და აფთარს შეუძლია იყოს უწყალო,  
მხეცურ ბუნებას ეგ შეჰფერის, ზნედა სჭირს კიდეც,  
მაგრამ სჯულის მცველს, უზენაეს სულიერ მამას  
რამ გამოასხა ეს ბრწყალები?

მიკაელი:

გაიგეთ, რა თქვა? მხეცს მადარებს ეს უკეთური!

რუსთაველი:

მგელმა თქვა: ქეიფს ვაპირებ,  
რა ვქნა, ღვინო მაქვს ნასეტყვი,  
წავალ, მეცხვარეს რამეს ვთხოვ,  
თუ ბატანს მომცემს — ცხვარს ვეტყვი,  
არ მომცემს — ძალით წავართმევ,  
ტირილს დაიწყებს — ბანს ვეტყვი!  
მიჰაელი:

ახლაც შევეუნდო? ო, არა, რაღას ელოდებით!  
აღმართეთ ყველამ ეგ შტოები სავედრებელნი  
და რისხვა-კრულვა შეუთვალეთ წარმართის სულსა!  
ანათემა, ძმანო ჩემნო, ანათემა!

(ხალხში ხმაური და ჩოჩქოლი ძლიერდება).

— როგორ იქნება!  
— როგორ ბედავს!  
— შესდექ, მიქაელ!  
ანბონი:

ყოვლად სამღვდელოვ, აგრე სასტიკი ნუ იქნები!  
ჩახრშხამე:

დედოფლის ბრძანება ყურად იღე, მოძღვართ-მოძღვარო!  
მიჰაელი:

არა! იგი ღირსია განდევნისა!  
ბერძენი:

— ღირსია, ღირსი, მეუფეო!  
— უნდა გაგვშორდეს!  
— უნდა ქვეყნიდან მოიკვეთოს!

ხმები:

— ექსორია! ექსორია! ექსორია!  
მიჰაელი:

რაკი მავალებთ, ღვთის მსახურნო, დაე აღსრულდეს —  
მოკვეთილია იგი ჩვენგან სამარადისოდ... აქსიოს!

(ბერები აღმართავენ ბზის რტოებს და ხმამალა შევლადღებენ მიქაელს).

ბერები:

აქსიოს, აქსიოს, აქსიოს!!

მიჰაელი:

ისე შეჩვენდეს ეს სატანა, როგორც იობი წამების დროს!

ბერები:

აქსიოს, აქსიოს, აქსიოს!

მიჰაელი:

დაეხშოს კარნი ზეცისანი! არა ბრწყინავდეს ნათელი მისი და არა იხილონ  
კაცთა საქმენი მისნი!

ბერები:

აქსიოს, აქსიოს, აქსიოს!

მიჰაელი:

წყეულიმც იყოს აწ და მარად უკუნითი უკუნისამდე!

ხმები:

ამინ!

(მიქაელი და ბერები გალობით შედიან ეკლესიაში).

რუსთაველი:

აგრე იძახეთ, შეუთვალეთ სულს ანათემა,

მაგრამ გულს ჩემსას, რვალით ნაჭედს, სიმართლით სავსეს,

მაგით ვერ შეძრავს თქვენი რისხვა მუხანათური!

ჰიზაბერი:

ეს რა შავი დღე გაგვიოენდა!

შერბილი:

და მაინც საკვირველია ეს ბედისწერა,

სადაც არ ელი, იქ მწყერივით წამოფრინდება!

ჩახრუხაძე:

მაგრამ რაც მოხდა, ეს მიქაელს არ უნდა შერჩეს!

შერბილი:

არცა შერჩება!

ჩახრუხაძე:

ახლავ დედოფალს ვაუწყოთ ეს ამბავი!

ჰიზაბერი:

ნუ გეშინიათ, ღმერთი მოწყალეა...

მხოლოდ საჭიროა მცირეოდენი მოთმინება!

რუსთაველი:

ვიცი, ჭიბერი! მოთმინება დიდი სიბრძნეა,

სულიც ტკბილია ყველასათვის... სიცოცხლეს ქვეყნად

უბრალო ჭიაც უფრთხილდება თვალისჩინივით,

მაგრამ თუ მოვლენ და უხეშად შეეხებიან

შენს წმინდა გრძნობებს, გაგიტევენ ფეხქვეშ ღირსებას,

მაშინ რად გვინდა თვით ეს სული დამცირებული!

ჰიზაბერი:

ჩემს ქალს და ჩემს ცრემლს გთხოვ დაუთმო ეს ყოველივე...

თვალს ნუ დამივსებ... ნუ დამტოვებ სიბერის ჟამსა

და გულმოკლული ნუ ჩამიშვებ ცივ სამარეში!

რუსთაველი:

ვერა! ვერ დავთმობ, სული ჩემი კვლავ ცოცხალია

და მტრობის მთესველს მახვილს ჩასცემს სიმართლე ჩემი!

მაია:

მაინც დაგწყევლეს წყეულებმა?

რუსთაველი:

არაფერი! აწ წავალ ჩემთვის, რაკი ქვეყნის სამსახურისთვის არად საჩენი

არ ცყოფილვარ!

ჩახრუხაძე:

მაშ, გადაწყვიტე?

რუსთაველი:

მივდივარ, გტოვებთ სამუდამოდ!

ჩახრუხაძე:

ვის გაუბრძობხარ, მშობელ ქვეყანას თუ კათალიკოსის ანათემას?

რუსთაველი:

გრძნობით დაჭრილი გულის მწუხარება ანათემაზეც მძიმე არის!

ჩახრუხაძე:

მაშ არაფერი გრჩება ამ ქვეყნად გულის საოხებლად?

მაია:

ნუთუ ასე შეგკავრდა ეს საწუთრო?

რუსთაველი:

იმასაც მოკლედ უვლია,

ვის გრძლად ეგონა იარა,



შუქს ბნელი შეჭამს, ვარდს — ქია,  
კაცის გულს — დარდის იარა...  
მოვა სიკვდილი მუხთალი,  
ერთ წამში აგვყრის იარადს,  
ჩვენ რას წავიღებთ იმ ქვეყნად,  
სხვას არა წაუღია რა!

მანია:

არა, ეგ არ თქვა!

(ამ დროს ისმის საგალობელი „განშორების ქამს“).

რუსთაველი:

(მაიას კაბის კალთაზე ეამბორობა).

წმინდაო სულო, უღვთო ტანჯვისთვის გაჩენილო,  
უნდა ვაგშორდე, მაპატიე, მეტი არ ძალმიძს!

მანია:

შოთა!

ჩახრუხაძე:

მგოსანო!

პიაზაძე:

შეგვინდე, შვილო!

ხალხი:

დარჩი, ნუ წახვალ, ნუ გაგვწირავ, ნუ მიგვატოვებ!

(ხალხის ამ ძახილზე რუსთაველი შეჩერდება, მაგრამ ისევ მიბრუნდება და განაგრძობს გზას თავდახრილი და სევდიანი, იგი მიდის მაღლა, სულ მაღლა და როცა უკანასკნელად უკან მოიხედავს, აღმოხდება):

„ღმერთო, ღმერთო, გეაჭები, რომელი ჰვლობ ქვენათ ზესა,

შენ დაპბადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა,

მე სოფელმან მომაშორვა უკეთესსა ჩემსა მზესა...  
ნუ აღმოჰფხვერი სიყვარულსა, მისგან ჩემთვის დანათესსა!“

მანია:

წავიდა, ხალხო, გაფრინდა ჩვენი შევარდენი!

პიაზაძე:

იტირე, შვილო! ეს ვიშვიში, ცრემლების დენა

სწორედ მის დიად სულს შეჰფერის!

მანია:

და მაინც ჩვენთან არ ინება!

პიაზაძე:

შეუნდე, ღმერთო!

მანია:

მეც, ჩემო მამი, მეც შემინდე!

პიაზაძე:

შენ რა ბრალი გაქვს, ასულო ჩემო?

(ეკლესიიდან ისმის ნელი საგალობელი).

მანია:

მსურს მონასტერში განვეწესო!

პიაზაძე:

ეგ რა თქვი, შვილო?!

მანია:

ეს ჩემი სულიც სამუდამოდ შეწირულია!

პიაზაძე:

ამას ნუ მეტყვი, თუ მამა ოდნავ გებრალებს!

მანია:

მებრალვი, მაგრამ სხვა ნუგეში არ გამაჩნია...

იგი წავიდა, მე დამტოვა... ახლა რა დამრჩა

გულის ნუგეშად ამ უბედურ წუთისოფელში!

მიაბერი:

შვილო, რას ამბობ?!  
მანია:

მანია:

გესმის ვალობა, მამაჩემო! ეს ანგელოსთა ხმები არის, ჩემებრ ტანჯულთა,  
რომ დასთმონ ქვეყნად ამ საწუთროს ამაოება!

მიაბერი:

შენს გარდა ვინ მყავს, მიწას ვინ უნდა მიმაბაროს!

მანია:

მშვიდობით, მამი!

მიაბერი:

ვაიმე, შვილო!

(მანია გადის, ისმის ლაშქრული, რომელიც თანდათან ახლოვდება. ყველა მხედ-  
რონის შემოსვლის მოლოდინშია. შემოდის თამარი, მას მოჰყვებიან: სოსლანი,  
რატი, ზაქარია).

თამარი:

მარქვეთ, სად არის რუსთაველი?

მიაბერი:

გულდასეტყვილი, დაწყევლილი გამოგვეთხოვა

და ისიც არ თქვა, სად იქნება სამყოფი მისი!

თამარი:

მალემსრბოლები კიდითკიდე აფრინეთ ახლავ...

ეძიონ, ძებნონ მთად და ბარად და სადაც ნახონ...

უთხრან: ხელმწიფემ გიბრძანა-თქო კვლავ დაბრუნება!

(შემოდის მიქაელი მხლებლებითურთ).

მიქაელი:

ეგ არ იქნების, დედოფალო! შერისხულია ჩვენგან იგი სამარადისოდ!

თამარი:

მერე, ეგ რად ჰქმენ?

მიქაელი:

ვიდრე ცოცხალ ვარ „ვეფხისტყაოსანს“

წმინდა წიგნების სავანეში არ შევიწყნარებ!

თამარი:

ის ყველგან იქნება ღვთის განგებით:

სასახლეში, ხალხში და მონასტერშიც!

მიქაელი:

მე ის დავწყევლე, როგორც ცოდვისა და ცთუნების მღვრიე წყარო!

თამარი:

ჩვენ კი ამ წყაროს გზას გავუხსნით, რომ მას ყველა მწყურვალი დაეწაფოს!

მიქაელი:

იცის უფალმა, წმინდა ზრახვებს ჩემი გულისას

ღვთისა და შენი სიყვარული ამოქმედდება!

თამარი:

ცრუ სიყვარული, გულისათვის არაფრის მთქმელი!

მიქაელი:

ვფიცავ შემოქმედს, უბრალო ვარ, ჩემო ხელმწიფე!

თამარი:

სიტყვით უბრალო, სულით უნდო, საქმით მუხთალი!

მიძაღლი:

წმინდა გიორგის და ამ კვერთხის სიწმინდეს ვიფცავ!  
სოსლანი:

იცნობ შენ ამ წიგნს მღვდელმთავარო?

მიძაღლი:

ეგ რა წიგნია?

სოსლანი:

სხვა რა იქნება, თუ არა შენი გულმრუდობა!

აი, რას წერს ჩვენი მღვდელმთავარი:

(სოსლანი კითხულობს).

„საყვარელო შვილო, გუზან! შენი სამშობლოდან გარდახვეწის შემდეგ რუსთაველის მძლავრობა კვლავ გრძელდება. მაგრამ იმედი მაქვს იმ ურჯუქს მალე მოვიშორებთ... ელოცულობ თქვენი გამარჯვებისათვის. მიქაელი“.

ახლა რას იტყვით ამაზე, ჩვენო სულიერო მოძღვარო?

თამარი:

განვედ, მიქაელ, განვედ ჩვენგან, აწ აღარ ხარ ერის მამა, ჩვენი უფალო-  
(მიქაელი, ამ შერისხვისაგან გატეხილი, შეტორტმანდება, კვერთხი ხელიდან გაუ-  
ვარდება, მაგრამ სოსლანი მიუსწრებს, გამოსტაცებს მას და თამარს გადასცემს.  
მიქაელი ბერებს გაჰყავთ. თამარი კვერთხს ანტონს გაუწოდებს).

ანტონი:

მძიმე მოვალეობას მაკისრებთ, მეფეთ-მეფეო!

თამარი:

იტვირთე, წმინდაო მამაო, ამიერიდან ჰყონდიდელი!

ღვთის მსახურება სიკვდილამდე ვალია ჩვენი!

(თამარი კვერთხს გადასცემს და როცა ანტონი მას ჩაიბარებს — მთელ დარბაზში  
„ისპოლიტის“ ხმა იფუტქებს. ზაქარიას დარბაზში შემოჰყავს გუზან ერისთავი).

ზაქარია:

აგერ, დედოფალო, ჩვენი დაქადებული რაინდი... როგორც იქნა ხელში  
ჩავეიგდეთ!

თამარი:

წინ წამოდექი, შე ბედშავო!

გუზანი:

თვალდავისილი ვარ, დედოფალო... დაუხმარებლად ფეხის წინ წადგმა აღარ  
ძალმიძს!

თამარი:

ეგ როგორ მოხდა, ვინ დაგივსო თვალნი მხედველნი?

გუზანი:

თქვენმა მეუღლემ, ცათა სწორო!

თამარი:

ეს რად ჰქმენ, დავით?

სოსლანი:

ღირსი არ იყო, დედოფალო... უღირს კაცისთვის მზის სინათლე ზედმეტ  
არის!

თამარი:

მაგას რად იტყვი, ცოდვილებსაც უნათებს იგი!

სოსლანი:

ახლა უნათოს, მაგის ცეცხლი ჯოჯოხეთშია!

თამარი:

ეგ რა თქვი, თვით ზეციერი მიუზღავდა სამაგიეროს!

სოსლანი:

არ შევაწუხებ ზეციერი ასეთი მცირე საქმისათვის!

თამარი:

მაინც რა გტანჯავს, ერისთავო? რატომ არ მოხერხდა დღემდე შენი მოსვენება?

გუზანი:

არაფერია, დედოფალო! გუზანი თვალდავისილიც მიაღწევს იმას, რაც მან ოდესღაც მიზნად დაისახა!

თამარი:

გაიყვანეთ!

(გუზანი გაჰყავთ. შემოდიან შერგილი და ჩახრუხაძე).

რა ჰქენით, მგოსნის გზა-კვალს თუ მიაგენით?

ჩახრუხაძე:

სად არ ვიყავით, სად არ ვძებნეთ, მაგრამ ამოდ... თითქოსდა მიწამ უყო პირი!

თამარი:

და მაინც კიდევ უნდა ვძებნოთ, ვერ მოვისვენებ,

ვიდრე მგოსნის კვალს არ მივაგნებთ!

მიბაბერი:

რაკი წავიდა, არასოდეს დაგვიბრუნდება!

თამარი:

ჩუ! ეგ არა თქვა! თუმც წავიდა, გაგვშორდა იგი,

ვინც ჩვენს ფიქრებს და სულის ძალას ასაზრდოებდა,

მაგრამ სახელი მისი ქვეყნად მოფენილია,

ვით უცნაური რამ ამბავი სამარადისო...

დაე, იცოცხლოს მისმა სულმა შორს გატყორცნილმა...

და ეგ დროშები, გამარჯვების მაუწყებელნი

დახარეთ ყველამ, რომ ნათელ დღეს, ესოდენ მძიმე

ეს ჩვენი ხვედრი მწუხარება გავუზიაროთ!

(მედროშენი დახრიან დროშებს, მხედრები — შუბებს. ისმის ზარის რეკვა და ამ სევედიანი მუსიკის ხმაზე უცებ ეთერში იფეთქებს ძლიერი ხმა — თითქოს ვიღაც კითხულობს რუსთაველის ამ სტროფს).

„ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა,

ყოვლიმც შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა;

სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა,

მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა!“

დასასრული.





# ქოხუცი

დრამატული პოემა

\* \* \*

მოხუცი მელექსე, ჭაბუკი მელექსე და ხალხი სცენის წინ.

მოხუცი მელექსე:

ჩვენი შოთა, მკვიდრი ჩვენი გვარისა,  
ვინ არ იცის ვინ არის, —  
არაგვის ახლაც ესმის გმინვა მტკვარისა —  
გმინვა დედა მდინარის!

ხალხი:

შოთავ, შოთავ, მთა-მთა, ხევდახევ  
სიყვარულით ცას თუ შესძახებ —  
გიასუხებთ იმავ გულით მთა-მთა, ხევდახევ!

ჭაბუკი მელექსე:

ჩვენს მიწაზე არ წაშლილა შენი გზა-კვალი,  
დგას იმ დღეთა ნანგრევებში ოქროს აკვანი!

ხალხი:

სიხარულო, შენი ცეცხლი კვლავ აქ ანთია,  
სიყვარულო, შენი დარდი — ჩვენი დარდია!  
შენი მხრების ლანდი, შოთავ, მთების ლანდია!

მოხუცი მელექსე:

დღესაც, სამნი სანადიროდ წასულხართ  
და შინ უკვე გელიან,  
თვალეებს ჩუმი მოლოდინი არ უყვართ,  
ჩუმი დამეც ბნელია!

ხალხი:

ჰე, რუსთაველო, სანადიროდ აგრე წასულთა  
ფიქრით ფიქრია მეციხოვნის ლამაზ ასულთა:



ციხე-დარბაზის აივანი. მოხუცი მეციხოვნის ქალიშვილებს ღვეჯის  
ლეს და ჯავარას შუქი უნთიათ, მოლოდინით დაღლილები ხან ჩანს  
დამღერიან და ხან ხეობას გაჰყურებენ. ირგვლივ გალავნის ქონგუ-  
რებია. მთები. ღამე.

ლილე:

ნეტავ რას გვანიშნებს ვარსკვლავი პატარა,  
ვინ იცის, ვინ იცის სად იყო, სად არა!  
ჩუმჩუმად ღრუბლებქვეშ რა ქარმა ატარა —  
ციმციმებს ვით გულის ნამცეცი პატარა  
და ჩანს... და არცა ჩანს!

ჯამბარა:

ბნელს, ალვის ხესავით სიცოცხლეს შეაღვე,  
შრიალეზ, დგახარ, შრიალეზ! —  
და ბოლო არა აქვს თვალო, შენს მოლოდინს,  
გაიჭერ ბნელში და გვაეჭვიანებს!

ლილე:

ჩემი სურვილი და ჩემი ფიქრი ერთადერთია:  
ყოველ ბინდ-ბუნდში მელანდება ჩემი ბერდია...

ჯამბარა:

ბნელში ბილიკი ელავს თეთრად,  
ელავს გზა-შარა...

ლილე:

ამაოდ, ამაოდ, ამაოდ, არ სჩანან!

ჯამბარა:

ღუმს ღამე, და ცისქვეშ ხმა გაუკმენდიათ  
შავ-შავ კლდეებსაც მალალმხრიანებს...  
არც ავაგ, არც შოთა და აღარც ბერდია  
მათ შეძახილით არ ახშიანებს!

ლილე:

ტუჩ-მომღიმარი, წუხილთან ვდაობ,  
სახეს მწუხრი და შუქი მიჭრელებს...

ჯამბარა:

შენ უკვე ხვალ-ზეგ ჯვარს იწერ, დაო,  
მე კი ჩემს ვარსკვლავს ვინ შემეჩერებს?!

(ჩანგს მიუსხდებიან).

იქნებ ჩანგის შეშფოთებულ  
სიმებს შორის გაიელვო —  
ისევ ფიქრთა გასართველად  
ტყედ-გაჭრილო ტარიელო!

ლილე:

ჩვენ ხომ გულის ფეთქვად გვიღირს  
შენი სიტყვის გაგონება,  
სად ხარ, საით გაგიტაცეს  
სანადიროდ მთაგორებმა?!

(ჩანგს დამღეროან).

„თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეულს  
ვაქებენი ქებანი ვისნი მე არ ავად გამორჩეული.  
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული, —  
ვინცა ისმინოს დაესვას ლახვარი გულსა ხეული...“

ჯავახრა:

კვლავ ფიქრი, ფიქრი ფრთამალი:  
თამარი, ყველგან თამარი!  
სხვას არას ამბობს ღუმილი ღამის  
და ამ ღუმილის მოწმე მთა-ბარი!  
რუსთველის თვალო, თვალო ცთომილო —  
ვარსკვლავო, ჩემთვის მიუწვდომელო,  
თუმცა ერთხელაც არ შემიცოდე,  
თუმცა არ გინდა რომ გამახარო, —  
შენც არ უყვარხარ შენს ბედს, იცოდე, —  
ო, სიყვარულის ღმერთო მაღალო —  
მიუწვდომელი შექი რამ არის  
შექი თამარის...

ლილე:

ბნელს. აღვის-ხესავით სიცოცხლეს შეაღვე, —  
შრიალეზ, დგახარ, შრიალეზ! —  
და ბოლო არა აქვს, თვალო, შენს მოლოდინს,  
გაიჭერ ბნელში და... გვაეჭვიანებ!

(შორიდან მოისმის სიმღერა).

ჯავახრა:

აჰა, ბერდიაც!

ლილე:

ის არის, ის!

მისი ხმა მუდამ ტკბილად გაისმის...

(მთვარის სინათლეში, გალავანს იქით, მაღლობზე ბერდია ვად-  
მოდგება, მასთან ერთად: ავავ ერისთავი, სანადიროდ აღჭურ-  
ვილი).

ბერდია:

მშვილდო, შენს ღონეს ვენდობი,  
მაგ შენი ლექსის პწკარსაო, —  
დაგიფრენია ისრები,  
ახლა მიმშვენებ მხარსაო,  
დიდია შენი ნადავლი —  
ვინ არ გაგიღებს კარსაო!  
ჰეი!

ავაზ ერისთავი:

მოვსულვართ მშვიდობით,  
ჯიხვი და არჩვიც მოგვირთმევია!

(ბუკის ხმა. მონადირეებს ციხე-დარბაზიდან  
ჩირაღდნებით გამოეგებებიან).

ჯავახია:

თქვენს მოსვლას მშვიდობა.

მაგრამ შოთა? შოთა რად არ ჩანს?!

(ლილესთან ერთად ისწრაფის იმათკენ. მეციხოვნენი ალებენ ჭიშკარს. შემოდინ ავაგ ერისთავი და ბერდია, მხლებლებს შემოაქვთ ნანადირევი).

ავაზ ერისთავი:

ავთანდილ გადინადირა ქელი მაღალი, ტყიანი,  
ვერ მოჰკლა ხარი, ვერც ფური, ვერცა ირემი რქიანი!  
ლილე:

ვეფხვი?

ავაზ ერისთავი:

ვეფხვი აქ გვეგულეობდა!

ჯავახია:

ვგრძნობდი მე, ვგრძნობდი, რომ შოთა  
თქვენი გზა-კვალის არ იყო,  
და რაკი თქვენ ვერ გაუგეთ —  
აღბათ ვერც თქვენი გაიგო.

ბერდია:

ვერც ნადირობამ შეჰმატა  
და ვერც ტყედ-გაჭრამ ხალისი.  
მეორე დღესვე დაგვტოვა,  
არ დაიშალა თავისი!  
ახლა ან რუსთავს იქნება,  
და ან მტკვარ-გაღმა, პირიქით,  
ვარძიისაკენ ხევდახევ,  
გადაუხვევდა ბილიკით.

ავაზ ერისთავი:

ნუ იღარდებ. გზადაგზა აღბათ შენზე ფიქრობდა...

ჯავახია:

თუ აგრეა, გულის ცეცხლს ფიქრი რად არ მიქრობდა!

ავაზ ერისთავი:

ო, ეგ იმან იკითხოს ვინც მეტადრე დაჩაგრეს:  
გული მიტოვებული — არ იქნება — არ ჩაქრეს!  
იწვის, იწვის ამაოდ, ალი ებრიალება, —  
ტყედ გაჭრილი გმირი კი ნესტანს ეტრფიალება!  
(ეზოში გამოდის მოხუცი არჯევანი სხვათა თანხლებით).

ბერდია:

აჰა, არჯევან-ბატონო,  
ხარ-ჯიხვი, მთების მშვენება!  
ყოველთვის უნდა შემაყროთოს  
როგორც-კი მომეჩვენება! —  
დღესაც, შევნიშნე თუ არა —  
კვლავ შევკრთი, ვეღარ გავწირე...  
და უცებ შუბლში ნასროლი  
როცა რქებს გადავაცილე —  
მშვილდი მოზიდა ავაგმა,



ყელში გაურჭო ისარი,  
მას დაულოცეთ მარჯვენა,  
გამარჯვებული ის არი...

აზაზ ერისთავი:

ვესროლე. მოსწყდა ციკაბოს,  
ჩამოაწითლა ქვიშანი.

ჯამბარა:

ვაი. რა ავად აჩნია  
ჯიხვს ავი თვალის ნიშანი!

არჯიშანი:

დაილოცოს მონადირე  
ვინც ამრიგად გაისარჯა:  
ერთი ჩვენ და ათას ერთი  
სამერმისოდ კლდეებს დარჩა!

ხალხი:

ავაგ ერისთავს მოუკლავს ჯიხვი,  
შავლეგა ჯიხვი სალი კლდისაო,  
ბიჭო, ბერდიავ!  
ავაგის მშვილდით გატყორცნილ ისარს  
ძალაც ჰქონია ორბის ფრთისაო  
ბიჭო, ბერდიავ!  
ავაგ ერისთავს მოუკლავს ჯიხვი...

ლილე:

წევს ვით ვაჟკაცი ჭროლა-თვალეზა,  
ვინც ნახავს, დასტურ შეებრალეზა!

არჯიშანი:

ჰე, ბერდიავ. ერთხელ უკვე  
ჩემი ხელით დალოცვილო, —  
ასეთივე უნდა იყოს  
ჯიხვი შენი საქორწილო!

მონადირენი:

რას ამბობს მამა მოხუცი  
შენც გაიგონე ლილეო:  
ლონე თუ გერჩის, ბერდიავ,  
ხელმარჯვედ ინადირეო,  
მერე უცადე „ხატობას“  
და უფალს მადლი სწირეო, —  
ჩვენც დაგვაბატიყე ქორწილში.  
ყველა, დიდი და მცირეო...

არჯიშანი:

სტუმარს მე ახლაც გუღლიად ველი,  
ახლაც ჩასჭიდეთ ერთმანეთს ხელი —  
დუმილს ვერ ითმენს გული ალალი!

მონადირენი:

სავსეა ლალი ლიღინით ყელი,  
წავშალოთ ღამე, წავშალოთ ბნელი,  
და ქერს შევძახოთ ჰარი-ჰარალი!

(მსახურთ მიაქვთ ნანადირევი. არჭევანი ხალხს შინ მიუძღვის.  
ეზოში დარჩნენ: ავაგ ერისთავი, ბერდია, ლილე და ჯავარაყაძე.)



ლილე:

ბერდია ჩემს ბედს ჰქვიან  
და მეც ადრე თუ გვიან —  
ვიტყვი, საქვეყნოდ ვიტყვი:  
ბერდია ჩემს ბედს ჰქვიან!

ბარდია:

ოცნება მეც მაქვს ჩემი  
მარტოკა როცა ვრჩები:  
ლილე და მხოლოდ ლილე —  
ოცნება არის ჩემი!

ჯავარა:

მეც ნუ წამართმევ იმედს,  
მეც ნუ გამწირავ, ღმერთო,  
მეც გაშინათე ღამე  
შენ, ჩემო ერთადერთო!

ავაგ ერისთავი:

მე შავ-შავ თვალთა მზერა  
რომ გამახარებს, მჯერა,  
მავრამ ჯერ კიდევ მებრძვის  
მე შავ-შავ თვალთა მზერა!  
ოთხნივ ერთად:

სიცოცხლის გზა და ხიდი  
სიყვარულია დიდი,  
და ვისაც უყვარს — იცის  
სიცოცხლის გზა და ხიდი!  
ხალხი:

კარი ღიაა დარბაზის —  
მასპინძლის გულის კარია! —  
სახე უღიმის ბერდიას,  
ლილეც ღიმილის ქაღია,  
ცალკე დგას მხოლოდ ჯავარა,  
დგას და ვერ გაუხარია...  
ავი სულისთქმაც ავაგის  
წამით ჩამდგარი ქარია!

(ლილე და ბერდია სიმღერით აპყვენენ კიბეებს. ავაგ ერისთავიც  
განზე გადგა. ჯავარა მარტოა).

ჯავარა:

ო, შენი გულის ფეთქვას, ჯავარავ,  
ჯავრიც უნდა ერქვას, ჯავარავ!

(ავაგ ერისთავი. აქამდე ბნელში იდგა შეუმჩნეველად. ახლა გა-  
მოვიდა და ხელი ჩასჭიდა ჯავარას).

არ გამიბედო!

ავაგ ერისთავი:  
რატომ იმედო?!

ჯამბარა:

ჩვენი ოჯახის სტუმარი ხარ...

ავაზ ერისთავი:

დიახ, სტუმარი.

ჯამბარა:

ხომ ნახე მამამ რა პატივით მიგიპატიუა, —  
გიცდის...

(თავს ითავისუფლებს ძალით).

ავაზ ერისთავი:

რა იღუმალი სიმკაცრეა, რა იღუმალი!

მე მგონი ღმერთმაც კი არ იცის რისთვის გაგვითიშა!

ჯამბარა:

რისთვის?!

(ჯავარა გაშორდება. ციხის გალავნიდან გაჰყურებს მთებს).

ავაზ ერისთავი:

ნუ გამირბი, ლამაზო, მესმის, შენი კვნესა მე,  
რომ ორს შორის ყოველთვის დგას ამოდ მესამე —  
შენზე უკეთ მე ვიცი, მეც ამ ეკლით ვეწამე!

(ხალხთან ერთად).

მაშინ მოკვდეს ავაგი, ერისთავი არაგვის, —  
თავის ყველა მეტოქეს თუ მიწიდან არ აღგვის!  
არა! ჩემო მწუხარებავ, არა, ჩემო სიხარულო, —  
გაჯავრებულ ვარსკვლავივით შავ ღრუბლებში მიმაღულო! —  
ბედმა თუ მიმუხთლა, იცოდე:  
ვით სიყვარულს, მე არც მტრობას არ დაფვარავ,  
არ დაფვარავ და, ჯავარავ, გესმის? გესმის?  
ავაგ ერისთვის ამ ავ ბედისთვის  
ვცოცხლობ უთუოდ მე!

ხალხი:

ჰე, ჯავარავ, დამარცხებულ გულს გაუწყერი, —  
სადღაც, მთებში წაშლილ გზა-კვალს კვლავ რომ უცქერი!  
კიდევ წამი, კიდევ წამი, კიდევ წამი და  
უკვე ველარ შეაჩერებ ცრემლს წამწამითა...  
(ბნელდება).

\* \* \*

მოხუცი მელექსე. ჰაბუკი მელექსე და ხალხი სცენის წინ:

ზაბუკი მელექსე:

ჩვენს დღეებს ვუმღერით, ჩვენს დღეებს, ნათლით მოსილებს:  
მოსავლის აღებას, ხატობას, ლხინს და ქორწილებს!

მოხუცი მელექსე:

სანთლის რამდენი ფარფატა ფრთაც არის —  
აენთოს და შუქით აღანთოს ტაძარი!

ზაბუკი მელექსე:

და განა ბერდიაც აქ ამ წუთს არ უცდის?  
ნატვრის-თვალს განა ხელს არ გაუწყდის!?

მოხუცი მილაქა:

მაშ, რაღას იმაღვი, აპა, ლილეო —  
ლიმილით თვალი გაახილეო...  
დროც დადგა, კარგებო, თქვენი ქორწილის!  
ხალხი:

ვილხინოთ, იქნებ ამ დილა-ადრიან  
ჩვენც ის აგვიხდეს, რაც გვინატრია! —  
ამბობენ, ამბობენ... და ჩვენს ხატობას  
დღეს იქნებ დაესწროს მეფე თამარი —  
თურმე გზად გაივლის დიდი ამალით!

\* \* \*

კლდეში გამოჭრილი კიბეები და ტერასები. ტაძარი. ტაძრის  
წინ აქა-იქ ანთია კოცონი. ხატობაა. დილა. ლილეს და ბერდიას ირ-  
გვლივ თავს იყრიან მექორწილენი. მოხუცი არჯევანიც იქ არის და  
ჯავარაც.

მამოწვილი:

ბერდიავე, ჩვენო მთიელო,  
ღმერთსა ვთხოვთ იბედნიერო.  
შენც, ლილევე, კარგო და საყვარელო,  
იხარე, მუდამ გასახარელო, იხარე!

არჯამანი:

აპა, ვისაც ერთმანეთის  
ამღერება გენატრებათ, —  
თქვენი მზერა უფლის-ციხეს  
შეემატოს კელაპტრებად!  
საქორწინო წირვა-ლოცვით  
ჩემი გულიც გაახარეთ,  
სიჭაბუკის ცეცხლი მინდა  
ანათებდეს შინ და გარეთ!

ჯავარა:

დაილოცოს შენი მადლი  
სანეტარო სიყვარულო,  
ამ შეუცნობ საწუთროში  
ბილიკ-ბილიკ მიკვალულო!

(ლილეს და ბერდიას რთავს ყვავილებით).

არჯამანი:

დამილოცნიხართ!

მამოწვილი:

ბერდიავე, ჩვენო მთიელო,  
ღმერთსა ვთხოვთ იბედნიერო.  
შენც, ლილევე, კარგო და საყვარელო,  
იხარე, მუდამ გასახარელო, იხარე!  
(კოცონს გარს უვლიან წყვილ-წყვილად).

ბარბია:

მე ჩემი დღის გათენება



შენს უკეთესს რას მაჩვენებს,  
შენი ყელის მოღერება  
და ღიმილი დამამშვენებს!  
დროა, ჩემი არჩევანით  
ახლა მაინც გავიხარო,  
მაგრამ ისევ გიმღერიან:  
„არჩევანის ქალი ხარო...“

ლილე:

არჩევანის ქალი ვიყავ,  
მეციხოვნე გვარის ქალი,  
შენ ჩამაგდე მე ამ დღეში,  
შენ დამარქვი ნატვრის-თვალი! —  
და თუ მაინც მიმღერიან  
„არჩევანის ქალი ხარო“  
შენ მით უფრო გმართებს, გული  
არჩევანით გაიხარო...

(საქორწილო რიტუალი გრძელდება).

ქალაქი:

გააჩაღე კერა, ქალო,  
ნაბერწკალო — ალი გვინდა!  
ლილე, შენი სიყმაწვილე  
ჯვარის-წერით დაგვირგვინდა!  
ჩვენს მზერაში სიკეთეა, —  
ვისაც ჩვენი თვალის სჯერა...  
დაილოცოს, დაილოცოს  
ხატობა და ჯვარისწერა!

ვაჟები:

აწ, ბერდიავ, რაღად გინდა  
მშვილდ-ისარი სანადირო,  
მხარს ხოხობი დაგაფრინდა  
ჩვენი მთების ავთანდილო!  
ჩვენს ძმობაში სიკეთეა, —  
ვისაც ჩვენი ძმობის სჯერა,  
დაილოცოს, დაილოცოს  
ხატობა და ჯვარის-წერა!

(სიმღერას ფერხული ცვლის, ფერხულს — ცეკვა და გართობა).

ხალხი:

მოდიან! მოდიან! მოდიან!  
უბრალო მოსვლა როდია —  
აქ მობრძანდება თვით მღვდელმთავარი —  
ერისთავთ გვარის შთამომავალი.  
ხალხო, გზა, ხალხო!

(შემოდის მღვდელმთავარი, მასთან ერთად: შვილი მისი ავაგ  
ერისთავი, ჯგუფი დიდებულთა და ჯგუფი ეკლესიის მსახურთა.  
მექორწილენი უმაღლვე შესწყვეტენ ცეკვა-გართობას. არჩევანა  
თავდახრით მიეგებება).

არჯვანი:

კუთხეულო, ღირსი არ ვართ  
ჩვენ ამგვარი პატივისა...

(ეამბორება ხელზე).

დიდებული:

გვსურს გავიგოთ ვისა წყალობს  
ხალხი ვის და ხატი ვისა?!

მღვდელმთავარი:

ხატობაა... მართლმორწმუნე  
ხალხის დღეა და რად გვიკვირს?!  
არჯევანო, შენს ანგელოსს  
მე დავადგამ თვითონ გვირგვინს!

(ლილე და ბერდია მუხლს იყრიან მღვდელმთავრის წინაშე).

ლილე და ბერდია:

ო, მამაო, სიტყვამ თქვენმა  
სანატრელი რამ გვაღირსა.

მღვდელმთავარი:

ჩემი სიტყვა სიტყვა არის  
ჩემი შვილის — ავაგისა!

(მოისმის ზარის ნელი გუგუნე. მღვდელმთავარი ტაძრისკენ მიე-  
მართება. ხალხი გზას უთმობს. კვალდაკვალ მიდიან ეკლესიის  
მსახურნი, დიდებულნი, შემდეგ არჯევანი, ლილე და ბერდია  
წყვილად და ბოლოს დანარჩენი მექორწილენი).

ამორწილენი:

ისე ვით წმინდა ტაძარი  
კეთილი მოწმე მთაც არი,  
ვიწამოთ ლოცვა და ჯვარის წერა,  
მიაპყარ ბერდიას, ლილევ, მზერა და ენდე!

(შედიან ტაძარში. ხალხი ტაძრის ღია კარებშიც დგას, კიბეებ-  
ზეც).

\* \* \*

ავაზ ერისთავი:

ისეთი კარგი ხარ, ჯვარს უნდა შენ იწერდე!

(ერთი წამით აჩერებს ჯავარას).

ჯავარაბ:

ეგ, ჩემს ქორწილზე როცა მოხვალ, ჩემო მაყარო,  
აგრე თამამად შეგიძლია მაშინ მახარო!  
(შევა ტაძარში).

ავაზ ერისთავი:

შენს ქორწილზე მაყარად მე ვერ ვიქნები, —  
მეფის გვირგვინს მპირდებიან ფიქრები!  
(ტაძრიდან ისმის გალობა).

სააღლოზღლი:

ღმერთო, შენს ამ საგალობელს  
მუხლმოყრილი მრევლი მღერის:  
გაგვიჩაღე იმედივით

ნაპერწყალი ახალ კერის!  
ღმერთო, შენს ამ საგალობელს  
მუხლმოყრილი მრეველი მღერის:  
შეისმინე, შეისმინე

ღაღადისი მთელი ერის...

(გალობა გრძელდება. ირგვლივ საზეიმო სიჩუმეა. მოულოდნელად სხვადასხვა მხრიდან შემოიჭრება ხალხში ძახილი. შემოიჭრებიან მახარობლებიც).

მამუკი მიღვამ:

გესმით? ბუკი, ნალარა —

მეფის მოსვლა გვახარა...

მოხუცი მიღვამ:

ჩვენი თვალით ვნახეთ:

აქეთ მოდის, აქეთ! —

(ნაღარის ხმა და ჯარის სიმღერა თანდათან ახლოვდება).

ჯარის სიმღერა:

თამარის დროშა გავშალოთ

ფერად უღრუბლო ცისაო,

მთაში თამარის ამოსვლა

არის ამოსვლა მზისაო!

(ეგებებიან მეფის ჯარსა და ამაღას).

ხალხი:

მოდის თამარ-მეფის ჯარი,

არე-მარემ მისცა მხარი —

უფლის-ციხის მთაგორები

ეგებება ფეხზე მღვარი!

მოდის თამარ-მეფის ჯარი,

გულმტკიცე და გულმედგარი,

სიყვარულით ელის ყველგან

ღია გული, ღია კარი...

მოდის თამარ-მეფის ჯარი!

(მთების კლდე-კარი თითქოს იხსნება: შემოდის ჯარი, შემოდის ამაღა, უდგამენ ტახტრევანს მეფეთ-მეფეს. ყველა განლაგდება წესისამებრ).

უხუცესი:

დიდება მეფეს, ჩვენს განმგებელს,

თამარს ვაშა და დიდება!

(შემოდის თამარი).

არჯიშანი:

უფლის-ციხე თავს იხრის, ხელმწიფეც, შენს წინაშე.

მღვდელმთავარი:

შენს მობრძანებას ლოცვა და კურთხევა!

(გამოეგებება მეფეს ეკლესიის მსახურთა თანხლებით).

ხალხი:

დაილოცოს შენი გზა-კვალი!

მეკორწილანი:

ჩვენს ხატობას, ქვეყნის თვალთ,  
გადმოხედე თვალ-მოწყალედ.  
უფლის-ციხის მლოცველებო —  
გაიხარეთ, გაიხარეთ!

თამარი:

აქა მშვიდობა! ღმერთსა ვთხოვ,  
იყოს მოწყალე ქართველთა.  
მზე დიდებული შუქს გვაფრქვევს  
კვლავ ისე — როგორც გვაფრქვევდა!

(იკავებს ტახტზე თავის ადგილს).

ამ თქვენს ღბინსა და ხატობას  
ჩემზე ერთგული ვინა ჰყავს?!  
და უფლის-ციხეც, კარგებო,  
მე განა ერთხელ მინახავს! —

(თვალთ შეარჩევს არჯევანს).

ძველ მეციხოვნეს, არჯევანს,  
ჭადარა არც კი ერია,  
შორით ვუმზერდი, როცა ხმლით  
ურჯულო მოიგერია!

არჯემანი:

ღირსი არა ვარ, მეფეო,  
შენი მოწყალე თვალისა.  
შეგიმჩნევია ქარცეცხლში  
კრთომა ყრუ ნაპერწკალისა!  
დღეს კი, ვით ხედავ. ბებერიც  
მშვიდობამ გამახალისა, —  
დღეს ქორწილი მაქვს, ქორწილი,  
ჩემი უმცროსი ქალისა!

(ტაძრიდან ისმის გალობა).

თამარი:

დამილოცნია მათი სვე-ბედი,  
ჩემთვის უცნობი და უჩინარი,  
აბა, წარმოსდგეს, ვნახო ვინ არი  
მეფე თვალწარმტაც დედოფალისა?  
მეფეს, ვით მეფე — დავლოცავ,  
ვით დედოფალი — დედოფალს!

(ლილე და ბერდია მეფის წინაშე მუხლს იყრიან).

დიდეგული:

ჩვენს გვირგვინოსანს, ჩვენს თამარს — დიდება!

(მოულოდნელად გაარღვევს ხალხს. თამარი ძირს დაუშვებს და-  
სალოცად ამართულ ხელს).

ხელმწიფეო, შოთა გაახლათ!

(ხალხი გზას უთმობს შოთას).



ხალხი:

თამარს უმძიმს... თამარისთვის ძნელია —  
ნახოს, ვინც არ უნახავს თითქმის ათი წელია.  
და ათი წლის წინათაც მისი შორი ნათელი,  
თუმც ისევე შორს იყო. როგორც შორი ათენი —  
ლაწვებს ახსოვთ ჩუმჩუმად ცრემლი ჩამონადენი...

მოხუცი ბიჭი:

ისევ შენს წინაშე დგას რუსთაველი, მეფეო!

ხალხი:

მოისურვე მისი ხმა, მოსვლა მოინებეო...  
და სიკეთით აღსავსე გარდმოავლე თვალი ერს, —  
ვხედავთ: გულში ვარამი ვერ ჩაუკლავს ტარიელს...

შოთა:

მე, რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი:  
ვის მორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი...  
(მოწიწებით მიართმევს ხელნაწერს, რომელიც ბერმა-გადაამ-  
წერმა მიაწოდა).

ანუ მომე განკურნება, ანუ მიწა მე სამარი..

ხალხი:

ნუთუ ლოცვად ხელაპყრობილს მზე არ უსმენს, მზე-თამარი!

შოთა:

ჩემი აწ სცანით ყოველმან, მას ვაქებ ვინცა მიქია —  
ესე მიჩნს დიდად სახელად, არ თავი განმიქიქია!  
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია, —  
მისი სახელი შეფარვით ქვემოზე მითქვამს, მიქია!  
(აღფრთოვანება და შეშფოთება ორად ჰყოფს მსმენელთ).

მღვდელმთავარი:

ვიციტ ჩვენ, რასაც გულისხმობ.  
ლექით რა სარჩული გიგია... ვიციტ, რუსთველო!  
ფიდეაული.

ვინც ტარიელად დასახე —  
შენი მესიტყვეც იგია! — ვიციტ, რუსთველო!

ავაბ ერისთავი:

და როგორ ჰკადრებ დედოფალს,  
როგორ იმალღებ ხმას!  
არ ინდობ ტახტის სიწმინდეს,  
ებრძვი ჩვენს გულისთქმას!

მღვდელმთავარი:

ამაოდ დაშვრა, ამაოდ  
ვნებანი აღზევებულის, —  
ეგ წიგნი ჩვენთა ასულთა  
სისხლის აღმრევად გვეგულვის...

ხმაგი:

გვეგულვის... გვეგულვის!

ჯავახია:

არა და არა! სიყვარულს  
უკეთ უმღერდეს, ვინ არი?

უარყოფელი, მეფეო,  
მტრობა მხოლოდ მძინვარი!  
არა, ავთანდილ-ტარიელს  
ვინც ახლა აგრე არ ინდობს —  
მან ძმობა რაა არ იცის,  
და მიკვირს რატომ რაინდობს!

ავაზ ერისთავი:

რა მართლმორწმუნე კაცის საქმეა,  
თუ რას დაარქმევს ძმობას ურჯულო? —  
მე არც ინდო ვარ და არც არაბი,  
ზმამაღლა ვამბობ. რად ვიჩურობო.

ჯავახრა:

რამ დავიბნელა სული, ავაგო?!

ავაზ ერისთავი:

მე უკეთ ვიცი რა ვთქვა, რა ვაქო,  
ღმერთი მწამს, ქაჯთა სულს არ ვენდობი.

ჯავახრა:

ღმერთს იშველიებ, მაგრამ სავსე ხარ  
უკუღმართობით და უღმერთობით!

მღვდელმთავარი:

არავის ვურჩევ ამ წიგნის დაცვას.  
წყალმა წაიღოს და ცეცხლმა დაწვას.  
(გულისწყრომით გადგება განზე).

შოთა:

ჰე, ღმერთო, ერთო შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა,  
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა,  
მომეც მიჯნურთა სურვილი სიკვდიმდე გასატანისა,  
ცოდვათა შემსუბუქება მუნ თანა წასატანისა!  
(დიდებულთა შორის კვლავ მღვდელვარებაა, თამარი წამოდგება,  
მშვიდად მიმართავს მათ).

თამარი:

ღმერთსა ვთხოვ მეფურ წყალობის  
კვლავაც მომეცეს მე ნება, —  
მით შევეწივნეთ ტარიელს,  
ტურფადცა უნდა ხსენება,  
(მიუახლოვდება ლილეს და ბერდიას).

ო, ამგვარ ტრფიალს არასდროს

სიავე არა რქმევია...

ეს წიგნი ახალ ოჯახის

მზითვად მე მომირთმევია!

(წიგნს მათ გადასცემს).

ხალხი:

დიდება თამარ-ღედოფალს,

თამარ-ღედოფალს დიდება!

დიდება ოჯახს, რომელსაც

ეს წიგნი დაემზითევა! —

ვადასარჩენად ქართველი

სიკვდილს არ დაერიდება!

ლილე:

სიცოცხლე მიყვარს... მაგრამ სიყვარულს  
თუ ცეცხლის ფრქვევით ვერ გავუძელი —  
ისევ და ისევ, ვგრძნობ, რომ ამანთებს  
დიდი რუსთველის წიგნის ფურცელი!  
და მე ვიცოცხლებ, ვიცოცხლებ, სანამ  
იცოცხლებს მისი სიტყვა გულწრფელი.

(ლილე ხალხის შუაგულში დგას, მისი სიტყვა ლოცვად ისმის).

არჯშვანი:

მზითვია, შენი მზითვია და შენი ავლა-დიდება.

ხალხი:

ვერც ნიაღვარი წაგვართმევს, ვერც ცეცხლი წაეკიდება!  
(შოთა თავდახრილი მივა ლილესთან და ბერდიასთან).

შოთა:

არა იმიტომ, რომ სიძულვილი  
აქ სიყვარულზე უმძაფრესია, —  
არა! განშორდე შენს ტკბილ ცხოვრებას  
მეოცნებეთა ძველი წესია...  
და მე ვიფიქრე —

აზავ ერისთავი:

დიახ, ამ კამათს  
სჯობს განუსჯელად განშორდეს შოთა!

შოთა:

რა სჯობს ამ ქვეყნად, და რა არა სჯობს,  
ჩვენ გვეტყვის მხოლოდ სამსჯავრო დროთა.

ხალხი:

ჩვენი წუხილი და სიხარული,  
ფიქრი აშკარა, ფიქრი ფარული  
და ჩვენი ლალი სუნთქვა შენა ხარ! —  
ვაყვაცთა ძმობის ერთგული მარად  
ეს ჩვენი გულიც იგულე ფარად,  
თუ ვინმემ ჩვენი ძმობა შელახა!

თამარი:

ვბრძანებ: ვით შვენის ხატობას  
გული გულს მისცეთ, ხელი-ხელს!  
ვისაც მოყვასი არ უყვარს,  
იგი ამ ქვეყნად ვერ ილზენს!  
(მიმართავს ჯარს და ამაღას).

ჩაპბერეთ ბუქს და ნაღარით  
აშაღეთ ჯარი მეფისა!

(შოთას, ღიმილით).

დიდი დრო მზესაც არა აქვს  
ხომ მთაზე დაბრძანებისა!

ჯარი:

თამარის დროშა გავშალოთ.

ფერად უღრუბლო ცისაო,  
მთაში თამარის ამოსვლა —  
ამოსვლა არის მზისაო...

(გაისმის ნალარის ხმა).

ხალხი:

თუცა ქალია ხელმწიფედ მართ ღვთისა დანაბადია,  
შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია.  
ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია!

(მეფე თამარი, ჯარი და ამაღა მიდიან. კლდეთა კარები იხურება.  
ხალხი დგას უძრავად).

შოთა:

წავიდა იგი... და აჰა, ჩვენს წინ  
დარჩა სიჩუმე ფრთებდაფლეთილი.  
მშვიდად განშორდა თქვენს მითქმა-მოთქმას  
სული ბრწყინვალე, სული კეთილი.  
შენც გაჰქრი ნატვრის წუთო მღელვარეც,  
შეუტკობებლო და უეცარო —  
გაჰქრი! დრო დადგა, ისევ და ისევ  
უნდა სიავეს შენც გაეცალო!

მოხუცი მღვდელი:

საით მიდიხარ, საიდან — სად?!  
საით, ოცნებაც, გაშლილო ცად?!  
მზაზღვი მღვდელი:

საით მიდიხარ, საიდან — სად,  
თვალი ვით მიჰყევს, საით მიდის შენი გზა-კვალი?!

\* \* \*

მოხუცი მღვდელსე, ჰაბუცი მღვდელსე და ხალხი სცენის წინ:

მოხუცი მღვდელი:

ცისპირად მთები შეჩერდნენ,  
დაიგეს დაბლა ნაბდები,  
შორს, უკვე შორს...  
დღეო, შენც ეგებ შეჩერდე,  
დღეო, რა უბრად ღამდები?!  
შორს, უკვე შორს...

ჰაბუცი მღვდელი:

შოთაც განშორდა სამშობლოს,  
ტოლსა და სწორს...  
მოურჩენელო ტკივილო,  
როგორ-ღა დაგვიამდები?!  
შორს, უკვე შორს...

ხალხი:

აღსა და კვამლს, აღსა და კვამლს  
ვინ-ღა წაშლის ცაში, ნეტავ,  
მტკვარო, დედავ არაგვისა,  
მტკვარო, ჩვენთა ცრემლთა დედავ!



მოსკვი მალეგამ:

ასე ყოფილა, ყოველთვის  
ლაშე დღეს უთენებია, —  
რაც მტრობას დაუქცევია —  
სიყვარულს უშენებია!  
უსიყვარულოდ სიცოცხლე  
არ შეუძლია არავის,  
მაგრამ გულს დადიც აჩნია  
სიავის დაუფარავის!

ზაზანი მალეგამ:

ვხედავ, კეთილო მოხუცო,  
ვხედავ, შენ რასაც ხედავდი:  
წუთი წუთს მისდევს, თვალი — თვალს  
დღითი-დღე, ქედით ქედამდი!

\* \* \*

ისევ არჩევანის ციხე-დარბაზი. შზე ჩადის, ბნელდება. კიბეებ-  
თან შავით მოსილ კაცთა შორის დროდადრო გამოჩნდება ავაჯ  
ერისთავი და საიდუმლოდ ეთათბირება მათ.

შავით მოსილნი:

დავდივართ კარდაკარ, დავდივართ კარდაკარ —  
რომ დავწვათ, რაც მორწმუნე სულს არ ანათლებს!  
რომ დავწვათ ყოველი ოცნება, რომელიც  
მიწიერ სიყვარულს გვანატრებს...

ავაჯ ერისთავი:

დადიხართ... დადიხართ... და მიინც რატომ? რა იცით?

შავით მოსილნი:

დავანთებთ კოცონს და დავძახებთ არულს ხალისით!

ავაჯ ერისთავი:

წიგნი ხელთ არავის, არავის არ ანდოთ,  
კოცონიც თვითონვე თქვენ უნდა დაანთოთ,  
შავანს და მავანს, სურდეს — არ სურდეს —  
ღვთისა და მღვდელმთავრის ნება აღსრულდეს!  
დაე, რაც არი მავნე, — დაიწვას!

შავით მოსილნი:

ო, სისხლის აღმრევი ლტოლვა ვინ დაიცვას?!  
აღსრულდეს ღვთისა და მღვდელმთავრის ნება, აღსრულდეს!

ავაჯ ერისთავი:

დიხაც! მაგრამ, აქ ფრთხილად, ფრთხილად!

(გრავნილს დაახვევს და გადასცემს მათ).

აქ თვით მე რომ არ გიშველოთ, — ვგონებ:

ვერც გასჭრას თქვენმა ძალამ და ღონემ!

(შავით მოსილნი ბნელს ეფარებიან).

... და მე არც თქვენი მჯერა, ლანდებო! —

როგორც თქვენ ჩემი სიტყვის არ გჯერათ...

განა ღამეებს თვით არ ათენებთ

ამ ვნებათ-ღელვის გადასაწერად?!

(ადის კიბეებით ციხე-დარბაზში, მსხური მოკრძალებით უღებ  
კარებს. ერთხანს მარტოა, შემოდის ჯავარა).



ჯავარა:

მსახურს არც-კი უთქვამს, ყური მოვკარ სუნთქვას,  
გამოველ და აჰა — თურმე კართან დგახარ...

(მიეგებება).

მაშ, გახსენ ბაგე, გაძავონე ხმა.

კეთილი იყოს შენი გულისთქმა!

ავაზ მრისთავი:

გულით უნდო ვარ, სიტყვით კი მჭახე...

და მაინც მოველ, და მაინც ვნახე

თვალთ შუქის ფრქვევა...

ჯავარა:

ახ, კვლავ ეს მე ვარ!

ავაზ მრისთავი:

შენ ხარ ჯავარავ, შენ ხარ ყოველთვის

მიზეზი, ღელვა — ღელვას რომ ერთვის!

(უფრო ახლო).

ტრფობაა, მტრობა, წყრომა თუ რიდი —

ვგრძნობ, ამ უფსკრულზე აქვს ბეწვის ხიდი,

საუბედუროდ...

ჯავარა:

არა, ავავ, შენს ამ ლტოლვას

სიყვარული არა ჰქვია,

აწყდებოდეს ეინით ნაპირს

სისხლი განა არავგია!

შეყვარებულ ვაქვაცს ღმერთი

განა მტრობას თან აახლებს,

რომ დაეცე სულით, ისევე

სიყვარული აგამაღლებს!

ავაზ მრისთავი:

ცოცხალს ვერ დაგთმობ...

ჯავარა:

არა, არ მჯერა.

შენი ქაღილით განა დავშინდი...

მე რომ გეწერო გულის ფიცარზე,

მტრობას ჩემივე ხელით წავშლიდი!

ავაზ მრისთავი:

თქვი ეგ ოღონდაც, თქვი და ვირწმუნებ!

ჯავარა:

„არს პირველი მიჯნურობა არ დაჩენა ჭირთა მალვა,

თავის წინა იგონებდეს, ნიადაგმცა ჰქონდეს ხალვა,

შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა,

ღათმოს წყრომა მოყვრისაგან მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა...“

(კეკლუცად).

და შენ კი, შენ კი რა ვაქვაცი ხარ —

საკუთარ ეინს თუ ვერ მოერევი?!

აჰაჰ მარსიაჰი:

მინც სხვა გახსოვს, სხვას იმეორებ  
და მკლავ მაგ შენი განმეორებით.  
მაგრამ ვაეკაცი თუ ვარ, ძალ-ლონეს  
მეც დავუმტყიცებ მთქმელს და გამგონეს!

ჯავარა:

ეგ თუ აგრეა, — მაშინ, ავაგო,  
ხარ სასურველი და საამაყო!

აჰაჰ მარსიაჰი:

მადლობა ღმერთს, რომ ერთხელ მინც  
არ გასწირე ჩემი გული  
და იმედით გამინათე  
მუდამ ნისლით შენისლული!

(ჯავარა გაუბრუნდა).

ვერ შეგელევი, ჯავარავ,  
ვერ შეგელევი, ვიცი მე!  
უმალ ხელს მოვკვეთ მეტოქეს,  
ხელი რომ სჩანდეს ვისიმე...  
უშენოდ გაჰქრეს, გაქვეავდეს  
ქვეყნად ცოცხალი რაც არი,  
იავარ იქმნას მიდამო,  
დარჩეს ფერფლი და ნაცარი!

ჯავარა:

შენი ტრფიალი ღელვავ ისევ, ისევ ჟინია, —  
მაგრამ ტრფიალით განადგურების ვის ეშინია?!  
ისევ ჟინია ავ იერიშის და ავ გუნების...  
მაგრამ, მითხარი, ვის ეშინია განადგურების!  
მე თუ იმედმა მცირედმაც  
არ გამიმართლა, რა ვუყო! —  
მინც არ ვფიქრობ ეს გული  
ორბსა და არწივს გავუყო.  
მინც არ ვფიქრობ, რუსთველის  
აუგის მთქმელმა იხაროს...  
ცოდვავ, ცოდვა, ოდესმე  
შენთან რომ წილი იყაროს!  
თუმცა-ღა, სიტყვა-ზვიადო,  
ძუქარაც მესმის შენი და  
„მიჯნური შმაგსა გვიქვიან  
არაბულისა ენითა...“

აჰაჰ მარსიაჰი:

როცა იქნება, ერთხელაც  
მოვსპობ მაგ ზღაპარს არაბულს,  
ტუჩებზე რომ არ გეწეროს  
მოუბარსა თუ განაბულს!

ჯავარა:

ვერა, ვერ დაჰგმობ, რომც იყო  
მართლაც გულ-გამოფატრული, —

აქ ერთი კალმის მონასმიც  
არაა არაქართული!

(გადაშლის წიგნს).

რქა-დაკლაკნილო ანბანო,  
არ წაიშალო, გასძელი!  
გულჩათხრობილთა რწმენა ხარ,  
გულჩათხრობილად ნაწერი!

ავაზ მრისთავი:

არა! უშენოდ არა მწამს ღმერთი,  
არ მწამს ტაძარი...

არა, უშენოდ გაჰქრეს, გაქვავდეს  
ქვეყნად რაც არი!

(მოულოდნელად სარკმლებს ცეცხლის ალი გაანათებს, ჯავარა  
შეწყვეტს წიგნის კითხვას).

ჯავარა:

ავაგ, ავაგ, ეს რა ცეცხლი გააჩაღეს, რა იწვის?!

ავაზ მრისთავი:

ავაგს რატომ ეკითხები, რა იცის!

ხალხი:

ჰეი, არჯევან, ჰეი, ბერდიაე!

ჯანაბა:

ავაგ, ავაგ, ეს რა ცეცხლი გააჩაღეს, რა იწვის?!

ავაზ მრისთავი:

ავაგს რატომ ეკითხები, რა იცის!

ხალხი:

ჰეი, არჯევან! ჰეი, ბერდიაე!

ჯავარა:

ჩვენს ეზოში რას დაექებს ავი თვალი აღისა?!

ავაზ მრისთავი:

ჯერჯერობით ფიჩხი იწვის, იწვის გროვა ჩალისა!

ხალხი:

წინ ბოროტებას დაუდგა  
ქალი, ვეფხვივით მძვინვარი, —  
თამარის ხელით მორთმეულ  
მზითვის ხელმყოფი ვინ არი!

ავაზ მრისთავი:

გამიგია, ურწმუნოთა სულს განწმენდა რომ ელის!

(ავაგის სწრაფვა უკვე აშკარაა).

ჯავარა:

რომელ უღვთო მბრძანებელის სურველია, რომელის?

ხალხი:

ალი და კვამლი ცად აჰყვა ქარს,  
სახლს შემოერთყნენ ლანდები გარს...

ჯავარა:

ცეცხლი!



აზაზ ერისთავი:  
ღიას, მართლმორწმუნე თუ ხარ  
აგრე უნდა ბრძანო...

ჯაჰარა:  
ცეცხლით უნდა განადგურდეს?!

აზაზ ერისთავი:  
მხოლოდ საქმე საჭოჭმანო.

ჯაჰარა:  
არა, ავავ ერისთავო,  
ეგ არასდროს არ მომხდარა!  
მტრობამ შენ ერთს ჩავაგონა  
და სიავით ამბობ...

აზაზ ერისთავი:  
არა!

ჯაჰარა:  
კაცი დასწევს არაბებმა,  
ცოცხლად ცეცხლი წაუკიდეს,  
მაგრამ ავავ, წიგნის დაწვა  
აბა, ვის არ გაუკვირდეს!

აზაზ ერისთავი:  
ღვთის განაჩენს სიჯიუტით  
წინ აღუდგე, როგორ ჰბედავ!  
(მისწვდება მრისხანედ).

ჯაჰარა:  
ვისი რწმენა გინდათ დასწვათ,  
ვისი რწმენით იღწვით, ნეტავ!  
(თავს იცავს).

აზაზ ერისთავი:  
დასთმე, თორემ არ დაგინდობ,  
მეც ამანთო ცეცხლის აღმა!

ჯაჰარა:  
როცა სიტყვა აღარა სჭრის  
იქნებ უკეთ გასჭრას ხმალმა!  
(კედელზე დაკიდებულ ხმალს მისწვდება,  
ავავ ერისთავი უნებლიედ იხვეს უკან).

თუ ქალაჩუნა ქალს უტევს  
ქალს ჰმართებს დახედეს მამაცად.  
მეც მეციხოვნის შვილი ვარ,  
მკლავს არ შევურცხვენ მამასა!

აზაზ ერისთავი:  
ფრთხილად ჯავარავ,  
რაც არ უნდა მიყვარდე, ფრთხილად!

ჯაჰარა:  
მიფრთხილდი თვითონ!

ავაზ არისთავი:  
არ დაგინდობ!  
(წაართმევს ხმალს).

ახლა?!

არჯივანი:

(სიტყვაზე შემოუსწრებს და შემართულ ხმალს ხმლითვე ძირს დააგდებინებს).

იყუჩე, ბალო!

ავაზ არისთავი:

(შესდგება. ერთხანს სიჩუმეა, ბოლოს დაიხრება რომ ხმალი აიღოს).

არჯივანი:

რაკი დაჰკარგე,

არ გაქვს უფლება — კვლავ ხელთ გეჭიროს!

(ხმალს ფეხს დაადგამს).

ავაზ არისთავი:

ვაი, ჩემს დღეს!

(ვაებით სტოვებს მათ. ღია კარებში და სარკმლებში წითელს ცა მოჩანს და ირგვლივ მორბენალი ლანდები).

ჯავარა:

ლილეე, ბერდიავ!

ლილე:

ცოცხალი ხარ?!

ჯავარა:

ჩემი სიცოცხლე აი, ეს არი...

(ჩაიკეცება წიგნთან ერთად).

ბერდიავ:

რა მოხდა ქალო, და რას გვანიშნებ

აგრე მკენესარი...

(ციხე-დარბაზი ივსება ხალხით).

ლილე, ბერდიავ, ჯავარა და არჯივანი:

ვისი თქმა იყო, ვისი ბრძანება,

ვისი სურვილი და დაძალება!

ვისი რისხვა და ვისი დარღია,

ჩვენი კარიბჭის წინ რომ ანთია!

ვის უნდა ფერფლად აქციოს სიტყვა,

რომელიც გულის ტკივილით ითქვა?!

ხალხი:

„ვაჰ, სოფელო რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!

სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?!

მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა“.

(შორი ღრუბლების იქით ცა გაიხსნება. მოჩანს სარკმელი და მოჩანს შოთა).

შოთა:

ერთს ვდარდობ მე,

მუდამ შენზე ფიქრით გართული:

გესმის თუ არა, გესმის თუ არა,  
ჩემი ქართული —  
ჩემო სამშობლოვ, სიცოცხლე ჩემო!?

ბერდია:

ის არის, ის, ჩვენ მისი ხმის  
ღელვა როგორ არ გვახსოვდეს, —  
მოტრფიალე გულის სიმი  
არ გაწყდება არასოდეს!

არჯიშანი:

ამომავალ მზედ ვუცქერით,  
თვალი როგორ ავაცილოთ,  
არა! მისი მერნის კვალი  
არ დაჰკარგო, ავთანდილო!

ზოთა:

რაგინდ შორს ვიყო, სამშობლოვ ჩემო,  
მე შენ დაგეძებ, მე შენ გიგონებ,

ჯაშარა:

„ჰაი, ჰაი, საყვარელო ჩემო, ჩემთვის დაკარგულო,  
იმედო და სიცოცხლეო, გონებაო, სულო, გულო“,  
(შოთას სახე უფრო ნათდება და უფრო ახლოვდება).

ხალხი:

ჩვენ გავუმრთელოთ წინაპარს  
გულ-მკერდი ლახვარ-სობილი,  
დავსხდეთ და ისევ დავლოცოთ  
რუსთველის ყველა ძმობილი —  
მეფეთა მეფის თამარის  
ორივე ტურფა დობილი:  
თინათინი და ნესტანი  
ყელი-ყელს გადაჭდობილი  
ვნახოთ და ვაქოთ, მივართვათ  
ჩვენც მარგალიტი წყობილი!

მოხუცი ბილქაძე:

გესმის, შოთავ, ღელვა დედა-მდინარის?  
მუდამ შენზე ფიქრით დაუძინარის?

მაგუჯი ბილქაძე:

მისი ერთი ტალღა ჩვენი ღღეცაა...

ხალხი:

ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცაა —  
შენი წიგნი! —  
იცოცხლე და იღლეგრძელე შენი!

(დარბაზი ნათდება).



## მოკის ზომხიზვიდი

### რ ვ ა ა ს ი წ ე ლ ი

არა, არც ისე იოლია,  
რვაასი წელი მიდიოდე, —  
არ ილღებოდე,  
მაშინ, როდესაც ილღებიან  
მატარებლები, ღრუბლები, გზები...

არა, არც ისე იოლია,  
რვა საუკუნე ცოცხლობდე და არ ბერდებოდე,  
მაშინ, როდესაც ბერდებიან  
პოსტამენტები და ძეგლებად გათლილი ქვები...

არა, არც ისე იოლია,  
სულ ერთ სიმღერას გუგუნებდე რვაასი წელი, —  
და მაინც ამოდ სასმენი იყოს,  
საჭირო იყოს, როგორც ჰაერი,  
სიმღერა შენი.

არ არსებობდე და არსებობდე  
ყველგან, ყოველჟამს, ჭირშიც, ლხენაშიც,  
დღისა და ღამის მიმორხვევაში,  
კაცთა ღიმილში, საუბარში,  
განსჯაში, წვაში, —  
ვით დედაენას, გივლიდეს და თავს გევლებოდეს  
ღიდი და მცირე, ბრძენი და ბავშვი.

\*

პოეტის სულო, შორიდან გიხმობ,  
მაგრამ შენ ისე ახლოს ხარ ახლა,  
როგორც მზის სხივი და ცისკრის ტალღა,  
რომელიც მიწას აწყდება კდემით.  
პოეტის სულო, შენ ხარ მდინარე  
და ზღვისკენ მიგაქვს ოცნება ჩვენი.  
პოეტის სულო, შენ ხარ მდინარე, —



ლექსებით, როგორც ლურჯი ზვირთებით  
იცინი, ტირი, მღერი, ბრიალებ  
და ჩვენი განსჯის შუქად ინთები.

პოეტის სულო, შენ ხარ მდინარე,  
გულეზს, ვით უწყლოდ გამშრალ უფსკრულეზს,  
ავსებ სიმწვანით და ამღელვარებ  
და ყველა ნატვრას ერთად უსრულეზ.

სიკვდილ-სიცოცხლის ორი ნაპირი,  
ვით დღე და ღამე, გებრძვის და გზღუდავს,  
მაგრამ ნედლია შენი აპრილი,  
მაშვრალი ხალხი გაღმერთებს მუდამ.

შენ იყავ შუქი და ცეცხლში გწვავდნენ, —  
და უფრო მეტად ბრწყინავდი შემდგომ...  
შენ მთელი შენი სამშობლო გენდო, —  
კვალდაკვალ მოგყვა უდაბურ გზებზე  
და ახლა, როცა სავსეა ბრძნული  
ბედნიერების ბადაგით გული,  
ის, როგორც ღმერთკაცს, კოსმოსში გექებს.

\*

შენ ხარ მდინარე, პოეტის სულო,  
მდინარე — ლტოლვა, მდინარე — ზეავი,  
დრო დაგგრეხია სხეულზე სუროდ,  
დრო სიკვდილისფერ ყვავილად ჰყვავის.  
მაგრამ, ო, შენ ხარ მდინარე მშვიდი,  
დიადი სწრაფვის თავი და ბოლო, —  
და უკვდავებაც, ვით ნატვრის ჩიტი,  
შენს ლურჯ ზეცაზე დაფრინავს მხოლოდ.

შენ ხარ მდინარე, სამყაროს თვალი, —  
ყველაფერს ხედავ შინაც, გარეთაც,  
და ყოველივეს ამბობ გულადად...  
და გჯერა, გჯერა ჩვენი პლანეტა  
ისე იბრუნებს, როგორც ბრუნავდა.

შენ ხარ მდინარე — ცრემლი თვალებზე,  
გულზე მალამოდ გვესალბუნები,  
შენი რიტმების შენაკადებზე  
შენდება ჩვენი ლექსსადგურები.

შენ ხარ მდინარე, სინათლის წყარო,  
მიმწუხრის ფრთებზე ელვარე მთვარე, —  
მე შენი სიბრძნის შტოებით ხელში  
ვალეზბდი ზამთრის სასახლის კარებს.  
ზღვა სიძულვილით დანგრეულ სახლკარს  
კვლავ სიყვარულით ვაგებდი მერე,

მე აღვადგინე შენი ამბავი,  
რომელსაც ახლა ლეგენდად წერენ.

\*

ვიცი, ამღერებ, ვისაც ამ ქვეყნად  
არ უმღერია, არც ემღერება,  
პოეტის სულო, შენ ხარ მდინარე,  
დარდის გამხეღა და გახეღება.

შენ ხარ ტალღების ერთად მოკრება,  
ჯებირთა ნგრევა, ვნება მღუღარე,  
კალაპოტების მინგრევე-მონგრევა,  
ლაგა, ვულკანად ამომქუსარე.

შენ ხარ მდინარე, მეზვრე, მემინდვრე,  
შენ ხარ ლალადი ყველა დროისა.  
შენს შვილებს — მგოსნებს,  
როგორც შეგირდებს,  
ვიცი, გულდაგულ გვერდზე მოისვამ

და იქადაგებ საქვეყნო ვალზე,  
გვასწავლი, როგორ უნდა ცხოვრება,  
შენ ხარ მდინარე, პოეტის სულო,  
და სიჭაბუკის განმეორება...

შენ ხარ ტაძარი ლოცვა-კურთხევის,  
მდინარე ხმების, ძმათა ერთობის,  
ეს მთები, როგორც შენი მუხლები,  
კვლავ ებჯინება მშობლიურ მიწას, —  
შენ ხარ მდინარე გაზაფხულისა  
და შემოდგომის ყვავილებს იცავ.

\*

ჩვენი ფიქრები შენს ფსკერზე ჰყრია,  
ისე ვით ჭრელზე-ჭრელი კენჭები;  
შენ სიყვარულის მოვარდნა გქვია,  
როდესაც გულში შემოგვეჭრები.

შენ ადიდდები და აზავთდები,  
როს ადამიანს ფერი ეცვლება,  
შენ ყველა ხალხის გქვია სათქმელი,  
შენ ყველა ენის გქვია შეძლება.

შენ ხარ მალამო ყველა ჭრილობის,  
რომელიც შენს ერს დრომ დააჩინა,  
ჩვენი სამშობლო ხმალმა კი არა,  
შენმა სტრიქონმა გადაარჩინა!

\*

პოეტის სულო, შენ ხარ სიცოცხლე  
და შენს კვალდაკვალ ვისაც უვლია,

უნახავს, მართლაც შენს განვლილ გზაზე  
ცრემლია, მაგრამ სიყვარულია.

პოეტის სულო, შენ ხარ მშვიდობა  
და შენს კვალდაკვალ ვისაც უვლია,  
უნახავს, მართლაც შენს განვლილ გზაზე  
თოვლია, მაგრამ გაზაფხულია.

შენ ხარ სიცოცხლე, პოეტის სულო.  
გულზე იხუტებ დედამიწას უნაზეს ქნარად  
და თვალშეუწვდენ მერიდიანებს,  
ვით ბილიკებად დაჭიმულ სიმებს,  
დიადი რწმენის ხმებად ათრთოლებ...  
და მიაქვთ ახლა  
უკვდავების ძახილი მაღლა,  
უკიდევანო სივრცეებში მაღლა მნათობებს.

\*

შენ ხარ სიცოცხლე, პოეტის სულო,  
და გიელვარებს ლაქვარდი შუბლზე,  
მსოფლიო, როგორც საკუთარ შვილს  
ღიმილით უმზერს  
შენს საქართველოს,  
შენს სიმღერას,  
ენას, ოცნებას, —  
შენ ხარ ვენახი, მდინარე, ზეცა,  
რომელსაც მკერდზე მზე გიცოცხლდება.

\*

არა, არც ისე იოლია,  
რგასი წელი მიდიოდე,  
არ იღლებოდე,  
მაშინ როდესაც იღლებიან  
მატარებლები, ღრუბლები, გზები...

არა, არც ისე იოლია,  
რვა საუკუნე ცოცხლობდე და არ ბერდებოდე.  
მაშინ, როდესაც ბერდებიან  
ბოსტამენტები და ძეგლებად გათლილი ქვები.

არა, არც ისე იოლია,  
სულ ერთ სიმღერას გუგუნებდე  
რგასი წელი, —  
და მაინც ამოდ სასმენი იყოს,  
საჭირო იყოს, როგორც ჰაერი,  
სიმღერა შენი!



## ჰასილ გეგამი

### ქუდი, რომელიც დატოვა შოთამ

მე ვუცქერ: მხრებზე როგორ ადგას სხივი და მტვერი  
 ფრთიანი ქუდით შავ ტაიჭზე შემართულ მხედარს.  
 გამიჯნურებულ და განდგომილ რუსთაველს ვხედავ —  
 მულღანზანზარის ველზე მიდის და მღერის, მღერის.

ვარსკვლავით ნაჭედ ცისქვეშ მიდის და ნელა, ნელა  
 ეშვება ბინდი და გარბ მო ბნელდება ბოლოს  
 და სიბნელეში რუსთაველის ხმა ისმის მხოლოდ,  
 ქართლის მინდვრებს რომ გააგონა უკანასკნელად...

ბევრი არგუნე, საწუთროო, შებინდბუნდება,  
 სწორი და მრუდე ვინ აწონა უფსკრულის პირთან.  
 უძირო ზღვაა? რომ ყველაფერს იკრებს და ირთავს!  
 რამ მისცა ძალა, რვაას წელს რომ აღარ დუმდება!

თუმც არ მოაკლო სოფლის ბრუნვამ ნაღველი პწკარებს,  
 ვერ წარმოვიდგენ დაბერებულს და წელში მოხრილს...  
 დასდის ცრემლები ველად გაჭრილ ტარიელს ოხვრით,  
 სათნო უსტარი ნესტანისა გვატირებს მწარედ.

და ტირის, ტირის უცხო მოყმე წყლის პირას მჯდარი,  
 ზვირთში ნესტანი ეჩვენება ნაღველიან თვალებს.  
 ბინდი დაეცა ბოლო სხივით შეფერილ ჭალებს  
 და ბინდში შავად ჩაიხაზა ქაჯეთის კარი.

თვლემენ კოშკები და კედლები სინესტით დალბა  
 და მთებში დღემდე მიუგნები ბევრი განძია.  
 მესხეთს, ძველ მესხეთს, დანგრეულ თმოგვს, მდუმარ ვარძიას  
 ახსოვთ რაინდი და ჭაბუკი პოეტი, ალბათ.




ვარძიის კლდეზე გადადიან ღრუბლები მძიმედ  
და ლოდებს დაჰკრავთ ფერი მწუხრის და ფერი ნაცრის.  
ახლა გარშემო სიჩუმეა ცივი და მკაცრი,  
ჩამქრალ თვალივით იხედება მაღლიდან მღვიმე.

იმ სიმაღლიდან იცქირება სხვა იმედებით,  
ვინცა სთქვა სოფლის სამღურავი, კარგი თუ ცუდი.  
წვეტიან თხემზე დარჩენია რუსთაველს ქული  
და ამ ქულს დღემდე იხურავენ ქართლის ქედები.

და მხოლოდ ფიქრი, ერთი ფიქრი, ქვეყანავ ჩემო,  
გაღელვებს დღემდე და გაჰყურებ მომავალ დროთა:  
ვინ დაიხურავს ქულს, რომელიც დატოვა შოთამ  
და შეისროლა სადღაც მაღლა, მწვერვალთა ზემოთ.





## პონიგანგინე გრიგოლია

### თამარ მეფის საულაოს სიღუპლობა

სად არის დიდი თამარის საფლავი? სად განისვენებს შოთა რუსთაველის სათაყვანებელი პატრონი, მისი ზეამაღლებული შთაგონების წყარო, რომლის შესხმა, ქება-დიდება თავისი სიცოცხლის უმთავრეს მიზნად ესახებოდა? ეს კითხვა კარგა ხანია ჩვენი საზოგადოების ყურადღებას იქცევს, მით უფრო დღეს, როდესაც ქართველი ხალხი მოწინავე კაცობრიობასთან ერთად ზეიმობს თავისი გენიალური პოეტის დაბადების რვაასი წლისთავს.

თამარი დიდი სახელმწიფო მოღვაწე იყო. მან წარმატებით გააგრძელა წინაპართა საქმე და საქართველო უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია წინა აზიაში. ის იყო ხელმწიფე და მეფეთა-მეფე ქვეყნისა, რომელმაც არა მარტო თვითონ მოიშორა თურქ-სელჯუკთა ბატონობის მძიმე უღელი, არამედ რისხვად მოევლინა მათ და მეზობელ ხალხებთან (სომხები, აზერბაიჯანელები და ჩრდ. კავკასიელები) ერთად ფეხი ამოაკვეთინა თურქ-სელჯუკთა ურდოებს ამიერკავკასიიდან.

ამიტომ, ბუნებრივია, თამარი თავიდანვე იქცა შესხმა-ქების ობიექტად არა მარტო საქართველოში, არამედ შორს მის საზღვრებს გარეთაც. აი, რას ამბობს

თამარის თანამედროვე ისტორიკოსი: „რამეთუ სახლთა ზედა აკროსტიხორად თამარის შეხსმითა დასწერდეს, ბეჭედთა ზედა და დანათა და არგანთა შეამკობდეს და ზედა თამარის ქებასა დასწერდეს. და ყოველთა პირნი ერთბამად მზა იყუნეს, რათა ღირსი რამე თამარის საქებულობისა სიტყუა აღმოთქუან: ყრმანი მემროწლენი, განებასა შინა ორნატთასა, თამარის ქებათა მელექსეობდიან; ერას მყოფნი მეებნენი, გინა მეჩანგენი თამარის შესხმათა მუსიკობდიან; ფრანგნი და ბერძენნი, ზღუასა შინა მენავენი, ნიაგ-კეთილობათა შინა, თამარის ქებათა იტყობდიან, ესრეთ ყოველნი სოფელნი სავსე იყო მის მიერთთა ქებითა; და ყოველი ენა აღიდებდა, რომელსაცა ოდენ სახელი მისი ისმოიდეს“ (ბასილი ეზოს-მოდლუარი, ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი. დასაბუქდად მოამზადა ივ. ჯავახიშვილი, თბილისი, 1944, გვ. 34).

ყოველი ადამიანის უპირველესი მიზანი მისი ხოტბა-დიდება ყოფილა. არა მარტო ბეჭედზე, არამედ სახლებზეც მისი ქება იწერებოდა. თამარის ქებას საყოველთაო ხასიათი მიუღია.

გასაოცარია, მაგრამ სინამდვილეა: ეს-ოდენ სახელგანთქმული პირველი ქართ-

ველი ხელმწიფე-ქალის საფლავი დაკარგულია. საუკუნეთა წყვილიადში, ჟამთა სიავის გამო დავიწყების ფერფლმა დაფარა და დღესაც დანამდვილებით არავინ იცის თამარის საფლავის ადგილსამყოფელი.

მაგრამ ნუთუ თამარის დასაფლავების შესახებ ჩვენ სრულიად არაფერი ვიცით, ნუთუ თამარის ისტორიკოსებს, რომლებსაც ასე დაწვრილებით აღწერილი აქვთ „მეფეთამეფის“ თამარის ცხოვრება და მოღვაწეობა, არაფერი უთქვამთ მათი სათაყვანებელი პატრონის დასაფლავებაზე?

თამარის სამივე ისტორიკოსს, რომელთა თხზულებებს ჩვენს დრომდე მოუღწევია, შემოუნახავს პირდაპირი მითითება თამარის დასაფლავების ადგილზე, ხოლო ერთ-ერთ მათგანს, კერძოდ, თამარის მეორე უცნობ ისტორიკოსს მისი ავადმყოფობა-გარდაცვალებისა და დასაფლავების გარემოებანი საკმაოდ დაწვრილებით აქვს აღწერილი. ამ უკანასკნელის მიხედვით, თამარი ნაქარმაგვეს (სოფ. კარალეთი, გორის რ.) „დგომასა შინა“ გამხდარა ავად. თავდაპირველად არ უნდოდა ვინმეს შეწუხება, ამიტომ ერთხანს ითმენდა თურმე მძიმე ტკივილებს და არავის უმხელდა თავისი ავადმყოფობის ამბავს; მაგრამ შემდეგ, როგორც იტყვიან ხოლმე, „პირმა თავი არ დამალა“... ავადმყოფის მდგომარეობა გაუარესდა, იგი სასწრაფოდ თბილისის ჩამოუყვანიათ, აქედან კი დასოს წაუყვანიათ, ალბათ სამკურნალოდ. სენი კი არ ცხრებოდა, პირიქით, დღითიდღე უარესდებოდა ავადმყოფის მდგომარეობა. ამიტომ, თამარი იქედან სასწრაფოდ აგართათ ციხეში (თბილისის მახლობლად, შესაძლებელია, ტაბახმელა იყოს) გადაუყვანიათ, მაგრამ უშედეგოდ. მემატიანის სიტყვით: „უქმ იქმნა მის ზედა ყოველივე ბუნებათა გამომეძიებლობა მკურნალთა კელოვნებისა“. უნაყოფო გამომდგარა მკურნალთა ყოველივე მეცადინეობა.

დაუწყიათ ეკლესიებში ღამისთევები, ლოცვა-ვედრება. მაგრამ ამაოდ: თამარი

სასიკვდილოდ იყო განწირული. ვაჟკაცები მზად იყვნენ მკერდით გვედრებოდათ სიკვდილისათვის სასახლეში შესასვლელი კარები. „გარნა მწოდებელი კართა ზედა დგა და მბრძანებელისა წინააღდგომა შეუძლებელ იყო“, — დასძენს გულდათუთქული მემატიანე. ყველა სასოწარკვეთილებამ მოიცვა. იმავე მემატიანის სიტყვით: „დღემან იწყო მიდრეკად და მზემან დასლვად, და ჰაერმან სხუად ფერად უფერულობა. და ცისკარსა დღისასა ზედა იწყეს შემოსად ბნელთა ღრუბელთა: დაწუთა მათ ვარდოვანთა იწყეს დაჭნობად, და თუალთა მათ ტბაებრ მზისა შემცხრომელთა სიმრუმედ მიმართეს. კელთა მათ, მსახურებისაგან გლახაკთასა არაოდეს დაცხრომილთა, იწყეს მოუძღურებად, და ფერტთა მათ, მარადის ღვთისათვს მასურალთა, იწყეს შედრეკად, და ყოველნი ნიშნი ცხოვრებისანი სხვად და სხვად ფერად იხილვებოდეს“ (ბასილი ეზოსმოძღუარი, ცხობება მეფეთამეფისა თამარისი, გამოცემა ივანე ჯავახიშვილისა, გვ. 33).

თამარმა ამ უმძიმეს წუთებშიც კიდევ ერთხელ გამოიჩინა სიბრძნე და გმირობა. წამოჯდა, შემოიკრიბა ირგვლივ დიდებულები და მხნედ მიმართა მათ: „ძმანო ჩემნო და შვილნო! მე ესერა მივიწოდები მსაჯულისაგან საშინელისა... თქვენ ყოველნი თვთ მოწამე ხართ, რამეთუ თავისა ჩემისა თანა მაქუნდა სიყუარული თქვენი, და სარგებელსა და სათნოსა თქვენსა არა დავაკლე თვთოეულისაებრ არზანვისა, ვიდრემდის განგებითა ღ-თისათა ვიყავ თქვენ ზედა ძეფედ. აწ მეცა წარვალ მამათა ჩუენთა თან გზასა ჩემგან უცხოთა, ბრძანებითა საშინელითა და განყოფითა საყუარელითა. გვედრები ყოველთა, რათა მარადის კეთილსა შინა იყვნეთ მაქსენებელ ჩემდა. აჰა ესერა, მკვდრად სახლისა ჩემისა დაგიტევებ, რომელნი მომცნა ღმერთმან შვილნი ჩემნი, ვიორგი და რუსუდან. ეგენი მიიხუენით ჩემი წილ, და მაგათ აღმოგივსონ დაკლებული ჩემი“ (იქვე).

ამის შემდეგ თამარი დაწვა და დაიძი-

ნა, დაიძინა სამუდამოდ. იგი გარდაიცვალა „თთუესა იანვარსა 18 და აღესრულა მზე ქართლისა“, — იუწყება გულდამწვარი მემატიანე. გლოვის დღეები დადგა მთელ საქართველოში. ქვეყნად მწუხარებამ დაისადგურა. ყველა შავი ძაძით შეიმოსა. თამარის გარდაცვალებას არა მარტო ხალხი, არამედ ბუნებაც კი გლოვობდა, ცა შავი ღრუბლებით დახერგილიყო. ისტორიკოსის სიტყვით: „ესრეთ გვანდა, დალათუ ჩუენ თანა იგლოვს ცა და ყოველი სოფელი“.

მართალი იყო აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი, რომელიც თამარის მეორე ისტორიკოსის ამ ცნობებთან დაკავშირებით წერდა: „საკმარისია ადამიანმა გადაიკითხოს თამარ მეფის ავადმყოფობისა და სიცოცხლის უკანასკნელი წუთებისა და სიკვდილის მშვენიერი აღწერილობა, რომ ადამიანმა იქ თანამედროვის გულთხეობა და ტკივილი ცხადად იგრძნოს“. მართლაც, აქ ჩვენ წარსულში მომხდარი და ნაწილობრივ მივიწყებული ამბის აღწერელთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ მთელ ამ ამბავს მემატიანე, იმავე მეცნიერის სიტყვით: „ისეთი სიცხველითა და გრძნობიერებით მოგვითხრობს, რომ აღწერილობას თავზე ახლადამტყდარი უბედურების ძლიერი შთაბეჭდილების გავლენა ეტყობა“ (ივანე ჯავახიშვილი, ახლადამოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, 1923, გვ. 207). ძნელი საფიქრებელია, ისტორიკოსს, რომელმაც მოგვცა თამარის ავადმყოფობა-გარდაცვალების ასეთი ცხველი აღწერილობა, კარგად არ ცოდნოდა თამარის დასაფლავების ამბავიც. მისი სიტყვით: „მაშინ უკუე აღმოიყუანეს და მცირეთა შინა დღეთა მცხეთად დადგეს, და მერმე უკანასკნელ თვთ მუნვე გელათს დაამკუიდრეს თვისა შინა სამარხოსა, დიდებად მუნ შინა დამკუიდრებულთა პაპ(ა)თა და მამათა მისთა, სახელოვანთა დიდთა მეფეთა თანა“ — (ბასილი ეზოსმოძღუარი, დასახ. თხზ., გვ. 34. ხაზი ჩვენია — კ. გ.).

თამარის ნეშტი რამდენიმე დღით მცხეთაში, სვეტიცხოველში დაუსვენებულით, ალბათ, პანაშვიდების გადასახლება, ხოლო შემდეგ გელათის წაუსვენებით და იქ დაუმარხავთ ქართველ მეფეთა საძვალეში, მამა-პაპათა გვერდით.

ამასვე ადასტურებენ თამარის დანარჩენი ისტორიკოსებიც. ასე მაგალითად, „ისტორიანი და აზმანის“ ავტორის სიტყვითაც: თამარის ნეშტი „წარიყვანეს სამკვდრებელსა მათსა გელათის და დამარხეს სამარხოსა პატიოსანსა“ (ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 11, თბილისი, 1959, გვ. 113). ხოლო ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანის მიხედვით, თამარმა „მეფობასა შინა დაყო ოცდასამი წელიწადი და აღვიდა წინაშე ღმრთისა, სადა იგი მკუიდრობენ წინასწარმეტყუელნი და მამათ-მთავარნი და მეფენი, თუესა იანვარსა თორმეტსა, დღესა ორშაბათსა, აგარათა სომხითისათა, ქრონიკონსა ოცდაშუიდსა, დამარხეს ახალსა მონასტერსა გელათს (ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანე, გამოსცა ივანე ჯავახიშვილმა, თბილისი, 1927, გვ. 16). სამივე ისტორიკოსის მიერ ასე შეთანხმებულად თამარის მუდმივ განსასვენებელ ადგილად გელათის დასახლება უთუოდ იმას მოწმობს, რომ ამ შემთხვევაში ჭეშმარიტებასთან გვაქვს საქმე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამას იუწყებიან ისეთი ადამიანები, რომელნიც, უეჭველია, თავისი ფეხით მიაცილებდნენ თამარის ნეშტს სამარის კარამდე.

ისტორიკოსთა ასეთ კატეგორიულ მითითებას თამარის გელათში დასაფლავებაზე მხარს უჭერს ტრადიცია, რომლის თანახმადაც გელათი დასაბამიდანვე იქცა ქართველ მეფეთა საძვალედ ანუ სასაფლაოდ. XII საუკუნიდან მოკიდებული საქართველოს მეფეები, როგორც წესი, მხოლოდ გელათში იმარხებოდნენ. უბირველესად ყოვლისა, იქ დასაფლავებულია თვითონ გელათის ამშენებელი დავით IV, მის საფლავს უჩვენებენ ორ-



ფერდად დახურულ პატარა შენობაში, რომელიც ეზოში აწ გაუქმებულ შესასვლელთან დგას და თავის დროზე ჭიშკარიც ყოფილა. დავითის საფლავზე დღესაც დიდი ლოდი დევს, რომელზედაც იკითხება: „ქ. ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე, ამასა დავემკვიდრო მე“. გელათში დაუსაფლავებიათ აგრეთვე დავითის მემკვიდრე — დემეტრე I, ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანის სიტყვით: „დემეტრე მეფე ბელტის ციხესა მიიცივალა და გელათს წაირიყვანეს მისგანვე კურთხეულსა ახალსა მონასტერსა“. ხოლო გიორგი III, დემეტრეს შვილი (თამარის მამა) იმავე მემატიანის მიხედვით. „მიიცივალა სტაგირს კახეთისასა თუესა მარტსა ოცდა შვიდსა, სამშაბათსა ვნებისასა და დამარხეს მცხეთას ჟამის სიძნელისაგან და მასვე წელსა გელათს წაირიყვანეს“. ასევე თამარის მემკვიდრე, ლაშა-გიორგიც ვარდაცვალების შემდეგ „წაირიყვანეს მაშინვე გელათს, დამარხეს საფლავსა მამისა მისისა“. ამასვე ადასტურებს ლაშას შესახებ ჟამთააღმწერლის სახელით ცნობილი მემატიანეც. ასე რომ, ყველა ქართველი მეფე იმ პერიოდში გელათში იმარხებოდა. არავითარი გამონაკლისი ამ მხრივ ცნობილი არ არის.

უთუოდ საგულისხმო ჩანს თამარის მამის — გიორგი III დაქრძალვისას მომხდარი შემთხვევა: „ჟამის სიძნელისაგან“ იძულებული გამხდარან ის ჯერ მცხეთაში დაემარხათ, ხოლო შემდეგ მიცვალებული იქიდან ამოუღიათ და ისიც გელათს წაუსვენებიათ.

ამგვარად, ისტორიკოსების ერთხმივი მითითება თამარის გელათში დასაფლავების შესახებ, საცხებით კანონზომიერია. სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. სამწუხაროდ, დღეისათვის გელათში თამარის საფლავის ადგილმდებარეობა არავინ იცის და დაკარგულად ითვლება. თუმცა დაკარგულია არა მარტო თამარის საფლავი. ყოველ შემთხვევაში, გელათში დამარხულ ქართველ მეფეთაგან (მხედველობაში გვაქვს საქართველოს ერთიანობის ხანა — ვ. გ.) მხო-

ლოდ დავითის (აღმაშენებელი) საფლავის მითითება ხერხდება. ეს გარემოება, ცხადია, ხანგრძლივი ჟამთააღმწერით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

XIII საუკუნის ორმოციანი წლებიდან მოკიდებული საქართველო სისხლისმღვრელი შემოსევებისა და გაუთავებელი აწიოკება-აოხრების ასპარეზად იქცა. აი, რას ამბობდა დიდი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი თემურ-ლენგის შემოსევათა შესახებ: „თემურ-ლენგის შემოსევების შემდგომ საქართველო განმანადგურებელი მიწისძვრისა და ბორბალ-ქარისაგან დაზიანებულს ქვეყანას მიაგავდა. ჩვენს ერსა და სამშობლოს თავისი ხანგრძლივი არსებობის დროს ხშირად უნახავს დიდი უბედურება, მაგრამ თემურ-ლენგისაგან ჩადენილი მტარვალობის მსგავსი მას არასდროს თავს არ დასტყდომია“ (ქართველი ერის ისტორია, IV, თბილისი, 1948, გვ. 17).

თუკი ამგვარი შედეგები ჰქონდა მხოლოდ თემურის შემოსევებს, ადვილი მისახვედრია, რა დღეში უნდა ყოფილიყო საქართველო საუკუნეთა განმავლობაში, რადგან თემურ-ლენგს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში არა ერთი „წინამორბედი“ და „მიმბაძველიც“ ჰყავდა. ბუნებრივია, გაუთავებელი უბედურების (გარეშე მტერთა შემოსევები, ქვეყნის არაერთგზის აოხრება-აწიოკება და სხვ.) შედეგად საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის სიტყვით: „მრავალი მაშინ გაოხრებული სოფელი სამუდამოდ უკაცრიელი დარჩა“. ასეთ ვითარებაში, ცხადია, ვერც გელათ-ქუთაისის სექტორი გადაურჩებოდა ასეთ უბედურებას და იქაური საყდრისშვილობაც არა ერთხელ ამოწყდებოდა. ამით ისპობოდა იმ ადამიანთა წრეც, ხსენებული სავანის ყოველი კუთხე-კუნჭული და თითოეული საფლავის ზუსტი ადგილი რომ იცოდა. ასე დაიკარგა გელათში ქართველ მეფეთა საფლავები და მათ შორის თამარის საფლავიც.

მიუხედავად ამისა, საკითხავია მაინც: თუ თამარი გელათში იყო დამარხული, როგორ მოხდა, რომ მისი საფლავი ასე

პირწმინდად გაქრა? დაკვირვება გვარწმუნებს, რომ თამარის საფლავი მთლად უკვალოდ დაკარგული არ ჩანს. ზოგიერთი გადმოცემა გელათში დიდხანს, XIX საუკუნის შუაწლებამდე ყოფილა შემონახული. ამ მხრივ, უთუოდ საგულისხმოა დავით მიტროპოლიტის ერთი ცნობა, რაც მას 1843 წელს გელათში დასათვალიერებლად ჩამოსული ცნობილი რუსი მოგზაურისა და არქეოლოგის ანდრია მურავიოვისათვის მიუწოდებია.

მიტროპოლიტს გელათში სტუმრისათვის სამხრეთ-აღმოსავლეთის ეკვდერიც უჩვენებია და სხვათა შორის უთქვამს: ამ ეკვდერში ძველად ცოდნიათ ყოველწლიურად, თამარის ხსენების დღეს საფლავის ქვის ფიქალის აღება და თამარისათვის პანაშვიდის გადახდაო. ეს ძველი ჩვეულება იქ იმერეთის მეფის ალექსანდრეს დროს (1721-1751) შეუწყვეტიათო. ჩვენი დაკვირვებით, ამ ცნობაში ორი გარემოებაა განსაკუთრებით საგულისხმო. ერთი ის, რომ ძველ ტრადიციას თამარის საფლავი გელათის საყდრის სწორედ ამ ეკვდერში ეგულებოდა. სხვაგვარად ძნელი ასახსნელი იქნებოდა თამარის ხსენების დღეს (18 იანვარი, თამარის გარდაცვალების დღე იგულისხმება) ფიქალის აღება და თამარისათვის პანაშვიდის მაინცდამაინც იმ ეკვდერში გადახდა. ამ ჩვეულებას უთუოდ ისტორიული სინამდვილე ედო საფუძვლად და გელათის საყდრის შვილებს თამარის საფლავი სწორედ იქ ეგულებოდათ. ამასვე უნდა ადასტურებდეს გელათის საყდრის აღნიშნული ეკვდრის კედლის მხატვრობაც. მის კედლებზე დახატულ ფრესკათა შორის ერთ-ერთს მკვლევარნი თამარის გამოსახულებად მიიჩნევენ. შარავანდედის გასწვრივ მას XII-XIII საუკუნეთა ხელით გარკვეულად აწერია: „მეფეთამეფე“. საფიქრებელია, მარცხნივ სახელიც ეწერა, მაგრამ კედლის დაზიანების გამო დღეს აღარაფერი ეტყობა.

თვითონ ფრესკაც ისეა დაზიანებული, რომ ვერ გარკვევთ ქალია იქ დახა-

ტული თუ მამაკაცი. თუმცა სპეციალისტები მას უფრო ქალის — თამარის გამოსახულებად აღიარებენ. ამის შესახებ გეგმოდ მკვლევარნი მიუთითებენ წოდებულებაზე და აღნიშნავენ: ამგვარი წოდებულებით იმ დროს არც ერთი სხვა ქართველი მეფე, გარდა თამარისა, ცნობილი არ იყო.

თუ მკვლევართა ეს აზრი მართალია და ფრესკაზე თამარია დახატული, მაშინ ეს კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ თამარი ნამდვილად გელათში დაუსაფლავებიათ და სწორედ ამ ეკვდერში.

გარდა ამისა, დავით მიტროპოლიტის ამ ცნობასთან დაკავშირებით იხადება კითხვა: რატომ უნდა შეწყვეტილიყო გელათში ალექსანდრე იმერთა მეფის დროს თამარის ყოველწლიური მოხსენიების ტრადიცია? რა მოხდა მის დროს ისეთი, რამაც ძველი დროიდან მომდინარე საგულისხმო ჩვეულების შეწყვეტა გამოიწვია? პასუხს თვითონ ალექსანდრე მეფე იძლევა. 1729 თუ 1730 წელს მას მოკვდომია მეუღლე, დედოფალი მარიამი. ალექსანდრე მეფეს განუზრახავს მისი გელათში დასაფლავება, მაგრამ, როგორც მის მიერ გელათისათვის მირთმეული შეწირულების წიგნიდან ჩანს, გელათში „საძვალენი მეფეთანი აღვსილიყვეს“ და საამისო თავისუფალი ადგილი აღარსად ყოფილა.

მიუხედავად ამისა, იმერთა მეფეს გელათში, ერთი ყველას მიერ მივიწყებული ეკვდერი მაინც უპოვია. აი, რას გვეუბნება იგი თავის შეწირულების წიგნში: „იყვენს მუნ გელათისა კერძო მაჯუენით ეგუტერი დავიწყებული (საუბარი ისევ იმ სამხრეთ-აღმოსავლეთის ეკვდერს ეხება — კ. გ.) ქამთა ვითარებისაგან არა ვინ უწყოდა თუ ვისი საძვალე ყოფილიყო ანუ სახელსა ზედა წმიდისა შენება საყდრისა. კელ ვყავთ გაშენებად და შემკობად მისა, წილი წლით ვიგდეთ სახელსა ზედან ღ-სსა და წმიდათა მისთა ზედა, თუ რომლისა არს და აღმოვდა სახელი სიმკნისა მოსახლეესა ანდრია პირველ გამორჩეულისა და ფრიად მთნდა ესე და მოვიმოწმეთ აფხაზეთისა კათა-

ლიკოზი გრიგოლ და სხვანი მიტროპოლიტი და ეპისკოპოსნი და აღვაგებინე საკურთხეველი სახელსა ზედა ანდრია მოციქულისათა დამყარებითა კელთა მათთა და მუნ (მივიღეთ) დედოფალი კურთხეული მეუღლე ჩემი საუკუნოდ მოსახსენებლად“ (ს ა რ გ ი ს კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, 1, თბილისი, 1921, გვ. 120).

როგორც ამ საბუთიდან ჩანს, იმ დროისათვის, როდესაც ალექსანდრე იმერთა მეფე გელათში თავისუფალ ადგილს დაეძებდა საძვალედ თავისი მეუღლისათვის, ხსენებული ეკვდერი დიდი ხნის მივიწყებული ყოფილა. არავენ იცოდა, ვინ იყო იმ ეკვდერში დამარხული. არც წმინდანის ვინაობა ახსოვდა ვინმეს, ვის სახელობაზედაც ეკვდერი ყოფილა თავიდანვე აგებული. ასეთი ვითარების გამო, ცხადია, „პატრიოსანი საძვალის“ თავდავიწყებით მაძებარ ალექსანდრე მეფეს ვერაფერი შეაჯავებდა. ეკვდრის სახელობა მას წილის ყრით დაუდგენინებია. ის ანდრია პირველწოდებულის სახელობისა „გამომდგარა“ და სახელდახელოდ საკურთხეველიც აუგებინებია. ხოლო ყველას მიერ მივიწყებულ სამარეში მას, რასაკვირველია, დიდი გამოძიების გარეშე, თავისი მეუღლის — მარიამის ნეშტი ჩაუსვენებია. ამჟამად, თამარის საუკუნო განსასვენებელი ადგილი ხელმეორედ გამოუყენებით ამჯერად უკვე იმერთის დედოფლის საძვალედ. ხოლო პირველ ქართველ ხელმწიფე-ქალს, რომელსაც ხალხმა ათქმევინა სიტყვები:

თამარ დედოფალ ვიყავი  
ქებული კილის კიდეშდე...  
ზღვაში ჩაუშვი ხომალდი  
ხმელეთი ჩემსკენ მოვიგდე,  
არზრუმსა დავსდევ ბევარა,  
ისპაჰანს ხარჯი ავიღე.

სამარეშიც მყუდროება არ ელირსა და იქაც არასასურველი მოზიარე გამოუჩნდა. ამ დროიდან მოკიდებული უნდა ვივარაუდოთ, რომ გელათში შეწყდებოდა თამარის ყოველწლიური მოხსენიების ძველისძველი ტრადიცია. მაგრამ ბედის უკუღმართობამ ესეც არ აკმარა თამარის

საფლავს და ზუსტად ოცდაერთი თუ ოცდაორი წლის შემდეგ, იმავე ეკვდერში თავის საყვარელ მეუღლესთან დაუსაფლავებიათ თვითონ ალექსანდრე იმერთის მეფეც.

1919 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა (ალ. ჯავახიშვილთან ერთად) გათხარა გელათში თამარის სახელთან ტრადიციით დაკავშირებული ეკვდერი, მაგრამ მასში თამარის დასაფლავების კვალი ვერ აღმოაჩინა. ჩვენ საკმაო სიღრმეზე ჩავედით შევეულად, — უთქვამს ჩვენთან საუბარში აწ განსვენებულ მეცნიერს, — მაგრამ საფლავში ერთი მამაკაცისა და ერთი ქალის ჩონჩხის გარდა სხვა ვერაფერი ვიპოვეთო. შესაძლებელია, დასძენდა დიდი მეცნიერი, საკმაო სიღრმეში ჩასვლის შემდეგ განზე იყოს მიწა შეჭრილი და თამარის ნეშტი შედგმულიო. ოღონდ ჩვენ ასე არ გვიძებნიაო. უნდა ითქვას ისიც, რომ ამ ეკვდერში, როგორც აღნიშნავს დოც. მიხ. ალავეიძე (გაზ. „ქუთაისი“ № 94, 199), გარდა საფლავისა, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა გათხარა, კიდევ რამდენიმე საფლავი მოიპოვება, ამიტომ ძნელი სათქმელია იქ, მაშინ, ნამდვილად თამარის საფლავი გაითხარა თუ არა?

თამარის საფლავის საიდუმლოებასთან დაკავშირებით, უთუოდ საგულისხმოა ერთი ფრანგი რაინდის წერილიც, რომელიც მას 1195-1220 წლებში იერუსალიმიდან მიუწერია ბეზანსონის მთავარეპისკოპოს ამედე დეტრემლეისათვის. რაინდი წერს:

„ამბად მივიღე და საქმის სიქეშმაროტე სანდო მოციქულთაგან გავიგეთ, რომ ივერიიდან ვინმე ქრისტიანენი, გიორგენებად წოდებულნი, ურიცხვი მხედრობით და ქვეითი ჯარით ღვთის აღმაფრთოვანებელი დახმარებით ალით ფრიად აღჭურვილით, ურწმუნო წარმართთა წინააღმდეგ სწრაფად აღდგნენ, და აიღეს რა უკვე 300 ციხე და 9 დიდი ქალაქი, მაგარნი დაიპყრეს, ხოლო სუსტნი ნაცარტუტად აქციეს... მეფე მათი წარჩინებული თექვსმეტი წლისაა, ალექსანდრეს



ბადალი ძალით და სიკეთით, თუმცა არა სარწმუნოებით. ქაბუჯი ესე დედის მისის დედოფლის უძლიერესის თამარის ძვლებს თან ატარებს, რომელმაც სანამ ცოცხლობდა იერუსალიმად წასვლის აღთქმა დასდვა, და შვილსა თვისსა სთხოვა, თუ მიიცვალებოდა, რომ ძვლები მისი უფლის საფლავთან წაესვენებიათ. მან კი, დედის თხოვნათა ყურადმღებელმა და დედის აღთქმის შესრულების მსურველმა, დააპირა მისი (გვამის) წმიდა ქალაქში წამოღება წარმართთა ნებით თუ უნებლიეთ“.

ამ ორი დოკუმენტის მიხედვით (ეს წერილი და არქეოლოგიური გათხრის შედეგები) ზოგიერთი მკვლევარი (შ. ამირანაშვილი, ს. კაკაბაძე) ამტკიცებს, რომ თამარის ნეშტი გელათიდან წაღებულია იერუსალიმს და საბოლოო განსასვენებელი თამარმა სწორედ საუფლო ქალაქში — იერუსალიმში ჰპოვაო. „ამრიგად, დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ თამარ მეფის აკლდამა (იგულისხმება გელათში — კ. გ.) დიდხნის განმავლობაში ცარიელი ყოფილა... ეს ფაქტი დადასტურდა არქეოლოგიური გათხრებით. ამიტომ ჩვენ საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ფრანგი რაინდის ცნობა ლაშა გიორგის შესახებ ისტორიულ ჰუმანიტეტებს წარმოადგენს“ (შალვა ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1961, გვ. 378). თავისი მოსაზრების გასამაგრებლად მკვლევარს მოშველიებული აქვს ის ტრადიციაც, რომლის თანახმად იერუსალიმის მაცხოვრის ტაძარში დასაფლავებული ყოფილა ოთხი ევროპელი ჯვაროსანი მეფე (ბოდუენ III, ამორი, ბოდუენ IV და V). მისი აზრით, თამარის საფლავიც იერუსალიმის მთავარ მაცხოვრის საყდარში უნდა მოიძებნოს. რადგან თამარი მართლმადიდებელი იყო, მის საფლავს „ბერძნები არ მოშლიდნენ, როგორც მოშალეს კათოლიკე მეფის საფლავები“.

პროფ. შალვა ამირანაშვილისათვის „ეს გარემოება გასაგებად ხდის შოთა რუსთაველის მისწრაფებას იერუსალიმში; მისი ცხოვრების მიწურულში ჯვარის

მონასტრის სავანეში დიდი პოეტი პოელობს განსვენების ადგილს“ (შალვა ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1961, გვ. 379). ჩვენ ვიზიარებთ ფრანგი რაინდის წერილის პირველი მკვლევარისა და გამომცემლის ზურაბ ავალიშვილის მოსაზრებას და დებულება თამარის ნეშტის იერუსალიმში წაღების შესახებ სრულიად დაუსაბუთებლად მიგვაჩნია. არავითარი ანგარიშგასაწევი საბუთი ამ მოვლენის (გადასვენება) დასადასტურებლად სინამდვილეში არ მოიპოვება. ჯერ ერთი, მეორე ისტორიკოსის ცნობით, თამარის ანდერძში არავითარი მითითება ამის თაობაზე არ არსებობს; ხოლო სხვა ანდერძი თამარისა, რომელიც ასეთი მითითების შემცველი იქნებოდა, ჯერჯერობით ცნობილი არ არის. გარდა ამისა, თვითონ ფრანგი რაინდის წერილი, რასაც მკვლევარნი არსებითად ემყარებიან, არაფერს ლაპარაკობს ასეთი ოპერაციის განხორციელებაზე. იქ საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ იერუსალიმში ხმა დაირხა და კორესპონდენტმა ყუერი მოჰკრა მას: ლაშა-გიორგის, თამარის შვილს, თითქოს განეზრახოს თავისი დედის ნეშტის წაღება იერუსალიმს „წარმართთა ნებით თუ უნებლიეთ“ და მისი იქ დასაფლავება. განახორციელა თუ არა თამარის შვილმა ასეთი გადაწყვეტილება, წერილიდან არ ჩანს.

რაც შეეხება გელათში თამარის სამარის არქეოლოგიური გათხრის შედეგებს, რასაც მკვლევარნი აგრეთვე ემყარებიან, ამ შემთხვევაში სრულიად არაფერია მთქმელია. თამარის სამარე გელათის საყდრის სამხრეთ-აღმოსავლეთის ეკედერში არქეოლოგთა მიერ ჩატარებულ გათხრამდე, როგორც ცნობილია, თავდაპირველ მდგომარეობაში არ ყოფილა მოღწეული. მარტო XVIII საუკუნეში ის ორჯერ გაუხსნიათ და მასში ორი ახალი მიცვალებული ჩაუსვენებიათ... ასე რომ, არ ვიცით, სანამ სამარეს არქეოლოგთა მზრუნველი ხელი შეეხებოდა, რა ბედი ეწია თამარის ნეშტს შვიდი საუკუნის განმავლობაში.



არც რუსთაველის „სამხრეთული“ მისწრაფებანი გამოიყურებიან ხსენებულ მკვლევრებთან მიმდინამინც დასაბუთებულად. არ შეიძლება კატეგორიულად ვამტიკოთ დიდი რუსთაველის მიერ თავისი ცხოვრების მიწურულის ჯვარის სავანეში (იერუსალიმი) გატარების ამბავი. არ შეიძლება იმიტომ, რომ არავითარი ანგარიშგასაწვევი საბუთი ამის დამადასტურებელი სინამდვილეში არ მოგვეპოვება. ის გარემოება, რომ ჯვარის მონასტერში შოთა რუსთაველის პორტრეტია დახატული, ან კიდევ, იქაურ აღაპებში დიდი ქართველი მწერალიც იხსენიება, ასეთი მოსაზრების სასარგებლოდ ბევრს არაფერს ლაპარაკობს. ჯვარის მონასტერში არა ერთი ისეთი პიროვნება ყოფილა დახატული, რომელსაც არასოდეს ფეხი იერუსალიმის მიწაზე არ დაუდგამს (ლევან დადიანი, პატა წულუკიძე და სხვ.) ხოლო აღაპებზე საუბარიც კი ზედმეტია. ასე რომ, **შოთა რუსთაველის იერუსალიმში ყოფნის დადასტურებას დამატებითი მასალები ესაჭიროება.**

დაბოლოს, თამარის საფლავის არქეოლოგიური შესწავლის შედეგებზე საუბრისას არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს იმ გარემოებასაც, რომ 1919 წელს, იმავე მეცნიერებმა გელათში გათხარეს არა მარტო თამარის, არამედ დავით მეფის (აღმსვენებელი) საფლავიც, მაგრამ ვერც იმაში აღმოაჩინეს ადამიანის რაიმე კვალი. რადგან ლაპარაკი დავითის ნეშტის ამოღებასა და სხვაგან გადასვენებაზე ზედმეტია, უნდა ვიფიქროთ, რომ გელათის მიწა ეგრე სათუთად და ასე დიდხანს (7-8 საუკუნე) ვერ შეინახავდა მიკვალბულის ნეშტს. ამავე მიზეზით შეიძლება აიხსნას არქეოლოგიური გათხარების შედეგებიც თამარის ეკვდერში. როგორც ვხედავთ, ფრანგი რაინდის ზემოაღნიშნული წერილით თამარის ნეშტის იერუსალიმში გადასვენება ვერ დამტკიცდება. წერილი უთუოდ მნიშვნელოვანია იმ ხმების გასათვალისწინებლად, რაც დარჩეული ყოფილა მაშინ.

თამარის საფლავი დაკარგულია და

მისი ადგილმდებარეობა არავინ იცის. ეს გარემოება დიდ გაქანებას აძლევს ხალხის ფანტაზიას, რომელიც მოწინააღმდეგეა ლია მოუძებნოს ამ ამბავს სათანადო ახსნა-განმარტება და უპასუხოს კითხვაზე: რატომ, რა მიზეზით არის თამარის საფლავი დაკარგული? ყველა თქმულებას, რომელიც კი თამარის დასაფლავებას ეხება და ხალხის ფანტაზიას შეუქმნია, ახასიათებს ორი ნიშანი: ა) თამარი საიდუმლოდ დაკრძალეს, რათა არავის ქვეყანაზე არ გაეგო და არ ცოდნოდა საფლავის ადგილმდებარეობა და ბ) თამარის საიდუმლო დამარხვის საჭიროება შეპირობებული ჩანს თურქების სულთანის (ხონთქარი, ამირა, ფაშა და სხვ.) საშინელი მუქარით: თუ სიცოცხლეში ვერაფერი დავაკელი თამარს, სულ ერთია. სიკვდილის შემდეგ მაინც ჩავიგდებ ხელში და უთუოდ შურს ვიძიებ მასზეო.

თურქ-ოსმალთა მბრძანებლის გაბოროტების მოტივი თქმულებებში არსებითად ორნაირად არის განმარტებული. ერთის მიხედვით, მიზეზი სახელმწიფოებრივი ხასიათისა ჩანს. რადგან თამარი თავის სიცოცხლეში ენერგიულად ებრძოდა თურქებს და უღმობლად ერეკებოდა მათ ურდოებს ამიერ-კავკასიიდან (მარტო შამქორისა და ბასიანის ომები რად ღირს!), რადგან თურქთა სულთანი ვერაფერს აკლებდა თამარს სიცოცხლეში, სხვაგვარად ვერ უმკლავდებოდა ქართველებს და წინააღმდეგობას ვერ უწევდა მათ, სიკვდილის შემდეგ მასზე სასტიკი შურისძიებით იმუქრებოდა. რასაკვირველია, ამ მუქარის განხორციელება სულთანს (ხონთქარს) საქართველოში შემოსევითა და სამხედრო გამარჯვების წყალობით შეეძლო, რისი იმედიც მას, თამარის სიკვდილის შემდეგ, განსაკუთრებით უძლიერდებოდა. ოსმალთა მბრძანებელს სიკვდილის შემდეგ თამარის დასჯა სწყუროდა. მით უფრო, რომ მსოფლიო ისტორიაში ცნობილია არა ერთი მაგალითი სიკვდილის შემდეგ დიდ სახელმწიფო მოღვაწეთა გასამართლებისა და დასჯისაც კი გამარჯვებულთა მიერ.

მეორე ვარიანტის მიხედვით კი, მაჰმადიან მბრძანებელთა გაბოროტება რომანტიკულ ნიადაგზე აღმოცენებული. როგორც ცნობილია, თამარის თვალშეუღდამი სილამაზით მრავალი ვინმე: სულთანი თუ ქვეყნის სხვა მბრძანებელი იყო მოხიზლული და გონებადაკარგულიც. საქმარისია დავსახელოთ მუტაფრადინი, არზრუმის ანუ კარუნ-ქალაქის ამირას სალდუხის შვილიშვილი, რომელმაც მიატოვა თავისი მშობლები, სამშობლო ქვეყანა, რჯულიც კი, დიდი ამალითა და უთვალავი ძღვენით ჩამოვიდა საქართველოში თამარის ხელის სათხოვნელად. იგი დიდი პატივისცემით მიიღეს, მაგრამ თამარის ღირსად მაინც არავინ სცნო. საბოლოოდ, მას ქართველთა მეფის (ალბათ გიორგი III) რომელიდაც უკანონო ასული შერთეს და დიდი საჩუქრებით გაისტუმრეს უკან. კიდევ უფრო სამწუხაროდ დამთავრდა ოვსთა მეფის ორი უფლისწულის საქართველოში ჩამოსვლა თამარის ხელის სათხოვნელად. გაწილებულნი უკან რომ ბრუნდებოდნენ, ერთ-ერთმა მათგანმა ვერ აიტანა მწუხარება და ნიჭოზს მიღწეული გარდაიცვალა; იგი იქვე დასაფლავეს.

წერილობითი მასალებით ირკვევა, რომ ერთ დროს მოჩვენებით სიყვარულს ამჟღავნებდა თურმე თამარის მიმართ რუმის სულთანი რუქნადინიც. თამარის მეორე ისტორიკოსის სიტყვით: „ესე რა ელმოდა საბერძნეთის სულთანსა, ჩარასლანის ძესა, ნუქარდინს... ესე იჩემებდა ზაკვთ სიყუარულსა, და გზავნიდა მოციქულთა მშვიდობისათჳს მრავალ-ჟამ, და ძღუენთა შეუნიერთა მრავალთა, ეგრეთვე თამარ ყოფდა, ნაცვალსახედ მოციქულთა წარავლენდა ძღუენითა“ (ბ ა ს ი ლ ი ე ზ ო ს მ ო ძ ლ უ ა რ ი, ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი, გვ. 25).

ხალხურ თქმულებებში ხშირად თამარის საიდუმლო დაკრძალვა მისივე ანდერძის თანახმად მოხდა. ერთგან ამის თაობაზე ნათქვამია:

„ანდერძი ნახეს მეფისა  
თამარის დატოვებული,

ჰქმენითო სამნი კუბონი  
თვალ-ოქროთ გამშვენებული.  
ერთი დამარხეთ მცხეთასა,<sup>1</sup>  
ერთი ვარძიას დებული,  
მე დამმარხეთო გელათში  
არ მყონ თათართა ვნებული“.

(მ. გ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, თამარ მეფე, თბილისი, 1917, გვ. 108).

მართლაც, განსაცვიფრებელია სიფრთხილის ის ზომები, რომლებიც თურმე ქართველებს მიუღიათ თამარის საიდუმლო დაკრძალვის დროს. ერთი თქმულების თანახმად, თამარი სიკვდილის შემდეგ წაუსვენებიათ გელათს. ხოლო იქ, გელათში, დაუმზადებიათ თორმეტი კუბო, სრულიად ერთნაირი, რომ გამორჩევა შეუძლებელი ყოფილიყო. ერთ-ერთ მათგანში ჩაუსვენებიათ თამარი და თორმეტივე კუბო ერთდროულად დაუგზავნიათ საქართველოს სხვადასხვა მხარეში. ადგილზე მისვლისთანავე სასწრაფოდ ჩაუმარხავთ ისინი მიწაში და ასე მოუსპიათ თამარის დასაფლავების კვალიც. ამ ნიადაგზე ჩანს აღმოცენებული საქართველოს სხვადასხვა თემის პრეტენზია თამარის საფლავზე. თითოეული ამბობდა: არა ჩვენთან არის დასაფლავებული და არა ჩვენთანო. ჯავახეთში — ვარძია, სვანეთში — უშგული და სხვ.

სხვაგან კიდევ ეს ამბავი სხვაგვარად არის გადმოცემული. როგორც კი გარდაიცვალა თამარი, მის დასაფლავებაზე ატყდა თურმე დიდი დავა. არავის „არ უნდა ცოდნოდა სად არის დასაფლავებული, გარდა თავის ოჯახისა... გაუკეთებიათ ექვსი სასახლე, ექვსივე ერთნაირი, ოქროებში გაკეთებული, უბრალო კი არა. ვერ გაარჩევდა ერთმანეთისაგან ვერაფერი ადამიანი. ხოლო მოუთხოვიათ თითო ოჯახიდან ოთხი ძმა. ამ ოთხ ძმას წაეყვანათ უნდა ეს თამარი. რომ დასაფლავებდნენ იმას, მათი დაბრუნება იქიდან აღარ შეიძლებოდა. საიდუმლოება არ უნდა წასულიყო. ის ოთხი ძმა იქ უნდა დარჩენილიყო. მათი წამოსვლა არ შეიძლებოდა“ (ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, I, ტექსტების მომზადება, რედაქცია, შესავალი და

შენიშვნები ქსენია სიხარულიძისა. თბილისი, 1961, გვ. 99).

თუ ამ შემთხვევაში მესაფლავენი იმ ქვეყანაში რჩებიან, რომელშიც კუბო მიიტანეს და უკან აღარ ბრუნდებიან, სხვა თქმულების თანახმად ისინი (შენაძლებელია, ოთხნი კი არა, სამნი) წინასწარ დადებული პირობის თანახმად იხოცებიან თამარის სამარის გაჭრისა და დასაფლავებისთანავე. თამარის საფლავის საიდუმლოების შენახვის მიზნით ხალხურ ფანტაზიას ისიც კი შეუთხზავს, თითქოს მდ. რიონის ფსკერზე საფლავი გაჭრეს და თამარი იქ დასაფლავეს. ასეთ ღონისძიებათა წყალობით მტერს კვალი დაეკარგა თამარის საფლავისა და ვერ ეღიროს მის ხელყოფას. ძალიან საგულისხმოა ერთი თქმულება, რომელიც იუწყება შემდეგს: ოსმალოს დიდი ფაშა დამუქრებია თამარს და უთქვამს „თუ ცოცხალი ვერ გიხილე, სიკვდილის შემდეგ უთუოდ ამოვიღებ სამარიდან შენს გვამს და დავატყვევებო. თამარ მეფე ჩაფიქრდა, ვაითუ მიცვალების შემდეგ ჩემი გვამი ამ ურჯულოს მართლა ხელში ჩაუვარდესო. ბევრი ფიქრის შემდეგ შეუდგა ვარძიის მონასტრის აშენებას. მონასტერი რომ დაასრულა, გაათლევინა სამი ბოძი და უბრძანა მხლებლებს: როდესაც ჩემი აღსასრულის დღე მოვიდეს და გარდავიცვალო, ამ მონასტერში მიწის პირად დამასაფლავეთ და ეს სამი ბოძი ამ მონასტერს მაშინ შეუდგიოთ.

... ფაშამ გაიგო თუ არა თამარ მეფის გარდაცვალება, მაშინვე დიდძალი ჯარით შემოესია საქართველოს და პირდაპირ ვარძიის მონასტერს მიადგა, დიბარა მაშინვე კარისკაცები და ჰკითხა: „სად ასაფლავია თამარ მეფეო?“ ერთი კარისკაცი ფაშას გამოუტყდა. შევიდა ფაშა მონასტერში, ნახა სამი ბოძი და შედგა: არ იცოდა, რომელი ბოძისთვის მოეკიდნა ხელი, რომელი ბოძი გადმოეჭვია და ამოეღო სამარიდან თამარის გვამი. ბევრი ფიქრის შემდეგ ფაშა პირველ ბოძს მიადგა და დაუწყო ნგრევა. ბოძმა ხმა ამოიღო და ფაშას უთხრა: მიტყუილად მანგრევე. აგე ამ მეორე ბო-

ძის ქვეშ არის თამარი დასაფლავებულიო! მივიდა ფაშა მეორე ბოძთან. იმას დაუწყო ნგრევა, მაგრამ იმანაც უთხრა და მესამე ბოძზე მიუთითა. ფაშა მესამე ბოძს მივარდა, მაგრამ იმანაც ხმა ამოიღო და იგივე უთხრა. გაუკვირდა ფაშას და სთქვა: „ცოცხალიც დიდებული და ძლიერი იყავ და მიცვალებულიც არა ჰყარგავ შენს დიდებასა და ძლიერებასო“. ამის შემდეგ, ფაშამ ღმერთს თაყვანი სცა და მონასტრიდან გარეთ გამოვიდა (ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, I, გვ. 100-101).

არც ერთი ეს თქმულება, არამც თუ თამარის ეპოქას, არც მომდევნო ხანას განეკუთვნება. ისინი, უკლებლივ, იმ დროით თარიღდებიან, როდესაც საქართველო პოლიტიკურად დაშლილი და დასუსტებული იყო, როდესაც იგი თურქ-ოსმალოებისა და ყიზილბაშური ირანის გამუდმებულ შემოსევათა ასპარეზად იყო ქცეული. ამას კი ადგილი ჰქონდა XVI საუკუნის დამდეგიდან. აბა, რომელი სულთანის გაბედავდა თამარის გარდაცვალების მომენტისათვის ეთქვა: თუ სიცოცხლეში თამარს ვერაფერი დავაკელი, მიცვალებულს მიინც ჩავიგდებ ხელში და მასზე სასტიკად შურს ვიძიებო. თამარი თუ გარდაიცვალა, საქართველო მაგრად იდგა ფეხზე. რომელ სულთანს მოუშვებდნენ ქართველები თამარის საფლავთან, როდესაც ისინი (მტრები) საქართველოს საზღვრების ახლოს გამოჩენასაც კი ველარ ბედავდნენ. შამქორის ომში, ბასიანის მინდორზე და არაერთგან სხვაგანაც, ქართველებმა დიდხანს დასამახსოვრებელი დამარცხებანი აგემეს წინააზიის მაჰმადიანურ სახელმწიფოთა სამხედრო კოალიციებს. ასე მალე რა დავიწყებდა რუქნადინს ბასიანის ველზე მიღებულ გაკვეთილს? განა რუქნადინი გაქცევით არ გადაურჩა ქართველთა ტყვეობას? განა მისი მოკავშირენი ერზინკელი და სხვანი მეგობარნი „ნალის ფასად“ არ დაიციდნენ თბილისის ბაზარზე? ყველაფერი ეს მათთვის იმდენად მწარე გაკვეთილი იყო, რომლის განმეორებას არ მოისურვებდა



მაშინ არც ერთი ჭკუაზე მყოფი სულ-  
თანი. ასე რომ, თამარის საფლავის 'მეუ-  
რაცხოფის საშიშროება არამც თუ თა-  
მარის გარდაცვალების მომენტისათვის,  
არამედ კარგა ხანს მის შემდეგაც არ შე-  
იძლებოდა რეალური ყოფილიყო. ასე-  
თი რამ გამორიცხულია. მაგრამ თუ ხალ-  
ხური ფანტაზია ასეთ საფრთხეს თამა-  
რის გარდაცვალების უმალვე ხედავს, ეს  
არის გვიანდელი ამბების ადრინდელ ხა-  
ნაში გადატანის ნაცნობი ტენდენცია,  
ფაქტობრივად გელათში თამარის საფ-  
ლავის მივიწყება-დაკარგვით გამოწვე-  
ული.

ეს არის ყველაფერი, რაც მეცნიერე-  
ბას თამარის საფლავის საიდუმლოებას-  
თან დაკავშირებით დღეისათვის გააჩ-  
ნია. ამ მასალებზე დაკვირვება და მათი  
ანალიზი იძლევა საკმაო საფუძველს სა-  
ბოლოოდ ითქვას:

**თამარის მემკვიდრე — ისტორიკოსების  
ერთხმად ნათქვამი მითითება თამარის**

გელათში დაკრძალვის შესახებ სათანადო  
სიზუსტით ასახავს ისტორიკოსების  
ნამდვილეს. ეს არის არა მარტო თამა-  
რის ისტორიკოსების პირადი აზრი, მათ  
მიერ ინდივიდუალურად მოპოვებული  
ცოდნა-შთაბეჭდილება, არამედ საერთო-  
სახალხო დაკვირვება, ცოდნა-დაკვირ-  
ვება მთელი საზოგადოებისა, რომლის  
თანადასწრებით და უშუალო მონაწი-  
ლეობით თამარის ნეშტი საბოლოოდ  
იქნა ჩაშვებული სამარეში. ამგვარად,  
თამარი გელათშია დამარხული. მისი სა-  
ფლავი სწორედ იქ არის საქმობარი და  
არსად სხვაგან.\*

\* მიმდინარე წელს გავით „ქუთაისში“ (№ 26  
94, 132) დაიბეჭდა დოკუმენტი მიხეილ ალავეძის  
ორი წერილი ამ საკითხთან დაკავშირებით.

ჩვენი დაკვირვებით, დოკ. მ. ალავეძის ორკე  
მითითებული ნაშრომი დაწერილია საქმის სა-  
ფუძვლიანი ცოდნით და არსებითად მართებუ-  
ლად აშუქებენ ამ პრობლემას.





## რომე მუხრანელი

### ეპოქა დიდი რუსთაველისა

მეთორმეტე საუკუნის დასასრული და მეცამეტე საუკუნის დასაწყისი აღინიშნა საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის გაძლიერებით, კულტურისა და ეკონომიკის ახალი, მძლავრი აღმავლობით. სწორედ ამ ეპოქაში უმღერა შოთა რუსთაველმა მშვენიერებასა და კაცთმოყვარეობას, ვაჟკაცობასა და მამაცობას. ქალის გამეფება განვითარებულ ფეოდალურ სახელმწიფოში და ფეოდალური სინამდვილისათვის ამ უჩვეულო აქტის იდეოლოგიური გამართლება იმ დროს პროგრესულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

ქალის გამეფების პრობლემა, რომელიც შუა საუკუნეების საქართველომ წარმატებით გადაჭრა, ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო.

თუცა ქალია, ხელმწიფედ,  
მართ ღმრთისა დანაბალია,  
არ გათნვეთ იცის მეფობა,  
უთქვენოდ გვიოქვამს კვლა დია,  
შუქთა მისთაებრ საქმეცა  
მისი მზებრ განაცხადია,  
ლევკი ლომისა სწორია,  
ძუ იყოს თუნდა ხვადია.

რუსთაველის ეს სიტყვები გადაჭრიან.

მიუთითებენ ქალის გამეფების კანონზომიერებაზე.

რუსთაველის ეპოქა აღსავსეა მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენით. ქვეყნის როგორც ტერიტორიული, ისე ეკონომიური და პოლიტიკური სიძლიერე შენარჩუნებულ იქნა მომხდურ მტრებთან ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლითა და საქართველოს სამეფო კარის მიერ გატარებული წინდახედული, მრავალმხრივი ქმედითი ღონისძიებების შედეგად.

რუსთაველის ეპოქის შესწავლას ძველთაგანვე ყურადღებით ეკიდებოდნენ ქართველი ისტორიკოსები. XI-XIII საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ცალკეული საკითხების შესწავლაში თავისი დიდი სიტყვა თქვეს გამოჩენილმა ისტორიკოსებმა: ივანე ჯავახიშვილმა, სარგის კაკაბაძემ, სიმონ ჯანაშიამ, ნიკო ბერძენიშვილმა და სხვ.

ამჟამად ძალზე მცირე რაოდენობით მოგვეპოვება საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ პერიოდის ამსახველი პოპულარული ნაშრომები, რაც, ჩვენი აზრით, საგამომცემლო მუშაობის ნაკლად უნდა

ჩაითვალოს. მით უფრო სასიამოვნოა, რომ სულ ახლახან ქართველმა მკითხველმა მიიღო ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის მარიამ ლორთქიფანიძის წიგნი „რუსთაველის ეპოქა“ (გამომცემლობა „ნაკადული“).

მარიამ ლორთქიფანიძის ნაშრომში გათვალისწინებულია აღნიშნული პრობლემის კვლევის საქმეში თანამედროვე ისტორიოგრაფიის მიღწევები. ავტორი ამავე დროს გამოთქვამს ორიგინალურ მოსაზრებებს ზოგიერთ საგულისხმო მოვლენაზე.

„რუსთაველის ეპოქა“ ოთხი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: პოლიტიკური ისტორიის ზოგადი მიმოხილვა; ეკონომიური განვითარება და სოციალური სტრუქტურა; სახელმწიფო წყობილება; კულტურა.

პოლიტიკური ისტორიის თვალსაზრისით რუსთაველის ეპოქა (ფეიქრობთ. რუსთაველის ეპოქის XI-XII საუკუნეებით შემოფარგვლა სავსებით მართებულია) საქართველოს ისტორიის მეტად საინტერესო მონაკვეთია. X საუკუნის ოთხმოციან წლებში გაერთიანდა დასავლეთი საქართველო (ეგრის — აფხაზეთის სამეფო) და სამხრეთ საქართველოს (ქართველთა სამეფო) დიდი ნაწილი, რითაც საფუძველი ჩაეყარა ერთიან საქართველოს. ახლად გაერთიანებული ქვეყნის ძირითად ამოცანას ურჩი ფეოდალების ალაგმვა და დანარჩენი ქართული მიწების შემოერთება წარმოადგენდა.

ქვეყნის ცენტრალიზაციის მოწინააღმდეგე დიდგვაროვან აზნაურთა შორის პირველობდა კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში. საქართველოს გაძლიერების მოწინააღმდეგეებს აქტიურად უჭერდა მხარს ბიზანტიის იმპერია.

XI საუკუნის 50-იან წლებში, ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ძალების დახმარებითა და მხარდაჭერით საქართველოს მეფემ ბაგრატ მეოთხემ მძიმე ბრძოლაში დაამარცხა ლიპარიტ ბაღვაში და აიძულა ბერად შემდგარიყო.

დღის წესრიგში დადგა კახეთ-ჰერეთისა და თბილისის საამიროს შემოერთების

საკითხი. ბაგრატ მეოთხემ მოახერხა კახეთის მიერთება. თბილისისათვის ბრძოლივი ბრძოლის შემდეგ ქალაქმა მთლიანად რამ თავი საქართველოს მეფის ყმადნაფიცად ცნო.

ამრიგად, ერთიანმა საქართველომ ბიზანტიასთან ბრძოლაში გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, ალაგმა ლიპარიტ ბაღვაშის თვითნებური პარპაში, შემოიერთა კახეთ-ჰერეთი და დახარკა თბილისის საამირო. ყოველივე ეს საქართველოს მესვეურებს მომავალი გამარჯვებების საწინდრად ესახებოდათ.

მარიამ ლორთქიფანიძე საგანგებოდ ამახვილებს მკითხველის ყურადღებას ერთ ფაქტზე: სწორედ იმ დროს, როცა ბრძოლა საქართველოს გაერთიანების მომხრეთა სასარგებლოდ უნდა დამთავრებულყო, ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ვითარება საგრძნობლად შეიცვალა. საქართველოს ახალი მტერი მოევლინა თურქ-სელჩუკების სახით, რომელთაც ჯერ ცენტრალური აზიის ტრამალებიდან, ხოლო შემდეგ შუა აზიიდან დაიწყეს გადმოსახლება.

საქართველოზე თავდასხმები თურქ-სელჩუკებმა XI საუკუნის 60-იან წლებში დაიწყეს. მდგომარეობა ძალზე გართულდა ამ საუკუნის 70-იან წლებში, როცა თურქ-სელჩუკები თანდათან შემოიჭრნენ საქართველოში და დასახლდნენ ჩვენს მიწა-წყალზე. საქართველოს მეფის მოწინააღმდეგე დიდგვარიანი აზნაურები უკავშირდებოდნენ თურქებს და ამ ძნელბედობის უამს აწყობდნენ შეთქმულებებს. საქართველო თანდათან ჰკარგავდა დიდი ბრძოლებით შემოერთებულ მიწებს.

საკირო იყო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად ძალების მოკრება, რისი უნარიც მეფე გიორგი მეორეს აშკარად არ გააჩნდა, ამიტომ სამეფო კარის თავკაცების ჩაგონებით მან ძალაუფლება გადასცა თავის 16 წლის შვილს დავითს. „რუსთაველის ეპოქაში“ მართებულად არის ხაზგასმული დავით აღმაშენებლის დიდი როლი ქვეყნის თურქი დამპყრობლებისაგან განთავისუფლებაში.

დავით აღმაშენებლის პირველი დონისძიებები მიმართული იყო სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისაკენ. სამეფო კარმა თავისი პოლიტიკური კურსი მტკიცედ წარმართა როგორც მოძალადე თურქების, ისე მეფის უკმაყოფილო ღიდგვარიანი აზნაურების წინააღმდეგ. დავით აღმაშენებელმა კლდეკარის საერისთავო საბოლოოდ გააუქმა და თავის ერთიან სამფლობელოს შეუერთა. მართალია, დავით აღმაშენებელი ყოველთვის მარჯვედ უმკლავდებოდა ურჩ ფეოდალებს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საქართველოს მეფე შინაგანი მშვიდობის დაცვას დაძაბული ბრძოლით ახერხებდა. დავითი აგრეთვე დიდ აღმშენებლობით საქმიანობას ეწეოდა, რამაც თავისი ნაყოფი გამოიღო: „მოეშენა ქვეყანა ქართლისა, გაძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი. და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა; და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს“ (ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 326).

როგორც ყოველ ფეოდალურ სახელმწიფოში, საქართველოშიაც ეკლესია თავისი მრავალრიცხოვანი მონასტრებით მნიშვნელოვან საზოგადოებრივსა და ეკონომიურ ფაქტორს წარმოადგენდა. XII საუკუნის საქართველოს ეკლესიაში წოდებრიობა იყო გაბატონებული. მაღალ საეკლესიო თანამდებობებზე მხოლოდ ღიდგვარიანებს ნიშნავდნენ. რაკი ღირსებას ყურადღება არ ექცეოდა, სასულიერო თანამდებობებზე, ბუნებრივია, არაკეთილსინდისიერი, შემთხვევითი პირები ხვდებოდნენ.

საქართველოს სამეფო კარს დასახული ჰქონდა ამოცანა ცენტრალიზებული სახელმწიფოს გაძლიერებისა და განმტკიცების მიზნით შებრძოლებოდა რეაქციულ სასულიერო არისტოკრატისა. სამეფო კარმა წარმატებით გადაჭრა ეს საკითხი: ჯერ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებებით, ხოლო შემდეგ ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობის დაწესებით საბოლოოდ დაუმორჩილა ეკლესია სახელმწიფოს და

ლახვარი ჩასცა ეკლესიის თავგასულ მკვეურებს.

დავით აღმაშენებელმა გაატარა მნიშვნელოვანი სამხედრო რეფორმა. ლაშქარში დამყარდა მკაცრი დისციპლინა. ჯარის მოქმედების სისწრაფისათვის გამრავლებულ იქნა მხედრობა, ცხენოსანი რაზმები, გატარდა სტრატეგიული და ტაქტიკური სიახლენი. ყვიჩაყთა გადმოსახლების შედეგად შეიქმნა კარგად გაწვრთნილი შეიარაღებული მხედრობა. ყოველივე ამან საშუალება მისცა საქართველოს აქტიური საგარეო პოლიტიკა ეწარმოებინა.

საქართველოს წარმატებები საფრთხეს უქმნიდა თურქ-სელჩუკთა ბატონობას ამიერკავკასიაში. მომხედურები ზედიზედ ჰკარგავდნენ თავიანთ სამხედრო კომუნიკაციებს და სავაჭრო ცენტრებს. შეშინებულმა თურქ-სელჩუკთა სულთანმა მახლობელი აღმოსავლეთის მაჰმადიან მბრძანებლებს სთხოვა დახმარება ურწმუნო ქრისტიანებისაგან მართლმორწმუნე მუსულმანების გასათავისუფლებლად.

ღიდგორის ბრძოლა, რომელიც 1121 წლის აგვისტოში მოხდა მაჰმადიანური ქვეყნების კოალიციური ლაშქრის წინააღმდეგ, ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა. 1122 წელს დავით აღმაშენებელმა თბილისი აიღო და შემოიერთა.

ქართველმა ხალხმა გაიმარჯვა მოკთაბარე თურქებთან ბრძოლაში. მისივე მოთავეობით გათავისუფლდა შარვანისა და სომხეთის დიდი ნაწილი. ქართველ ხალხი მოძმე სომხეთისა და რან-შარვანის ხალხებთან ერთად იბრძოდა შემოსეული თურქების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინდა და საქართველოს გარშემო გაერთიანდა თითქმის მთელი კავკასია.

თურქების ბრძოლა შარვანისა და სომხეთისათვის დავით აღმაშენებლის მემკვიდრეების დროსაც გრძელდებოდა.

მარიამ ლორთქიფანიძე, ბუნებრივია, დაწვრილებით ჩერდება თამარის მეფობაზე (1184-1213), რომლის დროსაც განსაკუთრებით გაითქვა სახელი ქართულ-



მა იარაღმა. ქართველთა სამხედრო უპირატესობა მთელს აღმოსავლეთში აშკარა გახდა შამქორთან (1195 წ.) ძლევა-მოსილი გამარჯვების შემდეგ. შამქორის ომის შემდეგ ქართველებმა დალაშქრეს სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ქვეყნები. მეზობელი თურქი მფლობელები ხარკს იხდიდნენ. სამხედრო სიძლიერის შემდგომ ზრდაზე მიუთითებდა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე ტრაპიზონის საკეისროს შექმნა, რომელიც ფაქტიურად საქართველოს შემდგომი ლაშქრობების პლაცდარმად იქცა.

ქართველმა ხალხმა ბასიანთან ბრძოლით გამარჯვების ახალი ფურცელი ჩაწერა თავისი საბრძოლო დიდების მატრიცაში.

„რუსთაველის ეპოქაში“ მითითებულია დიდგორის, შამქორისა და ბასიანის ბრძოლების ეტაპურ მნიშვნელობაზე საქართველოს ისტორიაში.

შამქორისა და ბასიანის ომებში ქართველებმა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თურქთა დიდი გაერთიანებული ლაშქარი დაამარცხეს. ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ჩრდილოეთ კავკასიიდან სომხეთის სამხრეთ საზღვრამდე გადაჭიმული საქართველო, რომლის გარშემო მთელი კავკასიის ცივილიზებული სამყარო იყო შემოკრებილი, მნიშვნელოვან ძალად იქცა მთელ აღმოსავლეთში. თურქებისაგან შევიწროებული ჯვაროსნები დახმარებისათვის მას მიმართავდნენ.

XII-XIII საუკუნეების საქართველოში სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ხალხი ცხოვრობდა. სახელმწიფო საგანგებო ღონისძიებებით იცავდა სხვა სარწმუნოების აღმსაარებელთა ხელშეუხებლობასა და უფლებებს საქართველოში.

მარიამ ლორთქიფანიძე მიმოიხილავს XII-XIII სს. საქართველოს შინაგანი ურთიერთობის საკითხებს, საინტერესოდ მოგვითხრობს 1177 წლის აჯანყებაზე (ვიორგი მესამის დროს), რომელიც აშკარა სოციალურ ხასიათს ატარებდა;

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი დათმობილი ყუთლუ-არსლანის დინასტიის გამოსვლასაც.

თუ მანამდე დიდებულ ფეოდალთა მოთხოვნები ცალკეულ კონკრეტულ საკითხებს ეხებოდა და მხოლოდ მათი უფლებების გაზრდას ისახავდა მიზნად, ყუთლუ-არსლანის დასმა წამოაყენა ჩამოყალიბებული პოლიტიკური პროგრამა. ყუთლუ-არსლანი მოითხოვდა ისანში, მეფის სასახლის გვერდით, აეგოთ საგანგებო „კარავი“, სადაც განიხილავდნენ სახელმწიფო მნიშვნელობის ყველა საკითხს, კერძოდ, აღასრულებდნენ მართლმსაჯულებას, გადაწყვეტდნენ მაღალ სამხელეო თანამდებობებზე დანიშვნისა და გადაყენების საკითხებს და სხვ.

სამეფო კარმა სწორად შეაფასა ყუთლუ-არსლანის მოთხოვნილებათა მნიშვნელობა. თავის უახლოეს პირებთან მოთათბირების შემდეგ თამარ მეფემ გაკადნიერებული მეჭურჭლეუთუხუცესის შეპყრობა ბრძანა. ყუთლუ-არსლანის შეპყრობამ მისი მომხრეების აღშფოთება გამოიწვია: „თანაშეფიცულთა და თანაშემწეთა... შეიყარნეს და... დაადგინეს ახალი სიმტიციე ყუთლუ-არსლანის გაშუებულობისა და, არა მიშუების ვნებად მისსა მეტყუელნი განემზადნეს ისანისაცა შემობმად“.

ეს იყო სამეფო ხელისუფლების კრიტიკული მომენტი. საჭირო იყო ოპოზიციონერთა მოძრაობის მეთაურის დაპატიმრებით გამოწვეული მერყეობის გამოყენება, მით უმეტეს, რომ ამ უკანასკნელთა ერთიანობა მტკიცე არ იყო. სამეფო კარმა დიპლომატიური ნაბიჯი გადადგა: ყუთლუ-არსლანის მომხრეთა დასთან მოლაპარაკება გამართა. თამარ მეფემ მოწინააღმდეგეთა ბანაკს ორი მეტად საპატიო მანდილოსანი: დიდგვარიანი აზნაურის რატი ერისთავთ-ერისთავის დედა ხოშაქ ცოქალი და ასევე დიდგვარიანი აზნაურ სამძივართა დედა კრავაი ჯაყელი მიუგზავნა. მოლაპარაკება ორივე მხარის შეთანხმებით დამთავრდა. მანდილოსნებმა მოახერხეს აჯანყებუ-



ლებთან მოთათბირება. შეთანხმების თანახმად ყუთლუ-არსლანი არ დაუსჯიათ. თუმცა ცალკე კარვის გამოყოფის იდეა უარყოფილ იქნა. მეორე მხრივ, სახელმწიფო საკითხების ერთპიროვნულად გადაწყვეტის უფლება მეფესაც ერთმეოდა ამიერიდან მეფე ყველა მნიშვნელოვან სახელმწიფო საკითხს მხოლოდ დიდებულთა „თანადგომობითა და ერთნებაობით“ გადაწყვეტდა. ეს, რა თქმა უნდა, მეფის ძალაუფლების მნიშვნელოვან შეზღუდვას წარმოადგენდა.

ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის, მისი მიზეზებისა და მნიშვნელობის შესახებ არა ერთი მოსაზრებაა გამოთქმული ჩვენს ისტორიოგრაფიაში (ივ. ჯავახიშვილი, ა. კიკვიძე, ი. პეტრუშევსკი. ს. მაკალათია, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, გ. სოსელია, შ. მესხია).

თამარის ისტორიკოსი ყუთლუ-არსლანის გამოსვლას იხსენიებს, როგორც „უცხო მოსაგონებელს“. შემთხვევითი არ ყოფილა ის ამბავი, რომ ამ მოძრაობის სათავეში აღმოჩნდა მექურჭლეთუხუცესი. ყუთლუ-არსლანი, როგორც ჩანს, ქალაქის მოსახლეობის ზედა ფენიდან უნდა იყოს გამოსული. იგი თავისი მოქმედების პროგრამით ეხმაურებოდა თამარის ისტორიკოსების მიერ მოხსენიებულ „სიმდიდრით ალაღებულთა“ და „ამაღლებულთა“ ინტერესებს, თუმცა ყუთლუ-არსლანისა და მისი დასის გამოსვლა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ლოკალიზებულად, ვიწროდ, მხოლოდ მოქალაქეთა ზედა ფენის აჯანყებად. ყუთლუ-არსლანის გამოსვლის პროგრამა მეფის უფლებებს შეზღუდვას უქადდა; ეს კი შეესაბამებოდა დიდგვარიან დიდებულთა მისწრაფებებსა და ინტერესებს.

ყუთლუ-არსლანის დასის აჯანყების შედეგებმა ღრმა შეუსაბამობა გამოიწვია საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების დონისა და ამ განვითარების ტენდენციებთან, რადგან იგი ეკონომურად და პოლიტიკურად ზეადმავალი ქვეყნის შემოქმედებითი ძალების ხელოვნურ შეფერხებას ემსახურებოდა.

ამიერიდან თამარ მეფე სახელმწიფო საკითხებს „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანის“ ავტორის ცნობით ნადგომითა და ერთნებაობითა დიდებულთა შვიდივე სამეფოთა“ ამტკიცებდა.

თამარ მეფემ თავისი დიდი მემკვიდრეობა დაუტოვა ლაშა-გიორგის, რომელიც თამარის გარდაცვალებიდან (1213 წლიდან) 1222 წლამდე მეფობდა და სახელოვნად აგრძელებდა წინაპართა პოლიტიკურ ხაზს.

მარიამ ლორთქიფანიძე „რუსთაველის ეპოქის“ მეორე ნაწილში განიხილავს საქართველოს ეკონომიური განვითარებისა და სოციალური სტრუქტურის საკითხებს.

ქვეყნის პოლიტიკური დაწინაურება თავისთავად ეყრდნობოდა ეკონომიურ სიძლიერეს. საქართველოს წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრა მოითხოვდა დიდ მატერიალურ სახსრებს, რისთვისაც სამეფო კარი საგანგებო ღონისძიებების გატარებასაც კი არ ერიდებოდა.

დავით აღმაშენებლის დროიდან ერთგვარად შეიცვალა საქართველოს საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობა — მთავარი მნიშვნელობა მიენიჭა აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობას. ამ მიზნით დავით აღმაშენებელმა ქართული მონეტა თავისი ფორმითა და ზედწერილით აღმოსავლურს დაუახლოვა.

აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობა თამარის დროსაც გრძელდებოდა. სამეფო კარი ყოველნაირად უწყობდა ხელს ვაჭრობის გაცხოველებას. განვითარების მაღალ დონეს მიაღწია აგრეთვე ხელოსნობამ და სოფლის მეურნეობამ. საქართველოს სამეფო კარს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული ქალაქების დიდი მნიშვნელობა ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნებისათვის და ამიტომ ყოველმხრივ ცდილობდა მათ დაწინაურებას. საქალაქო ცხოვრების წინსვლა ხელოსნობისა და ვაჭრობა-აღებ-მიცემობის განვითარებამ განაპირობა.

რუსთაველის ეპოქის საქართველოში

წარმოდგენილი იყო ხელოსნობის მრავალი დარგი: მეთუნე-მეცეცეობა, მეჭურჭლეობა, მთავეცეობა, ოქრომჭედლობა და სხვ.

საგანგებო განხილვას იმსახურებს XII-XIII ს. ს. საქართველოში საფეიქრო ხელოსნობის განვითარება. ამ პერიოდში განსაკუთრებით მაღალ დონეზე მდგარა ქსოვის საქმე. „სიღბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაქედისა“ — ნათქვამია „ვეფხისტყაოსანში“. მქსოველს „მექსლე“ ან კიდევ „მბეჭველი“ ეწოდებოდა („კაცი ჯაბანი რითა სჯობს, დიაცა ქსლისა მბეჭველსა“). ქართველი მქსოველები ამუშავებდნენ მატყლს, აბრეშუმს, სელსა და სხვ.

იმ დროს საქართველოში დიდი მშენებლობები მიმდინარეობდა. მაღალი იყო ქვის დამუშავების ტექნიკა: აქვე უნდა აღინიშნოს „კირით ხუროების“ ანუ კალატოზებისა და ხის შენობათა მშენებლების არსებობა.

საინტერესოა ამ პერიოდში ხელოსნების მდგომარეობა. ხელოსნები ერთ გარკვეულ წოდებას არ წარმოადგენდნენ, ერთ სოციალურ ფენას არ ქმნიდნენ. ზოგი მათგანი საპატრონეზო უღელში იყო გაბმული, ზოგიც თავისუფალი იყო. პატრონეზობის უღელში შებმულნი საქონელს მთლიანად ბაზრისათვის კი არ ამზადებდნენ, არამედ „საფასის გარეშე“ მუშაობდნენ თავიანთი „პატრონებისათვის“. „საფასის გარეშე“ მოქმედი ხელოსნები ჰყავდათ აზნაურებს. ხელოსანთა ამ ჯგუფშიც იყო განსხვავება. ცალ-ცალკე იყვნენ „შეწირული“ ხელოსნები, „ყმა ხელოსნები“ და „მსახური ხელოსნები“.

თავისუფალი ხელოსნები საფასით მოქმედებდნენ და ხშირად სიმდიდრესაც იხვეჭდნენ.

რუსთაველის ეპოქის საქართველოს ქალაქების ცხოვრებაში დიდი ადგილი ეკავათ ვაჭრებს. ისინი ხელოსნების მიერ წარმოებულ საქონელს ასალებდნენ. ისტორიულ წყაროებში იხსენიებიან „ვაჭარნი განძელ-ტფილელ-დმანელნი“. ამასთანავე ეს ვაჭრები, ისე როგორც სხვა

მოქალაქენი, სახელმწიფოებრივი და საქალაქო ცხოვრების ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრაში მონაწილეობდნენ.

ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებამ თავის მხრივ საქალაქო ცხოვრების დაწინაურება განაპირობა. ყოველივე ეს კი ქვეყნის ეკონომიურ წინსვლას უწყობდა ხელს.

ვაჭრობა-ხელოსნობის გვერდით XII-XIII ს. ს. საქართველოში ასევე განვითარებული იყო სოფლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობის მაღალი კულტურის მაჩვენებელია დიდი სარწყავი არხები ტირიფონის ველზე, რუის-ურბნისის მიდამოებში, მუხრანში, სამგორში, კახეთსა და გაღმა მხარეში. ეს ნაგებობები გამოირჩეოდნენ თავიანთი გრანდიოზულობით და ხელს უწყობდნენ დიდი ფართობების რწყვას. სარწყავი ფართობების გადიდებასთან კი დაკავშირებული იყო მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალი.

მებაღეობისა და მევენახეობის სიყვარული ძველთაგანვე მოსდგამდა ქართველ ხალხს. „უმტილ-ვენახოდ ქართველ მიწისმოქმედს ცხოვრება იმდენად არ მოსწონდა, რომ მათი გაშენებისათვის არც თავის ძალღონესა და არც ქონებრივ სახსარს არ ზოგავდა“ (ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, თბ., 1935, გვ. 110).

რუსთაველის ეპოქაში მებაღეობისა და მევენახეობის კულტურა უფრო მაღალ დონეზე ავიდა. ეს იმდენად ტიპური და დამახასიათებელი ყოფილა საქართველოსათვის, რომ სახლის აღწერიხას აუცილებლად უნდა ყოფილიყო ხსენებული „მტილ-სამოთხენი“.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქალაქებს გარშემო მოვლებული ჰქონდათ ბაღები, რომლებშიც გამოჰყავდათ ვარდ-ყვავილები. შოთა რუსთაველი ამბობს:

ნახეს ქალაქი, მოცული  
გარე ბაღის ტევრითა,  
გვარად უცხონი ყვავილნი,  
ფერითა ბევრის-ბევრითა.

ამ პერიოდის სოფლის მეურნეობაში განვითარებული ყოფილა სელის წარმოება. იგი თავლთან და ცვილთან ერთად ცხოველი აღებ-მიცემობის საგანს წარმოადგენდა. ასევე მნიშვნელოვანი ადგილი ეკირა მაღალგანვითარებულ მეცხოველეობას. საქართველო განსაკუთრებით განთქმული იყო საუკეთესო ჯიშის ცხენებით.

აღნიშნულ წიგნში მარია მ. ლორთქიფანიძე ხაზს უსვამს, რომ ქართველი ფეოდალის საკუთრება ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა: სახნავ-სათესი მიწებისა და მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვისაგან.

„რუსთაველის ეპოქაში“ საგანგებო ადგილი აქვს დათმობილი გლეხის მდგომარეობის გადმოცემას. XII-XIII ს. ს. საქართველოში გლეხი წოდებრიობის უდაბლეს საფეხურზე დგას. თავისუფლების უქონლობა ამ ფენის საერთო ძირითადი ნიშანია. მფლობელი სრულუფლებიანია გლეხის მიმართ — მას შეუძლია გაყიდოს, გააჩუქოს ან შესწიროს გლეხი. გლეხს არ გააჩნია იურიდიული უფლებები, არ შეუძლია რაიმე აქტის (ვთქვათ, მიწის გაყიდვის ან ყიდვის) გაფორმება. ამითაა გამოწვეული ის გარემოება, რომ გლეხები მოიხსენებიან პატრონის სახელით (მაგ., ამის და ამის გლეხი).

XII საუკუნეში გლეხები სულ უფრო და უფრო ძლიერ იჩაგრებოდნენ. მეურნეობა ვითარდებოდა და ქვეყანა ეკონომიურად ძლიერდებოდა, მაგრამ ფეოდალთა მოთხოვნილებებიც მატულობდა. გლეხთა ფართო ფენის სოციალურ მდგომარეობას განსაკუთრებით აუარესებდა ტყვეთა სიმრავლე, მოგებული ომების შედეგად რომ მოედინებოდა საქართველოში.

XII საუკუნეში ძირითადად დაგვირგვინდა დიდი სოციალური პროცესი: გლეხთა ფენაში გაერთიანდა ქვეყნის ნატურალური დოვლათის მწარმოებელი მიწათმოქმედი ნაწილი, რამაც დიდი როლი ითამაშა ქართული ფეოდალიზმის კლასიკური სახის ჩამოყალიბებაში.

განსახილველი ნაშრომის მესამე ნაწილი დათმობილი აქვს რუსთაველის ეპოქის სახელმწიფო წყობილებას. XI-XII საუკუნეთა მანძილზე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ქართული ფეოდალური მონარქიის ცხოვრებაში. ტერიტორიის ზრდამ, მრავალგვაროვანმა ეროვნულმა შემადგენლობამ, ცვლილებებმა სოციალურ წყობილებაში სათანადო ცვლილებები გამოიწვია სახელმწიფოს მმართველობის ორგანოებში, სახელმწიფო პოლიტიკური წყობილების სტრუქტურაში.

მ. ლორთქიფანიძე თვალსაჩინო ადგილს უთმობს „სავაზიროს“ ინსტიტუტის მიმოხილვას, ფეოდალური ლაშქრის ორგანიზაციის საკითხებს.

თამარი იწოდებოდა „მეფეთა მეფედ და დედოფალთა დედოფლად“. სახელმწიფოს უზენაესი სამხედრო ხელისუფალიც თამარი იყო. მას, როგორც ქვეყნის მხედართმთავარს, ხმალი ერტყა, ომახა და ზავის საკითხი მისი დასტურით წყდებოდა, ლაშქრის წვევის ბრძანებას ის აწერდა ხელს.

რუსთაველის ეპოქის მეფეების ტიტულატურა ნათლად ასახავს იმ დიდ პოლიტიკურ ცვლილებას, რასაც იმ ხანის ამიერკავკასიის პოლიტიკური რუკა განიცდიდა. გაერთიანების ხანის პირველი მეფეები იწერებოდნენ „მეფე აფხაზთა და ქართველთა“, ე. ი. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მეფე, და ამასთანავე ბიზანტიური ტიტულებიც ჰქონდათ. შემდეგში ბიზანტიური ტიტული შორდებათ და ემატება მეფე „კახთა და რანთა“, რაც ჰერეთ-კახეთის შემოერთებაზე მეტყველებს, შემდეგ კი საქართველოს მეფე ასე იწოდება: „მეფე აფხაზთა, რანთა და კახთა, სომეხთა, შირვანთა და შაჰანთა“.

„რუსთაველის ეპოქის“ უკანასკნელ, მეოთხე ნაწილში იმ პერიოდის კულტურული ვითარებაა გადმოცემული.

მთელი რიგი მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების სწორად გადაჭრამ, სამეფო კარის მიერ გატარებულმა ქმედითმა ღონისძიებებმა, ქვეყ-



ნის პოლიტიკურმა და ეკონომიურმა დაწინაურებამ შექმნა ფეოდალური საქართველოს კულტურის წინსვლისა და აყვავების პირობები.

უარესად დაწინაურდა ქართული სამეცნიერო-ფილოლოგიური და ფილოსოფიური მწერლობა. ქართველი მთარგმნელები და ფილოლოგები ურთულეს სამეცნიერო საკითხებს ირკვევდნენ. საქართველოში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ფილოსოფოსები: ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი. ისინი იბრძოდნენ აზროვნებისა და სამეცნიერო კვლევა-ძიების თავისუფლებისათვის, რამაც ღრმა კვალი დააჩნია რუსთაველის ეპოქის ქართველი საზოგადოების შეგნებას. ამ მოღვაწეთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა იოანე პეტრიწი, რომელმაც თავისი მოღვაწეობა ბიზანტიაში, პეტრიწონის ქართველთა მონასტერში დაიწყო, შემდეგ კონსტანტინოპოლში გააგრძელა და ბოლოს საქართველოს დაუბრუნდა. იოანე პეტრიწს ღრმა ფილოსოფიური ცოდნა გააჩნდა და ამიტომ შემთხვევითი არ ყოფილა, რომ კარგი თარგმანების გვერდით, მან საკუთარი ზოგადი მოძღვრების დებულებები შექმნა და დაუტოვა შთამომავლობას.

მოწინავე საზოგადოება გაეცნო ბერძნული ფილოსოფიის ნიმუშებს, რასაც ელინურ საერო პოეზიასთან ნაცნობობა მოჰყვა. ქართველები გაეცნენ ჰომეროსის ბრწყინვალე ქმნილებებს.

საქართველოს თავისებურ მდგომარეობას აპირობებდა გეოგრაფიული მდებარეობა. საქართველოს, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიჯნაზე მდებარე ქვეყანას, სრული საშუალება ჰქონდა ქრისტიანული კულტურის გარდა ისლამის ნიადაგზე შექმნილ ახალ მრავალფეროვან არაბულ-სპარსულ კულტურასაც გასცნობოდა.

ამ დროის ეპოსს ამშვენებენ „ვისრამიანი“, რომელიც უპირატესად რომანული ხასიათისაა, საღვეგმირო ხასიათის „ამირან-დარეჯანიანი“ და ქართული კულტურის გვირგვინი „ვეფხისტყაოსანი“.

რუსთაველის ეპოქის ქართული ლი-

რიკა შექმნილია იმდროინდელი სინამდვილის ნიადაგზე. თამარ მეფემ, მისმა ძლიერადმოხილმა მეფობამ, თანამედროვეთა აზრით, დიდად შეუწყო ხელი საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ აყვავებას, რამაც ბევრ თანამემამულეს კალამი ააღებინა და სათაყვანებელი „ეთეროვანი“ დედოფლისათვის ხოტბა შეასხმევინა. რუსთაველის ეპოქის ლირიული პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშებია: ჩახრუხადის „თამარიანი“ და შავთელის „აბღულმესიანი“. ორივე ნაწარმოები დაწერილია დიდი ოსტატობით.

როგორც მართებულად აღნიშნავს წიგნის ავტორი მარიამ ლორთქიფანიძე, განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის პირობებში შექმნილი XI-XII საუკუნეების ქართული კულტურა ვერ გამეიჯნებოდა რელიგიური რწმენით და ეპოქის მოთხოვნილებებით გაპირობებულ მსოფლმხედველობას. მაგრამ მოწინავე იდეები და ჰუმანური თვალსაზრისი მძლავრად იჭრება აზროვნებაში და საერო ნაწარმოებებთან ერთად ხშირად წმინდა სასულიერო-ქრისტიანულ შემოქმედებაშიც კი იჩენს თავს.

რუსთაველის ეპოქაში განვითარების ძალზე მაღალ დონეს მიაღწია საისტორიო მწერლობამ. შეიქმნა დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსების ფრიად მნიშვნელოვანი ნაწარმოებები.

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ ბრწყინვალე თხზულებაა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, თხზულების მიხედვით, დიდად განათლებული კაცი ყოფილა. მას კარგად სცოდნია დასავლეთისა და აღმოსავლეთის ისტორია და ლიტერატურა. მემათიანემ თანმიმდევრულად აღწერა დავით აღმაშენებლის დონისძიებები პოლიტიკურ, სამხედრო, საეკლესიო, ეკონომიურ და კულტურის სფეროში. იგი თავისი მსოფლმხედველობით აშკარად გამოხატავდა ეპოქის სულს.

თამარ მეფის ისტორიები: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ თავისი



მნიშვნელობით არც ერთ სხვა საუკეთესო ქართულ ისტორიულ ძეგლს არ ჩამოუვარდება. ისტორიკოსები სახელმწიფოებრივი პოლიტიკის იმ ხაზის ერთგულები არიან, რომელსაც ატარებს სამეფო ხელისუფლება.

თხრობის ოსტატური წესით თამარის ისტორიკოსები ახერხებენ მთელი სისრულით გადმოგვცენ გიორგი მესამისა და თამარის მეფობის ისტორია, გადმოგვცენ ის მეტად მრავალფეროვანი და ამასთანავე საინტერესო საკითხები, რომლებიც XII-XIII საუკუნეების საქართველოს საშინაო თუ საგარეო ცხოვრებაში ხდებოდა.

ქართულ მწერლობას გვერდში ედგა მდიდარი და მრავალფეროვანი მუსიკალური ხელოვნება. ქართველ ხალხს უძველესი დროიდან ჰქონდა მრავალხმოვანი ხმები და საკრავიერი მუსიკა. მრავალხმოვანობის განვითარებასთან ერთად ცალკე დარგად გამოიყო საკომპოზიციო ხელოვნება. მაშინდელი ქართველი კომპოზიტორების მიერ შექმნილი ჰანგებიდან ზოგიერთმა ჩვენამდეც მოაღწია.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს XII-XIII საუკუნეების ოქრომჭედლობა და კედლის მხატვრობა. ამ პერიოდის ქართულ ოქრომჭედლობაში რამდენიმე მიმდინარეობა შეიქმნევა (ოპიზის, ტბეთის, გელათის). ყველა ამ სკოლას (მიმდინარეობას) ჰქონდა თავისი ჩამოყალიბებული სტილი.

საკმარისია დავასახელოთ ისეთი დიდებული ოქრონაჭედი ძეგლები, როგორიც ჭრუჭის ოთხთავია, წყაროსთავისა და ტბეთის სახარებათა, ხახულისა და ანჩისხატის მოჭედილობაა, რომ წარმოვიდგინოთ იმდროინდელ საქართველოში ოქრომჭედლობის განვითარების დონე. ბეკა და ბეშქენ ოპიზარებმა არა ერთი პირველხარისხოვანი ნაწარმოები შესძინეს ქართული ოქრომჭედლობის საგანძურს.

დიდად განვითარდა მონუმენტური ფერწერაც. უბისისა თუ ყინწვისის, გე-

ლათის კედლის მხატვრობა თუ მიწვემოზაიკა დღესაც აოცებს მნახველს. მხატვრულების მაღალი ოსტატობით მხატვრობის რუსთაველის ეპოქაში ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად დიდად განვითარდა ხუროთმოძღვრებაც. XII საუკუნეში შეიქმნა ქართული ხუროთმოძღვრების უკვდავი ძეგლები: გეგუთის სასახლე, იკორთის, ბერთუბნის, ბეთანიისა და სხვა მრავალი ტაძარი, კლდეში ნაკვეთი ვარძიის ტაძარი და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი.

რუსთაველის ეპოქის ქართულ მეცნიერებასა და ხელოვნებას მრავალი ისეთი ნიშანი ახასიათებს, რაც რამდენიმე საუკუნის შემდეგ საფუძვლად დაედო ევროპაში აღორძინების ხანას.

მარიამ ლორთქიფანიძე საგანგებოდ მიუთითებს „რუსთაველის ეპოქის“ ბოლოსიტყვაობაში, რომ აღნიშნულ ხანაში საბოლოოდ ჩამოყალიბდა და გაფორმდა ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი წყობა, სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურა, კულტურული სახე, ის რაც შემდგომში „ქართველობის“ სახელწოდებით იყო ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ თათარ-მონღოლთა შემოსევების მძიმე წლებში საქართველო ეკონომიურად დაუსტდა და პოლიტიკურად „დაიშალა“, მაინც შეინარჩუნა თავისი არსებობა.

სწორედ ეპოქასთან, XII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიასთან არის დაკავშირებული გენიალური მგოსნისა და მოაზროვნის სახელი.

შოთა რუსთაველმა აითვისა თავისი ხალხის დიდი კულტურული მემკვიდრეობა და შექმნა ეროვნულ ტრადიციებზე დამყარებული თავისი ეპოქის ამსახველი მაღალმხატვრული ნაწარმოები.

ასეთია ის ძირითადი ქარგა, რომელზედაც გაშლილია მარიამ ლორთქიფანიძის მეტად საინტერესო, ფართო მკითრველი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ნაშრომი.



## „ვეფხისტყაოსანი“ სომხურ ენაზე

„თუმცა შოთა რუსთაველმა გაარღვია ეროვნული ზღუდე და მთელი კაცობრიობის საკუთრებად იქცა, მაგრამ ის მაინც რჩება ქართველი ხალხის პოეტად, რადგან შოთა თვით საქართველოა — ძველი, ახალი და ხვალისდელი საქართველო, საუკუნო საქართველო. შოთა ის მზე და ვარსკვლავია, რომლის გარშემოც საუკუნეთა მანძილზე ბრუნავდა ქართული სინამდვილე, საქართველოს სულის ატმოსფეროა, რომლითაც აგერ რამდენი საუკუნეა სუნთქავენ ქართველები. შოთასგან სწავლობდნენ ერთგულებას და სიყვარულს, გმირობას და რაინდობას, ენას, ხელოვნებას, საბრძნესა და პოეზიას. შოთა საქართველოს სულის ხუროთმოძღვარია“, — წერდა სომხური პოეტური სიტყვის დიდოსტატი ავეტიკ ისააკიანი.

სომეხი ერი მუდამ დიდ ინტერესს იჩენდა მეზობელი ხალხის ლიტერატურისადმი, „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ კი მას განსაკუთრებით დიდი სიყვარული გამოუმჟღავნებია.

სომხური კულტურისა და ლიტერატურის თვალსაზრისით წარმომადგენლები, როცა კი შემთხვევა ჰქონიათ ელაპარაკათ საქართველოსა და მის უძველეს კულტურაზე, ხაზგასმით აღნიშნავდნენ,

რომ „ვეფხისტყაოსანი“ ქართული შემოქმედებითი აზრის კანონზომიერი განვითარების შედეგია.

სომხურ სინამდვილეში „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებული პირველი ცნობები, რომელნიც პოემის ონომასტიკას ეხება, მე-17 საუკუნეს განეკუთვნება. ასე მაგალითად, ავთანდილის სახელს სომხურ წყაროებში 1609 და 1682 წლებიდან ვხვდებით (პრ. აჰარიანი, სომხურ პირთა სახელების ლექსიკონი, ტ. ა. ერევანი, 1942, გვ. 343, სომხურ ენაზე). ხოლო თინათინისას — 1661 წლიდან (პრ. აჰარიანი, სომხურ პირთა სახელების ლექსიკონი, ტ. ბ. ერევანი, 1955, გვ. 31), სომხ. ენაზე). ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ სომეხები უკვე იცნობდნენ შოთას უბაღლო პოემას.

მანამდე და მომდევნო პერიოდში, რომელიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარს მოიცავს, სომხური ლიტერატურა და ისტორიოგრაფია რუსთაველსა და მის პოემაზე არავითარ ცნობას არ გვაწვდის. რით აიხსნება, რომ ქართველი ერის და მისი კულტურის შესახებ ესოდენ მდიდარი ფაქტობრივი მასალის შემცველ ძველ სომხურ ლიტერატურულ წყაროებში არსად ვხვდებით რუსთაველის სახელს?

წარსულში მწერლობა ძირითადად ზომ სასულიერო წოდების ხელში იყო. სამღვდლოება რუსთაველის უკვდავ პოემას ქრისტიანული დოგმატიკის წინააღმდეგ მიმართულ თხზულებად თვლიდა და ყოველნაირად ცდილობდა, დავიწყებისათვის მიეცა იგი.

ასეთ პირობებში, რასაკვირველია, სომეხი „სულიერი მამები“ და მემატიანეებიც დღემლით გვერდს უვლიდნენ პოეტის სახელსა და შემოქმედებას. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ სომეხმა მემატიანეებმა ქართული არ იცოდნენ.

ამჟამად „ვეფხისტყაოსნის“ 150-მდე ხელნაწერს ითვლიან, რომელთაგან უძველესი 1646 წლით არის დათარიღებული.

პოემის გადაწერისა და გავრცელების საქმეში თავიანთი მცირე წვლილი შეუტანიათ აგრეთვე სომეხ გადამწერლებსაც. მაგალითად, პოემის უძველეს ხელნაწერთა რიცხვს ეკუთვნის 1671 წლის ხელნაწერი. იგი გადაწერილია გასპარ აღმურანთ ბაღდასარაშვილის მიერ, საკმაოდ ლამაზი, მრგვალი ხელით, ყველაზე უვრცელესი ჩანართებითა და გაგრძელებებით. ან კიდევ 1702 წლისა, გადაწერილი შემახიაში სომხის ქალის, პეტუსა შვილის მიერ ძველი ხელნაწერიდან.

1937 წელს, რუსთაველის საიუბილეო დღეებში, სომხეთის მთავრობამ საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტს საჩუქრად გადასცა „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ხელნაწერი, გადაწერილი XVIII საუკუნეში.

სომეხი გადამწერლების ხელნაწერები იმ უსაზღვრო სიყვარულისა და მოკრძალების ნათელი გამოხატულებაა, რასაც სომეხი ერი გენიალური ქართული ქმნილებებისადმი იჩენდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან სომხური საზოგადოებრივი აზრი განსაკუთრებულად დაინტერესდა „ვეფხისტყაოსნით“. 1860, 1861, 1862 წლების ჟურნალ „კრუნკის“ სხვადასხვა ნომერში ექიმი სტეფან ბასტამიანი სარგისის ფსევდონიმით აქვეყნებს პოემის წინა

ორი თავის თარგმანს. მთარგმნელს პრემის 1841 წლის გამოცემით უსარგებლობს. თარგმანის ხარისხის შესახებ წყვეტილდება ცნობას გვაძლევს ლეო: „იმ დროს, როცა ჯერ კიდევ არსებობას განაგრძობდა „იუსისაფაილი“, — წერს იგი, — ეუზრნალ „კრუნკში“ ხშირად იბეჭდებოდა სუსტი და უმნიშვნელო ლექსები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ შესანიშნავი ქართული პოემის „ვეფხისტყაოსნის“ დახვეწილ თარგმანს თბილისურ სომხურ დიალექტზე“ (ლეო, სომხური ლიტერატურა, ვენეტიკი, 1904, გვ. 55-58, სომხურ ენაზე). შემოსხენებული თარგმანი „ვეფხისტყაოსნის“ სომხურ ენაზე თარგმნის პირველ საუკეთესო ცდას წარმოადგენს, რომელშიც რამდენადმე დაცულია დედნის სალექსო ზომა. თარგმანი შესრულებულია თბილისურ დიალექტზე, რადგანაც ახალი ლიტერატურული სომხური ენა იმ დროისათვის ჯერ სავსებით ჩამოყალიბებული არ იყო. სწორედ ამიტომ მთარგმნელს მიუპარათავს დიალექტისათვის, რათა თარგმანი მკითხველთა ფართო წრისათვის ადვილად გასაგები ყოფილიყო.

სტ. ბასტამიანი ევროპული განათლების მქონე, ძალზე ნიჭიერი პიროვნება იყო. კარგად იცოდა ლიტერატურა, საფუძვლიანად ფლობდა სომხური ენის რამდენიმე კლოს. თარგმანებით და საკუთარი ნაწარმოებებით მას უცდია ლიტერატურა დაეახლოვებინა ხალხთან. წარმოშობით თბილისელი სომეხი, დღე-ენასავით თავისუფლად ფლობდა ქართულს და საკმაოდ კარგად იცნობდა ქართულ ლიტერატურას. სტ. ბასტამიანს შეგნებული ჰქონია როგორც „ვეფხისტყაოსნის“ უდიდესი მნიშვნელობა, ისე მისი სომხურ ენაზე თარგმანის აუცილებლობა. „ეს კაცი (რუსთაველი — მ. ბ.) ისეთი პატივისცემით სარგებლობს ქართველებში, — წერს იგი, — რომ აკერ უკვე ექვსი ასეული წელია მის ნაწერს კითხულობენ, როგორც ჰომეროსის ქმნილებებს კითხულობენ სხვა ხალხები თბილისის სომხობას მუდამ ჰყვარებია რუსთაველის ნაწარმოები. მაშ, იმედია,



რომ თარგმანი საქმაოდ მოეწონებოდათ“ („კრუნეკი“, 1860, № 6, გვ. 493-494. სომხურ ენაზე).

სტ. ბასტამიანს კლასიკურ გრაბარზე უთარგმნია ასევე „თამარიანის“ 22 სტროფი, რაც სრული სახით აქვს მოტანილი პლ. იოსელიანს წერილში „სამგზავრო ჩანაწერები თბილისიდან მცხეთამდე“. იმავე წერილში პლ. იოსელიანს აზრი გამოუთქვამს „ვეფხისტყაოსნის“ პირველ სომხურ თარგმანზე. „ამავე პირისაგან (სტ. ბასტამიანი — მ. ბ.), — წერს პ. იოსელიანი, — ჩვენ დიდად დავალებული ვართ „ვეფხისტყაოსნის“ თითქმის მეტყუთედი ნაწილის თარგმნის გამო. ხალხურ ენაზე შესრულებული ეს თარგმანი მოთავსებულია ჟურნალ „სომხეთის წეროში“, რომელიც 1860-1864 წლებში გამოდიოდა. მიუხედავად მთარგმნელის თავდაპერილობისა, რომელიც შიშობდა, რომ ჯერ კიდევ დაუხვეწავა თბილისური მდაბიური სომხური ენის ნიადაგზე შესაძლებელია არ გაშლილიყო ყვავილნი რუსთაველის პოეზიისა. რითმის თარგმნის შესრულებაც მოხერხდა“.

ზემოხსენებული თარგმანი 1888 წელს ე. ს. სტალინსკის მიერ შედგენილ კრებულსა და გაზეთ „პროლეტარის“ 1937 წლის 285-ე და 292-ე ნომრებში დაბეჭდა.

სტ. ბასტამიანის თარგმანმა, მცირე მოცულობის მიუხედავად, მაინც დიდად შეუწყო ხელი სომხური ლიტერატურული წრეების დაინტერესებას და ცხადყო პოემის სრული თარგმანის საჭიროებაც.

ავტოკ ისააკიანი უბრუნდება ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიას და სამართლიანად შენიშნავს: „სომეხი მკითხველი საზოგადოება მუდამ დაინტერესებული ყოფილა ქართული ლიტერატურით, სიყვარულით წაუკითხავს ქართველი კლასიკოსების სომხური თარგმანები. ჯერ კიდევ 1860 წელს უგემნია მას უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ვრცელი ნაწყვეტის თბილისურ სომხურზე შესრუ-

ლებული თარგმანი, რომელთაც დღემდე არ დაუქარავთ ცხოველყოფილებსა და სილამაზე“ (ერევანი, 1951, გვ. 3 სომხურ ენაზე).

1896 წელს თბილისში გამოდის პოემის შემოკლებული პროზაული თარგმანი. მთარგმნელი არუთინ მირიმიანიანი გვამცნობს: „ჩემს ბავშვობაში წერაკითხვის უცოდინარი პაპაჩემი, რომელიც ცხოვრობდა თბილისში, მთაწმინდის უბანში, ზაქარია ჭიჭინაძის მეზობლად, ლაპარაკის დროს ხშირ-ხშირად ასხენებდა შოთა რუსთაველს და ზეპირად ამბობდა მის აფორიზმებს. როცა 17-18 წლისა გავხდი, დავინტერესდი რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსნით“ და სემინარიის მეექვსე კლასის მოწაფემ ჟურნალ „პარვაში“, რომლის მდივნადაც ვითვლებოდი, მოვათავსე სტატია რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ და მისი ავტორის შესახებ. მასში ვწერდი, თუ როგორ უყვართ ქართველებს რუსთაველი და მისი პოემა. შემდეგ, 1890-იან წლებში, როცა გამოდიოდა გრიგოლ არწრუნის სომხური პროგრესული გაზეთი „მშვი“ და გიორგი წერეთლის ჟურნალი „კვალი“, შედგა ქართველ და სომეხ ახალგაზრდათა პატარა წრე — ამ ორი ეროვნების კულტურის ურთიერთგაცნობად. სომხურ ენაზე მარტო „ვეფხისტყაოსნის“ პირველი და მეორე თავები იყო ლექსად დაბეჭდილი, ისიც ქალაქურ ენაზე, ხოლო 1862 წელს ჟურნალ „კრუნეკში“ დაიბეჭდა ბასტამიანის თარგმანი. გ. წერეთლის რჩევით მე მოველაპარაკე სომხური ჟურნალის „მურტის“ რედაქტორს ა. არასხანიანს „ვეფხისტყაოსნის“ თაობაზე. მან რედაქციაში საათბიროდ მიიწვია პოეტები — ოვანეს თუმანიანი, ჭადაროსანი დაზაროს ალიანი და არუთინ თუმანიანი. რადგან ზემოთ ხსენებულმა პოეტებმა ქართული არ იცოდნენ, მე გადაწყვიტე ტექსტი პროზად მეთარგმნა და მათ გაელექსათ. ოვანეს თუმანიანმა და დაზაროს ალიანმა გამოთქვეს აზრი, რომ მათი ვალექსილი ისე ლამაზი და ტექსტთან ახლო არ იქნებოდა, როგორც რუს-



თაველს შეეფერებაო. მიინც გადაწყდა ჯერჯერობით „ვეფხისტყაოსნის“ პროზად თარგმნილი შემოკლებული ტექსტი დაბეჭდილიყო რუსთაველის ბიოგრაფიით და კომენტარებით. 1896 წელს ჟურნალ „მურჰში“ დაიბეჭდა კიდევ ჩემი თარგმანი „ინძენავორი“ („ვეფხისტყაოსანი“); პარალელურად იმავე წელს ჩემი ხარჯით გამოვეცი 1.200 ეგზემპლარი ცალკე წიგნად“ (ლიტერატურული საქართველო, 1964, № 5).

ართუნი მირიანიალის სურვილი — „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი სომეხი მკითხველი საზოგადოებისათვის გაეცნო, განხორციელდა.

მე-20 საუკუნის დასაწყისში, როცა სომხურ მთარგმნელობით ლიტერატურას გამოცოცხლება დაეტყო, დღის წესრიგში დადგა მთელი პოემის ლექსად თარგმნის საკითხი. ბევრი სომეხი მწერალი და საზოგადო მოღვაწე პრესაში გამოდის წერილებით, ისინი მაღალ შეფასებას აძლევენ „ვეფხისტყაოსნის“ და მიესალმებიან მის სათარგმნელად წარმართულ საქმიანობას.

1910 წელს კავკასიის სომეხთა გამომცემლობის ამხანაგობა შესდგომია მსოფლიო ლიტერატურის შედევრების — ჰომეროსის „ილიადას“, „ოდისეას“ და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემას. შემდგომში გამომცემლობამ საზოგადოებრიობას ამცნო, რომ განზრახული აქვს „ვეფხისტყაოსნის“ სომხურად თარგმნა ოვანეს თუმანიანს დაავალოს. ცნობილ სომეხ რომანისტ ალექსანდრე შირვანზადეს ალბათ მხედველობაში ჰქონდა ეს განცხადება, როცა იმავე წელს პრესაში წერდა: „სომეხთა გამომცემლობის ამხანაგობამ წინადადება მისცა ჩვენ პოეტს ოვანეს თუმანიანს თარგმნოს შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“. ეს კლასიკური ნაწარმოები ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის უდიდესი სიამაყეა, რომლის შესახებ ამდენი რამ გავგიგონია და წავგიკითხავს“. მაგრამ ეს წამოწყებაც არ დაგვირგვინებულა წარმატებით.

თარგმანის დაუსრულებლობის მთავა-

რი მიზეზი დროის სიმცირე უთხოვრის ამის გამო თუმანიანი მუდამ დიდად წუხდა.

მოწინავე სომეხი ინტელიგენციის ოცნება — სომხურ ენაზე ეხილა ქართული გენიის დიდება — განუხორციელებელი რჩება.

1910 წელს თბილისში ქვეყნდება V კლასის სახელმძღვანელო — სასწავლო წიგნი „ლუსაბერი“, რომელშიც მოთავსებული იყო აგრეთვე „ვეფხისტყაოსნიდან“ თარგმნილი ერთი ნაწყვეტი შეკვდივი სათაურით: „როსტევანის და ავთანდილის ნადირობა“, დართული ჰქონდა უცნობ სიტყვათა განმარტება. ნაწყვეტი „ვეფხისტყაოსნის“ ორ თავს მოიცავს: „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“, „როსტევან მეფის და ავთანდილის ნადირობა“, რაც ალბათ წიგნის პედაგოგიური თავისებურებების გათვალისწინებით ერთი საერთო სათაურის ქვეშაა მოქცეული. ეს ნაწყვეტი სტ. ბასტამიანის პირველი სომხური თარგმანიდანაა ამოღებული. იგი ოვ. თუმანიანს ლიტერატურულ სომხურზე გადაუკეთებია.

ამგვარად, „ლუსაბერში“ მოთავსებულ თარგმანს ოვ. თუმანიანის ხელი ეტყობა და მიინც მას ოვ. თუმანიანის საკუთარ თარგმანად ვერ ჩავთვლით. ერთი რამ კი ნათელია, პოეტს იმდენად დიდად შეუფასებია რუსთაველი და მისი შემოქმედების აღზრდელობითი მნიშვნელობა, რომ ნაწყვეტი სახელმძღვანელოში შეუტანია.

თუმანიანს ღრმად უყვარდა და ესმოდა რუსთაველის პოეტიკა, დიდად აფასებდა მისი პოეზიის განუმეორებელ ბრწყინვალეობას. „ვეფხისტყაოსნის“ თუმანიანი უყურებდა, როგორც ქართულ პოეტურ სიტყვასთან ყველა ძაფით დაკავშირებულ ქმნილებას. „ქართველის უშუალო და გულღია ბუნება, — წერდა თუმანიანი, — მისი გულის კეთილშობილება, ბუნებრივი სიფაქიზე და უმახკობა, თავისუფლებისა და სიღამაზის სიყვარული, ყოველივე ეს, სიცოცხლის სიყვარულით და ნაზი სევდით გასხივოს-

ნებული, იმის საწინდარია, რომ ქართულ ლექსს დიდი მომავალი აქვს. ეს თვისებები თავს იჩენენ შოთა რუსთაველში და ის მთელი არსებით ქართველი პოეტია“ (ოვ. თუმანიანი, თხზულებათა კრებული, ტ. IV, გვ. 424).

სომეხი ერის დიდი პოეტისათვის გასაგები იყო ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარული და მოკრძალების გრძობა რუსთაველის მიმართ, მისი შემოქმედების თაყვანისცემა. „ჩემთვის ცნობილ ხალხებს შორის არც ერთში არ შემიმჩნევია ის, რაც ქართველებში შევნიშნე. მათი მოღვაწეების უმრავლესობა ჯიბიდან უცაბედად იღებს რომელიმე თავიანთი პოეტის ლექსს და კითხულობს, ან ზეპირად წარმოსთქვამს. ისინი თითქმის უკანასკნელ დრომდე თავიანთ ქალიშვილებს მზითვევში რუსთაველის პოემას ატანდნენ“ (იქვე გვ. 425), — წერდა ოვანეს თუმანიანი.

პოეტის ქალიშვილის ნვარდ თუმანიანის ცნობით, 1919 წელს თუმანიანს ერთ-ერთი საუბრის დროს გაუკრიტიკებია რუსთაველის რუსი მთარგმნელები და თავისი აზრი გამოუთქვამს როგორც „ვეფხისტყაოსანზე“, ისე ბალმონტისეულ თარგმანზე. „შოთა რუსთაველი დიდი პოეტია, — უთქვამს თუმანიანს, — პრისი ნაწარმოები „ვეფხისტყაოსანი“ ძალიან ლამაზია და მხატვრული სახეებით სავსე, თავდაპირველი ნაწყვეტები ბრწყინვალეა, დიდ და წყნარ მდინარესავით მოედინება. რუსთაველის ენა მშვენიერია, ცოცხალი და მუსიკალური. მაგრამ ბალმონტს წარმატებით არ უთარგმნია, თუმცა ვირტუოზი, სიტყვის ოსტატ ახერხებს გართმევას, გადაბმას, მაგრამ ნაწარმოების სული და გული და შოთა რუსთაველის ლექსის მუსიკალობა მას ვერ გადმოუცია“ (ნ. თუმანიანი, „ოვ. თუმანიანი შოთა რუსთაველის შესახებ“, „ლიტერატურული გაზეთი“, 1937, № 42 სომხურ ენაზე).

რუსთაველის ასეთმა დიდმა სიყვარულმა გამოძახილი ჰპოვა თვით თუმანიანის შემოქმედებაშიც. პოეტი თავის საყოველთაოდ ცნობილ ლექსს „საქარ-

თველოს პოეტებს“ იწყებს რუსთაველის ხოტბით:

არა, რუსთაველის ოქროს სიტყვები  
როდი ხმაურობს მკლედ და ღუნება.

საყურადღებო ფაქტია ისიც, რომ „როცა დიდ ქართველ სახალხო მოქანდაკეს იაკობ ნიკოლაძეს შოთა რუსთაველის ბიუსტი დაუმზადებია, თუმანიანს უყიღია და თავის ბიბლიოთეკაში მაღალკვარცხლბეკზე შეუდგამს, მის წინ კი დანტე ალიგიერის ბიუსტი მდგარა“ (ნ. თუმანიანი, „ოვ. თუმანიანი შოთა რუსთაველის შესახებ“, „ლიტერატურული გაზეთი“, 1937, № 42. სომხურ ენაზე).

დაბოლოს, ინტერესს მოკლებული არ იქნება ის გარემოებაც, რომ თუმანიანს საკუთარ ბიბლიოთეკაში ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ხელნაწერი, „რომელიც გადაწერილი ყოფილა ვინმე ავეტიკ გორგიჯანოვის მიერ 1839 წელს თბილისის ჩუღურეთის უბანში“ (ო. გელიქსეთ-ბეგი, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სომეხი გადამწერლები“, „პროლეტარი“, 1937, № 296. სომხურ ენაზე). მოყვანილი ფაქტები მოწმობს, რომ ოვანეს თუმანიანი კარგად იცნობდა რუსთაველს, იკვლევდა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ არსებულ მეცნიერულ ლიტერატურას და მას რომ იგი ეთარგმნა, უსათუოდ გვექნებოდა ბრწყინვალე თარგმანი. თუმანიანს სიცოცხლის უკანასკნელ ხანებამდე არ ასვენებდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის აზრი და ეს ლიტერატურულ წრეებშიც იცოდნენ. მაგალითად, 1919 წელს თუმანიანს ერთ-ერთი საუბრის დროს უთქვამს: „ვაპირებ, თუ მთლიანად არა, რამდენიმე ნაწყვეტი მაინც ვთარგმნო რუსთაველიდან...“ (ნ. თუმანიანი, „ოვ. თუმანიანი შოთა რუსთაველის შესახებ“, „ლიტერატურული გაზეთი“, 1937 წ. № 42. სომხურ ენაზე).

მხოლოდ ნაადრევმა სიკვდილმა არ დააცალა ოვანეს თუმანიანს განხორციელებინა თავისი სანუკვარი ოცნება და ისიც მაშინ, როცა ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი ამ ოცნების ხორკ-შესასხმელად.

„ვეფხისტყაოსნის“ სომხურად თარგმნის შემდგომი ეტაპი ცნობილი პოეტის ვ. ტერიანის სახელთან არის დაკავშირებული. მას ძველი და ახალი ქართული 1913-1917 წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტში, ნ. მართან შეუსწავლია. ამავ წლებს ეკუთვნის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის ცდაც. როგორც ამას მუზეუმში დაცული ხელნაწერები მოწმობენ, პოეტს გადაწყვეტილი ჰქონია მთელი პოემის თარგმნა, მაგრამ მას მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის 12 სტროფის თარგმნა მოუსწრია.

ნ. მარი წერს: „ტერიანმა „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის სომხურად თარგმნა დაიწყო არა ჩემ მიერ დადგენილი პოემის პროლოგის ტექსტით, არამედ ტრადიციული ტექსტით“ („ნორქ“, 1922, პირველი წიგნი, გვ. 121. სომხურ ენაზე).

იმ დროისათვის ყველაზე გავრცელებული იყო „ვეფხისტყაოსნის“ გ. ქართველიშვილისა (1888 წ.) და დ. კარიჭაშვილის (1903 წ.) გამოცემები. ამ ორ გამოცემაში პროლოგის წინა 12 სტროფი ერთი და იგივეა. ტერიანი ზემოხსენებული გამოცემებიდან ერთ-ერთით სარგებლობდა.

თარგმანის შედარებას დედანთან იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ტერიანს ყველაზე ზუსტად დაუცავს ნაწყვეტის პოეტური და შინაარსობრივი მხარე, არ იგრძნობა დედნიდან გადახვევა. თარგმანის წარმატებას განაპირობებს აგრეთვე შესაბამისი სალექსო ზომის შერჩევა. ამასთან დაკავშირებით ტერიანი თავის ერთ-ერთ წერილში გვამცნობს: „...რუსთაველს ქართულიდან ვთარგმნი, რასაკვირველია, ვიცავ კიდევ ზომას და ფორმას, რაც მსურს, პირველ ყოვლისა,

მარს ვაჩვენო, შემდეგ გავასწორო და ასე გავგზავნო“ (ვ. ტერიანი, <sup>თხზულება</sup> <sup>გამოქვეყნება</sup> ბათა კრებული, ერევანი, 1963, ტ. III, გვ. 448).

ტერიანის თარგმანი პირველად ნ. მარს შეუფასებია. „ტერიანს მოუსწრია, — წერს ნ. მარი, — მხოლოდ წინა 12 სტროფის თარგმნა. მისი თარგმანი შოთას ქმნილებისა სომეხ მკითხველს აწვდის იმას, რასაც ამ პოემის არც ერთი მთარგმნელი არ იძლევა“ („ნორქ“, პირველი წიგნი, 1922, გვ. 122. სომხურ ენაზე).

უდროო სიკვდილმა ხელი შეუშალა ტერიანს განეხორციელებინა პოემის სრული თარგმანი. ვ. ტერიანის ეს პატარა ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის“ სომხური თარგმანის ტრადიციის შექმნის პირველი სერიოზული ცდაა. „ნაწყვეტის სომხურ თარგმანში, — წერს ნ. მარი, — რაღაც მიმზიდველობა მოჩანს და იგია, რომ კითხვის დროს მაცთურობას ჰქმნის, თითქოს ტერიანი კი არ მგონობს სომხურად, არამედ თვით შოთა“.

„ვეფხისტყაოსნიდან“ ცალკეული ნაწყვეტები სხვადასხვა დროს უთარგმნიათ პროფესორ ლ. მელიქსეთ-ბეგს, ოვანეს კარაპეტიანს, ვარდან სიმონიანს, გეორგ მურადიანს, ანტონ აუშტრიანს.

1937 წელს სომხურმა გამომცემლობამ გამოაქვეყნა ქართველოლოგ გეორგ ასატურის მიერ შესრულებული სრული თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა“.

ამჟამად პოემის ახალი, სრული თარგმნისათვის ხელი მოუკიდია თბილისში მცხოვრებ პოეტ ჰოვაჰ კარაიანს. პრესაში დაბეჭდილი ცალკეული ნაწყვეტები მოწმობენ, რომ ეს თარგმანი მაღალხარისხოვანი იქნება.





## გალტიისკირეთში იანსონსი

ქართული პოეზიის საუნჯე — რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ დიდი ხნის განმავლობაში უცნობი იყო ლატვიელი მკითხველისათვის. როცა ბურჟუაზიულ ლატვიაში ენციკლოპედიებსა და ლიტერატურის ზოგიერთ ისტორიაში მოიხსენიებდნენ აღმოსავლეთის ხალხთა შუასაუკუნეების ლიტერატურას, გაკვრით თუ ახსენებდნენ რუსთაველის სახელს.

პირველია სტატია, რომელიც რუსთაველს და მის პოემას მიეძღვნა, გამოქვეყნდა საბჭოთა პერიოდში. 1940 წელს გაზეთ „პადომიუ ლატვიაში“ („საბჭოთა ლატვია“, № 55) მწერალმა იანის ვესელისმა გააცნო მკითხველებს ქართული ეპოსი და მიუთითა მისი ადგილი იმ პოეტურ ქმნილებებს შორის, რომლებიც რაინდობისა და აღორძინების კულტურათა მიჯნაზე შეიქმნა. იმავე წლის გაზეთ „იაუნაის კომუნარის“ 27-ე ნომერში მოთავსებული ხ. მოორის სტატია რუსთაველზე უმთავრესად ინფორმაციული ხასიათისა იყო.

დიდი სამამულო ომის შემდეგ, რუსთაველის ხსოვნის დღესთან დაკავშირებით, ლატვიაშიც დაიბეჭდა რამდენიმე სტატია დიდ ქართველ კლასიკოსზე. 1946 წლის აღმანახ „ლიტერატურას გადაგრამატაში“ („ლიტერატურული ყოველწლიური“) მწერალმა არვიდ გრიგულის-

მა საბჭოთა ხალხების ლიტერატურათა მიმოხილვაში შეიტანა ნარკვევი რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“. რუსთაველის პოემის ყველაზე დეტალური განხილვა ეკუთვნის პედაგოგსა და ლიტერატურათმცოდნეს ემა ანდერსონს — ჟურნალ „პადომიუ ლატვიას სკოლა“ („საბჭოთა ლატვიის სკოლის“) 1946 წლის მე-3 ნომერში. აქ პირველად გამოქვეყნდა პოემის ზოგიერთი სტროფი.

ემა ანდერსონი მოგვიხსრობს, რომ ომის შემდეგ ფიქრობდნენ ახალგაზრდობისათვის შეედგინათ ისეთი ახალი სახელმძღვანელოები, სადაც შევიდოდა რუსული და სხვა მოძვე ხალხთა ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწარმოებები. რუსთაველის პოემა, რომელიც ადიდებს ვაჟკაცობას, მეგობრობას, სიყვარულს და საუკუნეთა ქართველებს გაუძღო, იყო ერთ-ერთი პირველი, რაზეც პედაგოგების არჩევანი შეჩერდა.

ომმა დაფანტა ლატვიელი ინტელიგენციის რიგები. ბურჟუაზიულ ლატვიაში რუსულ ენას ისევე, როგორც რუსულ და საბჭოთა კულტურას, ძალზე უმნიშვნელო ადგილი ეთმობოდა, ხანდახან სულაც დუმილით უვლიდნენ გვერდს. კვალიფიციური მთარგმნელების მონახვა არცთუ ადვილი საქმე იყო. ამისდა მიუხედავად უკვე 1946 წელს გა-



მოსულ ლიტერატურულ ქრესტომატი-  
ში მე-8 კლასისათვის — პირველად ლატ-  
ვიურ ენაზე გამოქვეყნდა რუსთაველის  
პოემის ნაწყვეტები.

ეს იყო 61 სტროფი პოემისა. გამო-  
ქვეყნდა შესავლის 12 სტროფი, I და  
XVI ამბავი მთლიანად, II და XVIII ამ-  
ბავი და პროლოგი უმნიშვნელო შემოკ-  
ლებით. პირველი და ჯერჯერობით ერ-  
თადერთი მთარგმნელი უკვდავი რუსთა-  
ველის პოემისა ლატვიურ ენაზე პოეტი  
ეკაბს იანსონისა (1890-1953 წ. წ.).

ეკაბს იანსონი დაიბადა პურის თემის  
ხუტორ ბირზნიეკში. მამა მალე გარდა-  
ეცვალა და რვა წლის განმავლობაში პა-  
ტარა ეკაბსი მახლობელი მამრების მე-  
პატრონეთა საქონელს მწყემსავდა. დე-  
დას უჭირდა მისი და პატარა ძმის ფრი-  
ცისის შენახვა.

კანდავის ქალაქის სკოლაში ეკაბსი  
საკმაოდ ჩქარა დაეუფლა რუსულ და  
გერმანულ ენებს. იგი, როგორც ბევრი  
სხვა ღარიბი ლატვიელი ჭაბუკი, ოც-  
ნებობდა კულტურის დიდ ცენტრზე —  
პეტერბურგზე. ეკაბსი დამოუკიდებლად  
მოემზადა, გაემგზავრა პეტერბურგში და  
შინამასწავლებელთა გამოცდები ჩააბა-  
რა. რამდენიმე წელი იგი მასწავლებ-  
ლობდა რუსეთში. ლატვიურ გაზეთებში  
ხანდახან გამოჩნდებოდა ხოლმე მისი  
ლირიკული ლექსები, ახალგაზრდული  
რომანტიზმით შუქმოსილი.

დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. ე.  
იანსონი ლატვიელ მსროლელთა პოლკ-  
ში მოხვდა, აქ იგი გაეცნო ლიტერატუ-  
რის მოღვაწეებს, მათ შორის პროგრე-  
სულ პოეტს ლინარდ ლაიცენს.

1919 წელს ეკაბს იანსონი რიგაში  
დასახლდა. რამდენიმე წელი მუშაობდა  
ეროვნულ თეატრში (ახლა დრამის აკა-  
დემიური თეატრი, რომლის ხელმძღვა-  
ნელი იყო რაინისი — შემდგომში ლატ-  
ვიის სახალხო პოეტი).

1924 წელს დაამთავრა ლატვიის უნი-

ვერსიტეტის პედაგოგიური განყოფილე-  
ბა და დაიწყო მასწავლებლობა. <sup>ქრესტომატი-  
ში</sup> საც თავი არ გაუნებებია სიცოცხლის  
უკანასკნელ დღეებამდე.

1925 წელს გამოდის ე. იანსონის ლექ-  
სების კრებული „ხარლეკინა ვესტუ-  
ლეს“ („არლეკინის წერილები“). ამ კრე-  
ბულში ჭარბობს ლექსები სიყვარულსა  
და ბუნებაზე, შექმნილი პასიური რომან-  
ტიზმის სულისკვეთებით. 30-იან წლებ-  
ში ე. იანსონი წერს პოემებს, სადაც უპ-  
ლერის უძველეს ლატვიურ ტომს — კურ-  
სებს, რომელნიც სალაშქროდ დანიასა  
და შვედეთში მიდიოდნენ და რომლებიც  
იხსენიებიან ძველ მატიაწეებში, პოეტი  
აგრეთვე ასახავს გერმანელთა ბატონო-  
ბის ხანას ლატვიაში.

მთელი თავისი სიცოცხლის მანძილ-  
ზე ე. იანსონი დაინტერესებული იყო  
ისტორიით, განსაკუთრებით ძველი და  
შუა საუკუნეებით. ე. იანსონმა ისწავ-  
ლა ინგლისური და ფრანგული ენები.  
იგი თანდათან მხოლოდ თარგმანებით შე-  
იზღუდა, მისი ფსევდონიმი იყო ე. საივა.  
მან თარგმნა ძველი ფრანგული ეპოსი  
„როლანდის სიმღერა“ (1935 წ.), შექს-  
პირის პიესა „რიჩარდ II“, ჯ. ბაირონის  
ლექსები, დ. ბედნი და მრავალი სხვა პო-  
ეტი, აგრეთვე ა. დიუმას პროზა, ხ. ვალ-  
პოლის, ჟ. ჟიონოს, გ. დიამალის და სხვა  
ავტორების ნაწარმოებები.

რუსთაველის პოემა თარგმნილია რუ-  
სული ტექსტიდან. კ. ბალმონტი, გ. ცა-  
გარელი ითვალისწინებდნენ რუსულა  
ენის სპეციფიკას და ნაცვლად ორიგი-  
ნალის რითმებისა aaaa და bbbb გამოიყე-  
ნეს abab. ასე მოიქცა ე. საივა. რუსთა-  
ველის პოემის საზეიმო კეთილშობილე-  
ბა, დიდებულება, ძველი რაინდებისა და  
აღორძინების ხანის ჰუმანიზმი კარგი  
ლატვიური ენით ჟღერს. რუსთაველს  
პოემის მთლიანი თარგმანი ჯერ კიდევ  
მომავლის საქმეა — ლატვიელი ლიტე-  
რატორები ჯერ კიდევ ვალში არიან თა-  
ვიანთი მკითხველების წინაშე.

## დიდებული მეტაფორები

ყოველივე ის, რაც ლამაზია და მშვენიერი, მოხდენილი და ნატიფი, რუსთაველის მხატვრულ ცნობიერებაში მეტაფორული აზროვნების ობიექტადაა ქცეული. მეტაფორული აზროვნების დიდოსტატი პიროვნების გარეგნული და სულიერი მხარეების მხატვრული წარმოსახვისათვის, ადამიანთა ბრძოლისა და მოქმედების, მათი შინაგანი მღელვარების, დიდი წუხილისა და დიდი სიხარულის გადმოსაცემად საგანგებოდ არჩევს გამჭირვალე ფერებს და სურნელოვან საგნებს. არსებითად მეტაფორულია რუსთაველის პოეტური სახეები, რომლებშიც განზოგადებულია პოეტისა და მისი გმირების აზრები და განწყობილებანი. არსებითად იმიტომ, რომ სხვა მხატვრული ხერხების როლიც არაა გამორიცხული ამ მხრივ, მაგრამ მეტაფორა მაინც რუსთაველის ყველაზე საყვარელი პოეტური ხერხია.

„ვეფხისტყაოსნის“ ფლორისა და ფაუნის, ძვირფასი ქვების, ციური სხეულების პოეტურ ფენქციებზე თავის შრომებში მიუთითა ვიქტორ ნოზაძემ. თავიანთ რუსთველოლოგიურ გამოკვლევებში ალექსანდრე ბარამიძემ, გაიოზ იმედაშვილმა და გიორგი ნადირაძემ ბევრ შემთხვევაში სწორად ამოხსნეს ვარდის,

ძვირფასი ქვების, ასტრალური, ვეფხვისა და ლომის სიმბოლიკის მიხედვით შექმნილი მეტაფორების მნიშვნელობა.

ადამიანის მთლიანპიროვნული საზის მეტაფორებად რუსთაველი ციური სხეულებიდან მზესა და მთვარეს, ცხოველთა, ფრინველთა და მცენარეული სამყაროდან კი — ლომს, ვეფხვ-ავაზას, ვარდს, სოსანს, ალვას, საროსა და ლერწამს მიიჩნევს.

რუსთაველის გმირები მზის შუქით არიან მოსილნი. ამით ხაზგასმულია მათი ნათელი, უღრუბლო და უჩრდილო ბუნება:

ტაიჰი მიუქს მერანსა,  
მიეფინების მზე ველად.

ტარიელ უთხრა სიცილით,  
მან მზემან შუქ-ნაფენმან.

მზიური სინათლე ამშვენებს პოემის გმირების ადამიანურ ბუნებას, გარეგნობას, მოქმედებასა და ხასიათს. ამ ასპექტშია გააზრებული მზე, როგორც ადამიანის ულამაზესი მეტაფორა.

ამგვარივე ფუნქციითაა, პოემაში გამოყენებული მთვარე:

ღარჩა მთვარე ვეელისაგან,  
გავსებული, ჩაუნთქმელი.

მთავარ წყალს გამოსრული  
ნახეს, შუქთა მოვანება.

ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის ფიზიკური ძალისა და რაინდობის, მათი ფსიქოლოგიური განწყობის ასახავად რუსთაველი მეტაფორებად იყენებს ლომს:

... თავნი მივსცნეთ აწ ღიმილსა,  
რათგან მიხვდა დაკარგული  
ლომი მზესა წახლომილსა.

... მე ლომი ლომთა დავისვა  
გვერდსა შენ მზესა მზეთასა,  
განრისხებული ნესტანის პირქუში სახის მეტაფორად კი პოემაში ნახმარია ვეფხი-ავაზა: „ვეფხი-ავაზა პირქუშად ზის, წყრომა ვერ ვუგარძენითა“.

ვარდი, სოსანი, ედემს ნაზარდი ალვა, სარო, ლერწამი „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა პოეტური ნაცვალსახელებია. ამ მეტაფორებით რუსთაველი ამკობს თავის სათაყვანებელ რაინდებსა და საამაყო ასულებს. ეს შეესატყვისება მათს სულიერ რაინდობას, მაღალ ზნეობრივ თვისებებსა და ადამიანურ კეთილშობილებას. ადამიანთა გარეგნული და სულიერი მხარეების პოეტური წარმოსახვით რუსთაველი სრულყოფილად გვიხატავს თავისი გმირების მთლიანბიროვნულ სახეს, ხასიათსა და შინაგან ბუნებას.

ფრიდონი ნესტანის შესახებ ამბობს: „იგი ვარდი შემეყვარდა, რომე თოვლსა არ ეხეწა“.

ავთანდილის მოხდენილობასა და სილამაზეს მიგვანიშნებს სოსანი, ედემს ნაზარდი ალვა და სარო:

დილასა ადრე მოვიდა  
იგი ნაზარდი სოსანი.

ვინ უწინ ედემს ნაზარდი  
ალვა მრგო, მომრწყო, მახია,  
დღეს საწუთრომან ლახვარსა  
მიმცა, დანასა მახია.

აქადაღმა ათ დღე მიხვალ  
ნაკვთად ხარო, ფერად ლალი.

პერსონაჟთა მოძრაობის სინარჩარის გამოსახატავად პოეტი მიმართავს ლერწამს. იგი ამ სახელს აზმნავებს და მისი

საშუალებით მეტაფორულად ნაკვთავს ავთანდილის ტანის სილამაზეს. „ნახვა მკვრეტელთა ახელებს, ტანი ლერწამს რხევითა“. ვარდი ზოგჯერ ლაწვის მეტაფორაა: „ტარიელის ვარდი იყო დათრთვილული, არ დაზრული“.

პირისახის ჰიპერბოლურად წარმოსახვისათვის იგი ზოგჯერ ვარდის ბაღს იყენებს: „ამად ტირს, ბაღი ვარდისა ცრემლითა აივსებოდა“.

ამ ჰიპერბოლურ სახეს თავისი მოტივაციური დასაბუთებაც ახლავს: ვარდის ბაღს ცრემლითა სიმრავლე შეეფერება. ვარდის ბაღის ცრემლით ავსება თინათინის მკვლევარების უსაზღვროებას გამოხატავს.

ვარდი ტუჩის მეტაფორაცაა: „ვარდი ერთგან შეეწება, მარგალიტსა არ აჩენდა“.

მცენარეული სამყაროდან, გარდა ვარდისა, სხეულის ნაწილების მეტაფორებად „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებულია ნარგისი და ნუში:

ნუში გააპნა, შეიძრნეს  
სათნი გიშრისა წნელითა.

ნარგისთათ წვიმა ბროლისა  
წვიმს, ვარდი ნაწვიმარია

მოყვანილ მაგალითებში ნუში და ნარგისნი თვალების მეტაფორებია.

ადამიანის პირისახის ნაკეთების გამოსახვისათვის რუსთაველი დიდი ოსტატობით იყენებს ძვირფასი ქვების ფერთა გამკვირვებლობასა და სიკაშკაშეს. სხვადასხვა სიტუაციაში მათი ფერების პოეტური გააზრებით მგოსანი განსხვავებულად წარმოგვისახავს გმირთა სულიერი მდგომარეობის ცვალებადობას. უთუოდ სწორად აღნიშნავდა რუსთაველის გამოჩენილი მკვლევარი გ. ნადირაძე: „პოემაში ხშირად შევხვდებით ისეთ ტაეპებს. სადაც ძვირფასი ქვები ასურათებენ გმირების მძიმე სულიერ განცდებს. ასეთ შემთხვევებში რუსთაველი ჩვენს ყურადღებას მიაპყრობს სახის ფერის ცვალებადობაზე, რომელსაც ძვირფასი ქვების მოზაიკით ხატავს და ზოგჯერ ამ



მიზნით ყვავილების, ბალახის, ხავსისა და ლილის ფერებსაც იყენებს“ („რუსთაველის ესთეტიკა“, გვ. 408).

თავისი გმირების პირისახის ნაკეთთა დასახატავად რუსთაველი ხშირად მიმართავს ძოწს, მარგალიტს, ბროლს, ლალს, მინას, სათს, აყიყსა და გიშერს.

ძოწი „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება ტუჩების მეტაფორად. ამ შემთხვევაში საგნის თვისების (ფერის) მეტაფორიზაციით მეორე საგანი წარმოგვესახება. ძოწის სიწითლე ტუჩებს არაჩვეულებრივ სინატიფეს ანიჭებს. მისი ფერადონება ქმნის სინათლის, შუქის, ყვავილოვნების ძლიერ შთაბეჭდილებას.

მათ მარგალიტი უჩვენის  
ძოწისა კარმან ლიამან.

გალიმდის, ძოწი ვააპის,  
კბილთაგან ელჭა ჰკრთებოდა.

მარგალიტი ყველგან, სადაც კი იგი მეტაფორად გვევლინება, კბილებს აღნიშნავს: „შუა ძოწსა და აყიყსა სჭვირს მარგალიტი ტყუბები“. ბროლს მეტი მხატვრული ფუნქციები აქვს: იგი აღნიშნავს კბილებს, პირისახეს, ლაწვს, შუბლს. ყველა შემთხვევაში იგი თავის ნათელ სხივს აფრქვევს.

კბილთა ელვარებას გადმოსცემს შემდეგი ტაეპი: „ვარდი ვააპის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამომჭვირალი“.

რუსთაველი არა მარტო საგნის მეტაფორას ქმნის, თვით გამოსახახავი ობიექტისადმი მეტაფორიზებული საგნის პროცესობრივ მიმართებასაც გვიჩვენებს: „მით პირი ჩემი გაბროლდა და ლაწვი გამელაღვოდა“.

ლაწვთა მიმზიდველობა პოემაში დახატულია მშვენიერი მეტაფორული გამოთქმით — **ბროლის ველი**. ეს სახე ჩახრუხაძესაც აქვს, მაგრამ რუსთაველი, მისგან განსხვავებით, სხვა კონტექსტში გვაძლევს ამ მეტაფორას: „ბროლისა ველსა სტურფობდეს გიშრისა მუნ საყენია“.

სხვა სიტყვასთან ერთად ბროლი შეიძლება შუბლის მეტაფორადაც იქნეს

მიჩნეული: „ყორანსა გაჰლევს ხშირ-  
ხშირად, აფრთხობს ბროლისა ჯეირთა“.

ბროლის ჯერს დ. კობიძე თითქმის მთლიანად ტაფორად თვლის, ხოლო ს. ვაჩიჩილაძის აზრით, იგი ცრემლს აღნიშნავს. ჩვენ სწორად მიგვაჩნია კ. ჭიჭინაძის განმარტება, რომლის მიხედვითაც ბროლის ჯერი რუსთაველის მეტაფორაში ნიშნავს „თავის ზემო ნაწილს შუბლითურთ“.

ბროლი ცრემლის მეტაფორაცაა. ტარიელის უზომო მწუხარების გამოსახატავად რუსთაველი იყენებს ულამაზეს მეტაფორას — ბროლის წვიმას: „**მუნვე წვიმს წვიმა ბროლისა**, ჰვია გიშრისადარი სად“.

ბროლის წვიმა ცრემლის წვიმაა. ბროლი წმინდაა და თეთრი, ეს თვისებები გადატანილია ტარიელის ცრემლთა დასახასიათებლად. სახის ამგვარი აგვიორუსთაველი გვანიშნებს გმირის სულიერ სიფაქიზეს.

პოეტი ლალს ლაწვის იდეალურ შესატყვისად თვლის. ამიტომ როცა სურს გვიჩვენოს გადახრა ამ იდეალური მდგომარეობიდან, მას ხან ქარვის, ხანაც გახეთქილი ლალის სახით წარმოგვისახავს:

ბროლი და ლალი გასრულვარ  
ქარვისა უყვითლესად-რე.

გახეთქა ლალი, გათლილი  
ანდამატისა კვერთა.

ფერთა ამ ცვალებადობაში მკაფიოდ მოჩანს გმირთა სულიერი მდგომარეობის ტრანსფორმაცია განსხვავებული სიტუაციის შესაბამისად.

ლალს მგოსანი ხშირად უნაცვლებს ბალახშს. ბალახშს სპეციალისტები (ი. აბულაძე, ა. შანიძე) საუკეთესო ლალად მიიჩნევენ. ამის გამო, ბუნებრივია მათი შენაცვლება, როგორც სინონიმური ერთეულებისა. ბალახში „ვეფხისტყაოსანში“ ლაწვისა და ბაგეთა მეტაფორაა:

აქა მათ ზანვთა მონათა  
მზე მოიყვანეს ნავითა,  
კბილ-თეთრი, ბაგე-ბალახში,  
სახედავითა შავითა.

ბალახშის, როგორც ლაწვის პოეტური მეტაფორა უნივერსალურადაა გამო-



ხატული ტაეპში: „ბროლ-ბალახში გა-  
აღწვეს და გიშერი აწამწამეს“.

გამოსასახავი საგანი აქ თვითონაა ქვე-  
ული მეტაფორად („გააღწვეს“); რომ-  
ლის სრულყოფისათვის ფერთა გამჭვირ-  
ვლობით განთქმული ბროლი და ბალახ-  
შია მოხმობილი.

ბროლ-ბალახში პოეტი ზოგჯერ კბი-  
ლებს გულისხმობს.

ერთგან დასხდეს, ილაღობეს,  
საუბარი ასად აგეს,  
ბროლ-ბალახში შეხვეული  
და გიშერი ასადაგეს.

აქ თავს იჩენს რუსთაველის პოეტურა  
ზელოვნების დამახასიათებელი თვისე-  
ბა — ის, რაც ხშირად მეორდება, თავის-  
თავად ძვირფასიც რომ იყოს, კარგავს  
მიმზიდველობას. სხვა ადგილას ეს აზრი  
პოეტმა უმშვენიერესი აფორიზმით გა-  
მოხატა: „ოდეს ტურფა გაიფედეს, აღა-  
რა ღირს არცა ჩირად“.

ბროლ-ბალახში გვერდით პოემაში  
ხშირად იხმარება მინა. იგი ერთვის ამ  
ძვირფას ქვათაგან გამოცემულ კაშკაშა  
ფერებს და ამშვენებს მათ: „ბროლ-ბა-  
ლახსა აშვენებდა ზოგან მინა, ზოგან  
სათი“.

რუსთაველი ფერთა სიუხვით წარმტაც  
ფორმებში წარმოგვისახავს გმირთა ზღა-  
პრულ მშვენიებასა და სილამაზეს:

იტყვის: „დავკარგე ბროლი და  
სადა რთავს ბროლსა მინები“.

მეძნელებოდა სიშორე,  
მისი ბროლ-ბალახ-მინისა.

აყიყი ერთხელ გვხვდება პოემაში ძოწ-  
თან ერთად საზიარო ფუნქციით: „შუბ  
ძოწსა და აყიყსა სკვირს მარგალიტი  
ტყუბები“.

ყველაზე ხშირად და მრავალი ფუნქ-  
ციით „ვეფხისტყაოსანში“ გიშერია ნახ-  
მარი.

გიშერი გამოყენებულია წამწამთა,  
წარბების, თვალის და თმის მეტაფორე-  
ბად. განსაკუთრებით მრავალფეროვანი  
და სპეციფიკურია წამწამთა მეტაფორე-  
ბი. პოემაში წამწამთა დასახატავად გიშ-  
რის გამოყენების 14 განსხვავებული შემ-  
თხვევა გვაქვს. ისინი სხვადასხვაგვარად  
გვისახიათებენ წამწამთა ისეთი თვისე-  
ბებს, რომლებიც თავიანთი მომზიდველობ-  
ით ადაგზნებენ „ვეფხისტყაოსნის“ გმი-  
რებს. ეს არაა წამწამთა უბრალო აღწე-  
რილობა. წამწამნი მგოსანს დახატული  
აქვს სხვა საგნებთან შავი ფერის ისეთ  
მიმართებაში, რომლებიც გვიჩვენებენ  
მოძრაობას, სიმწყობრეს, სიხშირეს, სი-  
ლამაზესა და მშვენიერებას. წამწამის  
ხატვისას მგოსნისთვის ამოსავალია მისი  
ფერი — სიშავე. ამ ძირითადი თვისების  
გადმოცემისათვის იგი გიშერს იყენებს:  
„რა სჯობს, რა კაცმან გიშერი ბროლ-  
ლალსა თანა ახიოს“.

მაგრამ წამწამთა სხვადასხვა ასპექტის  
მხატვრული წარმოსახვისათვის გიშერი  
გარკვეულ საგანსა და მოქმედებასთან  
ურთიერთობით იძენს თავის განმაზოგა-  
დებელ მნიშვნელობას.

მეტაფორის, როგორც მხატვრული სა-  
ხის, ფორმირების პროცესი განსაკვიფ-  
რებელი დინამიკითაა ასახული რუსთა-  
ველის ცნობილ ტაეპებში:

მოახსენა ყმამან: „მზეო,  
გინ გიშერი აწამწამე“.

ბროლ-ბალახში გააღწვეს  
და გიშერი აწამწამეს.

გამომსახველი საშუალებებისა და გა-  
მოსასახავი საგნების ურთიერთგადა-  
სვლის პროცესი განსაკუთრებით მძლავ-  
რად უკანასკნელ ტაეპში იგრძნობა, სა-  
დაც ერთიმეორის მიყოლებით ნახმარი  
გააღწვეს და აწამწამეს პოეტურად აგ-  
ვირგვინებს სახის გაფორმებას.

წამწამთა სიხშირისა და სურათოვნე-  
ბის გამოსახატავად პოეტი ქმნის უმშვე-  
ნიერეს მეტაფორულ ფრაზეოლოგიას —  
გიშრის დაკარგვას: „ლერწმისა სარსა  
დასდრეკდა, გიშერსა დაკარგვებდა“.

წამწამთა შემტვე ბუნებას, მჭკრე-  
ტელთა გულის გამგმირავ თვისებას გა-  
მოხატავს მეტაფორული გამოთქმები:

გიშრის შუბები და გიშრის დანა:

შიგან სისხლისა მორევსა  
ეყარის გიშრის შუბები.  
დადუმდეს, ცრემლი მოჰკვეთნა  
შემან გიშრისა დანამან.

გიშრის შუბები, როგორც მეტაფორა, შუბივით სწრაფი, სწორი გამიზნულობის, გულის გამჭოლი თვისებებით ახასიათებს წამწამებს. შავი გიშრის დაწა მწვავე განცდების დამოკებელ საშუალებად აქვს პოეტს გამოყენებული. ორივე შემთხვევაში წამწამები აალმასებენ „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა გრძნობებს და მიჯნურობის ალით აღაგზნებენ მათ სულს.

წამწამთა სიმტკიცესა და სიმძლავრეს გამოხატავს მეტაფორები — გიშრის საყენი და გიშრის სარი: „ბროლისა ველსა სტურფობდეს გიშრისა მუნ საყენია“.

სადა ინდონი ბროლ-ვარდსა  
სარვენ გიშრისა სარითა,  
მას მოვეშორვე, წამოვე...

წამწამების მეტაფორად რუსთაველი იყენებს გიშრის ღარს. ეს მხატვრული სახე „ვეფხისტყაოსანში“ ორჯერ იხმარება და ორგანვე თვალთაგან გადმოღვრილ ცრემლთა სადენადაა გამოყენებული: „ბროლ-ლალსა ღვარი ნარგისთათ მოსდის გიშრისა ღარითა“.

ბროლ-ლალი დაწვებია, ნარგისნი — თვალები, გიშრის ღარი — წამწამები. სტროფიდან ჩანს, რომ ნესტანის სახეს თვალთაგან დადენილი ღვარი ეცემა. მართლაც, ღვარს წარსადინებლად ნამდვილად შეეფერება ღარი. რუსთაველის მხატვრულ სახეებს შორის უინაგანი აზრობრივი კავშირია, რაც მათი საშუალებით გამოხატულ პოეტურ სათქმელს რეალურ სახეს აძლევს.

წამწამები პოემაში საჩრდილობლის განცდას იწვევს. ამის შესაბამისად, რუსთაველის მეტაფორა გიშრის სატები შავ საჩრდილობელს ანუ წამწამებს უნდა ნიშნავდეს (სატების საჩრდილობლად გაგებას მხარს უჭერენ საბას, ი. აბულაძის, კ. ჭიჭინაძის, ვ. ნოზაძის განმარტებანი). ამ მეტაფორით რუსთაველი უმძაფრეს ფორმებში გვიხატავს ტარიელის სასოწარკვეთილებას: „სისხლისა ცრემლსა გაეწნა შუა გიშრისა სატები“.

წამწამები პოეტს გიშრის ჭერის სახითაც აქვს წარმოდგენილი: „მელნისა ტბა-

თა მიჯარვით ჰპურავს გიშრისა ჭერითა“.

წამწამები პოეტს შავი გიშრის ხის მსგავსადაც ესახება. ხის დაკვეთის შემდეგ გიშერთან სიცოცხლის, სიახალგაზრდავისა და მშვენიერების განცდებს აღძრავს. მართლაც, მშვენიერი პოეტური სახეა ავთანდილისაგან თინათინის წამწამებზე ნათქვამი: „ჩემნი მომკვლელი წამწამნი შავნი გიშრისა ხენია“.

უზომო მწუხარების განცდასთანაა დაკავშირებული წამწამთა მეტაფორა გიშრის ტვერი. მას ზოგჯერ სისხლის ღვა-რი და ზოგჯერაც ცრემლი ეფარდება:

სისხლისა ღვარმან შეღება  
წითლად გიშრისა ტვერები.

გიშრისა ტვერი ავუბებს,  
ვარდისა ველსა ფონია.

და მართლაც, მწუხარების უსაზღვროების გამოსახატავად ტვერი იყო საჭირო, რომ მასთან შეფარდებულ სისხლისა და ცრემლის ღვარებს შესატყვისი ობიექტი ჰქონოდათ. გარკვეულ სიტუაციასთან შეფარდებით შესაბამისი მხატვრული სახეების შერჩევა რუსთაველის მეტაფორული აზროვნების ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა.

გიშერს, მისი ძირითადი მეტაფორული გაგებით, რუსთაველი ხმარობს ვარდთან (ღაწვის მეტაფორა) ერთად. ვარდ-გიშერი მგოსნის მხატვრული წარმოსახვით სინაზისა და მშვენიერების უზენაესი გამოხატულებაა:

მზემან ლომსა ვარდ-გიშერი  
ბალი ბახჩად უშენოსა.

გიშრის მონაწილეობით მხოლოდ ერთხელ გამოსახავს რუსთაველი წარბებს, მაგრამ ისეთ საგანთა კომპლექსში, რომ მთლიანადაც და ცალკეც იგი უმშვენიერეს განცდებს აღგვიძრავს: „ნუშნი გააპნა, შეიძრნეს სათნი გიშრისა წნელითა“.

ნუშნი, როგორც ზემოთ ითქვა, თვალებია, სათნი — წამწამები, გიშრის წნელი — წარბები. გამოითქვა აზრი, რომ სათი გუგაა, გიშრის წნელი — წამწამები (გ. ნადირაძე, „რუსთაველის ესთეტიკა“, გვ. 406). სათნი უკავშირდება ზმნას „შე-

იძრინეს“. ამ ზმნის მხოლოდობითი რიცხვის ფორმასთანაა დაკავშირებული „რაზმი ინდოთა ტომისა“:

„რაზმი ინდოთა ტომისა“ წამწამებია, წამწამებია სათნიც. ორივეს „შეძრვა“ საწყისის ზმნური ფორმები ეფარდება. ამ ზმნის უზმნისწინო ფორმებთან დაკავშირებულია ბავე, ენა, ტანი და თვალის არე, რომელსაც წამწამები მოიცავს:

მისთვის სძრვიდა სასაუბროდ  
მათ ბავეთა ძოწის-ფერთა.

მან უთხრა: ძმაო, რა გითხრა,  
ძრვაცა არ ძალ-მიც ენისა.

მინდორთაკე წაიყვანა,  
ტანი მჰვეერი აძრვევინა.

ნარვისთათ იძრვის ბორიო,  
ვარღსა ზრავს, იანვარია.

ყოველივე ეს გვაგარაუდებინებს, რომ სათნი წამწამებია და არა გუგა.

აღნიშნულ ტაეპში მეტაფორული სახეები ერთმანეთს გასჯობრებია ადამიანის სახის სხვადასხვა ნაკეთის დასახასიათებლად. საყურადღებო ისაა, რომ ტაეპი მთლიანად მეტაფორულადაა გააზრებული. მეტაფორათა ერთობლიობა ქმნის თვალისა და წარბ-წამწამთა მხატვრულად წარმტაც სურათს.

პოემაში მხოლოდ ერთხელ გვხვდება გიშრის ტბა, როგორც თვალის მეტაფორა. მგოსანმა იგი თავისი შემოქმედებითი პროცესის მთავარ და განუშორებელ მასალად აირჩია: „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული“.

განებამახვილურად გახსნა გ. ნადირაძემ მეტაფორის — გიშრის ნავის მნიშვნელობა:

ავთანდილ მალვით ცრემლსა სწვიმს,  
სდის ზღვათა შესართავისად,  
შიგან მელნისა მორევსა,  
ცურავს გიშრისა ნავი საო.

ამ ტაეპის გამო მკვლევარი წერდა: „თვალის მეტაფორებმა — მელნის ტბამ და მელნის მორევმა ბუნებრივად გამოიწვიეს გუგის შედარება ნავთან; რუსთაველმა ისიც გიშრიდან გამოძქრა; ასე მივიღეთ საუცხოო მეტაფორა — გიშრის

ნავი...“ (გ. ნადირაძე, „რუსთაველის ესთეტიკა“, გვ. 406).

მშვენიერი მხატვრული სახეა: <sup>ნაწევრული</sup>მორვეი, სადაც გიშრის ნავი ცურავს. აზრობრივი კავშირი მორევსა და ნავს შორის აქ დამშვენებულია ბრწყინვალე მეტაფორებით.

და ბოლოს გიშერი თმის მეტაფორაცაა:

ვის მშვენის, — ლომსა, — ხმარება  
შუბისა, ფარ-შიშვრისა,  
— მეფისა მზის თამარისა,  
ლაწვ-ბალახშ, თმა-გიშერისა.

„ვეფხისტყაოსანში“ გიშრის ტბის სინონიმებია მელნის ტბა და მელნის მორვეი. ორივესათვის საერთოა შავი ფერი (მელანი თავდაპირველად შავი ფერის სიტხეს ნიშნავდა). სიშავე, რომლის უძირვება მელნის ტბისა და მელნის მორვეის სახითაა გამოსახული, თვალის ფერის ესთეტიკურად განცდისათვის ხელშესახებ ხატებს წარმოადგენენ:

მე შემომხედნის ლამაზად  
მის მელნის ტბისა თვალითა.

მელნისა ტბათთ იღვრების  
სავსე სათისა რუბები.

მელნის ტბა და მელნის მორვეი, როგორც თვალის მეტაფორები, ჩახრუხაძესაც აქვს გამოყენებული, მაგრამ რუსთაველის მხატვრული ასოციაციით ისინი ცრემლის ტბასთანაა დაკავშირებული, რომლის სათავე თვალია: „დაჯე წერად ჭირთა ჩემთა, მელნად მოგეყე ცრემლთა ტბასა“.

სხეულის არც ერთ ნაკვთს არა აქვს წამწამისოდენი მეტაფორა. ამის შესახებ არსებითად უკვე გვქონდა საუბარი. გარდა ზემოთქმულისა, წამწამთა მეტაფორებად „ვეფხისტყაოსანში“ ნახმარია ყორნისა და ინდოს გამოყენებით შედგენილი გამოთქმები. აქაც ყველგან ამოსავალია სიშავე. ფერის მიხედვით ეს ყორნისა და ინდოს არსებითი ნიშანია.

მძაფრი სულიერი განცდების გადმოსაცემად ყორნისა და ინდოს მონაწილეობით შედგენილი ფრაზეოლოგიური ერთეულები მთელი სიღიადით წარმო-



გვიდგენენ წამწამთა ქმედით ძალას და სილამაზეს:

ვარდა ზედა ყორნის ბოლო  
ნამსა თხელსა აკურებდა.

ქალი ტირს და ცრემლსა აფრქვევს,  
ხრის ყორნისა ბოლო-ფრთათა.

ტარიელ შეკრთა, შეიძრა  
რაზმი ინდოთა ტომისა.

ფერის ხაზგასმისათვის აქ ყველგან სულიერი არსებანია (ყორანი, ინდო) გამოყენებული. ყორნის ბოლო და ყორნის ბოლოფრთა, ინდოთა რაზმი და რაზმი ინდოთა ტომისა წამწამების აღნაგობას, მის სიხშირეს, სიმწყობრესა და მომხიბლაობას ასახავს. ამ მხატვრულ სახეებში ფერი, აგებულება და მდგომარეობა წამწამებისა ეფარდება სუბიექტის განცდათა სამკვიდროს და განზოგადებულად გვიხატავს მისი სულის საღმობას.

ფერის მიხედვითაა შექმნილი თმის მეტაფორები: ყორანი, ყორნის ბოლო და ყორნის ფრთა. გონივრული ტარიელის მკვრეტელი ავთანდილი „ყორანსა გაპგლეჯს ხშირ-ხშირად, აფრთხობს ბროლისა ქერითა“.

ავთანდილი თინათინს რომ იგონებს, გულდაჯერებით ამბობს: „მეციცი, ჩემსა ხელ-მქმნელსა თმად ყორნის ბოლო სთმობია“.

ნესტანზე კი თვით მგოსანი ამბობს: „ალვისაგან სული მოქრის, ყორნის ფრთათა მონაბერი“.

ყორნის გაგლეჯა, ყორნის ბოლო თმობა და ყორნის ფრთათაგან მონაბერი ალვის სული თმათა მშვენიერებასა და მის სურნელებას მიგვანიშნებს.

პოემაში მხოლოდ ერთხელ გვხვდება თმის მეტაფორად გველნი და, მიუხედავად ამ სახელთან დაკავშირებული უსიამოვნო განცდისა, თმის გარეგნულ სილამაზეს იგი უმშვენიერესი ფორმით გამოგვისახავს: „გველნი მოშლით მოეკეცენს ბალი შეღმა შე-რა-შენდა“.

რუსთაველის მეტაფორები საკმაოდ ველს რეალურად არსებულ საგნებს მოვლენებში პოულობენ. პოემაში თვალწარმტაცი პეიზაჟების ფონზე შექმნილია განუმეორებელი მეტაფორები — ცის აგრავინება, ღრუბელნი და ბროლის ცვარი: „აგრავინდა ცა და ღრუბელნი ცროდეს ბროლისა ცვართა“.

ცის აგრავინება გვაგონებს ნარგისთა ქუხილს (ნარგისნი ქუხან, ცრემლსა წვიმს...), ღრუბელნი თვალგობია, რომლებიც ბროლის ცვარს, ე. ი. ცრემლებს ცრის. ერთმანეთის მიჯრით მიწყობილი ეს მეტაფორები ბუნებრივ მოვლენათა რეალისტური შეგრძნებიდან იღებენ თავიანთ სათავეს და ავთანდილის განცდათა სილამაზეც, რომელიც მეტაფორულადაა გამოვლენილი, ამავე წყაროთაა ნასაზრდოები.

ისე როგორც ცვარი, ცრემლის აღსანიშნავად პოემაში გამოყენებულია ნამი: „ვარდა ზედა ყორნის ბოლო ნამსა თხელსა აკურებდა“.

ცრემლის ჰიპერბოლურად წარმოსახვისათვის რუსთაველი წვიმას იყენებს: „ნარგისთათ წვიმა ბროლისა წვიმს ვარდი ნაწვიმარია“.

რუსთაველის მეტაფორები არსებითად ადამიანის ტანისა და სახის ნაკვთების, მისი ხასიათისა და სულის, მისი ფსიქიკური განწყობის განზოგადებულად გამოხატვას ემსახურება და ეს ბუნებრივიცაა, რადგან „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური სამყაროს ცენტრში ადამიანი დგას. არც ერთი მეტაფორა დიდი პოეტისა არაა ისეთი, რომელიც სინამდვილიდან არ იყოს აღებული. ციური სხეულები, ფაუნისა და ფლორის სულდგმული არსებანი თავიანთი მიმზიდველი თვისებებით ამშვენიერებენ „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სახეებს. ძვირფასი ქვების ფერთა ელვარება და სიკაშკაშე ნათელი სხივებით მოსავს პოემის გმირებს, ანიჭებს მათ პოეტურ გამძლეობასა და უკვდავობას.





## ღია პერიოდები

### პოეტის სარწმუნო

1965 წლის 16 იანვარს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ-მა კომიტეტმა დაადგინა: 1966 წლის სექტემბერში აღინიშნოს შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი.

1965 წლის 22 ნოემბერს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმმა გადაწყვიტა, 1966 წელს მსოფლიო მასშტაბით აღინიშნოს შოთა რუსთაველის დაბადების თარიღი.

△  
1937 წელს, რუსთაველის მაშინდელი იუბილეს დღეებში, ლენინგრადის სახელმწიფო ერმიტაჟმა დაამზადა საიუბილეო მედალი — რუსთაველის პორტრეტი. მედალი კვადრატულია, მასზე გამოსახულია დიდი პოეტის პროფილი. მხატვარ ს. ქობულაძის ესკიზით იგი შეასრულა ლენინგრადელმა ოსტატმა გერასიმოვმა.

800 წლისთავისათვის შეიქმნა ახალი საიუბილეო მედალი.

△  
საქართველოს ალბინისტური კლუბის თაოსნობით 1937 წელს ზემო სვანეთში შხარასა და ჯანგი-თაუს მთებს შორის ახალდაპყრობილ უსახელო მწვერვალს მიენიჭა რუსთაველის სახელი. 23 ოქტომბერს ალბინისტებმა გვალიამ და კვიციანმა დაიპყრეს ეს მწვერვალი და აიტანეს იქ შოთა რუსთაველის ბარელიეფი (ავტორი — იაკობ ნიკოლაძე).

△  
პულკოვოს (ლენინგრადის ოლქი) ასტრონომიული ობსერვატორიის მუშაკებმა პლანეტათა შემსწავლელი საერთაშორისო ბიუროს თანხმობით რუსთაველის სახელი უწოდეს ახალ აღმოჩენილ პლანეტას.

1938 წლის მაისიდან მცირე პლანეტათა სიაში აღინიშნა პლანეტა „რუსთაველი“.

△  
თბილისის მთავარ ქუჩას, უწინდელ გოლოვინის პროსპექტს, რუსთაველის სახელი მიენიჭა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე. ამ საქმის ერთ-ერთი თაოსანი იყო პაოლო იაშვილი.

საკავშირო მწერალთა კავშირის გამგეობის გადაწყვეტილებით 1937 წელს მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლების ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტთათვის დაწესდა რუსთაველის სახელობის ხუთი სტიპენდია.

1937 წელს, საკავშირო მწერალთა კავშირის გამგეობის თხოვნით, მოსკოვის საბჭომ დედაქალაქის ერთ-ერთ მთავარ ქუჩას უწოდა რუსთაველის სახელი.

△ 1934 წლის 20 აგვისტოს ქართული ლიტერატურისა და ენის ინსტიტუტს (იმჟამად უნივერსიტეტთან არსებობდა) მიეკუთვნა შოთა რუსთაველის სახელი.

△ 1936 წელს საბჭოთა ფილატელისტთა ასოციაციის წინადადებით გამოუშვეს საფოსტო მარკა „რუსთაველი“. მარკების ესკიზები შეასრულა მხატვარმა ს. მისიაშვილმა. საფოსტო მარკა რუსთაველის სურათით დამზადდა ახლანდელი იუბილესთვისაც.

1937 წელს ნეაპოლში გამოვიდა საფოსტო ქაღალდი შოთა რუსთაველის პორტრეტით.

△ რუსთაველის პრემიის პირველი ლაურეატებია: პოეტი ირაკლი აბაშიძე (კრებულისათვის „პალესტინა, პალესტინა“), მწერალი კონსტანტინე გამსახურდია (რომანისათვის „დავით აღმაშენებელი“), მხატვარი ლადო გუდიაშვილი (უკანასკნელი ორი წლის ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოებებისათვის), მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი (ქანდაკებისათვის „ქართვლის დედა“).

△ წინა იუბილეს პერიოდში ნეაპოლის აღმოსავლეთის ინსტიტუტმა დააწესა სპეციალური პრემია შოთა რუსთაველის შესახებ საუკეთესო თხზულებისათვის.

△ 1965 წელს სერგი წულაძის მიერ ფრანგულ ენაზე ლექსად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ საფრანგეთის აკადემიამ მიიჩნია 1965 წლის ყველაზე უკეთეს თარგმანად და ლანგლუს პრემია მიანიჭა.

△ რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით თბილისში მოწვეულია პოეტთა საერთაშორისო ფორუმი თემაზე: „პოეტი და მკითხველი“.

△ „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე თარგმნისათვის ჰუგო ჰუპერტს მიენიჭა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო პრემია.

△ პირველი ევროპელი მეცნიერი, რომელიც დაინტერესდა რუსთაველით, იყო მარტი ბროსე. მანვე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულად 1828 წელს. ესაა პოემის პირველი თარგმანი უცხოურ ენაზე.

△ რუსთაველისათვის ძეგლის დადგმის იდეა პირველად XIX საუკუნის ქართველი ინტელიგენციის წრეში დაიბადა. საქმის წამომწყებნი გრ. ორბელიანი და პ. მელიქიშვილი ეწვივნენ კავკასიის მთავარმართებელ ვორონცოვს. მან მოიწონა ეს აზრი. ძეგლისათვის ადგილი აირჩიეს მტკვრის პირას, სადაც ახლაც კარლ მარქსის მოედანია. კარგა ხნის შემდეგ აქ აღიმართა... მეფის ნაცვლის ვორონცოვის ძეგლი.

1888 წელს გ. ქართველიშვილმა, ი. მაჩაბელმა, დ. ბაქრაძემ და სხვებმა კვლად მიმართეს მთავრობას თხოვნით რუსთაველის ძეგლის დადგმის თაობაზე.

მეფის ხელისუფლებამ უპასუხა: ყოველ მოღვაწეს იქ უნდა დაედგას ძეგლი, სადაც იგი დაიბადაო. რუსთაველს დედაქალაქში ადგილი არ დაუთმეს და

ხელი სოფელ რუსთავისაკენ გაიშვირეს. იქ მაშინ სულ 4-5 კომლი მოსახლე ცხოვრობდა.



1892 წელს თბილისში ძეგლი დაუდგეს ალექსანდრე სერგეის ძე პუშკინს. ეურნალ-გაზეთები დიდი სიხარულით აღნიშნავდნენ ამ ფაქტს, მაგრამ იქვე გულნაკლულად დასძენდნენ, რომ იგივე პატივი ვერ ხვდა წილად ქართველი ხალხის გენიალურ პოეტს რუსთაველს. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი უსახსრობაც იყო და 1893 წელს გაზეთმა „ივერიამ“ წერილით — „დავიწყებული ძეგლი“ მოუწოდა ხალხს გაეღო შესაწირავი რუსთაველის ძეგლის აგებისათვის საპირო თანხის შესაგროვებლად.

რამდენიმე წლის განმავლობაში შემოდოდა შესაწირავი საქართველოს ყველა კუთხიდან, აგრეთვე კონსტანტინოპოლში, ერევანში, ბაქოში, ნახჩევანსა და განჯაში მცხოვრები ქართველებისაგან.

იაკობ გოგებაშვილმა ცალკე წიგნად გამოცემულ საისტორიო, პუბლიცისტური და პედაგოგიური შრომების კრებულში აღებული ჰონორარი მთლიანად უკვდავი შოთას ძეგლის ასაგებად გაიღო.

ქართველი ქალები აწყობდნენ თავიანთი ხელსაქმის ლატარია-ალეგრას და აღებული ფული ძეგლის ფონდში შეჰქონდათ.

გენიალური ქართველი პოეტისათვის ძეგლის დადგმა მხოლოდ ჩვენს დროში მოხერხდა.



1937 წელს ჩატარდა კონკურსი რუსთაველის ძეგლის პროექტზე. ნამუშევრები წარმოადგინეს ავტორებმა შემდეგი დევიზებით: „მოქანდაკეები“, „პოეზია“, „აკადემია“, „სსსრ 15 წელი“, „ვ“.

კონკურსში მონაწილეობას იღებდნენ მოქანდაკეები: ი. ნიკოლაძე, კ. მერაბიშვილი, ვ. თოფურაძე, შ. მიქატაძე და ლ. გრიგოლია.

1937 წლის 28 აგვისტოს საიუბილეო კომიტეტმა პირველი ჯილდო მიაკუთვნა პროექტს — „პოეზია“ (მოქანდაკე კ. მერაბიშვილი), მეორე — პროექტს „ვ“ (მოქანდაკე ვ. თოფურაძე), მესამე — პროექტს „სსსრ 15 წელი“ (მოქანდაკე ი. ნიკოლაძე).

კ. მერაბიშვილის მიერ შესრულებული ძეგლი დაიდგა 1938 წელს. ძეგლის მასალად გამოიყენეს ბოლნისის, სადახლოსა და წნელისის მარმარილო და გრანიტი.

იუბილესთან დაკავშირებით კვლავ მუშაობენ რუსთაველის ძეგლის ახალ პროექტზე. თბილისში აღიმართება გენიალური პოეტის ახალი ძეგლი.

საიუბილეოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში დაიდგმება შ. რუსთაველის ბიუსტი.



„ვეფხისტყაოსნის“ გასცენიურება პირველად სცადა გოდერძი ფირალიშვილმა 1805 წელს. მან დაწერა ხუმორქმედებიანი ტრაგედია „ინდოეთის მემკვიდრე ანუ სამშობლოს სიყვარული“. პიესის ხელნაწერი დაკარგულია. 1853 წელს ტრაგედია „ვეფხისტყაოსანი“ დაწერა ოქროპირ ბაგრატიონმა. ორივე ტრაგედია დაიდგა რუსეთში.

„ვეფხისტყაოსანი“ საქართველოში პირველად გაასცენიურა გიორგი ერისთავმა 1851 წელს. კოტე მესხმა თავის საბენეფისოდ დაწერა სამოქმედებიანი პიესა „რუსთაველი“, რომელიც 1890 წლიდან 30 წლის განმავლობაში იდგმებოდა სცენაზე.

1901 წელს ლიტერატურული კომპოზიცია რუსული სცენისათვის შეასრუ-

ლა როსტომ უნვარმა. პეტრე მირიანაშვილის მიერ 1909 წელს დაწერილი პირველი  
ლევან ფალიაშვილმა შემდგომ ოპერა „ვეფხისტყაოსნის“ ლიბრეტოდ გამო-  
იყენა.

განმარტებული  
გინელოგიური

რუსთაველზე და მისი პოემის თემაზე სცენარისათვის ნაწარმოებები და-  
წერეს: რეჟისორმა ალექსანდრე თამაზაშვილმა, შალვა დადიანმა, კოტე მარჯა-  
ნიშვილმა, ნიკო შიუტაშვილმა, გიორგი ჟურულმა, სანდრო შანშიაშვილმა, ნი-  
კოლოზ მზარეულთვმა (ნ. რეულო), დავით კასრაძემ, იოსებ მჭედლოშვილმა.  
ახლახან რუსთაველისადმი მიძღვნილი პიესები დაწერეს იონა ვაკელმა. ლევან  
გოთუამ, კარლო კალაძემ და სხვებმა.

△

ცოცხალი სურათები „ვეფხისტყაოსნიდან“ პირველად დადგა მიხაი ზიჩიმ  
1881 წელს თბილისში, 1882 წელს — ქუთაისში, 1888 წელს პროფესორმა ლე-  
ვორიამ — პეტერბურგში; ამავე წელს მხატვარმა ფილიპოვიჩმა დადგა თბილის-  
ში, თედორ სოლოგუბმა — 1889 წელს მოსკოვში, პროფესორმა კლოდტმა —  
1891 წელს მოსკოვში.

ცოცხალი სურათები დადგეს 1892 წელს ბაქოში, 1901 წელს — იურიევში,  
1903 წელს — ხარკოვში, 1903 წელს — ვლადიკავკავში, 1910 წელს — ხარბინ-  
ში. ცოცხალ სურათებს „ვეფხისტყაოსნიდან“ აჩვენებდნენ ლაიფციგში, ბრიუ-  
სელში.

„ვეფხისტყაოსნიდან“ პირველი ცოცხალი სურათების დადგმისათვის ტიპა-  
ჟი მიხაი ზიჩიმ ქართველი მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლებისაგან  
შეარჩია. ასე მაგალითად, რაფიელ ერისთავი — მეფე როსტევეანი იყო, მამია გუ-  
რიელი — შოთა რუსთაველი, გიორგი შერვაშიძე — ტარიელი, ს. ჩოლოყაშვი-  
ლი — თინათინი, ნ. ოგლობჯიო (ორბელიანის ასული) — ნესტან-დარეჯანი, ჯამ-  
ბაკურ გურიელი — ფრიდონი.

თავის ილუსტრაციებში მიხაი ზიჩიმ მწერალ გიორგი შერვაშიძის სახე გა-  
მოიყენა ტარიელის პორტრეტისათვის, ქაიხოსრო ქაჯაია — როსტევეან მეფის სა-  
ხისათვის, ნინო წერეთელი-ჩოლოყაშვილისა — თინათინისათვის, ჯამბაკურ გუ-  
რიელი — ფარსადან მეფის სახისათვის.

△

რუსთაველის პოემის სიუჟეტზე თუ ცალკეული ეპიზოდების თემატიკაზე,  
მის სტროფებსა თუ აფორიზმებზე შექმნეს მუსიკალური ნაწარმოებები:

ოპერა — ლ. ფალიაშვილმა, შ. ძმველაძემ, დ. არაყიშვილმა;

ბალეტი — ი. გოკიელმა, იპოლიტოვ-ივანოვმა;

ვოკალური ნაწარმოებები — ა. ბალანჩივაძემ, ნ. სულხანიშვილმა, თ. შავერ-  
ზაშვილმა, გრ. კოკელაძემ, დ. სლიანოვამ, უმრ-შატამ;

სიმფონია — ა. ანდრიაშვილმა, ა. მაჭავარიანმა, ბ. კვერნაძემ.

ორატორია — რ. გაბიჩვაძემ, ა. ჩიმაკაძემ. ორატორია „რუსთაველის ნაკვა-  
ლევზე“ (ი. აბაშიძის ლექსების საფუძველზე) შექმნა ო. თაქთაქიშვილმა.

საგუნდო ნაწარმოები — ვ. ცაგარეიშვილმა, ვ. კურტიდმა.

მუსიკალური სურათები — „ქაჭეთის ციხის აღება“ — კ. ფოცხვერაშვილმა.

მუსიკალური თანხლება „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული კითხვისათვის —  
შ. თაქთაქიშვილმა, კ. ფოცხვერაშვილმა.

„ვეფხისტყაოსნის“ თემაზე ახალი მუსიკალური ნაწარმოებები შექმნეს  
კომპოზიტორებმა: რევაზ გაბიჩვაძემ, ს. ნასიძემ, ხ. შამისაშვილმა, ნ. გაბუნიაძე  
და სხვებმა.

△

რუსთაველის პოემის ტექსტზე დაწერილი სამ ათეულზე მეტი ხალხური  
სიმღერა შემოგვრჩა დღემდე. ამათგან:



1. „სუფრული“ („ვერ დაიჭირავს სიკვდილსა“).
2. „ზამთარია“ („ზამთარი ვარდსა დააჭკნობს“).
3. „სუფრის ღიღინი“ („ვარდსა ჰკითხეს“).
4. „ბინდის ფერია სოფელი“.
5. „ბროლ-ბადახშისა მძებნელმან“.
6. „ჭერიო“ — („ერთი მოყმე ვინმე ვნახე“).
7. „სათამაშო“.
8. „ღმერთო-ღმერთო, მოწყალეო“.
9. „მასპინძელსა“.
10. „მე რუსთველი“.
11. „ცალ მაყრული“.
12. „გრძელი მრავალჯამიერი“ („ლეკვი ლომისა სწორია“).
13. „სუფრული“ („სმა-ჰამა დიდად შესარგია“).
14. „ბარათი“ („მოგეწერა, წავიკითხე“).
15. „ვაპ, სოფელო რაშიგან ხარ“.
16. „შეჰკრა წითელი ასი ათასი“.
17. „მო, ზუალო“ (ამ სიმღერას ასრულებდა ვანო სარაჯიშვილი).

△  
 ზ. ფალიაშვილმა ოპერაში „დაისი“ შეიტანა შოთა რუსთაველის სიტყვები „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“, ოპერაში „აბესალომ და ეთერი“ — „ავთანდილ გადინადირა ქედი მალალი ტყიანი“.

△  
 ანტონ ფურცელაძის მიერ 1886 წელს გამოქვეყნებული ლეგენდის — „შოთა რუსთაველი და იმისი ცოლი“ — საფუძველზე დრამატული პოემები დაწერეს სანდრო შანშიაშვილმა და იოსებ მჭედლიშვილმა. შემდეგ დიმიტრი არაყიშვილმა ლიბრეტოდ გამოიყენა თავისი ოპერისათვის — „თქმულება შოთა რუსთაველზე“.

△  
 1938 წელს საქართველოს კინო-ქრონიკამ საიუბილეოდ გამოუშვა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი შოთა რუსთაველზე (რეჟისორი შ. ჩავუნავა).

△  
 1936 წლის მაისში გამოსული ხმოვანი კინოფილმი „ქაჭეთი“ „ვეფხისტყაოსნის“ ეკრანიზაციის პირველი ცდაა. ფილმის რეჟისორი იყო კ. მიქაბერიძე, ოპერატორი — ა. დიღმელოვი, კომპოზიტორი — შ. მშველიძე, მხატვარი — მ. გოცირიძე. მთავარ როლებს ასრულებდნენ: თამარ ციციშვილი, კოხტა ყარალაშვილი, შალვა ხოფერია, კოკი დადიანი, სანდრო კანდელაკი.

△  
 დღეს „ვეფხისტყაოსანს“ თავის მშობლიურ ენაზე კითხულობს 36 ეროვნების ადამიანი. მისი სრული თუ ნაწილობრივი თარგმანებია საბჭოთა კავშირის ხალხთა უმრავლეს ენაზე: რუსულ, უკრაინულ, ბელორუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, უზბეკურ, ტაჯიკურ, ყირგიზულ, თურქმენულ, თათრულ, ბაშკირულ, ძველ და ახალ ებრაულ, ჩუვაშურ, ლაკურ, ესტონურ, აფხაზურ და ოსურ ენებზე.

„ვეფხისტყაოსანი“ თარგმნილია ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, პოლონურ, უნგრულ, რუმინულ, ჩეხურ, ჩინურ, სპარსულ, იტალიურ, იაპონურ, ესპანურ ენებზე. იქმნება ლათინური, ბულგარული და ბერძნული თარგმანები.

მთარგმნელთა შორის არიან მეცნიერები: პროფესორი შალვა ნუცუბიძე (რუსული), პროფესორი იარომირ იედლიჩკა (ჩეხური), აკადემიკოსი ნიკო მარი (რუსული, პროზაული), აკადემიკოსი ბელა ვიკარი (უნგრული).

„ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელთა შორის არიან ქალებიც, რომელთა შორის უწინარეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ქართველი ხალხის დიდმოქმედ ბარი მარჯორი სკოტ უორდროპი (ინგლისურ ენაზე 1912 წ.), ელენე ორბელიანი (ფრანგულად 1937 წ., არაა გამოქვეყნებული), ელენე ტარლოვსკაია (მას ეკუთვნის ბალმონტის თარგმანში „ინდოხატაელთა ამბის“ თარგმანი), მარიამ პრიტივიცი (გერმანულ ენაზე 1940 წ., გამოქვეყნებულია), ვენერა ურუშაძე (ინგლისურ ენაზე), მადამ ანი მარსელ-პაონი (1938 წ., ფრანგულ თარგმანში გ. გვაზავას თანავტორი). ეკატერინე მიქელაძე (1937 წ., ფრანგულ თარგმანში, არ გამოქვეყნებულია).

△  
„ვეფხისტყაოსნის“ პირველი რუსული თარგმანი შესრულებულია ნაკლებად ცნობილი პოეტის იპოლიტე ბარტდინსკის მიერ. გამოქვეყნდა ეჟრნალ „ილუსტრაციაში“ 1845 წელს.

△  
იერუსალიმის ჯვარის მონასტერში არსებული შოთას პორტრეტის შესახებ პირველი ცნობა ეკუთვნის XVIII საუკუნის მოღვაწეს ტიმოთე გაბაშვილს. მას შემდეგ ქართველ მეცნიერთაგან შოთას პორტრეტი ნახეს პროფესორმა ალექსანდრე ცაგარელმა, ნიკო ჩუბინაშვილმა; ნიკო მარს მონასტრის მოხატული კედელი სქელი საღებავით დაფარული დახვდა. 1960 წელს ქართველ მეცნიერთა ექსპედიციამ აკადემიკოსების ა. შანიძის, გ. წერეთლისა და ი. აბაშიძის შემადგენლობით აღადგინა რუსთაველის პორტრეტი და პირველად გააცნო იგი ფართო საზოგადოებას.

△  
ლეგენდა გადმოგვცემს, რომ ჯვარის მონასტერი პალესტინაში აიგო იმ ნარევი ხის (ერთ ფესვზე აღმოცენდა ფიჭვი, კვიპაროსი და ლიბანის გუნდის ხე) ადგილას, რომლისგან გაკეთდა ჯვარი, ქრისტე რომ აცვეს.

XII-XV საუკუნეებში მონასტერი ქართველებს ეკუთვნოდათ. ბერძენი ისტორიკოსის გიორგი პანამიხაილის ცნობით, ქართული კულტურის კერის — ჯვარის მონასტრის შესაკეთებლად თამარ მეფის დავალებით 1192 წელს იერუსალიმს სწვევია შოთა რუსთაველი.

△  
იერუსალიმის ჯვარის მონასტერში დღემდე დაცულია შოთა მეჭურჭლეთუხუცესის სააღაპო მოსახსენებელი, მიწერილი XIII საუკუნის პირველ ნახევარში.

△  
„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სახელი — შოთა ლიტერატურაში პირველად გვხვდება მეფე თეიმურაზის (XVII საუკ.) პოეტურ ნაწარმოებში „იოსებ ზილიხანიანში“. „...ესენი შოთა რუსთაველმან შეამკო არსთა მკობითა“.

△  
1963 წლის 24 ნოემბრიდან სოფ. იყალთოში დაწესდა დღესასწაული „შოთაობა“.

△  
1880 წელს გრიგოლ ორბელიანის წინადადებით რუსთაველის პოემის სათაურში „ვეფხვი“ შეცვალეს „ვეფხად“.

პოემის სათაურის მიღებული თარგმანი „Витязь в тигровой шкуре“ არა სწორი ყოფილა, რადგან „ტიგრი“ ნიშნავს ჭიქს, ხოლო ვეფხის შესაბამისია — „ბარსი“. პირველ რუსულ თარგმანებს ასეც ეწოდებოდა — Барсова шкура. მაგრამ ამ დაშვებული იყო სხვა ხასიათის უზუსტობა: ყურადღება გამახვილებუ-

ლი იყო ვეფხის ტყავზე და არა იმ გმირზე, რომელსაც საყვარელი ადამიანის ხომ-  
ბოლოდ ვეფხის ტყავი ემოსა.



„ვეფხისტყაოსანი“ პირველად დაიბეჭდა ვახტანგ მეექვსის დროს, 1712  
წელს. მას შემდეგ პოემა გამოიცა 45-ჯერ. საიუბილეოდ მომზადდა კიდევ 5 გა-  
მოცემა.



„ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის აკადემიური გამოცემის ტექსტის დამდგენ  
კომისიაში შედიოდნენ: იონა მეუნარგია, გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე,  
აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო დადიანი, იაკობ  
გოგებაშვილი, პეტრე უმიკაშვილი, თედო ჟორდანიანი, ილია წინამძღვრიშვილი,  
სერგი მესხი, ივანე მაჩაბელი, დავით ერისთავი და სხვა გამოჩენილი პირები.

კომისიის სხდომები მიმდინარეობდა საადგილმამულო ბანკის შენობაში  
(1881-1888 წლებში). გამოცემისათვის საჭირო ხარჯები (12.000 მანეთი) გაიღო  
გიორგი ქართველიშვილმა.



XIX საუკუნეში „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული კითხვით გამოდიოდნენ  
დომიტრი ყიფიანი, ბარბარე ჯორჯაძე, ილია ჭავჭავაძე, მამია გურიელი, გრი-  
გოლ დადიანი.

„ვეფხისტყაოსნის“ მთელ ტექსტს ზეპირად კითხულობდა ბ. წიკლაური.

1937 წელს, „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციის მიზნით, მხატვრული  
კითხვის ოსტატმა სურენ კოჩარიანმა გააკეთა ლიტერატურული მონტაჟი. პოე-  
მას კითხულობდა პანტელეიმონ პეტრენკოს თარგმანის მიხედვით. კოჩარიანი  
ამ პროგრამით გამოდიოდა ჩვენი ქვეყნის მრავალ ქალაქში. ამავე ხანებში გ. ცა-  
გარლის მიერ თარგმნილ „ვეფხისტყაოსანს“ მხატვრულად კითხულობდა ელენე  
კოლონტარი.

„ვეფხისტყაოსნის“ შესახებ რუსულ ენაზე პირველი საჯარო ლექცია 1884  
წელს წაიკითხა თბილისში მცხოვრებმა მასწავლებელმა ნიკოლოზ გულაკმა.

1887 წელს თბილისის ბანკის თეატრის შენობაში რუსულ ენაზე ლექციებს  
„ვეფხისტყაოსნის“ შესახებ კითხულობდა აკაკი წერეთელი.



რუსთაველის გენიალურ ქმნილებას რუს საზოგადოებაში ფართო აუდი-  
ტორია მოუპოვა „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტის რუსულ ენაზე პირველ-  
მა მთარგმნელმა კონსტანტინე ბალმონტმა. 1915-1917 წლებში რუსეთის  
20-მდე ქალაქში იგი კითხულობდა პოემის ნაწყვეტებს. ბალმონტმა „ვეფხის-  
ტყაოსნის“ თარგმანი 1933 წელს, პარიზში, თავისი სახსრებით გამოსცა.



1938 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გა-  
მოსცა პორტატიული „ვეფხისტყაოსანი“ ქართულ და რუსულ ენებზე. მასში  
მოცემულია პოემის აკადემიური გამოცემის მთელი ტექსტი. ქართული უბის  
„ვეფხისტყაოსნის“ ზომაა 8×12 სმ., რუსულის 7,5×11 სმ. უფრო ადრე, 1888  
წელს „ვეფხისტყაოსნის“ მე-9 გამოცემა გამოვიდა, როგორც ჯიბის „ვეფხის-  
ტყაოსანი“. საიუბილეოდ კვლავ დაიბეჭდა მცირე ზომის „ვეფხისტყაოსანი“.



რუსთაველის სახელობის ქართული ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი  
1937 წელს აგროვებდა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებს. ვაზეთში გამოქვეყნ-  
და თხოვნა, მიეწოდებინათ ხელნაწერები. დაწესებული იყო ჯილდოები. განცხა-  
დებებს გამოეხმაურნენ. მასწავლებელმა გრიგოლ ხუროძემ აღმოაჩინა როსაპა

კებულადის მიერ 1833 წელს გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“. მასში ბევრი ტაეპია, რომლებიც არ არის პოემის გამოცემებში (სულ 1507 სტროფა).

1935 წელს საქართველოს სახალხო პოეტის აკადემიკოს გიორგი ჯეჯეშელაშვილმა თაოსნობით ლენინგრადში მოიძებნა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი, რომელიც XVII საუკუნის დასაწყისის მიეკუთვნება. ხელნაწერი სარდალ სახლთუხუცესის ზაზა ციციშვილის შეკვეთით გადაუწერია „დიდმოურავიანის“ ავტორს პოეტ იოსებ ტფალელ-სააკაძეს. ციციშვილის სიკვდილის შემდეგ ხელნაწერი ჰქონდა ლევან ბატონიშვილს, ერეკლე II-ის ქალიშვილს თეკლეს, შემდეგ მის ვაჟს — ალექსანდრე ორბელიანს. 1869 წელს ხელნაწერი პ. იოსელიანის ხელშია, რომელსაც იგი საჩუქრად გადაუცია რუსეთში მცხოვრებ დავით ბაგრატიონისათვის. ამ ხელნაწერში 1900 სტროფია.

შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა შეიძინა კიდევ ერთი XVII საუკუნის მეორე ნახევრის ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“. ეს ხელნაწერი იმერეთის მეფეს სოლომონ მეორეს უჩუქებია იმერეთის ჯარების წინამძღოლის ხ. აბაშიძისათვის. ამ უკანასკნელს ხელნაწერი მზითევში გაუტანებია ქალიშვილისათვის, რომელიც დ. მდივანს გაჰყოლია. მას შემდეგ ხელნაწერი მდივნის ოჯახში იყო და მათგანვე შეიძინეს.

პლატონ იოსელიანის ცნობით, მას ვინმე ელიოზიშვილთან უნახავს რომელიც მეფის ნაქონი „ვეფხისტყაოსანი“ მეთოთხმეტე საუკუნისა. ხელნაწერის ძიებისას გამოირკვა, რომ სოფელში, სადაც ელიოზიშვილები ცხოვრობდნენ, 1921 წელს დაწვეს ბევრი ხელნაწერი ტყავის ყდებში. „არ დასწვავდნენ, შეიძლება დამარხეს მიწაში? როგორ შეიძლება რომ დაეწვათ? წარმოუდგენელია ასეთი ვანდალიზმი!“ ჩაუწერია ამის გამო გალაკტიონ ტაბიძეს უბის წიგნაკში.

△ ჩვენს ხელთ არსებულ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა შორის უძველესად ითვლება 1963 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ აღმოჩენილი ხელნაწერი. იგი ფრაგმენტულია. პროფ. ი. აბულაძემ, პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე, იგი XVI საუკუნეს მიაკუთვნა.

△ მოსკოვის დიდი თეატრის დაკვეთით, რუსთაველის იუბილესათვის კომპოზიტორი ალექსი მაკავარიანი წერს ბალეტს „ვეფხისტყაოსანი“. ლიბრეტოს ავტორია დიდი თეატრის მთავარი ბალეტმეისტერი ი. გრიგოროვიჩი, რომელიც დადგმასაც განახორციელებს. მხატვრად მიწვეულია სოლომონ ვირსალაძე.

△ კ. ზდანევიჩის კატალოგში მითითებულია შოთა რუსთაველის 6 პორტრეტი, შესრულებული ნიკო ფიროსმანაშვილის მიერ. ამათგან მხოლოდ ზოგიერთია ნაპოვნი. ორი სურათი დაცულია საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, ერთი — მწერალ აკაკი ბელიაშვილის ბინაზე. ერთი სურათი რკინიგზის ახლო სამიკიტნოში ტიციანთან, პაოლო იაშვილთან და გიორგი ლეონიძესთან ერთად ყოფნის დროს საჩუქრად მიიღო ნინო ტაბიძემ. 29 წლის წინათ სურათი დაიკარგა.

ფიროსმანაშვილს დაუხატავს „ვეფხისტყაოსნის“ გმირებიც. სამიკიტნო „დარდანელში“ 1905 წელს ეკიდა სურათი — „ტარიელის შეხვედრა ავთანდილთან“, ხოლო სურათს — „ტარიელი წყლის პირას“ ჩვენამდე არ მოუღწევია.

△ ფოტოარქივარიუსმა შ. ფურცხვანიძემ დაამზადა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების რეპროდუქციები. მათ შორის წარმოდგენილია ფართო საზოგად-



დოებისათვის ნაკლებად ცნობილი ილუსტრაციებიც ილუსტრაციები დალაგებულია ქრონოლოგიურად.



△ დღეისათვის „ვეფხისტყაოსნის“ 100-ზე მეტი ხელნაწერი გვაქვს. უძველესი მიეკუთვნება XVI საუკუნეს. ისინი, ძირითადად, შესრულებულია მწერლობის მოყვარულთა მიერ. რუსთაველის პოემის გადამწერნი არიან: მამია თავაქალაშვილი (1646 წ.), იოსებ ტფილელი (1663 წ.), დავით რექტორი (1782 წ.), პეტრე ლარაძე (1827 წ.), პეტრე ტაბლიაშვილი (XVIII ს.), როსაპა კეპულაძე (1833 წ.) და სხვანი.

„ვეფხისტყაოსნის“ გადამწერთა შორის არის ნიკოლოზ ბარათაშვილიც, რომელსაც თვითონვე მოუხატავს ხელნაწერი და საქორწინო საჩუქრად უძღვნია ნათესავი ქალისათვის — ქეთევან ერისთავისათვის. ხელნაწერი, სამწუხაროდ, დაიწვა.

ბევრი ხელნაწერის შემსრულებელი უცნობია. გადამწერთა შორის არიან გაქართველებული სომხებიც. მაგალითად: ბეჟანა ოცხანას ქალიშვილი (1702 წ.), იოანე იალღულოვი (1811 წ.), აღბურაანთ ბაღდასარის შვილი გასპარა (1671 წ.), ბეგთაბეგ მარტიროზოვი (1680 წ.), გადამწერი ყაბარდოს სოფელ ავეტარანოციდან (1826 წ.), ავეტიქ გორგიჯანიძე (1839 წ.).

△ „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ილუსტრატორები ძველი ქართველი მინიატურისტები იყვნენ. ჩვენამდე მოაღწია დასურათებული „ვეფხისტყაოსნის“ სამმა ხელნაწერმა.

„ვეფხისტყაოსნის“ ცნობილ ილუსტრატორთაგან პირველია მამუკა თავაქარაშვილი. მას ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის ბრძანებით გადაუწერია და 39 სურათით შეუმკია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი 1646 წელს. მასვე აქვს შესრულებული შოთა რუსთაველის პორტრეტიც.

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი ილუსტრატორთაგანია რუსეთის მეფის კარის მხატვარი, უნგრელი მიხაი ალექსანდრეს ძე ზიჩი. მოღვაწეობდა პეტერბურგში, სადაც 29 წლის ასაკში აკადემიკოსად აირჩიეს. 1880 წელს იგი მოავლინეს საქართველოში ლერმონტოვის პოემა „დემონის“ ილუსტრაციებისათვის მასალეების შესაგროვებლად. რუსთაველის პოემის საგამომცემლო კომისიამ მას „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება სთხოვა. შეკვეთილი 12 სურათის ნაცვლად ზიჩიმ 34 შეასრულა (კომისიამ აირჩია 27) და მათი დედნები საჩუქრად უძღვნა ქართველებს შემდეგი წარწერით: „თბილისის ლიტერატურულ საზოგადოებას ქართველი ხალხისადმი ჩემი გულწრფელი სიმპათიისა და ერთგულების ნიშნად“.

ზიჩის სურათები დაიბეჭდა 1887 წელს ლიფციეგში, 1888 წელს კი დაერთო გ. ქართველიშვილის მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსანს“.

1888 წლის გამოცემის ასომთავრულები, არშიები და მცირე სურათები წიგნში ჩასართველად შეასრულა გრიგოლ ტატიშვილმა. მანვე დაამზადა რუსთაველის მინიატურული ფერადი სურათი ოქროს და ვერცხლის ბუდეებში, რომლებიც იყიდებოდა გულსაკიდებისა და გულსაბნევეების სახით.

1894 წელს იმავე გრ. ტატიშვილმა დაამზადა საფოსტო ქაღალდი, რომლის კუთხეში დახატული იყო ფერადი სვეტიცხოველი და სახე შოთა რუსთაველისა.

„ვეფხისტყაოსნის“ ქართველი დამსურათებლებია: მამუკა თავაქარაშვილი, ივანე ავალიშვილი, ლადო ვუღიაშვილი, თამარ აბაკელია, ირაკლი თოიძე, სერგო ქობულაძე, უჩა ჯაფარიძე, ლევან ცუცქირიძე, სევერიან მისისაშვილი, ნათელა იანჭოშვილი...

პირველი მინიატურა შოთა რუსთაველის გამოსახულებით ახლავს XVII საუკუნის ხელნაწერს და შესრულებულია უცნობი მხატვრის მიერ. მოყვარულმა მხატვარმა გრიგოლ გაგარინმა იგი მოათავსა 1847 წელს პარიზში გამოცემულ ალბომში „მშვენიერი კავკასია“, რის მიხედვითაც შემდეგში როინიშვილმა შეასრულა შოთას პორტრეტი, რომელიც პოპულარული გახდა საქართველოში და საფუძვლად დაედო სხვა პორტრეტებს.



„ვეფხისტყაოსნის“ დაწერის 750 წლის იუბილესთვის საკონკურსოდ შეიქმნა რუსთაველის რამდენიმე პორტრეტი. მათი ავტორები იყვნენ ს. მაისაშვილი, ი. ნიკოლაძე, ბრაილოვსკაია, გ. კახიძე, ირინე გეინერი-გიგოლაშვილი, ა. ჩხეიძე და სხვები.

კონკურსზე წარმოდგენილი 16 ნამუშევრიდან უკეთესად ცნეს მხატვარ ირინა გეინერი-გიგოლაშვილის მიერ შესრულებული რუსთაველის პორტრეტი.

რუსთაველის პორტრეტები შექმნეს აგრეთვე მხატვრებმა დ. გველესიანმა, ძმებმა ვ. და გ. ჯაფარიძეებმა, კ. სანაძემ, ი. თოიძემ, შ. ბერიტაშვილმა, თ. სეგალმა, კ. კვალიაშვილმა, ნ. ჩუბინიშვილმა.

რუსთაველის ბარელიეფი და „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა არა ერთი ესკიზი და კომპოზიცია შექმნა ნ. ნიკოლაძის მოწაფემ, პროფესორმა გ. სესიაშვილმა.

დიდ სამამულო ომში დაიღუპა თბილისის სამხატვრო აკადემიის აღზრდილი გ. ცომაია, რომელმაც 1937 წელს თავის სადიპლომო ნაშრომად რუსთაველი გამოძერწა.

1966 წელს უქუდო რუსთაველის ბარელიეფი (25×15 სმ.) ბზაში ამოკვეთა მხატვარმა არსენ ფოჩხუამ, მანვე შეასრულა მინიატურული (სადაფის ბეჭდის თვალში) პორტრეტი რუსთაველისა.

1896 წელს ქუთაისელმა როზალია მეფისაშვილმა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას წარუდგინა ოთხი წლის ნამუშევარი — ხავერდზე ოქრომკედით ნაკერი დიდი სურათი — რუსთაველი თამარ მეფეს უძღვნის „ვეფხისტყაოსანს“.

ეს იყო ამ ტიპის პირველი ნამუშევარი. შემდეგ გაჩნდა გობელენები და ხალიჩები, რომლებზეც ასახული იყო „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული ეპიზოდები.



1640 წელს პატრი ქრისტეფორე კასტელის მიერ დახატული რუსთაველის პორტრეტი რომში, ვატიკანის არქივში ინახება. 1881 წელს პოეტის პორტრეტი შეუსრულებია ფრანგ მიურატს. იტალიაში დახატული — „შოთა რუსთაველი და აკაკი წერეთელი“ 1908 წელს აკაკის იუბილესზე გამოგზავნა მიხეილ თამარაშვილმა. რუსთაველის ორიგინალური პორტრეტი ამშვენებს 1937 წელს გამოცემულ კრებულს „რუსთაველი ქენევის უნივერსიტეტში“. არსებობს ფრანგი ფლიერის მიერ დახატული სურათი, რომელიც 1852 წელს ვორონცოვის დაკვეთით შეუსრულებია. ეს სურათი შესულია გ. გაგარინის ფრანგულ ალბომში.



მოთაქ ქინძღაქ

ღედანის აღმზრდელობითი ფუნქცია

ქართული ენის წინაღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკის ქვეყნთხედს, რომელსაც პროგრამული მნიშვნელობა ენიჭებოდა მეფის თვითმპყრობელური რეჟიმის განმტკიცებისა და საქართველოს კოლონიზაციისათვის.

მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან ხორციელდებოდა ქართული ენის სკოლიდან განდევნისა და დედაენაზე სწავლების აკრძალვის ღონისძიებანი. ეს ღონისძიებანი ტარდებოდა, უმთავრესად, ადმინისტრაციული საშუალებებით, ვინაიდან შეუძლებელი იყო ყოველივე ამის პედაგოგიური მეცნიერების თვალსაზრისით დასაბუთება.

ამ ღონისძიებათა წინააღმდეგ ადმინისტრაციული გზით ბრძოლის ან საკუთარი საგანმანათლებლო პროგრამის სახელმწიფო სასწავლებლებში გატარების რეალურ საშუალებას ქართველი საზოგადოება მაშინ მოკლებული იყო. ამასთან დაკავშირებით 1881 წლის თებერვლის „ივერიის“ „შინაურ მიმოხილვაში“ ი. ჭავჭავაძე წერდა: „ჩვენ, რასაკვირველია, შეძლება არა გვაქვს, რომ

ჩვენი სისტემა მივალდებინოთ საღმე ასე უეცრად, ჩვენ მხოლოდ ვაცხადებთ ჩვენს აზრსა და ჩვენს მტკიცე რწმენას: სხვებს შეუძლიანთ თავიანთი პროგრამა დღეიდამვე აღსრულებაში მოიყვანონ“.

ერთადერთი რეალური ძალა, რომელსაც პედაგოგიკის ძირეული პრობლემების მეცნიერული კვლევის გზით შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკისათვის და დაესაბუთებინა მისი ანტიპედაგოგიკური ხასიათი, იყო ქართული პრესა.

საზოგადოებრივი პროგრესისათვის დედაენის აღმზრდელობით ფუნქციანზე, მის როლსა და მნიშვნელობაზე ყურადღება ჯერ კიდევ ი. ჭავჭავაძემ გამამხვილა თავის ცნობილ საპროგრამო წერილში „საქართველოს მოამბეზედ“.

ენა აზროვნების საშუალებაა და ამიტომ იგი ადვილად გასაგები უნდა იყოს. თუ ხალხს ენა არ ესმის, თუ უძნელდება წაკითხულის აღქმა, მაშინ იგი ვერც მის გაგებას შეძლებს და ვერც წაკითხულის ცხოვრებაში პრაქტიკულად გატარებას. „რამოდენადაც ეგ ახალი ცნობაები, აზრები, — წერს ი. ჭავჭავაძე ყურ-

ნალ „საქართველოს მოამბის“ 1863 წლის პირველ ნომერში, — ადვილად გასაგებნი არიან ხალხისათვის, იმოდენად ადვილად განსდევნიან უწინდელებსა, რომ ცხოვრებაში იმათი ადგილი თითონ დაიჭირონ“. მაგრამ „ეგ ახალი ცნობები, აზრები“ ხალხისათვის „ადვილად გასაგებნი“ შეიძლება მხოლოდ დედაენის მეშვეობით გახდნენ და ისიც იმ შეპოვებაში, თუ თვით დედაენაც ადვილი გასაგებია, ვინაიდან, როცა, მაგალითად, „ლიტერატურის ენა დაუმორდა ხალხის ენასა, ხალხს ისე ადვილად არ შეეძლო გაგება მისი, რასაც კითხულობდა და ჩვენ, — დასკვნის ი. ჭავჭავაძე, — ზემოთა ვსთქვით, რომ თუ ხალხი ვერ გაიგებს, არც ცხოვრებაში შეიტანს“.

ი. ჭავჭავაძის მიერ ქართული სალიტერატურო ენის საკითხებზე გამოთქმულმა ამ შეხედულებამ მომდევნო წლების ქართული პრესის ფურცლებზე უკვე სავსებით ჩამოყალიბებული სახე მიიღო. ამ თვალსაზრისის მიხედვით, თუ ბავშვს უნდა რაიმე შეისწავლოს „ცნობიერად და გაგებით“ იგი, უწინარეს ყოვლისა, საფუძვლიანად უნდა დაეუფლოს დედაენას. „ისკრის“ 1865 წლის მეხუთე ნომერში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ „განათლება არის დამოკიდებული გონების განხილვად და გონება უნდა გაეხსნას ყმაწვილს თავის ბუნებითს ენაზედ და არა სხვა ენაზედ, რომელიც მას სრულიად არ ესმის“.

ეს დებულება, რომელშიც ენისა და აზროვნების ერთიანობის საფუძველზე ახსნილია დედაენის როლი და მნიშვნელობა ბავშვის გონებრივი განვითარების პროცესში, ამოსავალი წერტილია ამ მიმართულებით ჩატარებული მთელი შემდგომი კვლევისა.

ყურადღებას იმსახურებს გ. წერეთლის „უჩინაჩინის ქუდოსანი და იმისი საუბარი მკითხველთან“, დაბეჭდილი „დროების“ 1868 წლის მე-19 და მე-20 ნომერებში. გ. წერეთელი განათლების თავდაპირველ საშუალებად მიიჩნევს დედაენას, რომელიც „სოფლის დასაბამიდგან, რაც აზრი ჰქუას მოუტრეფია...

არის იმის წარმომტქმელი და იმის გადაცემი“. ამ ძირითადი დებულების საფუძველზე გ. წერეთელი აკეთებს შემდეგ დასკვნებს: 1. რამდენადაც „სხვადასხვაგვარი ხალხი ასხია დედა-მისის ზურგსა, იმდენი სხვადასხვაგვარი ენაა აზრის წარმოსათქმელად“. ამიტომაც, რომ „ყოველ ხალხს თავისი თვისების და გვართ თავისი ენა შეუდგენია“; 2. „ენა არის ხალხის სულიერი ნაყოფი“ და „იმის ჰქუა-გონების გამოხატველია“; 3. ენა არის ხალხის „მიუცილებელი საკუთრება, ისე როგორც იმის საკუთრებაა ჰქუა და გონება“. მაშასადამე, ვიდრე „ხალხი ცხოვრობს, როგორც ჰქუა-გონების წარმთევა არ შეიძლება, ისე არც ენის წარმთევა შეიძლება“.

ენისა და აზროვნების ურთიერთკავშირის ანალოგიურ თვალსაზრისს ავითარებს მეცხრამეტე საუკუნის 70-იანი წლების გამოჩენილი ჟურნალისტი და პუბლიცისტი დ. ჩქოტუა „დროების“ 1870 წლის 37-ე ნომერში („უცხო ენის მოქმედება ხალხის აზრის განხილვზე“). წერილს საფუძვლად ენისა და აზროვნების ერთიანობის პრინციპი უდევს, ვინაიდან „ხალხის ტვინი არის განხილი შესაბამის სიბრძნისა, რომელიც გამოიხატება მის ენაში, ანუ ხალხის ენა არის გამოხატველი მისი გონებითი განხილვისა“. დ. ჩქოტუა თვლის, რომ როგორც ენების სხვადასხვაობა, ასევე „ტვინის აგებულება“, ე. ი. აზროვნების თავისებურებანი გამოწვეულია იმით, რომ „ბუნების მოქმედება და სოციალური ცხოვრება“ ერთნაირი არ არის სხვადასხვა ხალხისათვის.

დ. ჩქოტუას ეს მართებული დებულება ეყრდნობა ხალხის ისტორიული განვითარების სპეციფიკურ პირობებს, რომლებიც განაპირობებენ ერების განსხვავებულ ფსიქიკურ და თვისობრივ თავისებურებებს.

ვიდრე არსებობს ხალხის ისტორიული განვითარების სპეციფიკური პირობები, იარსებებს თითოეული ერისათვის დამახასიათებელი თავისებურებებიც. ამ თავისებურებათა არსებობის ფაქტიდან



გამომდინარე დ. ჩქორტუა ასკვნის, რომ „უცხო ენაზე განათლების მიღება ანუ ჭეშმარიტად აზრის გახსნა არს შეუძლებელი ხალხისათვის, თუ ჯერ თავისი მშობლიური ენა არ შეუსწავლია იმას კარგათა“.

„აზრის გახსნის“ ანუ გონებრივი განვითარების ნორმალური პროცესის შემაფერხებელი გარემოებანი ბავშვისათვის, რომელიც მისთვის უცნობ ენაზე იღებს განათლებას, გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით: 1. როგორც წესი, „ყოველი სიტყვა გამოხატავს რაიმე აზრს ანუ საგანს“. როდესაც ბავშვი წარმოითქვამს „სამშობლო ენაზე რაიმე სიტყვას, მაშინვე... აზრში იხატება ის საგანი დაწვრილებულად თავიანთი ნიშნებით“. ამიტომ დედაენაზე წარმოთქმული სიტყვის აზრი ნათელია და გასაგები; 2. თუ წარმოთქმული სიტყვის აზრი არ არის ნათელი, ე. ი. გაუგებარია — ეს აფერხებს ბავშვის აზროვნების პროცესს, ხელს უშლის მის ნორმალურ მსვლელობას. ამ დროს „ტვინი რჩება უსაქმოდ და, რასაკვირველია, გაუხსნელად, რადგან უცხო ენა არის შემდგარი ისეთი სიტყვებისა ანუ აზრებისაგან, რომლის წარმოდგენა ნათლად შეუძლებელია“.

უკვე მეცხრამეტე საუკუნის 70-იანი წლების დამლევისათვის, ე. ი. იმ დროისათვის, როდესაც სახელმწიფო სასწავლებლებში მნიშვნელოვნად შეკვეცეს ქართული ენის უფლებები და სავსებით გამოაშკარავდა ცარიზმის პოლიტიკური მიზანი, ქართულმა პრესამ მიზნად დაისახა მშობლიური ენის არა მარტო დაცვის, არამედ დედაენის აღმზრდელობითი ფუნქციის წმინდა პედაგოგიკური თვალსაზრისით განხილვა-გამოკვლევის ამოცანა.

დედაენის აღმზრდელობითი ფუნქციის მეცნიერული კვლევის საქმე უმთავრესად დაკავშირებულია ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ი. გოგებაშვილის და სხვების სახელებთან. მათ ქართული პრესის ფურცლებზე ჩამოაყალიბეს დედაენაზე სწავლების ძირითადი პედაგოგიკური პრინციპები.

1881 წლის თებერვლის „ივერიის“ „შინაურ მიმოხილვაში“ ი. ჭავჭავაძე წერდა: „ბავშვმა თავდაპირველად თავის დედაენაზედ უნდა გაიხსნას გონება და უცხო ენის სწავლას მხოლოდ მაშინ მიჰყოს ხელი, როცა თავის დედა-ენაზედ საკმაოდ გაწვრთნილი იქნება... ჩვენი ლიტერატურა თითქმის დაბადების დღიდანვე ამ ჭეშმარიტებას ჰქადაგებს“.

ბავშვის „გონების გახსნის“ თავდაპირველი საშუალება არის და უნდა იყოს დედაენა. ეს დებულება, რომელსაც ი. ჭავჭავაძესთან ერთად იზიარებს და ამკვიდრებს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის მთელი ქართული პრესა, ეყრდნობა უდავო ჭეშმარიტებას, რომ ენა აზროვნების საშუალებაა და ენის განვითარება აზროვნების განვითარებას უზრუნველყოფს. აქედან გამომდინარე, როდესაც „ჩვენი აზრი ჩვენი ენით აღარ მოძრაობს“, როგორც ი. ჭავჭავაძე შენიშნავდა „ივერიის“ 1879 წლის თებერვლის „შინაურ მიმოხილვაში“, დარღვეულია აზროვნების ბუნებრივი ანუ ნორმალური პროცესი. ამ ბუნებისაწინააღმდეგო მოვლენის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება ის არის, რომ „ჩვენი აზრი“ მხოლოდ „ჩვენის ენით“ იბადებოდეს, მოძრაობდეს და ვითარდებოდეს.

ბავშვის განვითარების თავისებურებანი მოითხოვენ, რომ აღზრდა-განათლების პროცესი ამ თავისებურებებთან იყოს შეფარდებული. „დროების“ 1881 წლის 33-ე ნომერში გამოქვეყნებულ პასუხში „ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო“ ი. ჭავჭავაძე წერდა: „უდელა-ენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოველად შეუძლებელია“, მაშასადამე, აღზრდის პროცესი განათლების დედაენაზე მიღებით უნდა იწყებოდეს. ამ თვალსაზრისს ი. ჭავჭავაძე ასაბუთებს ისტორიული განვითარების პროცესში ერის ინდივიდუალურ თავისებურებათა ჩამოყალიბებაზე გარემო წრის გავლენით. ამასთან ერთად იგი სწავლების დიდაქტიკური მიზნებიდანაც გამოდის და დედაენაზე განათლების მიღების აუცილებლობას

ცნობილი პედაგოგიკური პრინციპებით ასაბუთებს: „ახალი ძველის შემწეობით უნდა ისწავლებოდეს, შორეული მიხლობლით, უცნობი — ცნობილით“.

ზემოაღნიშნულიდან ორი მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა გამოდინარეობს.

პირველი: ი. ჭავჭავაძემ სწორად განსაზღვრა აღზრდის პროცესში მეტყველებისა და აზროვნების ერთიანობის პრინციპის მნიშვნელობა და დიდაქტიკის მოთხოვნათა შესაბამისად მოგვცა დედაენის აღმზრდელობითი ფუნქციის თეორიული დასაბუთება. ამით მან უარყო ცარიზმის საგანმანათლებლო სისტემისათვის დამახასიათებელი სწავლა-აღზრდის პრინციპები და პედაგოგიკის მეცნიერული პოზიციებიდან დაამკვიდრა მშობლიურ ენაზე სწავლების სისტემა. მაშასადამე, ი. ჭავჭავაძის პედაგოგიკური ნააზრევი იმდროინდელი პედაგოგიური პრაქტიკის ღრმა და ობიექტური ანალიზის შედეგია, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პედაგოგიკის მეცნიერული სისტემის ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარებისათვის. ამას ადასტურებს პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, მთელი გზა.

მეორე: ი. ჭავჭავაძემ მეტყველებისა და აზროვნების საკითხები დაამუშავა ბავშვის ფსიქოლოგიის პედაგოგიკურ ასპექტში განხილვის გზით და სწავლების ფსიქოლოგიური საფუძვლების გახსნის მეშვეობით ჩამოაყალიბა დედაენაზე სწავლების ძირითადი პედაგოგიკური პრინციპები. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იმსახურებს საკითხის განხილვა ბავშვისა და გარემოს ურთიერთობის თვალსაზრისით.

გარემოსთან ბავშვის ურთიერთობა ამ გარემოს შესწავლით იწყება. ეს უკანასკნელი გარკვეულ გავლენას ახდენს ბავშვზე, მის ფსიქიკაზე. მათ შორის მყარდება რთული და მუდმივი ურთიერთობა, რომლის დროსაც „გარესინამდვილე ცოცხალ არსებაზე, როგორც ინდივიდზე, მაშასადამე, როგორც მთელზე მოქმედებს“. აკად. დ. უზნაძის განწყობის თეორიის მიხედვით გარესინამ-

დვილე „ამ შემთხვევაში, როგორც განსაზღვრული მოთხოვნის დაკმაყოფილების სიტუაცია, მოქმედებს როგორც სისტემა, რომელიც ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების პირობებს შეიცავს“.

ვინაიდან ცოცხალი არსების ქცევას განსაზღვრავს გარემო, რომელიც ამავე დროს შეიცავს „განსაზღვრული მოთხოვნის“ დაკმაყოფილების პირობებსაც, ბუნებრივია, ბავშვს ექნება დედაენაზე ლაპარაკის განწყობა. აკად. დ. უზნაძე „იმ სპეციფიკურ მდგომარეობას, რომელიც სუბიექტში მოთხოვნის დაკმაყოფილების ობიექტური სიტუაციის ზეგავლენის შედეგად ჩნდება“ განწყობას უწოდებს. განწყობას ანუ ერთგვარ მზადყოფნას ქმნის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ადამიანი დაუბრკოლებლივ იღებს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას გარემოში. ბავშვის მეტყველების მოთხოვნის დაუბრკოლებლივ დაკმაყოფილების ისეთი პირობა, რომელიც განწყობას ქმნის, არის დედაენაზე მეტყველების დაწყება ანუ ენის შესწავლის ბუნებრივი პროცესი.

ი. გოგებაშვილი, რომელმაც ი. ჭავჭავაძესთან ერთად შექმნა ქართული პედაგოგიკური მეცნიერება, ასეთივე პოზიციებიდან განიხილავდა დედაენის საკითხს. „მოიგონეთ ამოს კომენსკი, ზეკონი, — წერდა ცნობილი ეურნალისტი და პედაგოგი მ. ნასიძე „ნობათის“ 1884 წლის პირველი ნომრის პედაგოგიურ დამატებაში, — გადმოლით პესტალოცზე და გაიხსენეთ პედაგოგ-პსიქოლოგი ბენი. მიჰხედეთ უშინსკის, ბარონ კორფს, ბუნაკოვს და თვით ჩვენ პედაგოგს იაკობ გოგებაშვილს — თქვენ დარწმუნდებით მაშინ, რომ ისინი სკოლას მართო ერთსა სთხოვდნენ: შეასწავლეთ სამშობლო ენა, არითმეტიკა და ამ საგნების მეშვეობით დააკვირვეთ ბავშვი ბუნებას“.

ი. გოგებაშვილი ისევე, როგორც

ი. ჰაეკვაძე, დედაენის საკითხს ბავშვის ფსიქოლოგიის პედაგოგიური კვლევის გზით განიხილავს. „ივერიის“ 1890 წლის 100, 101, 102 და 104 ნომრებში სტატიების სახით გამოქვეყნებულ შრომაში „ძირითადი უკულმართობა“, იგი წერს: „დედა-ენა გარეგნობით როდია ადამიანის არსებასთან შეკავშირებული“. იგი.. ბუნებას ზედ გამოუჭრია ადამიანის ფსიქოლოგიურს და ფიზიოლოგიურს აგებულებასზედ. ყოველს ადამიანს დაბადებიდან ჰყვება მიდრეკილება და ნიჭი დედა-ენის ადვილად და ღრმად შესწავლისა სწორედ იმ გვარად, როგორც ბუნებულს ჰყვება დაბადებითგანვე ბუნებულის გალობის ნიჭი“.

აქ უკვე პირდაპირ არის მითითებული, რომ დედაენისადმი მიდრეკილება ბავშვს დაბადებიდანვე თან დაჰყვება. განწყობის თეორიის მიხედვით ეს მოვლენა იმით აიხსნება, რომ თუ ქცევა, ამ შემთხვევაში მეტყველება, „მანამდეა მოცემული, სანამ დაიწყებოდეს, ცხადია, იგი როგორც წინასწარი მიდრეკილება, როგორც გარკვეული მოქმედების ტენდენციაა მოცემული... სხვა-ნაირად, — შენიშნავს აკად. დ. უზნაძე, — ასეც შეიძლება გვეთქვა: სანამ ცოცხალი არსება რაიმე ქცევას მიმართავდეს, მას უკვე მანამდე აქვს ეს ქცევა განწყობის სახით მოცემული“.

ი. გოგებაშვილმა საგანგებოდ, პედაგოგიური აზროვნების სავსებით მომწიფებულ, ღრმამეცნიერული პოზიციებიდან გამოიკვლია დედაენის აღმზრდელი ფუნქცია ბავშვის გონებრივი, ზნეობრივი და პატრიოტული აღზრდის პროცესში.

ი. გოგებაშვილი თვლის, რომ „ის მშობელი, რომელიც თავის შვილებსა ზრდიან გარეშე დედა-ენის გავლენისა, სწყვეტენ კავშირს მათსა და სამშობლოს შორის, უკარგავენ თავის ქვეყანას მამულიშვილებს, ამცირებენ იმ რაზმს ქართველებისას, რომელიც ემსახურებოდა სამშობლოს წარმატებას, მის ბედნიერებას“.

რატომ მიიჩნევს ი. გოგებაშვილი ასეთ

მიუტეველ ცოდვად ბავშვის უცვლელად აღზრდას?

იმიტომ რომ „ნამდვილი კავშირის შენებისა, გრძნობისა და ხასიათის აღზრდა ბავშვებში, მათი პირადი ბედნიერება, რომელიც ყველა მშობელსა სწყურის, შეუძლებელია მაშინ, როდესაც მათს აღზრდაში მეტ-ნაკლებობით უარყოფილია დედა-ენა, ეს ეროვნული ძალა, მთავარი ბურჯი ეროვნებისა“. უდედაენოდ „აღზრდილი ბავშვი ვერასდროს ვერ ავა იმ გონების სიმალღემდის, რომელიც შეეფერება მის ბუნებობის ნიჭსა, ვერ მიეწევა, ვერ ეღიროება ჯეროვანს სიღრმეს აზრისას და გრძნობისას, მეტ-ნაკლებად გამოვა ნეკერ-ნეკერა, ქარაფშუტა, უხასიათო ადამიანი და იმის ნახევარსაც ვერ გააკეთებს თავის სიცოცხლეში, რის გაკეთების ნიჭიც მისთვის ბუნებას მიუცია“.

ამის მიზეზი კი ის არის, რომ „როდესაც რომელიმე მშობელი თავის შვილს დედა ენას აშორებს... ამ გვარი უკულმართობა ჰბადავს უთანხმოებას, წინააღმდეგობასა ბავშვის მეტყველებასა და მის სულის და ხორცის შუა“.

დედაენის აღმზრდელი ფუნქციის საკითხი ი. გოგებაშვილმა ფართო საზოგადოებრივი თვალსაზრისით განიხილა და თავის დიდმნიშვნელოვან პედაგოგიურ დასკვნებს საერთო-სახალხო, ჰუმანიტარულ საერო ხასიათი მისცა. მან შეძლო დაენახა და მოწინავე პედაგოგიური აზროვნების პოზიციებიდან შეეფასებინა იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების უარყოფითი მოვლენების გამომწვევი მიზეზები. ი. გოგებაშვილი ფიზიკურად ადევნებდა თვალ-ყურს ცარიზმის და მისი ერთგული დამქაშების მიერ გადაღმულ თითოეულ ნაბიჯს. როდესაც, მაგალითად, სკოლიდან დედაენის განდევნის გზით ქართული ენის შერყევა არ მოხერხდა და ცარიზმმა მიზანს ვერ მიადგინა, მან მიმართა ქართველთა შორის ტომობრივი შუღლის ჩამოგდების ენერგიულ ცდებს. ამასთან დაკავშირებით ი. გოგებაშვილი „ივერიის“ 1894 წლის



134-ე ნომრის მეთაურ წერილში „ნაციონალური ერთიანობა ქართველებსა“ აღნიშნავდა: „სასწავლებლებში... ზშირად ამნაირად ჰყოფენ მოწაფეებს: რუსები, სომხები, ქართველები, იმერლები, გურულები, რაჭველები, მეგრელები და სხვები“.

ი. გოგებაშვილმა მეტად საგულისხმო მოსაზრებები განავითარა ქართველი ხალხის ეროვნული მთლიანობისა და მისი, როგორც ერის ჩამოყალიბების ისტორიის საკითხებზე. მან ეროვნული ერთობის სხვა დამახასიათებელ ნიშნებთან ერთად დედაენა ამ ერთობის უმთავრეს ბურჯად აღიარა.

დედაენის, როგორც ეროვნების ბურჯის, შემეცნებითი და აღმზრდელი მნიშვნელობის საკითხები იმდროინდელი ქართული პრესის ყურადღების ცენტრში იდგა და პედაგოგიური აზროვნების მოწინავე მეცნიერული პოზიციებიდან შექცებოდა. სამართლიანად შენიშნავდა ს. მესხი „დროების“ 1877 წლის 21-ე ნომერში: „თბილისის გაზეთების მეტი რომ სულ არა წაეკითხა რა ჩვენს პედაგოგებს, მაინც უნდა დარწმუნებულიყვნენ იმ ჰაზრში, რომ ყმაწვილს პირველდაწყებითი სწავლა თავის მშობლიურს ენაზედ უნდა გადაეცეს“. ეს მართლაც ასე იყო. ამ მხრივ ფრიად საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვეს აგრეთვე აკაკი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ, ს. მესხმა, მ. ნასიძემ, ა. ნანიევილმა, ა. აკოფაშვილმა და სხვებმა. ამასთან ერთად მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულმა პრესამ განიხილა აღზრდის პროცესში დედაენის როლსა და მნიშვნელობასთან დაკავშირებული ორი საკითხი: 1. დედაენის მნიშვნელობა სწავლებაში წარმატებისათვის და 2. დედაენა, როგორც სკოლაში დისციპლინის დამყარების აუცილებელი პირობა.

გაზეთ „თეატრის“ 1889 წლის 43-ე და 44-ე ნომრებში დაიბეჭდა ა. წერეთლის სტატია „ჩვენს მშობლებს“. ა. წერეთელი ხომ საგანგებოდ სწავლობდა დედაენის პრობლემას და პრესაში გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან წერა-

ლებში იკვლევდა ქართული ენის უნიქლოგიური ბუნების საკითხებს. მშობლებისადმი მიმართულ ამ წერილში ა. წერეთელმა განიხილა სწავლაში წარმატებისათვის დედაენის მნიშვნელობის საკითხი და რამდენიმე მეტად საგულისხმო დასკვნა გააკეთა. მისი აზრით, სწავლაში წარუმატებლობის მიზეზი „მხოლოდ ცხოვრებისა და სწავლების პირობა-გარემოებაა“. ამ პრინციპული, იმ დროისათვის გაბედული, დებულებიდან გამომდინარე ა. წერეთელი კონკრეტულად განიხილავს სწავლაში წარმატებისათვის დედაენის მნიშვნელობის საკითხს და დაასკვნის: „ადამიანისათვის მხოლოდ ის საზრდოა კარგი, რომელსაც მისი ბუნება მოითხოვს და რიგიანად მოინელებს“.

ასეთი კეთილი „საზრდო“ დედაენა, ვინაიდან სწავლების პროცესი სიადვილის პრინციპს უნდა ემყარებოდეს: „დასაწყისი სწავლა, — აღნიშნავს იგი, — უნდა იყოს ადვილად გასაგები, შესათვისებელი და საქაპან-წყვეტოთ ძალას არ უნდა ატანდეს ნორჩ გრძნობაგონებას“. გონებრივი განვითარების ბუნებრივი გზით წარმართვის აუცილებლობასთან ერთად ყურადღება სამართლიანად არის გამახვილებული ბავშვის გრძნობაზეც, ვინაიდან განწყობის, სიხალისის, გრძნობებზე ძალდაუტანებლობის მომენტს არსებითი მნიშვნელობა აქვს შესწავლილი მასალის ათვისების ხარისხისათვის. თუ ბავშვი ასეთ „საზრდოს“ მოკლებულია — „ის მხოლოდ მარტო მეხსიერებას მიაწვება და დაატანს ძალას, რომ უცხო სიტყვები დაიჭიროს და შეუთვისებელ შეუხორცებლად გაიმეოროს ხოლმე“. აქედან გამომდინარეობს მექანიკური ზეპირობის ანტიპედაგოგიური პრაქტიკის უარყოფა, ვინაიდან „ამ გვარად რაც უნდა ბევრი შეიძინოს კაცმა, თავის თავათ მაინც არა ექნება რა“ და ვერც ამ გზით მიღებული ცოდნის „თავის თავით“, ე. ი. შეგნებულად გამოყენებას შეძლებს.

„დროების“ 1882 წ. 4 ავგისტოს მეთაურ წერილში „სკოლის დისციპლინა



(პედაგოგიური შენიშვნა)“ პედაგოგი და ჟურნალისტი ა. აკოფაშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „სკოლის დისციპლინა არის ერთი უმთავრესი საგანთაგანი პედაგოგიისა. რადგანაც ამაზედ არის დამოკიდებული სხვათა შორის სწავლის წარმატებაც სასწავლებელში, ამისათვის ყველა გამოჩენილ პედაგოგს ჭეროვანი ყურადღება მიუქცევია მასზედ“. სასკოლო დისციპლინის საკითხი უნდა განიხილებოდეს გამოჩენილი პედაგოგების შეხედულებების ანუ პედაგოგიური მეცნიერების უკვე მიღწეული დონის პოზიციებიდან — სასკოლო პრაქტიკის რეალური მდგომარეობის კონკრეტული ანალიზის საფუძველზე. ეს მოთხოვნები ძალაში რჩება საბჭოთა პედაგოგიკის თეორიასა და პრაქტიკაშიც.

ამიტომ უფრო მნიშვნელოვანია დასკვნები, რომლებიც დასახელებული წერილიდან გამომდინარეობს: 1. იქ, სადაც „შიშს, მომაკვდავის სიჩუმეს თვლიან უპირველეს ღირსებად სკოლისათვის“ და სწავლა-აღზრდის პროცესი დამყარებულია მორჩილებასა და დადგენილ წესების მხოლოდ მექანიკურ შესრულებაზე, არ შეიძლება მიღწეულ იქნეს აღზრდის სასურველი მიზანი. „ყმაწვილი ამ გვარი დისციპლინით გაწვრთნული, ხომ ყურ-მოჭრილი ყმა უნდა გადაიქცეს“. დისციპლინა უნდა იყოს შეგნებული, იგი უნდა ემყარებოდეს ბავშვის ბუნებრივი და ასაკობრივი განვითარების თავისებურებებს; 2. მოსწავლეთა უდისციპლინობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის „ყმაწვილებისათვის გაუგებარ ენაზე სწავლა“. ამ მიზეზის გამო ჩვენს სკოლებში „მოწაფეთა გრძნობა და გონება უძრავია“. სკოლის უმთავრესი დანიშნულებაა მოსწავლის „გრძნობისა და გონების“ ამოქმედება, რაც ამავე დროს გამოორიხავს „შიშს... მომაკვდავის სიჩუმეს“ და უზრუნველყოფს შეგნებული დისციპლინის განმტკიცებას: „იმ სკოლაში არის მხოლოდ წესიერება, სადაც ყმაწვილებს არ ემიძიებათ ყოფნა და სადაც მათი გონება ვარჯიშობაშია“; 3. სკოლაში დისციპლინის

განმტკიცების აუცილებელი პირობაა დედაენა, როგორც „საფუძველური წესებისა და დამფუძნებელი წესებისა“.

ყურადღება, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულმა პრესამ დაუთმო დედაენის აღმზრდელობითი ფუნქციის გამოკვლევას, რა თქმა უნდა, არ იყო ეროვნული კარჩაეკტილობისაკენ მისწრაფების გამოვლენა ან მხოლოდ პატრიოტული გრძნობებით ნაკარნახევი მოქმედება. ეს შესანიშნავად გამოხატა ი. ჭავჭავაძემ, რომელიც „დროების“ 1881 წლის 33-ე ნომერში წერდა: „ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით დაუკანდაუხვეველად ვთხოულობთ დედაენისათვის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებელში, — ეგ მართო დედაენის სიყვარულით არ მოგვდის. ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ უდედა-ენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია“.

ქართული პრესის მხარდამხარ ასეთივე პოზიციებიდან იცავდნენ ქართულენას პროგრესულად მოაზროვნე რუსი მოღვაწეებიც. ისინი ამხელდნენ ცარიზმის კოლონიური საგანმანათლებლო პოლიტიკის მანკიერებას. ასეთი მხილების ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს პეტერბურგის პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთის „სტრანას“ მოწინავე წერილი, რომლის შინაარსი გაზეთ „შრომის“ 1882 წლის მეთხუთმეტე ნომერში გამოქვეყნდა. გაზეთი „სტრანა“ აღნიშნავდა: „განათლების გავრცელება და თანაგრძნობის აღძვრა, სამშობლო ენის შკოლებიდან განდევნით და სხვა კანონიერ მოთხოვნათა შეუწყნარებლობით არ მოხერხდება“.

ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ნ. ნიკოლაძე და სხვები სისტემატურად ხაზს უსვამენ რუსული ენის დიდ მნიშვნელობას და რუსული ენის ცოდნის აუცილებლობას განათლებისა და კულტურის განვითარებისათვის, საქართველოს მთელი საზოგადოებრივი და ეკონომიური ცხოვრების პროგრესისათვის. „რუსული ენა, — წერდა ი. ჭავჭავაძე „დროების“

1881 წლის 33-ე ნომერში, — ღონეა, არამც თუ როგორც მეტი ცოდნა, არამედ როგორც სახსარი საცხოვრებლად ბრძოლისათვის, იგი ფარ-ხმალია დღეს ჩვენთვის ყველაფერში და ყველგან, რაკი შინიდან გარეთ ფეხს გადმოვდგამთ“.

საყურადღებო მოსაზრებანი გამოითქვა ქართულ პრესაში აგრეთვე დედაენის განვითარების საკითხებზე. იგი საგანგებო მსჯელობის საგანი გახდა „ივერიის“ ფურცლებზე, სადაც 1887 წელს (№ № 219, 223 და 236) დაიბეჭდა ცნობილი პედაგოგისა და ჟურნალისტის ა. ნანეიშვილის საინტერესო წერილები ენათა ურთიერთგავლენისა და ქართული ენის განვითარების საკითხებზე. მისი აზრით, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, რათა „ძველ მწერლობაში აღმოვაჩინოთ კანონები ქართულის ენისა, საჭირო სიტყვები, რომლებიც დღეს ხალხს ან დაუვიწყრია ან და იმის ყურამდე არც-კი მისულა“. ეს არის ენის გამდიდრების, მისი წინსვლისა და განვითარების ძირითადი გზა. გარდა ამისა, ა. ნანეიშვილი მიუთითებს კიდევ ერთ „მიმდინარეობაზე“. ეს არის „უცხო ელემენტების მიღება და შეთვისება“. „მაგრამ, — ხაზგასმით აღნიშნავს იგი, — ამ მხრით მართო იმისთანა სიტყვებია ჩვენს ენისათვის შესაწყნარებელი, რომელთაც სწორი არ მოეპოებათ არც ჩვენს მწერლობასა და არც სასაუბრო ენაში“. ა. ნანეიშვილის მოსაზრებები ეხმაურება უცხო ენის შესატყვისი ეროვნული ტერმინების შეგროვება-შესწავლის საჭიროებას, რის შესახებაც ა. წ. 29 აბრილს აღნიშნავდა გაზეთი „კომუნისტი“ წერილში „შეგვიბოთ ჩვენი კუთხის სიტყვები“. საკითხს გადაუხვევთ და ვიტყვით: „კომუნისტმა“ დიდი და საშვილიშვილო საქმე წამოიწყო!

„ივერიის“ 1881 წლის მარტის „შინაურ მიმოხილვაში“ ი. ჭავჭავაძის წინადადება „რეფორმაციამ დაამტკიცა, რომ... ერთსა და იმავე სახელმწიფოში ძალიან კარგად მოთავსდება სხვადასხვაობა სარწმუნოებისა და ერთობის კავშირის საძირკვლიდამ ერთს ქვასაც ვერ გამოაცლის... მოვა დრო და გვგონია — დიდის ხნის ლოდინიც არ მოგვინდეს, რომ ეხის შესახებაც იმას იტყვიან, რასაც სჯულს შესახებ ბრმანიცა და თვალხილულნიც ამბობენ ერთხმად“.

ოთხი ათეული წელი დასჭირდა იმას, რომ ხორცი შეესხა ი. ჭავჭავაძის სიტყვებს: ერთსა და იმავე სახელმწიფოში ძალიან კარგად მოთავსდება სხვადასხვაობა ენისა, რომ „ერთობის კავშირის საძირკვლიდამ ერთს ქვასაც ვერავინ გამოაცლის“. ყოველივე ეს აქტუალურს ხდის მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პრესაში გამოთქმულ მოსაზრებებს საერთოდ დედაენისა და, კერძოდ, მისი აღმზრდელიობითი როლისა და მნიშვნელობის შესახებ.

საქართველოში სახალხო განათლები-სა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის შესწავლასთან ერთად განხილულ საკითხებს გარკვეული მნიშვნელობა აქვთ საბჭოთა პედაგოგიკის თეორიისა და პრაქტიკისათვის. საბჭოთა სინამდვილემ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ არა მართო უზრუნველყო დედაენაზე სწავლების უფლება, არამედ სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკითაც დაადასტურა, რომ სწორედ ეს არის ეროვნული კულტურების განვითარების მაგისტრალური გზა, რომელიც ადუღაბებს საბჭოთა სახელმწიფოში გაერთიანებული მოძმე ერების კავშირს.



## იოკაბ ქაშვილიძე

# მთავზე უმღვარი იმერეთი

ნარკვევი

აპა შვილიძე და ისარი  
და მკლავი დაუშრომელი!  
რუსთაველი.

### პარღენა

ტბაში ხარიპარია აკიფდა. ივანწმინდის ტირიფებით სავსე ტბა ნელ-ნელა განთიადის სინათლითაც ივსებოდა.

ვარდენა ჩაცუცქდა, მუხლებზე მარჯვედ გადადებული თოფი მუცლით დაამაგრა და სველი სახელო გაიწურა:

— ჯანდაბა მაგის თავს, კიდევ გამიგლიჯა იხვი! — იგი წედან ნაპირზევე შეეტანა ძაღლს, მაგრამ ძაღლი გაუხტა და ვარდენამ პირდაპირ ტბაში გადატოვა.

— ძალიან დაუგლეჯია საფანტს და სისხლი იყნოსა, — ხელში შეატრიალა ვარდენამ იხვი.

ტბა საკმაოდ დიდი იყო და ტირიფები განთიადის შუქზე მუხლებაკაპიწებული მეთევზეებისგან ჩანდნენ წყალში. ტბის ზემოთ, ცოტა მოშორებით, ხისჭიშკარიანი მჭიდრო ეზოები და სახლები მოჩანდა, გვერდიდან ტბას სიმინდის ყანა ჩასდევდა. ყანა სამანქანო გზამდე ვადიოდა.

— ნამდვილი საიხვე დროა! — თქვა ვარდენამ.

მე, როგორც მოხალისე მონადირეს, ვითომდა უფრო მოხერხებული საფარი მომიძებნა... პირდაპირ ყანაში; ნამდვი-

ლად კი თავიდან მომიშორა, ხელი არ შემეშალოსო.

სეზონზე ივანწმინდის ტბას ბევრი იხვი ეტანებოდა, მაგრამ იხვებზე მეტი ხანდახან მონადირე იყრიდა თავს.

ჩვენ ვიდექით და დაშვებული თოფებით გავცქეროდით ცას.

ახლა, რვა წლის მერე ვხვდები ვარდენას საჩხერის სადგურის მოედანზე. ქერა ულვაშები პაპიროსით შეყვითლებია. ალბათ მაშინაც ასე ჰქონდა, მაგრამ აღარ მახსოვს ანდა ყურადღება არ მიმიქცევია. იხვებზე ნადირობის ამბავიც ამ შეხვედრამ გამახსენა. ვარდენა ხელს მართმევს და მორიდებით მეკითხება, როგორ ბრძანდებით, ალბათ „თბილისს“ მოჰყვითო; სოფელში თუ მიდიხართ, მალე იუზას მანქანა მოვაო...

ცოტა ხანი და უკვე „იუზას მანქანაში“ ვზივართ. იუზა სამარშრუტო ავტობუსის შოფერს ჰქვია. ყველა რომ დავლაგდით, იუზამ კაბინის კარში გაჰყო თავი:

— ივანწმინდა, მერჯევი, გორისა! ყური რომ არავინ გაიბერტყა, კარი მოაჯახუნა და მანქანაც დაძრა.



ვარდენა ბოდინს იხდის, წესი კი არაა, მაგრამ თუ არ მოვწიე, არ შემძლიაო:

— ეს ოხერი სულ ხელში მიჭირავს. ძილშიც ხველება ამივარდება და მეღვიძება. თუ არ მოვწიე, მთელი ღამე უნდა ვახველო. ერთი ამას ვაღამაჩვია და! შენ თუ ეწევი, ბიძია? — შემომხედა, ღრმად მოქაჩა პაპიროსი და საკუთარ ცხვირში შეაფუფულა. ახლა კი მივხვდი, ასე რატომ გაყვითლებოდა უღვაშები. ისე, კარგად თუ დააკვირდები, ყველა თავისებურად აბოლებს პაპიროსს.

მანქანა ივანწმინდის ტბას გაუსწორდა. გარეული იხვების, ტბაში ჩამდგარი ტირიფების, სიმინდის გაუთავებელი ქანებისა და ძველი, თეთრი ეკლესიის გაზსენებზე, რა თქმა უნდა, ნადირობის სასიათზე მოხვალ. მით უმეტეს, როცა ვარდენაც გვერდით გიზის. მაგრამ... სადღაა ტბა! ის არემარე ახლა პატარა ქალაქს ჰგავს...

ლამაზი ეზო; ორსართულიანი მოჩუქურთმებული შენობა, რომელშიც საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექციაა მოთავსებული. ამ შენობაშივეა ბიბლიოთეკა, კლუბი, კინოშეკანიკოსთა ოთახი. იქით — უნივერსალი, ფურნე, სადალაქო; სახარაზო, საღურგლო; მოშორებით — სამკვდლო და საწყობები. ზედ ტბის ადგილზე კი ფეხბურთისა და ფრენბურთის მოედნებია.

— სანადიროდ თულა დადინხართ ხომ? — გამოსაჯავრებლად, მაგრამ თავაზიანი კილოთი მივუბრუნდი ვარდენას.

— ვიცი, რაზეც მეკითხები! — ფანჯ-

რიდან პაპიროსის ნამწვი გადაავლო და თითებით ახალს დაუწყო სრესა. — ეე, რაც მე და მამაშენს გვინადირნებდა ხელ შენც ქე წამოგაყვანე!

— ახლაც ინადირე, თუ გინდა! — ამყავილა.

— კი, მიდი და ინადირე. არ გახსოვს, შარშან რადიომ რო დეიძახა, ოქტომბერში მოთოვსო? რას ავფაცხუნდით! თოფით დაენახვე ახლა შენ ჩვენს ახალ დირექტორს. ჰო, მართლა, მგონია, შენთან დაუმთავრებია! — მომიბრუნდა ვარდენა.

კი-მეთქი, დავემოწმე.

— კაი დავემართოს. ძაან ყოჩალი კაცი კია და... ყარამანიჩს თუ ნახულობ? იქით გადმოიყვანეს, დიღმის მეურნეობის დირექტორიაო. ამასწინათ აქ იყო ჩამოსული, მეურნეობაშიც მოვიდა...

„ყარამანიჩი“ — ბორის ყარამანის ძე საყვარელიც — ამ მეურნეობის პირველი დირექტორია. როცა შემთხვევა მიეცემა და საჩხერეში, თავის სახლში ჩავა, მეურნეობასაც მოინახულებს ხოლმე.

ავტობუსი გაჩერდა. ვარდენამ ერთხელ კიდევ მიაფუფულა საკუთარ უღვაშებს და წამოდგა:

— ჰე, ჩავედი ახლა, ბიძია. ხუთ წუთში შინ იქნები. დედაშენმა თუ იცის, რო მიღიხარ!

კიდევ რამდენიმე მგზავრი ჩადიოდა. ავტობუსი ისევ იდგა, ვარდენამ რომ ახალ პაპიროსს მოუკიდა და მეურნეობის ეზოში შეუხვია.

## ძარითული ვაზი.

საჩხერიდან იმერეთი თანდათან შედის მთებზე. თანდათან მალლა მიიწვევენ ფერდობებზე შეფენილი სახლებიც. ზევით და ზევით, ყვირილას იქით, შეუძმინველად მალღლებიან მთებშუა მოქცეული ხოდაბუნები. ამ ხოდაბუნებს ორი სოფელი ადგას თავს — ივანწმინდა და მერჯვეი.

ეს ორი სოფელი კარგა ხანია ერთი

ცხოვრებით ცხოვრობს. ისინი ერთ კოლმეურნეობას შეადგენდნენ. ნოყიერი მიწები და ხელსაყრელი მდებარეობა კარგ პირობებს ქმნიდნენ ვაზისათვის, კერძოდ — შამპანური ჯიშებისათვის. და აი, 1957 წელს ამ ორი სოფლის კოლმეურნეობების ბაზაზე საჩხერის საცდელ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა.



მეურნეობის ჩამოყალიბებამდე მერჯვისა და ივანწმინდის კოლმეურნეობას 39 ჰექტარი ვენახი ჰქონდა. ვენახის ფართობები პატარა-პატარა ნაკვეთებად იყო გაფანტული კოლმეურნეობის ვეებერთელა ტერიტორიაზე. თვალუწვდენელ ხოდაბუნებზე სიმინდი ითესებოდა. 17 ცენტნერი ყურძენი ჰექტარზე! სიმინდი კი — 6 ცენტნერი! — ასეთი მემკვიდრეობა მიიღო 1957 წელს მეურნეობამ.

ცხადია, ახალგაზრდა მეურნეობა დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ იგი მარტო როდი იყო. მას მხარში სახელმწიფო ედგა, რომელმაც საჭირო ტექნიკა და ფინანსები გამოუყო. ახლა შრომის ორგანიზაცია და მონდომებაღა გახდა მთავარი.

ჰოდა, მეურნეობამ თავისი არსებობის პირველსავე წელს ჰექტარზე 49 ცენტნერი ყურძენი მოიწია. სამი წლის შემდეგ კი მოსავალმა 73 ცენტნერამდე აიწია.

ქართველი კაცი სახლის აგებას დაეპირება, ჯერ სამოსახლომდე გზას მიიყვანს ხოლმე. ასეც მოხდა: სოფელშიც შევიდა გზები, გზებს რიონჰესი შეჰყვია...

440 ჰექტარი ფართობი ვენახია ამჟამად მეურნეობის კუთვნილებაში. ბევრი, ამ რაიონისათვის ახალი ჯიში შეემატა ადგილობრივ ჯიშებს. ქვიშხურს, ციციქასა და ძველშავს პინო და შარდინე ამოუდგა გვერდით. გაშენდა ჩინური, თავკერი. ეს ჯიშები ძვირფასი მასალაა შაპანური ღვინოებისათვის, მარტო პინოს, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო შაპანური მასალათა შორის, 104 ჰექტარი ფართობი უჭირავს.

ქართულ ვაზს აქაც ბევრი თაყვანისმცემელი გამოუჩნდა.

შუალო ტანის, შავგვრემანი კაცია. შუახნისა რომ უთხრათ, არ ეწყინება, მაგრამ კაცს შვილიშვილები ჰყავს და ამიტომ, ცხადია, ბაბუაცაა. ანდრო კი უფრო მაღალი, ქერა და ახალგაზრდაა.

## როცა იღვიძებენ ზვრები

გლეხი კაცისათვის ადრე იწყება დღე. აღმოსავლეთი რომ აღისფრად აილანძება, ჩვეულებრივ, სოფლის გზაშარებიც იღვიძებენ, იღვიძებენ ზვრები, ყინები. ჯერ კანტი-კუნტი ნაბიჯების ხმა და ვაზებში აქა-იქ მოსიარულე ადამიანთა შრიალი არღვევს ნახევრად ღამეულ სიმყუდროვეს, მერე კი... იწყება დღე, ჩვეულებრივი, ნათელი, ხალისიანი დღე.

ვალიკოსა და ანდროსთვის ეს დღეები გარეგნულად თითქოსდა ერთმანეთს ჰგვანან: ალიონზე ზვარში მიდიხარ და შებინდებისას შინ ბრუნდები! მაგრამ ყოველ დღეს აქვს თავისი ახალი: დღითიდღე იზრდება ლერწი, მსხვილდება და მწიფდება მტევანი, — თანდათან, შეუმჩნევლად...

ვალიკო და ანდრო ფალავანდიშვილები კარის მეზობლები არიან. მათ შარავზა ჰყოფთ. სოფელში თუ ერთს ახსენებენ, იქ უსათუოდ მეორის სახელიც გაჩნდება ხოლმე თავისთავად. ეს არც მეზობლობის ბრალია და არც გარეგნული მსგავსებისა. პირიქით: ვალიკო სა-

და... სოფელში თუ ერთს ახსენებენ, იქ უსათუოდ მეორის სახელიც გაჩნდება ხოლმე თავისთავად. მეურნეობის ჩამოყალიბებისთანავე მათ თითო ჰექტარი ვენახი გაიპიროვნეს მოსავლელად. მას აქეთ ამ ვენახებს ფალავანდიშვილების სახელი შეერქვა: ფალავანდიშვილების ნაკვეთი, ფალავანდიშვილების ვენახი! — ასე ამბობენ მერჯვეში, როცა სიტყვა მოიტანს, ასე ამბობენ მეურნეობის დირექციაში, ბრიგადებში, კრებებზე, გამგლეული თუ გამომგლეული; ყველა, ვინც კი ვალიკოსა და ანდროს ნაკვეთს ნახავს. ერთი სიტყვით, ჩვეულება კანონად იქცა და ახლა ბევრმა ისიც არ იცის, რომ ვალიკოსა და ანდროს ცალ-ცალკე აქეთ ვენახის ნაკვეთები მოსავლელად აღებული. ეს თურმე მეურნეობის დირექციასაც „ეშლება“ და... ფალავანდიშვილებს

კარგი მოსავლისათვის ფულადი პრემიის სახითაც ერთნაირად ავიღოვებს ხოლმე. წელს შრომაში მოპოვებული წარმატებისათვის ფალავანდიშვილები დაჯილდოვდნენ: ერთი — „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მეორე — მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“.

ეს დიდი ჯილდო ვენახის კაცებმა საქმისადმი სიყვარულით, ალალი და დაულალავი შრომით მოიპოვეს. მათი ხელეზბი ვაზს შეზრდია, მათ ნაჯაფარ მკლავებზე ლერწებივით წითელი ძარღვები აყრია. შარშან მათ ჰექტარზე 60 ცენტნერის ნაცვლად, 112 ცენტნერი ყუბძენი მოიწიეს.

ვალეო და ანდრო მარტო გაპიროვნებული ვენახის მოვლით როდი კმაყოფილდებიან. ისინი სხვებთან ერთად შრომობენ ზერებში, ყანებში, გზის მშენებლობებსა თუ ვაზის სანერგეში; თავიანთ გამოცდილებას გადასცემენ ახალგაზრდებს.

თალიკო დეკანოიძე მერჯევის საშუალო სკოლის მასწავლებელია, მაგრამ იგი პედაგოგობით არ გაუცვნიათ. ყველაფერი ამ ექვსიოდე წლის წინ დაიწყო — თალიკო სკოლის მერხიდან ტრაქტორის საქესთან მოხვდა. ახლადშექმნილ მეურნეობას უჭირდა სპეციალისტები და მექანიზატორები. თალიკოც ვერ გრძობდა ტრაქტორის საქესთან თავისუფლად თავს, მაგრამ ერთი იმთავითვე ცხადი იყო: გოგონასათვის, რომელსაც ჯერ კიდევ მელნისა და ცარცის კვალი აჩნდა თითებზე, ახალი, სულ სხვა ცხოვრება იწყებოდა. იგი ჭირდებოდათ ადამიანებს, რომლებსაც რამდენიმე დღის წინ მორცხვად მოსწავლის სალამს აძლევდა ხოლმე. მერე ყველაფერი ჩვეულებრივ მოხდა: თალიკო ტრაქტორს შეეჩვია და მალე მოწინავე მექანიზატორი გახდა. მასზე გადმოსცემდნენ რადიოში, წერდნენ გაზეთში. ამის მიჩვევაც არ იყო ადვილი, მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, თალიკომ ქებაც „შეიშნო“ და ახლა იგი საქმიანი, მომთხოვნი და მკაცრი ბრიგადირია.

ესაა თალიკოს შრომითი ბიოგრაფია. პედაგოგობა კი მისი პროფესიაა. წელს დაამთავრებს ქუთაისის უნივერსიტეტის ინსტიტუტის ქიმი-ბიოლოგიის ფაკულტეტს. შეთავსებით სკოლაში ქიმიას ასწავლის, შრომისა და სწავლის სიყვარულს უნერგავს მომავალ თაობას.

წელს საკავშირო ალკა მეთხუთმეტე ყრილობის დელეგატთა შორის იყო თალიკო დეკანოიძეც, გოგონა, რომელიც მაგალითს იძლევა შრომაშიც, სწავლაშიცა და პედაგოგიურ საქმიანობაშიც.

შზია კაპანაძე მევენახეობის პირველი უბნის მეოთხე ბრიგადის ხელმძღვანელია, მისი შრომითი ბიოგრაფიაც სკოლის მერხიდან დაიწყო. ახლა ქალიშვილი აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტია, მისი ბრიგადა კი რაიონში მოწინავეთა შორის დგას.

ვაზის ყადრი რომ იცოდე, იგი უნდა გიყვარდეს. ვაზის სიყვარული კი გლეხი კაცის ყველაზე დიდი სიხარულია, სიყვარული და სიხარული, წლების განმავლობაში ვაზებთან ტრიალსა და ფუს-ფუსში რომ გაგჯდომია ძვალსა და რბილში. მაგრამ ვაზმა შიშიც იცის, გლეხკაცისათვის ყველაზე დიდი შიში — შიში სეტყვისა, როცა არ შეგიძლია უშველო შვილივით მოვლილსა და ნალოლიავებ მტევნებს. ნოდარ გომართელი ახალგაზრდა მევენახეა. მას, ბუნებრივია, საკუთარი ახალგაზრდული ფიქრები აქვს, სურვილები, მიზნები. მაგრამ ბუნებამ მასაც უკვე „თავისი დაღი დაასვა“ — ღრმად ჩაუნერგა ვაზის სიხარულიცა და... შიშიც.

— ვაზმა თუ გაგიმართლა, გაგახარებს; ოღონდ ხელი არ უნდა მოაკლო...

აკი ასეც მოხდა, შარშან ნოდარმა უხვი მოსავალი მიიღო.

სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი: იქნებ თავისებურად სიმბოლურიცაა, რომ ახალგაზრდა მეურნეობას ხელმძღვანელიც ახალგაზრდა ჰყავს. შალვა ჭილაძე 30 წლისაა და მესამე წელია, რაც ამ მეურნეობას უდგას სათავეში. წელს მეურნეობის მიერ მოპოვებული წარმატებისათვის იგი „საპატიო ნიშნის“ ორდენ-

ნით დაჯილდოვდა. ეს ჯილდო, ბუნებრივია, უფრო მეტ პასუხისმგებლობასა და მოვალეობას აკისრებს ახალგაზრდა სპეციალისტს. შალვამ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრა და მეურნეობის დირექტორობამდე სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (ახლანდელი სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის ინსტიტუტი) მუშაობდა. მას სადისერტაციო თემა ის იყო ბოლომდე უნდა მიეყვანა, მეურნეობაში რომ მივიღა. და ყველაფერი თითქმის თავიდან დაიწყო: მეურნეობის გაცნობამ, ცხოვრებასთან ახლო კავშირმა, ბევრი რამის შეცვლა და მისი ხელახალი გაანალიზება მოითხოვა.

## სასურველი ნაყოფი

ოჯახში კაცს ყველაფერი გვირდებოდა. ასანთი რომ ასანთია — თუ არა გაქვს, უნდა მიდგე-მოგდე, — ან შინაური უნდა შეაწუხო, ან გარეული. მართალია, კარგი მეზობელი არაფერს დაგამადლებს, მაგრამ... შენ რომ გაქვს — სულ სხვაა.

საჩხერის საცდელი-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობაც ოჯახივითაა. მართალია, მეურნეობა მევენახეობისაა, მაგრამ... ოჯახში, ვენახის გარდა, მოგვხსენებთ, ათასი რამაა საჭირო.

მეურნეობა წელს, ასე ვთქვათ, მთელი თავისი შესაძლებლობით ჩაებმება ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ფერხულში — დაიზარდნენ და უკვე მტევნებით დაიხუნძლნენ 6-7 წლის წინათ გაშენებული ვაზები, მევენახეთა ენით რომ ვთქვათ, მსხმოიარენი გახდნენ.

შარშან მეურნეობამ პირველი დიდი მოსავლით გაახარა მშრომელები. 281 ჰექტარი მსხმოიარე ვაზიდან მეურნეობის მშრომელებმა გვეგმით გათვალისწინებული 770 ტონა ყურძნის ნაცვლად, მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 913 ტონა მალახხარისხოვანი შამპანური ჯიშის ყურძენი. ნაცვლად გვეგმით გათვალისწინებული 54 ათასი მანეთისა, მე-

— გეგმები დიდია, გასაკეთებელი — ბევრი. ჩემთვის ბედნიერებაა, რომ საღისერტაციო თემას ამ მეურნეობის რეგულირებაში ვამუშავებ: აქ ხომ ყველაფერი ახლა იქმნება, მაშასადამე, ცდებისა და დაკვირვებების საშუალებაც და საჭიროებაც მეტია. ერთი სიტყვით, ვნახოთ... — მოკლედ გაგვაცნო შალვამ თავისი გეგმები.

... აღმოსავლეთი რომ აღისფრად აღიწინებდა, მიძინებელი ზვრებიც იღვიძებენ, ჯერ კანტი-კუნტი ნაბიჯების ხმა და აქა-იქ ვაზებში მოსიარულე ადამიანის შრიალი არღვევს დამეულ სიმყუდროვეს. მერე კი... ამოდის დიდი, წითელი მზე. მზეზე შრებიან შაბიამნით გადალურჯებული ვაზის ფოთლები.

ურნეობამ სახელმწიფოს 192 ათასი მანეთი მოგება მისცა. ვაზმა გაამართლა. მუშა მოსამსახურეებზე მართო პრემიადანამატის სახით 67 ათასი მანეთი იქნა გაცემული.

ეს ციფრები ბევრის მეტყველია.

რაიონის გარეთ გაითქვეს სახელი მეურნეობის ჯიშინადა ფურებმა. მათთვის საგანგებო პირობებია შექმნილი.

ოტრია, სადაც საზაფხულო საძოვრები აქვს მეურნეობას, 40 კილომეტრზეა დაშორებული რაიონიდან.

პირველყოფილი ტყეებითა და ალპური მალღობებითაა დაფარული მთები, მდელოები. ირგვლივ გრილი, მაცოცხლებელი ჰაერია, ქორფა და ფხვანაუფდვამი ბალახი; აქ ხომ პირუტყვის მომვლლების გარდა, ერთ მოსახლესაც ვერ ნახავთ ახლო-მანლო. ათობით კილომეტრი უნდა გაიაროთ რომელიმე დასახლებულ უბნამდე. მომვლელები კი ოტრიის მუდმივი მკვიდრები გახდნენ, მხოლოდ ფურები ჩამოჰყავთ ხოლმე გამოსაზამთრებლად საზაფხულო საძოვრებიდან. მომვლელთა კეთილმოწყობილი ბინები ილიჩის ნათურებითაა გაჩირადლებული. ილიჩის ნათურები დაჰნათის უკაცრიელ



ტყეებსა და მდელოებს. მართალია, ფერ-  
მა შორსაა, მაგრამ იგი მეურნეობის ყო-  
ველდღიური ცხოვრებით ცხოვრობს —  
მას საგანგებო რადიოქსელი აკავშირებს  
მეურნეობასთან, ადგილობრივ კლუბში  
კი ყოველ კვირას მოდის ახალი კინო-  
სურათი.

დაბლა წაბლნარი მოძალებია, ზევით  
და ზევით ალპურ ზონასთან ახლოს.  
მუხნარი და წიფლნარი ჭარბობს. ხეო-  
ბებში კი მდორედ მიედინებიან პატარ-  
პატარა ცივი და ანკარა ლელები; ლე-  
ლის პირებზე, მწვანე მდელოებზე, ქა-  
ლაქებივით დგანან ცისფრად შედებილი  
სკები. აქვე, ოტრიაში ჰყავს მეურნეო-  
ბას ორას ორმოცდაათამდე ღორი. შარ-  
შან თითოეული დედაღორიდან საშუა-  
ლოდ 16 გოჭი მიიღეს.

ახლა რაიონის ცენტრი მეურნეობის  
ძროხეულითა და ფრთოსანი საკვებით  
მარაგდება, მეზობელი შავი ოქროს ქა-  
ლაქის — ჭიათურის მადაროელები მე-  
ურნეობიდან ყოველწლიურად დებუ-  
ლობენ ცოცხალსა და ახლადდაკრეფილ  
ათობით ტონა კიტრს, პომიდორს, საზამ-  
თროსა და სხვა ბოსტნეულს, ყურძენსა  
და მეცხოველეობის პროდუქტებს... აქ  
მეურნეობის ნაწარმზე ყოველთვის დი-  
დი მოთხოვნილებაა, რადგან ყველაფერი  
ახალი, ცოცხალი და ქორფაა. მეურნეო-  
ბას საკუთარი მანქანებით მიაქვს ად-  
გილზე მათთვის განკუთვნილი პროდუქ-  
ტი, მას ხომ სასოფლო-სამეურნეო მან-  
ქანათა საკუთარი მძღავრი ბაზა აქვს.

სხვანაირად არც შეიძლებოდა: ცალკე-  
ული უზნებრი და ობიექტები ათეული და  
ოცეული კილომეტრითაა დაშორებული  
ერთმანეთისგან; ამ „ობიექტებისა და  
უზნების“ რიცხვი კი საკმაოდ დიდია. —  
მთებზე შეფენილ ახალგაზრდა საბჭოთა  
მეურნეობას საკმაოდ დიდი ფართობი  
უჭირავს საქართველოში არსებულ სხვა  
საბჭოთა მეურნეობებთან შედარებით.  
ამიტომ, ცხადია, რომ გზის მშენებლობა  
აქ გადაუდებელი საქმე გახდა. სოფელი  
მერჯევი, რომელიც მთელს იმერეთშია

„განთქმული“ თავისი ტალახით, უკვე  
მოხრეშილი გზებითა და წყალსაწივე  
თხრილებითაა დასერილი. ახლახან კი  
მოასფალტებასაც შეუდგნენ, — სოფლის  
მთავარი საუბნო გზები მალე ასფალტით  
დაიფარება.

სოფელი კეთილმოწყობილი ხდება.  
შარშან 10 ჰექტარ ფართობზე დეკორა-  
ტიული პარკი გაშენდა, აიგო საბავშვო  
ბაღის ლამაზი შენობა. ამჟამად კი მეო-  
რე საბავშვო ბაღის მშენებლობას შე-  
უდგნენ. ეს ბავშვებისათვის!

დიდებისათვის კი, მათთვის, ვინც შე-  
უფერებელ ბინებში ცხოვრობენ, მეურ-  
ნეობის ახალი მკვიდრებისა და მუშა-  
მოსამსახურეებისათვის კეთილმოწყობი-  
ლი რვა და ოთხბინიანი სახლები შენ-  
დება.

მეურნეობის მშრომელებს საკუთარი  
სამკურნალო აბანოც აქვთ. საქართვე-  
ლოს ყველა კუთხიდან ჩამოდიან აქ სამ-  
კურნალოდ. წყალი გოგირდის, რკინისა  
და სხვა ელემენტების მინარევებს შეი-  
ცავს და მრავალ დაავადებას უხდება,  
განსაკუთრებით რევმატიზმს, სახსრების  
ტკივილს...

ამჟამად შემოდგომაა და სოფელში  
საქმეც მეტია. ყველაფერს დაბინავება  
უნდა — ყურძენს, ხილს, საქონელს. მე-  
ურნეობა პირველი დიდი მოსავლისა-  
თვის ემზადება. საგაისოდაც თადარიგი  
უნდა. იდგმება თივის ზვინები, ამზადე-  
ბენ სილოსს, ეზიდებიან მინერალურ სა-  
სუქს. მეურნეობა ერთი დიდი ოჯახია და  
ოჯახში ათასი რამაა საჭირო; ასანთი რომ  
ასანთია, თუ არა გაქვს, უნდა მიდგე-  
მოდგე, ან შინაური უნდა შეაწუხო, ან  
გარეული. მართალია, კარგი მეზობელი  
არაფერს დაგამადლებს, მაგრამ შენ რომ  
გაქვს, — სულ სხვაა.

მთებზე შემდგარი იმერეთი ყოველ-  
დღე ადრე იღვიძებს და ხმაურობს. ხმა-  
ურობს ზვრებში, გზებზე, ყანებსა და  
ეზოებში. ხმაურობს და ანთია ვაზების  
შრიალში და მზისგან დამდგარ სიმხურ-  
ვალეში.





## „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ჩელოციაში

შოთა რუსთაველს გულით უნდოდა, ჟურნალში დაბეჭდილი ენახა თავისი „ვეფხისტყაოსანი“. დაჟდა, ხზოს ტყავებზე გადაათვთრა და ერთ-ერთი ჟურნალის რედაქციაში მიიტანა.

— დატოვეთ და რვაასი წლის შემდეგ შემოიარეთ! — არც შეუხედავს, ისე უთხრა პოეზიის განყოფილების გამგემ.

შოთა ძალიან განიცდიდა პოემის ბედს, ამიტომ, ამ ხნის განმავლობაში, სხვა ველარაფერი დაწერა. თუმცა ხელი ჩაქნეული ჰქონდა, მაგრამ ზუსტად რვაასი წლის მერე, სხვათა შორის, მაინც შეიარა რედაქციაში.

განყოფილების გამგე ოდნავ მოტეხილი ჩანდა, რვაასი წელი ერთ ადგილზე მუშაობა, ბატარა ამბავი ხომ არ იყო.

— სწორედ ამ წუთში დავამთავრე შენი პოემის კითხვა. არაუშავს დაწერილია, — დაამშვიდა განყოფილების გამგემ, — მაგრამ ბევრი რამ მაქვს შენთან სადავო.

— ბრძანეთ.

— ნამეტანი ცაში ავყავს ღმერთი. ღმერთი კია ღმერთი, მაგრამ ისეთ საქმეებს აწერ, რაც სინამდვილეში მას არ გაუკეთებია. შენ შეპქმენ სამყარო, სახე ყოვლისა ტანისა, შენგან გვიდგას სული, შენ რომ მოკვდე, რა გვეშველებო, რას ჰგავს ეს!

ახლა ასე ჰქენი: შესავალი სულ არ გინდა. ღმერთის ნაცვლად ყველგან ჩაწერე ხალხი. მაინც თანაბარმარცვლიანებია. უნდა გადააკეთო ზოგიერთი აფორიზმიც:

სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანიო, რომ გიწერია, არ უფიქრდები, რა მოჰყვება მაგას? ე. ი. ნაზრახი სიცოცხლე ვისაც აქვს, ყველამ თავი უნდა მოიკლას, ხომ? ისედაც ცოტანი ვართ ქართველები და ეს გვინდა კიდევ? არ მომწონს მეორე აფორიზმიც: „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენებნი“. თავის მაგივრად ჩაწერე ფული. მერე: მზიანი ღამეო, რომ იძახი, შენ მომატყუებ მე? მთვარიანი ღამე უნდა, ამხანაგო, აქ! იმახსოვრებ ახლა შენ, რასაც გუებნები?

— კი, ბატონო!

— პო. „რასაცა ვასცემ შენია, რას არა დაკარგულია“. ასეა, არა?

— დიას!

— პირიქით უნდა იყოს. შეაბრუნე. მერე: შენი გმირების საქმიანობა არ მაგმყოფილებს. ამ ტარიელს რომ დაარბენებ ტყე-ღრეში და აბლავლებ ხარივით, უსაქმურობის ბრალია მაგი. ჩააბი აუცილებლად სპორტში. კაცი ლომებს ახრჩობს და ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონი ვერ გახდება, შენი აზრით? მოსინჯე, კაცო, წაიყვანე და აჭიდავე! რა იცი, რას იზამს? ავთანდილი უფრო ნაზი ბიჭია და ოპერაში ამღერე. ხომ იმღერა ტყეში რაღაც? მხეცები რომ უსმენენ, არ სჯობია, ხალხმა მოუსმინოს? ფრიდონი კია მეფე. მაგრამ უფრო დატვირთე, ამუშავე კიდევ სადმე შეთავსებით, არ ჩანს მაგი ცუდი კაცი. თუ ძმა ხარ, რად გინდა ეს ფატმა-

ნი? რატომ შეაცდენინე ეს ანგელოზივით ავთანდილი. ავთანდილს, გენაცვალე, საცოლე ჰყავს. რომ გაუგოს ღალატი, მითხარი, გაგებარდება? ხომ ხედავ, მზეს სწუნობს ქალი. არც შენ გაწყენდა, რომ იცოდე. ცოლიანი ხარ?

— არა, ბატონო!

— გასაგებია. მერე: არ გინდა ეს ასმათი და ტარიელი რომ გყავს გამოქვაბულში და ერთად ძინავთ. მესმის, დადნაფიცია ტარელის, რამეს კი არ იკადრებენ, მაგრამ რამდენია ასეთი შემთხვევა და მკითხველი ვაგიგებს ამას ჩემსავით? ყოველი შემთხვევისთვის, გარეთ დააძინე ტარიელი. შენც დამშვიდებული იქნები და ასმათიც. ნუ ღანძლავ, კაცო, ამ ვაჭრებს! ჯაბანები ხართ, მშიშრები, ომის უმეტარნიო, რომ ეუბნები. სხვა სხვის ომში ბრძენია, შენი არ იყოს. რა იცი, ვაჭრები როგორ იბრძვიან? ათასი რევინია ეცემათ ყოველდღე. შენ რომ იყო, არ შეგეშინდება? მერე კიდევ: ძალიან ბევრს სვამენ, კაცო! ბინდით ცისკრამდის სმა იყო, სვეს მრავალნი დოსტაქანიო. დაასვენე ეს ხალხი. გაგაკრიტიკებენ მერე ამისთვის და უყარე კაკალი. ერთ ადგილზე, სადაა ის, კაცს რომ აფრენ: მოლი წამოსხა და გაფრინდაო, არ დაგიჯერებენ კაცის გაფრენას, თორემ მე რა მენაღვლება. შესვი ცხენზე და გაუშვი, ეჩქარება სადმე თუ? მერე: ნუ დავგასვამ ამ ქაჯებს თავზე; ყველაფერი იციან, გენიოსები არიან, ვერაინ ვერ დაამარცხებსო. რომ წერ. ხომ გაბითურდნენ ბოლოს? ერთ ქალს ვერ მოუარეს, ხედავ?! იმახსოვრებ ახლა შენ, რასაც გეუბნები?

— კი, ბატონო!

— ჩაინიშნე, თუ კაცი ხარ! მერე: ტარიელის წაყვანა არ გინდა ქაჯეთის ციხის ასაღებად. მკვდარია კაცი, გადაღლილია. ხომ ნახე, ძლივს მოასულიერა ავთანდილმა? დაისვენოს, წამოწვეს. ავთანდილი და ფრიდონი საკმარისია. გაუყავი ტარიელის ის ასი კაცი, ორმოცდაათი მიეცი თითოეულს და ეყოფათ. ფრიდონი დააჭრევივინ ვინმეს! მეტი დამაჯერებლობა ექნება, თანაც მარტოხელა კაცია, — ცოლი მაგას არა ჰყავს და შვი-

ლი. მერე: ტარიელი რომ ეხვეწება როსტევანს, ავთანდილს მიათხოვე შენი ქალიო, არ გინდა ეს ადგილი. იცის ავთანდილმა მისი საქმე. მერე: დავარა თავს რომ იკლავს, მამიდაა არა ნესტანის? ჰოდა, ტარიელს მოაკვლევინე. გამართლებაც აქვს, — საცოლე გადაუკარგა. ხვარაზმშას შვილი, ნესტანის საქმროდ რომ მოიყვანეს, გალახოს ტარიელმა, ნუ კლავს, რას ერჩის, დაუშავა რამე თუ?

ჰო, სულ მავიწყდებოდა: ავთანდილმა რომ ნადირობაში აჯობა როსტევანს, ეს ადგილი ვახსოვს? არაა საჭირო ახალგაზრდა კაცის ასე უეცარი დაწინაურება. ცოდვაა როსტევანი. მოხუცდა, აღარ შეუძლია, ამიტომ უნდა დაეჩაგრათ? თუ მაინცდამაინც, ფრედ დამთავრონ შეჯიბრება. მომწონს მე ეს ადგილი და ამიტომ გეუბნები. მერე: ფრიდონს შერთე, თუ ძმა ხარ, ასმათი. ტარიელს ჰყავს უკვე ცოლი, ავთანდილსაც — ჰყავს. დამდგარა ამხელა კაცი და არ იცის, რა ჰქნას. თვითონ ხომ არ დაიწყებს ყვირილს, მეც მინდა ცოლიო, ხათრიანი კაცია.

გამიგრძელდა! რომელი საათია ახლა? სამზე თათბირი გვაქვს და მოკლედ გეტყვი: შერმადინი რომაა, ავთანდილის მონა, ავთანდილი რომ ტარიელთან მიდის, თავის მაგიერად ტოვებს ხომ? არ გინდა ეს. შერმადინი, რა კაი კაციც არ უნდა იყოს, კურიერია მაინც. მაგალითად, ჩვენი რედაქტორი რომ შევბუღებაში გავა, კურიერს დასვამს მის ადგილზე? არავითარ შემთხვევაში! თუ მაინცდამაინც, მე დამტოვებს. მერე: ტარიელს ნუ ატირებ ამდენს, აუტანელია, პირდაპირ! დაათვრე მაინც, რაღაც გამართლება ექნება. თანაც ერთდროულად რომ კლავს ლომსა და ვეფხვს, ეს ადგილი შეცვალე. მარტო ლომი მოკლას, ვეფხვი ვითომ გაექცა. მერე: ძალიან ბევრი ქონება გაქვს ჩაყრილი პოემაში! ყველა მილიონერი საიდანაა? ჩამოაკელი ცოტა. ქრთამის აღებ-მიცემა საერთოდ არ გამაგონო. ხომ იცი, რა ამბები ტრიალებს მაგაზე? საჩუქრები გასცენ, მაგრამ ცოტ-ცოტა. როსტევანის ცოლი წამოწვი წინა პლანზე! მე ჩემს ცოლს უბატონოდ ხმას ვერ ვცემ. ავთანდილი

გაეპარა ხომ როსტევანს? ჰოდა, არ გინდა ეს გაპარვა. გუშინ კორექტორი გაგვეპარა და რედაქტორმა ბრძანებით მიასხნა.

ამოიღე, თუ კაცი ხარ, ეს ენის გასატყევი სიტყვები — მულღაზანზარი, დულარდუხტი, სვარაზმშა. გაამარტივე! ერთ გმირს ორ სახელს ნუ არქმევ — მელიქსურხავი, ნესტან-დარეჯანი, ფატმან-ხათუნი, ნურადინ-ფრიდონიო. ერთ-ერთი სახელი დაუძახე, რომელიც გინდა. ეს მეორეხარისხოვანი გმირები რომ გყავს — უსენი, უსამი, რამაზი, როდია, როდია კარგი, იყოს, ნესტანის საქმროდ უნდათ, სხვები ამოიღე, მაინც ვერ დამახსოვრებს ხალხი ამდენ გმირს. ახლა: ნესტანი რომ ავალებს ტარიელს, ინდოეთში წადი და მამაჩემს დაეხმარეო, დაგავიწყდა? რა ჰქნა მერე ტარიელმა, წავიდა? ამაშია საქმე! ფრიდონზე წამიხ-

და შთაბეჭდილება: ღვიძლ ბიძაშვილებს რა დღე დააყარა. ნუ ახოცინებ ამ ნათესავებს ერთმანეთს! იწერ ახლა მენი რასაც გეუბნები? ხომ იცი, შეგიმიწვივებ. ავთანდილის ლოცვა და ანდერძი საერთოდ ამოიღე! პროლოგი ახლავე მოხსენი. გასრულდა მათი ამბავიო, რომ წერ, ვხვდებით. ბატონო, ჩვენ რომ გასრულდა და დამთავრდა ნაწარმოები. მეჩქარება ახლა, თორემ, კიდევ მქონდა შენიშვნები. ჰო, ჰო! მხატვრულ ოსტატობას მეტი ყურადღება მიაქციე. სტილი დახვეწე, უფრო ორიგინალურად იაზროვნე! მე თითონ ლექსი არ დამიწერია, მაგრამ ყველაფერს ვხვდები. მოკლედ, ასე: გაასწორე ახლა, როგორც გითხარი, მომიტანე. წავაკითხებთ სარედაქციო კოლეგიის წევრებს და ვნახოთ, თუ მთლიანად ვერა, ალბათ, ნაწყვეტს მაინც დავბეჭდავთ!

უპ, დავიღალე კაცი!

თამაზ მანაღაძე.

## ინტერვიუ იუზილართან

ამას წინათ „კოდალას“ კორესპონდენტი ეწვია რუსთაველს და სთხოვა, ეპასუხა რამდენიმე კითხვავზე.

**კითხვა:** ბოლოს და ბოლოს გაგვაგებინეთ, ბატონო შოთა, თქვენი საფლავი სად არის?

**პასუხი:** ჰმ, გავონილა ცოცხალი კაცის საფლავზე ლაპარაკი?!

„კოდალას“ კორ.: მაპატიეთ, ბატონო შოთა.

**რუსთაველი:** მიპატიებია.

**კითხვა:** რას ნიშნავს თქვენი განცხადება „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები“?

**პასუხი:** მე ობლობაში გავიზარდე. პატრონი და გზის გამკვლევი არავინ მყოლია. ჰოდა, როცა ამ უცნობ-უპატრონომ რომანი ერთ-ერთი გამოცემლობის ერთ-ერთ რედაქციაში მივიტანე, არავინ დამიჭერა, ჩემი დაწერილი რომ იყო. შემოვირტყი თავში ხელი და სას-

წრაფოდ ჩავამატე სწორედ ეგ ფრაზა, „... სპარსული ქართულად ნათარგმანები“. უკაცრავად, გადათთრებისას გამომჩინია — მეთქი. ახლა ისევ ეჭვის თვლით შემხედეს: რაღაც არა ჰგავს სპარსულიდან ნათარგმნსო. მაშინ მე ვუთხარი, აგერაა, ბატონო, აკადემიკოსი ნიკო მარი და იმას ჰკითხეთ-მეთქი. კიო, ნამდვილად სპარსულიდან თარგმნაო, იმას აუშენდა ოჯახი, დამემოწმა აკადემიკოსი. ამის შემდეგ, რედაქტორმა ლოყაზე ხელი მომითათუნა და: — რატომაც არა, კარგი ბიჭი ჩანხარ, კი შეძლებდი ამის თარგმნასო. დავგიტოვე, განვიხილავთ და პასუხს ორი კვირის შემდეგ გეტყვიოთ. მივედი ორი კვირის შემდეგ და კიდევ სამი კვირა მოიცადეო. მერე ერთ კვირაში აუცილებლად შემოგვიარეო. მოკლედ, ასე ვიარე მანამდე, სანამ ვახტანგ მეფემ არ დაბეჭდა ჩემი რომანი.



**კითხვა:** როგორ იმოქმედა თქვენზე პირველი წიგნის დაბეჭდვამ?

**პასუხი:** იმოქმედა კი არა, კინაღამ გავგიჟდი კაცი! როცა „ვეფხისტყაოსანი“ გადავწალე, თმა ყალყზე დამიდგა — ნახევარი ველარ ვიცანი (სხვათა შორის, სულ იქიდან გაჩნდა ამდენი ვარიანტიც), რაღა უნდა მექნა. დავჯექი და ტირილი დავიწყე. ამ დროს გამოიარა ერთმა დიდმა ქართველმა მწერალმა. მან შემიბრალა და დამამშვიდა: — რა გატირებს, ბიჭო, ეს ერთი რომანი მოგიჯახირებია და ახლა ამ პირველივე წიგნით გინდა კლასიკოსი ვახდე?! მერე, შე კაცო, იმ დიდებულების წარამარა ტირილს, წივილ-კივილს და გულის შეღონებას რომ აღწერ ასე თავგამოდებული, შენ ნაღდად ჰემინგუეის, რემარკის, კამიუს, ფოლკნერის, კაფკას და ჯონისს გავლენა გეტყობაო. მაგისთანა გვარები ჩემს სიცოცხლეში არ გამიგონია, ბატონო, ძლივს ამოვიღულულე. აუჰ! შენგან მწერალი კი არა, კრიტიკოსიც არ გამოვა! — გული გამიკეთა ადამიანის სულის დიდმა მესაიდუმლომ.

**კითხვა:** სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ შექმნილია აღმოსავლური და დასავლური კულტურების სინთეზის გზით. თქვენ როგორ ფიქრობთ?

**პასუხი:** რახან სპეციალისტები ამტკიცებენ, იმათ ვინ რას გაუბედავს. ოღონდ ერთ რამეს მაინც ვიტყვი — როცა მე — ქართველი კაცი, ასე თუ ისე ქართულ კულტურაზე აღზრდილი, ქართულად ვწერდი „ვეფხისტყაოსანს“, მაშინ მყნობა-შეგვარებაზე სულაც არ მიფიქრია.

**კითხვა:** ჩვენს ახალგაზრდა მწერლებზე, საერთოდ, და, კერძოდ პოეტებზე რას გვეტყოდით?

**პასუხი:** მაგათზე უკვე ვთქვი სათქმელი.

**კითხვა:** გენიალური „ვეფხისტყაოსნის“ სადარი ხომ არ შეგიქმნიათ სხვა ნაწარმოები?

**პასუხი:** რას გეტყვი, ბიძიკო, იცი? იმ შავბნელ შუასაუკუნეებში ჩემთვის არც ლოჯიანი ბინა მოუცია. ვინმეს, არც

„ვოლგა“, არც „ზაპოროჟეცი“, და სხვა რამე. ერთი დაჩაგრული კაცი ვიქნევი და „ვეფხისტყაოსანზე“ უკეთესი ლარაფერი დავწერე.

**კითხვა:** საიდან მოიტანეთ, ტარიელმა ვეფხვი დაახრჩოო, რომ წერთ?

**პასუხი:** იმ ხანად ცირკში ვალტერ ზაპაშნი გამოდიოდა. ჰოდა, ლადიძის წყლებში რომ შეიყვანა თავისი ვეფხვი და ერთმა ბიჭმა რო იმას კუღში წაავლო ხელი და მოქაჩა, ხომ გახსოვთ, მთელი თბილისი იმაზე ლაპარაკობდა. ავდექი და მეც ამ ფაქტს შევასხი ხორცი. დამაჯერებლობა აკლია და წაიხალხურებსო. კინაღამ ამომადებინეს რედაქციაში, მაგრამ მე დავედრიჯე, ბოლოს და ბოლოს. ტარიელი მთავარი გმირია და თუ იმ უბრალო ბიჭმა ვეფხვს კუღში წაავლო ხელი, ტარიელი იმისთანა ვეფხვს ვითომ რატომ ვერ მიახრჩობდა-მეთქი. თუ იმისთანა ვეფხვი იყო, კიო, მითხრა რედაქტორმა. აჰა, ნამდვილ, გარეულ ვეფხვს რაღა გაუბედავდა ამისთანა რამეს?! — შევიცხადე. ამაზე რედაქტორმა გაიციინა, ლოყაზე ხელი მომითათუნა და კაი, კაიო, მითხრა.

**კითხვა:** თქვენს საიუბილეო სამზადისზე რას გვეტყოდით?

**პასუხი:** დიდ მადლობას, ოღონდ ერთ საკადრის ძეგლს ახლა მაინც თუ არ დამიდგამდით, არ მეგონა. ჰო, ოდესმე კი მაღირსებთ, ვიცი, მაგრამ ნუ ჩადგებით ჩემს ცოდვაში და ნუ გამაუბედურებთ დავით გურამიშვილივით. იმ საწყალს სიცოცხლეში არ ეყოფოდა ბედუკუდმართობა, ახლა რომ არ დაგეტანჯათ?! ეს რა ადგილას დააყენეთ, დალოცვილებო! ამასაც გეგვეწებით, კაცის სახეს ნუ დამიკარგავთ და ბალერიანად ან მოქიდავედ ნუ გამომსახავთ.

**„კოდალას“ კორ.:** ჩვენი მოქანდაკეების სახელით პირობას გაძლევთ, სულ მალე შევასრულოთ თქვენი თხოვნა.

**რუსთაველი:** აჰა ჰე, თქვენ იცით ახლა!

**კითხვა:** რას უსურვებთ ჩვენს ახალგაზრდობას?

**პასუხი:** ყველა ქართველ ახალგაზრდას, განურჩევლად სქესისა (ხომ გახ-



სოვთ — „ლეკვი ლომისა სწორია...“),  
ვეუსურებ დაკვირვებით, რამდენჯერმე  
წაიკითხოს „ვეფხისტყაოსანი“ და რამ-  
დენიმე ნაწყვეტი მაინც ზეპირად ისწავ-  
ლოს.

**კითხვა:** ქართველ ფეხბურთელებზე  
ხომ არაფერს გვეტყოდით?

**პასუხი:** თუ ღმერთი გწამს, კაი ხა-  
სიათზე ვარ და ნუ ჩამაშხამებ ახლა!

„კოდალას“ **კორ.:** უკაცრავად, ბატონო  
შოთა, უღრმესი მადლობა ყურად-  
ღებისათვის.

**რუსთაველი:** მადლობა ჩემგან გეკუ-  
თვნის, შვილო. კიდევ კარგი, რომ გამიხ-  
სენე, თორემ ამ მეცნიერებს შემეყურეს  
თავი აღამიანი აღარც მგონია. ეგენი  
ფიქრობენ, რუსთაველს არც დასვენება  
უნდა და არც გაღიმება. ისე მახვევენ

თავზე ამ ფილოსოფიურ აზრებს. <sup>სწორად</sup>  
რად ჩემი თავი არისტოტელი <sup>მეცნიერების</sup>  
ცი, პლატონი, პეტრე იბერი, ავიცენა,  
პეგელი, კანტი და ფოიერბახი მგონია  
ერთად აღებული. გმადლობთ, ჩემო ბა-  
ტონო, ამ მხიარული საუბრისათვის.  
ნურც შემდგომში მოგერიდება ჩემთან  
მოსვლა. ხომ გახსოვს მისამართი — მე-  
ტროს ესკალატორით რომ ამოძვრები,  
იქვე ვლგავარ მოედანზე, ტალიკ-ტალიკი  
ბიჭების გვერდით.

„კოდალას“ **კორ.:** აუცილებლად გინა-  
ხულებთ. ერთხელ კიდევ გმადლობთ,  
ბატონო შოთა, ნახვამდის.

**რუსთაველი:** იცოცხლე, ბიძიკო, იცო-  
ცხლე, ჩემს წასვლამდე არაფერი გეტყი-  
ნოს!

**ზურაბ რაბიანი.**

## ყ უ რ ე ბ ი

ერთი შეხედვით სხვებისგან არაფრით  
განირჩევა: ჭამს, სვამს, დადის, ლაპარა-  
კობს და ა. შ. მაგრამ ეს — ერთი შეხედ-  
ვით. თუ კარგად დააკვირდებით, შეამჩ-  
ნევთ, რომ ყურები ჩვეულებრივზე დი-  
დი აქვს. ზოგი იფიქრებს, რახან დიდი  
ყურები აქვს, ალბათ ყველაფერი სხვებ-  
ზე მეტად და უკეთესად ესმისო. თუ  
მართლა ასე ფიქრობთ, ცდებით, თვალი  
გატყუებთ. ასე რომ იყოს, მისი ყურები  
არც გახდებოდა ყურადღების ღირსი.  
სხვისა არ ვიცი და ამ დიდყურას დიდი  
ყურები მხოლოდ იმიტომ აქვს, რომ  
სხვისი ჭირი თუ ლხინი ერთ ყურში შე-  
უშვას და მეორედან გაუშვას.

... საოცარია, მაგრამ ყურები სწორედ  
მას შემდეგ გაეზარდა, რაც დააწინაუ-  
რეს. მანამდე მის ყურებს კი არა, თავ-

საც არავინ აქცევდა ყურადღებას, თუმ-  
ცა დიდი თავი არც მაშინ ჰქონდა და  
არც ახლა აქვს.

შემთხვევითი როდია, რომ ყურები  
საკუთარ თავს ურჩევნია. შემთხვევითი  
როდია, რომ ყველაზე მეტად იმას აფა-  
სებს, ვისაც ყველაზე დიდი ყურები  
აქვს. იცის, კარგად იცის ყურების ფასი,  
მისთვის ყურებია მთავარი!

ახლა, მგონი არავის გაუკვირდება ერ-  
თი საინტერესო ცნობაც: მიუხედავად  
იმისა, რომ იგი ზრდის ასაკს დიდი ხა-  
ნია გადასცილდა, ყურები მაინც ეზრ-  
დება...

და, როგორც ეტყობა, ამ ამბავს მაინც-  
დამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევს.

**ზაზა კაციავილი.**



# ვინ როგორ იცის „იცის ფარგლებში“ თვლა

...ავნებს ხორცსა, მერმე სულსა!

რუსთაველი

ბოლოსდაბოლოს გამოფხიზლდა ვაზეთი „ლიტერატურული საქართველო“. რაც უფრო ალაშქრდა „ცისკარმა“ კრიტიკული წერილი დაბეჭდა, ყველას უპასუხა. ეხებოდა თუ არა, ეთანხმებოდა თუ არა, იცოდა თუ არა, რას უპასუხებდა, მაინც უპასუხა. 1966 წლის 5 აგვისტოს ნომერში კი მორიგი „პასუხი“ შემოგვთავაზა.

ეს „პასუხი“ იწყება საკმაოდ დინჯად, დამრიგებლური ტონით: „1966 წლის უფროსი „ცისკარის“ მეხუთე ნომერში დაბეჭდა ნ. წულუგისის წერილი სათაურით „დედა ენა“.

ამა თუ იმ წერილის კრიტიკულად მართებული („კრიტიკულად მართებული“ კარგი დაგეგმვით, კარგი ქართული!) განხილვის დროს საჭიროა კრიტიკოსი ზედმიწევნით იცნობდეს იმ საკითხებს, რომელთა გაშუქებაც მას მიზნად დაუსახავს“.

გონიერ დარიგების წინააღმდეგი ვინ იქნება, მაგრამ მწერალმა ნოდარ წულუგისი განიხილა არა რომელიმე წერილი, არამედ „დედა ენა“. ნუთუ იმის მტკიცებაცაა საჭირო, რომ „დედა ენა“ სახელმძღვანელოა და არა წერილი?

სამწუხაროდ, უამრავი დრო უნდა დავკარგოთ და ვამტკიცოთ ელემენტარული ჭეშმარიტებები: „დედა ენა“ წერილი არ არის, ახალი მაწონი მუავე არ არის, ქინაქინა ციების წამალი არ არის, „ია აი“ უაზრობაა და მისთანანი.

უფრო მეტიც, „ლიტერატურული საქართველო“ საკითხს ამგვარად სვამს: თურმე თუ სადმე ჭრელი პეპელა ან

ყურში ახსენე, ეს იმას ნიშნავს, რომ აკრიტიკებ აკაკი წერეთელს და ირაკლი აბაშიძეს.

რა პასუხი უნდა გავსცეთ ამგვარად მოაზროვნე კრიტიკოსებს? აი, თურმე რა „ზედმიწევნით იცნობენ“ ისინი „იმ საკითხებს, რომელთა გაშუქებაც მიზნად დაუსახავთ“. ნოდარ წულუგისი წერს: „დედა ენის“ ნორჩი გმირი არ არის ჩვენი თანამედროვე. იგი არ სწავლობს მუსიკას, არ უყურებს ტელევიზორს, არ იცის კოსმოსის ამბები. ხატვითაც კი არ დაინტერესებულა. „დედა ენის“ ბავშვი თითქმის მე-19 საუკუნის ბავშვია. იგი სოფლად იზრდება, ყურშასთან ერთად დადის სამწყემსურში ან ჭრელ პეპლებს (და არა პეპლებს, როგორც ახლანდელ „დედა ენაში“ წერია) დასდევს, ქალაქში იშვიათად ჩამოდის და როცა ჩამოდის, გაკვირებული ათვალეირებს ყოველივეს, უკვირს, რატომ არ არის თბილისში ბოსტნები და ყანები“.

ვინც წერა-კითხვა იცის, მისთვის ამ სტრიქონებში ორაზროვანი არაფერია. ძალზე ნათლად და კონკრეტულად არის გაკრიტიკებული არა იაკობ გოგებაშვილის, არამედ დამსახურებული პედაგოგების — ნ. ბოცვაძისა და ე. ბურჯანაძის მიერ შედგენილი „დედა ენა“.

მაშ, რა საჭიროა ამდენი „ზათქი-ზუთქი“, — როგორ თუ აკაკი წერეთლისა და ირაკლი აბაშიძის ლექსები დაიწუნეთო?

ნოდარ წულუგისის თავის წერილში ჩვენი დიდი კლასიკოსის აკაკი წერეთ-

ლისა და გამოჩენილი საბჭოთა პოეტის ირაკლი აბაშიძის მშვენიერი ლექსები არსად არ უხსენებია. მან, სხვათაშორის, ძალიან რბილად და თავაზიანად გააკრიტიკა გაზეთის რედაქტორის ი. ნონევილის ლექსი „მფრინავები“. ეტყობა, აკაკი წერეთელი და პოეტი ი. ნონევილი პასუხის ავტორს ერთმანეთისაგან ვერ გაურჩევიან. ამიტომ იძულებული ვართ უფრო კონკრეტულად ვილაპარაკოთ ამ ლექსზე. კიდევ ერთხელ თავიდან ბოლომდე წავიკითხოთ:

ჰა, კამარა შეჰკრა ცაში  
ფრთაგაშლილმა შევარდენმა,  
ხან ლაყვარდში გაიქროლებს,  
ხან ღრუბლებში შევარდება.  
— იცი, ნანა, — ამბობს გია, —  
მეც მფრინავი უნდა გავხდე.  
ხალხის გული გავახარო  
და მტერს ცაში მტრულად  
დავხვდე.

**შენ რომ გინდა, აგრონომი  
გამოხვიდე, ჩემო ნანა,  
თუ ველს მწერი შეესია  
შეგიწამლავ ციდან ყანას.**

ეს ლექსი მხატვრულად სუსტია. ვინაც პოეტური „სმენა“ არ ღალატობს, არ დაწერს: „შენ რომ გინდა, აგრონომი გამოხვიდე, ჩემო ნანა“. თავი დაგანებოთ პოეზიას, სადედადენო თხზულებას შემეცნებითი ან დიდაქტიკური დანიშნულება ხომ უნდა ჰქონდეს? — რას ვუბნებთ ბავშვებს, რას ვასწავლით?

ლექსი შინაარსობრივად დაბნეულია. ძალზე ბევრი ამბავია მოთხრობილი: ცაში შევარდენი დაფრინავს, გიას თურმე მფრინავობა უნდა, მტერს მტრულად უნდა დახვდეს, ხალხის გულიც უნდა გაახაროს. ხოლო როცა ნანა აგრონომი გახდება, მაშინ, თუ ღმერთმა ქნა და ველს მწერი შეესია, გია თავს გამოიჩინოს, შეუწამლავს ციდან ყანას.

პირველ სტროფში დახატულია სურათი: ლაყვარდოვან ცაში, სადაც ღრუბლებიცაა, კამარა შეჰკრა ფრთაგაშლილმა შევარდენმა. ადვილი შესაძლებელია, ბავშვმა ვერ გაიგოს პოეტური სახე —

შევარდენი ფრინველი ეგონოს და არა თვითმფრინავი. შევარდენსაც შეუძლია „შეჰკრას ცაში კამარა“ (რადგან მისი „ფრთაგაშლილი შეჰკრავს“) ხანაც ლაყვარდში გაიქროლოს და ხანაც ღრუბლებში შევარდეს.

თუ გვინდა ეს პოეტური სახე ბავშვმა გაიგოს, უსათუოდ უნდა მივანიშნოთ, რომ იგი თვითმფრინავია და არა ფრინველი, თორემ „შევარდენი“ „ლაყვარდში“ გამოკიდებულია და მომდევნო სტრიქონებთან არავითარი კავშირი არა აქვს. მომდევნო სტრიქონები კი მოითხოვენ „შევარდენი“ იყოს უსათუოდ თვითმფრინავი. „ — იცი, ნანა, — ამბობს გია, — მეც მფრინავი უნდა გავხდე“.

ლექსის პირველი სტროფი შინაარსობრივად არ უკავშირდება მეორეს, ხოლო მეორე ნაძალადევად, ხელოვნურად არის გადაბმული მესამესთან.

ბოლო ორი სტრიქონი კი სრულიად გაუგებარია. რად პირდება გია ნანას, თუ ველს მწერი შეესია, ყანას შეგიწამლავო? თუ ველს მწერი შეესია, ველი უნდა შეუწამლოს, ყანა რა შუაშია. იქნებ გვითხრან: რადგან ველს მწერი შეესია, ყანასაც საშიშროება მოელის და ბავშვმა ეს უნდა იგულისხმოსო.

რომელი ერთი ივარაუდოს, იგულისხმოს და ამოიცნოს პირველკლასელმა ბავშვმა?

ჯერ გავარკვიოთ, ვის რა უნდა, რა რას შეესია, ვინ რა შეწამლა. მერე დავწეროთ მაღალმხატვრული, ნათელი და გასაგები ლექსი მფრინავებზე და მხოლოდ ამის შემდეგ შევიტანოთ „დედა ენაში“.

აკაკი წერეთლისა და ირაკლი აბაშიძის ავტორიტეტს ამოფარება ამ „დედა ენას“ ვერ უშველის. თურმე ზოგ-ზოგს გულუბრყვილოდ ჰგონია, რაკი „დედა ენაში“ ჩვენი სახელგანთქმული პოეტის ირაკლი აბაშიძის ლექსი (საკამათო არ არის: ჩინებული ლექსი!) შეუტანია, „დედა ენა“ ხელუხლებელია...

ვის სჭირდება ამგვარი, იაფფასიანი ემპიკობაზე დაფუძნებული, უკაცრავად პასუხია, პოლემიკა?



ნ. ბოცვაძე წერს: „რეცენზენტი გვი-საყვედურებს, რომ წიგნში მეტად მცი-რე მასალაა მშობლიურ გრძნობაზე, მა-გალითად, და-ძმურ სიყვარულზე.“

მივმართოთ ისევ არითმეტიკას. ვინც ოცის ფარგლებში მაინც იცის თვლა, ნა-ხავს, რომ წიგნში ამ საკითხის ირგვლივ ოცამდე მასალაა მოცემული... (გვ. 22, 24, 27, 29, 32, 37, 59, 95, 98, 99, 100, 101, 102)“.

ახლა ვნახოთ, ვინ როგორ იცის „ოცის ფარგლებში თვლა“. გადავშალოთ „დე-და ენა“ და წავიკითხოთ მითითებული გვერდები:

გვ. 22: „მუხა. მუ-ხა. მ უ ხ ა. მ. მა-მა. მა-ხე. მუ-ხა. მე-ნი. თმა. მთა. ძმა. მა-ხა-თი. მუხა ხეა. აი სამი მუხა. ეს მათეს ოთახია. აი მახე. ეს ძუის მახეა. ეს მაიას მახათია. ეს უთო მძიმეა. მიხა მამას ეძა-ხის“.

თურმე ეს მასალა მშობლიური გრძნო-ბის გამოსახატავადაა „მოცემული“ „დე-და ენაში“! თურმე საკმარისია ბავშვებს უთხრა ერთი სიტყვა „ძმა“ და მორჩა, მშობლიურ გრძნობაზე ყველაფერი ითქ-ვა. უფრო მეტიც, შესაძლებელი ყოფი-ლა საერთოდ არც ვახსენოთ და ან ძმა.

გვ. 27: „გივის გემი. მამამ გივის სა-თამაშო გემი გაუკეთა. გივი გივას ეძა-ხის: — გივა, მამამ სათამაშო გემი გამი-კეთა, ვითამაშოთ! — ვითამაშოთ, ვითა-მაშოთ! — ისმის გივას ხმა“. აი, რას უწოდებს პატივცემული პედაგოგი მოთ-ხრობას და-ძმურ სიყვარულზე!

სამშობლოს სიყვარულზეც ამ „მე-თოდითაა“ შერჩეული ლექსები და მო-თხრობები. ნ. ბოცვაძე წერს: „ჩვენ ვამ-ბობთ: ყველა მასალა, რომელიც აცნობს ბავშვს სამშობლოს წარმატებას, მის მდგომარეობას წარსულში თუ ახლა, მის მრავალფეროვან ბუნებას, არის მასალა სამშობლოზე“. მაშასადამე, თუ ბავშ-ვებს ვეტყვით „მუხა ხეა“, „აი მახე“, „ეს ძუის მახეა“ — ეს უკვე მასალაა სამ-შობლოზე? მუხა ხომ სამშობლოს მრავალფეროვანი ბუნების ნაწილია, ძუაც, მახეც!

გვ. 32: „თევი. თევ-ზი. თ ე ვ ზ ი. ზ.“

ზე-თი. ვა-ზი. ე-ზო. ზვი-ნი. კოვ-ზი. ზე-თხი. ნი-გო-ზი. გა-ზე-თი. კო-ზა-კი. ეზო-ში თივის ზვინია. ზუთხი თევზაფსოთა მახის ვაზეთია. თენგიზი ხუთოსანია. თენგიზი გივას ამხანაგია. ფეფემ ნიგო-ზი შეინახა. ანიკოს ოთახი მზიანია. გი-გომ გზაზე კოზაკი ნახა. ძია ვანომ მზიას ხის კოვზი გაუკეთა“.

სად არის ამ მასალაში მშობლიურ გრძნობაზე ლაპარაკი? სად არის და-ძმუ-რი სიყვარული? პატივცემულო მოპასუ-ხენო, ნუთუ ფიქრობდით, არ შევამოწ-მებდით, ვინ არ იცის ოცამდე თვლა?

ნოდარ წულუისკირი არსად ამბობს, რომ „დედა ენიდან“ ამოვიღოთ „თითა“. იგი წერს: „ჩვენ არ მოვიტხოვთ „დედა ენიდან“ გავაძევოთ სიტყვები თითა, ურემი, ტაბიკი, კოზაკი, სახნისი, შესა-ნიშნავი მოთხრობები თხებზე, ორ სახ-ნისზე, ურემზე და სხვა. ვფიქრობთ, „დე-და ენა“ უფრო დამშვენდება, გალამაზ-დება, თუ ბავშვის დღევანდელი ყოფის ამსახველ ნაწარმოებებსაც შევიტანთ მასში. გავამდიდრებთ ბავშვის გონებას, დავაკმაყოფილებთ მის ცნობისმოყვარე-ობას, თუ კოხმოსის ამბებზე მხიარულ ლექსებსა და მოთხრობებს გამოვქვეყ-ნებთ“.

რა არის ამ სტრიქონებში საგანგაშო? საგანგაშოა, როცა „დედა ენის“ შემდგე-ნელი თავგამოდებით იცავს მხატვრუ-ლად უსუსურ ლექსს:

დედა ფეიქარია,  
მქსოველია ცნობილი,  
მოსწონთ მისი ნაშრომი  
აბრეშუმის ქსოვილი.  
შინ მოვა, გავვახარებს  
ახალ-ახალ ამბებით:  
დღესაც შევასრულეთო  
გეგმა ვადაქარბებით!

რას უშველის ამ ლექსს დიდებულნი პედაგოგების — კომენსკისა და უშინს-კის ნაწარმოებებიდან უხვად ამოწერი-ლი ციტატები?

ვისაც ორი კარგი ქართული ლექსი წა-უკითხავს, მიხვდება რომ ეს ცუდი ლექ-სია, ყალბი ლექსია და „დედა ენიდან“ ამოსაღებია. მით უმეტეს, რომ მის ავ-



ტორს ცოტა როდი აქვს ნამდვილად კარ-  
გი ლექსი!

ღრმად პატივცემულ ნ. ბოცვაძეს არ  
მოსწონს ნ. წულეისკირის „კილო“. „რე-  
ცენზია უხეში კილოთია დაწერილიო“—  
გვისაყვედურებს იგი.

ნუთუ მართლა უხეში კილოთია დაწე-  
რილი? გადავშალოთ ჟურნალი „ცისკა-  
რი“ (№ 5, 1966 წ. გვ. 5.) და წავიკი-  
თხოთ:

„საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა  
დიდი მნიშვნელობა აქვს „დედა ენას“  
ერის მომავლისათვის, რა „საერო“ და  
„სადეთო“ საქმეა „დედა ენის“ კარგად  
შედგენა. მას მხოლოდ კეთილი სურვი-  
ლებითა და პატრიოტული ემოციებით  
ვეღარ შეადგენ. საჭიროა დიდი გამოც-  
დილება, მწერლობა და პროფესიონალი-  
ზში, გოგებაშვილისებური ერუდიცია და  
საქმის სიყვარული. ამიტომ უფლება არა  
გვაქვს პატივისცემით, მოკრძალებითა  
და სიყვარულით არ აღვნიშნოთ საშვი-  
ლიშვილო შრომა, რაც წლების მანძილ-  
ზე გასწიეს ჩვენმა სახელოვანმა, მსცო-  
ვანმა პედაგოგებმა ნინო ბოცვაძემ და  
ეკატერინე ბურჯანაძემ. მათ მიერ შედ-  
გენილ „დედა ენაზე“ მთელი თაობები  
აღიზარდა. დღევანდელ ჩვენს ყმაწვილო-  
ბასაც ეს სახელმძღვანელო ემსახურება“.

როგორც იტყვიან ხოლმე, განსჯა მკი-  
თხველისათვის მიგვიწევს! ვიტყვით  
მხოლოდ: მწერალი ნ. წულეისკირი და  
მასთან ერთად „ცისკარის“ რედაქცია, ახ-  
ლაც გულწრფელად იმეორებენ სახე-

ლოვანი, მსცოვანი პედაგოგების ნ. ბო-  
ცვაძისა და ე. ბურჯანაძის საშვილიშვილო  
შრომის ამ მაღალ, დამსახურებულ შე-  
ფასებას.

ჩვენთვის დიდი ხანია ცნობილია სა-  
ხელმძღვანელოს შემდგენლების აზრი  
ახლანდელ „დედა ენაზე“ (ეს აღნიშნუ-  
ლი იყო ნ. წულეისკირის გულახდილ წე-  
რილშიც). ბუნებრივია, რომ მათ მოს-  
წონთ თავიანთი სახელმძღვანელო!

ჩვენს საზოგადოებრიობას, მათ შორის  
„ცისკარის“ რედაქციას, უფრო მეტად  
აინტერესებს, რას ფიქრობენ მწერლის  
მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე სა-  
ქართველოს სსრ განათლების სამინისტ-  
რო (ამხანაგები — თ. ლაშქარაშვილი, უ.  
ობოლაძე), რესპუბლიკის პედაგოგიური  
საზოგადოება (ამხ. დ. ლორთქიფანიძე),  
პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიე-  
რო-კვლევითი ინსტიტუტი (ამხ. გ. ფოფ-  
ხაძე)! რას ფიქრობენ პრაქტიკოსი პედა-  
გოგები, რომლებიც კარგად იცნობენ  
დღევანდელ სკოლას და დღევანდელ ბა-  
ვშვებს.

რედაქცია სთხოვს ყველას, ვისაც ეს  
საკითხი აინტერესებს, გამოთქვას თავი-  
სი შეხედულება. იგი სიამოვნებით და-  
უთმობს თავის ფურცლებს იმ ამხანა-  
გებს, რომლებიც არ ეთანხმებიან მწერ-  
ლის მოსაზრებებს.

ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლე-  
გია სპეციალისტების დახმარებით შეაჯა-  
მებს დისკუსიის შედეგებს და საბოლოო  
აზრსაც მაშინ გამოთქვამს.



# უიწყაჯსი

მარადიული თანამგზავრი (სარელაქციო სტატია) . . . . .	3 გვ.
მუხრან მახავარინი — ქართული სიტყვის მხედართმთავარი . . . . .	5 გვ.

## უკვდავ წინააპრს—საქართველოს სხელსო პოეზიები

გალაქტიონ ტაბიკა — შოთა რუსთაველი უავი ზღვის პირად (ლექსი) . . . . .	7 გვ.
გიორგი ლორეიკა — „ვეფხისტყაოსანს“ (ლექსი) . . . . .	9 გვ.
იოსებ გრიშაშვილი — შოთა რუსთაველი ჩამს ბიბლიოთეკაში (ლექსი) . . . . .	11 გვ.
იონა ვაკელი — რუსთაველი (ტრაგედია) . . . . .	13 გვ.
კარლო კალაქა — თქმულება შოთა რუსთაველზე (დრამატული პოემა) . . . . .	62 გვ.
მორის ფიცხიშვილი — რვაასი წელი (ლექსი) . . . . .	85 გვ.
ვასილ გვეტაია — ქუდი, რომელიც დატოვა შოთამ (ლექსი) . . . . .	89 გვ.

## რუსთაველის ნაკვალავი

კონსტანტინე გრიგოლია — თამარ მეფის საფლავის საიდუმლოება . . . . .	91 გვ.
როინ მებრეველი — ეპოქა დიდი რუსთაველისა . . . . .	102 გვ.
მიქაელ ბაგურიანი — „ვეფხისტყაოსანი“ სომეხურ ენაზე . . . . .	111 გვ.
ეივარს იანსონი — ბალტიისპირეთშიც იცნობენ . . . . .	117 გვ.
შალვა ლლონტი — დიდებული მებაფრებნი . . . . .	119 გვ.
ლია ანდლუღაქა — კოეტიის საიდუმლოად (ქრონიკა) . . . . .	126 გვ.

## წერილები

ოთარ ქინქლაქა — დედანის აღმზრდელობითი ფუნქცია . . . . .	136 გვ.
იოსებ ამერტალიკა — მთავარი შემდგარი იმეკითი (ნარკვევი) . . . . .	144 გვ.

## „ქოღლა“

თამაზ მამალაქა — „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი რედაქციაში . . . . .	150 გვ.
ზურაბ რატიანი — ინტერვიუ იუბილართან . . . . .	152 გვ.
ზაზა კაციანიშვილი — ქუჩები . . . . .	154 გვ.

## წერილი რედაქციიდან

ვინ როგორ იცის „ოცის ფარგლებში“ თვლა . . . . .	155 გვ.
--	---------



გარეკანზე: რუსთაველის პორტრეტი — მხატვარ ს. ქობულაძისა.

გარეკანი და ტიტული ელ. ამაშუკელისა, ჟურნალი გააფორმეს თ. სამსონაძემ და გ. როინიშვილმა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ს. გოდერძიშვილი

რედაქციის უფროსი მასალაში ავტორებს არ დაუბრუნდებათ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის პროსპ. № 91.

**ბელეფონები: რედაქტორის — 5-08-85, პ/მზ მღივნის — 5-08-86, განუყოფილებების:**  
**კოედიისა და პროზის, კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 5-08-85, კულტურისა და**  
**ხელოვნების 5-08-75**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/IX-66 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 3049. უე 03236. ქალაქის ზომა 70 X 108. ტირაჟი 10.500.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14  
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

6116/215



ფასი 60 კაპ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

Издательство  
«ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»

ИНДЕКС 76236